

ଶାକାରତତ୍ତ୍ଵବ୍ୟାଳତ୍ସ କ୍ଷେତ୍ର ମେଉନ୍ଦିଏର୍ଯ୍ୟବାଟା ଅକ୍ଷାଧ୍ୟମିଳିଲ୍

କାବ୍ୟ

675-୭;
1976/୭

ଫୁଲତଥିଲିଲ୍,
ଫୁଲକାହାରିଲିଲ୍,
ଫୁଲକାହାରିଲିଲ୍
କାମାରତଥିଲିଲ୍ କେବିଳ

3 · 1976



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიის, ფიქტოლოგიის,
ეკონომიკისა და სამართლის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ, ПСИХОЛОГИИ,
ЭКОНОМИКИ И ПРАВА

13. 2282



თბილისი
ТБИЛИСИ

3 · 1976

1976 წლის 3 ნოემბრის
დანართის შესრულების
დღის მიზანით
სამართლის
სერია

ქურთული გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სართული კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილი), პ. გუგუშვილი,
გ. ოვაზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (редактор),
Бочоришили А. Т., Григолава В. В. (зам. редактора), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორიშვილი
Ответственный секретарь Г. Г. Бочорадзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ტელეფონი 37-95-46 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.9.1976; შეკვ. № 2182; ანაწყობის ზომა $7 \times 11\frac{1}{2}$;
ქაღალდის ზომა $70 \times 108\frac{1}{16}$; ნაბეჭდი თბახი 16.80; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თბახი 14.50; უკ 00825; ტირაჟი 800
ვასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

‡

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

სამარტინი

შინაარსი

ეძღვნება აკად.	03. ჯავახიშვილის დაგადების მე-100 წლისთავს	
შ. ხილაშვილი. აკად ივ. ჯავახიშვილი და ქართული ფილოსოფიური აზრი	5	
0. ჯავახიშვილი. პიროვნება და მსოფლმხედველობა	13	
6. იაზვილი. ივანე ჯავახიშვილი და ქართული ვაზომცველობა	17	
შ. ესიტაშვილი. ვაჟა-ფშაველა და მატერიალური სინამდვილის ტელიგიურ-მითო- ლოგიური განპიროვნების ზოგიერთი საკითხი	39	
3. გამრეველი. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით	57	
9. ჩამუნელი. ქართველი ხალხოსნების ეკონომიკური აზრის ისტორიიდან	76	
0. დოლიძე. საამილახვროს მოლაშქრეთა დავთახი (1656—1696 წწ.)	90	
 ფილოსოფია		
მ. მაჭავარიანი. ბოეციუსი	118	
 ფილოსოფია		
ბ. მერაბიშვილი. პროფესიული შერჩევის პრობლემა	127	
ზ. ხოვაპა. მ. სურბულაძე. ინსტრუქციის როლი სხვადასხვა დონეზე მდებარე წრეებით შექმნილი განწყობის მოქმედებაში	140	
 ეკოსომიკა		
ა. ჯიბუტი. კოდხეთის დაბლობის ათვისების პრობლემის შესახებ	146	
ნ. მელიქიშვილი. რ. მითაიშვილი. რეგრესიის სტრუქტურულ განტოლებებში პარამეტრების შეფასებისა და საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანის განვითარების პროგნოზირების ზოგიერთი საკითხი	161	
 სამართალი		
დ. ხეცურიანი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამოქალაქო-სამართლებრივ რე- გულირებაში მორალური ნორმების მნიშვნელობის შესახებ	171	
 პრიტიკა და ბიბლიოგრაფია		
გერ. შუშანაშვილი. გურამ თევზაბე — „იმანუელ კანტი“	180	
დ. ქორიძე. ვასილ ჩანტლაძე — „ფინანსები რეფორმატდელ აღმოსავლეთ საქარ- თველოში“ (1801—1864 წწ.)	190	

СОДЕРЖАНИЕ

ПОСВЯЩАЕТСЯ 100-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ	
АКАД. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ	
Ш. ХИДАШЕЛИ, Акад. И. А. Джавахишвили и грузинская философская мысль	5
И. А. ДЖАВАХИШВИЛИ, Личность и мировоззрение	13
Н. Ш. ЯШВИЛИ, Ампелография — сортоведение виноградной лозы Грузии в трудах акад. И. А. Джавахишвили	17
Ш. А. ЕСИТАШВИЛИ, Важа-Пшавела и некоторые вопросы религиозно-мифологического одушевления материальной действительности	39
В. И. ГАМРЕКЕЛИ, Население Восточной Грузии по переписи 5 апреля 1770 г.	57
Э. Г. ЧАДУНЕЛИ, Из истории грузинской народнической экономической мысли	76
И. С. ДОЛИДЗЕ, Документы о воинах Амилахварства (1656—1696 гг.)	90
 ФИЛОСОФИЯ 	
М. И. МАЧАВАРИАНИ, Боец	118
 ПСИХОЛОГИЯ 	
Г. М. МЕРАБИШВИЛИ, Проблема профессионального отбора	127
З. И. ХОДЖАВА, М. Т. СУРГУЛАДЗЕ, Роль инструкции при действии установки, созданной расположенным на разных уровнях кругами	140
 ЭКОНОМИКА 	
А. С. ДЖИБУТИ, Проблема освоения Колхетской низменности	146
Н. И. МЕЛИКИШВИЛИ, Р. Л. МИТАИШВИЛИ, Некоторые вопросы оценки параметров в структурных уравнениях регрессии и прогнозирования, развития автомобильных перевозок пассажиров в Грузинской ССР	161
 ПРАВО 	
Д. Г. ХЕЦУРИАНИ, К вопросу о значении моральных норм в гражданско-правовом регулировании общественных отношений	171
 КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ 	
Г. ШУШНАШВИЛИ, Гурам Тевзадзе — «Иммануил Кант»	180
Д. КОРИДЗЕ, Василий Чантладзе. «Финансы в дореформенной Восточной Грузии» (1801—1864 гг.)	190

ეძღვნება პპად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავს

შალვა სილაშვილი

პპად. ივ. ჯავახიშვილი და ქართული ფილოსოფიული აზრი

ივანე ჯავახიშვილის კვლევა-ძეგბის საგანს ქართველი ერის ისტორია შეადგენდა. მაგრამ მისი სამეცნიერო მოღვაწობის ერთი ძირითადი თავისებურება, რომლითაც ივ. ჯავახიშვილი ცეკვა სხვა ქართველოლოგისაგან გამოიჩინა, მეცნიერული ინტერესის საოცრად ფართო დიაპაზონია. შეიძლება ითქვას, არ დარჩენილა ქართველი ერის კულტურული შემოქმედების თითქმის არც ერთი ძირითადი სურა, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი არ შესძოდეს; არ არის ქართველოლოგის თითქმის არც ერთი დარღვი, რომელშიც მას უდიდესი დვაჭული არ მიუძღვდეს. ქართველი ერის პოლიტიკური ისტორია, კონსტიტუციური ისტორია, ქართული სამართლი, მუსიკა, საისტორიო მწერლობა, პალეოგრაფია, დიპლომატიკა, ნუშიზმატიკა, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ქართული ენა და მრ. სხვა ივ. ჯავახიშვილის სპეციალური კვლევის საგანს შეადგენდა და ცუკველი მისი ნაშრომი ღრმა და მაღალი მეცნიერული გამოკვლევის დონეზე დგას. ქართველოლოგის მრავალ დარგს ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი.

ქართული ცილინდროფიური აზრის ისტორია სისტემატურა კვლევის საგნად ივ. ჯავახიშვილს არ გაუხდია. მაგრამ მისი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა ნათელყოფს, რომ ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნება მისი უურადღების გარეშე არ იყო დარჩებილი. დიდ შეცნიერს, სპეციალური ნაშრომების გარდა, მრავალი მოსაზრება აქვს გამოთქმული, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიისათვის. ივ. ჯავახიშვილის მოღვაწობის ეს მნიშვნელობა საგანგებო შესწავლას მოითხოვს და მისი გაუშექმნა მომვალის საქმეა. ჩვენ ამჟერად მხრილ რამდენიმე ფაქტზე და საკითხზე შეიძლება შევაჩიროთ უურადღება.

1. 1906 წელს გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის „ზეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში“ („ივერია“, № 10, 11, 12, 13)-დაბეჭდი, სამწუხაროდ, ამ შრომის მხოლოდ პირველი ნაწილი — „ქველმოქმედება და საქველმოქმედო დაწესებულებანი“. როგორც ნაშრომის ქვესათაურიდან ჩანს („წერილი პირველი“), ავტორს საქართველოში ზეობრივ მოძღვრებათა ისტორიის გარკვევა ფართოდ ჰქონდა მოფიქრებული და ქველმოქმედებისა და საქველმოქმედო დაწესებულებათა უფრო დიდი გამოკვლევის მხოლოდ დასაწყის ნაწილს შეადგენს. „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი წიგნის (1928) წინასიტყვაობაში, რომელშიც ივ. ჯავახიშვილი ამ მიმართულებით შესრულებულ გამოკვლევებს აახლებს, ავტორი წერს: „ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში სოციალ-ეკონომიკური იდეალების გამო ატებილ ბრძოლას ეხებოდა მონოგრაფია, რომელიც 1906 წ. გაზ. „ივერია“-ში დაიბეჭდა და ეწოდებოდა „ზეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ (გვ. VIII).

ამ ნაშრომთან ახლო დასა შინაარსით ივ. ჯავახიშვილის პირად არქივში დაცული სტამბურად დაბეჭდილი, მაგრამ ავტორის მიერ გამოუქვეყნებელი გამოკვლევა „ადამიანი ქველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“ (გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ კრებულში) — ივ. ჯავახიშვილი ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 130—156). ნაშრომი, ჩვენი ვარაუდით, ოციანი წლების დასასრულს,

„ქართული სამართლის ისტორიის“ გამოქვეყნების დროს (1928, 1929 წწ.) უნდა ეკუთვნოდეს და შეიძლება თავდაპირველად ამავე გამოკვლევის ნაწილადაც ქონდა განზრახული, მაგრამ, რაღაც მოსაზრებებით, „ქართული სამართლის ისტორიიდან“ ამოილო. გამოკვლევა შედგება სამი ნაწილისაგან: I — მოძღვრება ადამიანზე, II — ადამიანის სოციალ-ეთიკური იდეალები, III — ადამიანი ვითარცა მოძვაჭვე.

2. „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომში (პირველად გამოქვეყნდა 1914 წელს) ივ. ჯავახიშვილი ვრცლად იხილავს XI-XII ს-ების ქართული კულტურული და იდეური ცხოვრების საერთო მდგომარეობას და ეხება, კერძოდ, საზოგადოებრივი და ფილოსოფიური პზროვნების საკითხებსაც (თავი მეცხრე — „საქართველოს საზოგადო მდგომარეობა და კულტურული ვითარება ძლიერებისა და აყვავების ხანაში“; 1948 წლის გამოცემაში გვ. გვ. 296—313; ქვევთ ყველგან ეს გამოცემა დამოწმებული). გარდა მნიშვნელოვანი მოსაზრებებისა ცალკეულ ფაქტებზე, ივ. ჯავახიშვილს გამოითქმული აქვს შეხედულებაზე, რომლებსაც, ამ ეპოქის იდეური ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებათ.

ერთი ამ დებულებათაგანი ქართული რენესანსის საკითხს ეხება. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ერთი სიტყვით, ქართველობამ ელინური შემოქმედების ნიმუშები იგემა და დაწაფა იმ ცხოველმყოფელ ელინიზმს, რომლის ღრმამა და საფუძვლიანმა შესწავლამ დასავლეთ ევროპაში ეგრეთწოდებული „რენესანსი“ წარმოშვა (გვ. 302, ხაზი ივ. ჯავახიშვილისაა). შემდეგ: „საქართველომ ეს მოძრაობა უკვე XII საუკ. დაიწყო, შაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შემოსევამ შეაფერხა“ (იქვე, ხაზასმა ჩვენია). ეს არის მეცნიერებაში პირველი და გამოითქმული მოსაზრება საქართველოში რენესანსული მოძრაობის ანალოგიების ძიებისა და ამ მოძრაობის XII საუკუნის საქართველოში დაწყების შესახებ.

ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს საბჭოთა შეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, 30-იან წლებში შალვა ნუცუბიძემ საფუძველი ჩაუყარა ქართული რენესანსის თეორიას, ეს თეორია მის შემდგომ ნაშრომში (განსაკუნძულებული შესახებ) და გამოკვლევაში — „Руставели и Восточный ренессанс“ (1947) საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. აღმოსავლეთის რენესანსის თეორიამ ფართო გამოძახილი მოძოვა მრავალეროვან საბჭოთა შეცხირებასა და კულტურის მოძვაჭვთა შორის, და მრავალი მიმდევარი გაუჩხდა, ძაგლითად, აკადემიკოსების: ვ. უირმუნსკინა და ნ. კონრადის სახით. ძაგრამ ივ. ჯავახიშვილის მიმართ აღილი აქვს სამწუხარო გაუგებრობას, რომლის გამო დიდი შეცნიერის ღვაწლი ამ მხრივ შეუფასებელი რჩება. ნ. კონრადი წერს (1963): „Мысль о Ренессансе на Востоке возникла у наших исследователей сравнительно недавно и появилась она, естественно, прежде всего у учёных самих восточных стран, в данном случае-стран — 'Советского Востока. В 1947 г. Ш. И. Нуцубидзе в работе „Руставели и восточный ренессанс“ заговорил о времени великого грузинского поэта, т. е. о XII—XIII вв., как о грузинском Ренессансе. в 1948 г. И. Джавахишвили, в своей „Истории Грузии“ представил историчес-

кую действительность Грузии XII в. как аналогичную той, которую в Европе называли Ренессансом“ (В. К. Чалоян, Армянский ренессанс, М., 1963, Послесловие, гл. 159, № 80 ჩვენი).

ხატდვილად „აზრს“ აღმოსავლეთის, კერძოდ ქართული რენესანსის შესახებ და იდი ხეის ისტორია აქვს მეცნიერებაში (წინააღმდეგ ციტირებული სიტყვებისა) და გამოთქმული იყო ივ. გავახიშვილის მიერ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე აკად. კონრადის აქვს წარმოდგენილი¹.

ივ. გავახიშვილი, როგორც ჩანს, XII ს-ის ქართული კულტურის შეფასების დროს იმ კონცეფციის საფუძველზე იდგა, რომლის მიხედვითაც დასავლეთში რენესანსის მომზადების ერთ-ერთ გარდამწყვეტ პირობას საერო კულტურისა და შისი მსოფლმხედველობრივი საფუძვლების უჩვეულო ზრდა წარმოადგენდა; იაკობ ბურჟარდტის სიტყვით რომ ვთქვათ — საერო კულტურაში ასახული ახალი შეხედულებებისა, იდეებისა და მისწრაფებების მოზღვავება.

საერო კულტურის წარმოქმნა და განვითარება, კერძოდ, XI—XII ს-ების საქართველოში პირველყოვლისა ქვეყნის შინაგანი ვითარებით, ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობით, ცხოვრებაში მომხდარი სოციალური ცვლილებებით, ეკლესიისადმი ახალი სახელმწიფობრივი პოლიტიკით აიხსნება. მაგრამ ფაქტია, რომ საერო კულტურის აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სააზროვნო პორიზონტის გაფართოება და ელინური კულტურისა და იდეებისადმი ინტერესის გაღვივება წარმოადგენდა. ამით აიხსნება ივ. გავახიშვილის განსაკუთრებული ინტერესი ამ ეპოქის ქართული პოეზიისა და ფილოსოფიური აზროვნების, კერძოდ ნეოპლატონიზმისადმი. ეს ინტერესი ადასტურებს, რომ საერო კულტურის, განსაკუთრებით, პოეზიისა და ფილოსოფიის განვითარებას უნდა მიეცა მისთვის საფუძველი საქართველოში რენესანსული მოვლენების ძიებისათვის.

ქართულ საერო პოეზიაში ივ. გავახიშვილი ხედავს XII ს-ის ქართული კულტურული შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ დარგს, მის ძირითად თავისებურებას საქრისტიანო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (სირია, სომხეთი, ბიზანტია) შედარებით და ამავე დროს ქართველი ხალხის „ძლიერი მხატვრული ნიჭის“ გამოვლენას. „რა ხელშემწყობი მიზეზებიც არ უნდა გამოვდებნოთ“, წერს ავტორი ხასგამით, საერო პოეზიის ძლიერი განვითარების ასახსნელად, ეს ფაქტი „მაინც თავისთავად ქართველი ერის ძლიერი მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების დააშატკიცებელია“ (იქვე, გვ. 308).

ფილოსოფია, ივ. გავახიშვილის სიტყვით, კულტურული შემოქმედების განსაკუთრებული დარგია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფიურ მწერლობას, როგორც ავტორი წერს, წინათაც არ ყოფილა მოკლებული ქართველი მქითხველი, XII ს-ის ეპოქა „იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მთწინავე ქართველთა გონებრივი ივგმა სამფლობელომ აზროვნების უმწერვალეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერ-

¹ 1 როგორც ვხედავთ, ნ. ი. კონრადი არც შ. ნუცუბიძის მიმართ არის სწორი. რაც შეეხება ივ. გავახიშვილს, ნ. კონრადის მიერ მითითებული ნაშრომი („ქართველი ერის ისტორიის“ II ტომი, 1948) მეორე გამოცემა იყო, განხორციელებული ავტორის გარდაცვალებიდან 8 წლის და პირველი გამოცემიდან 34 წლის შემდეგ.

ლობას და ეწაფა“ (გვ. 299, ხაზი ავტორისაა, შ. ხ.). ცნობისმოყვარეობის გაღვიძება „ძველი წარმართობის ღროინდელი ელინური“ (გვ. 300) ფილოსოფიისადმი ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია ქართული სააზროვნო დონის ამაღლების ძირითად დამადასტურებელ ფაქტად. ამდროინდელი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ყველაზე მნიშვნელოვან მიმდინარეობად კი ნეოპლატონიზმი და სახელმობრივო პეტრიწის ფილოსოფიური მოძღვრება მიაჩნია („როგორც პროფ. ნ. მარმა, თავის სუცხვოვი გამოკვლევაში „იოანი პეტრიცი, გрузინელი მოქადაგისა და მოქადაგის ურთისება“, იქვე, გვ. 300).

ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებათა განხილვის შემდეგ ყურადღებას იმსახურებს მისი პოზიცია კერძოდ XII ს-ის საქართველოში წარმოქმნილი ახალი, რენესანსული კულტურული მოვლენების იდეური მიმართების საკითხში ძველ, შუა საუკუნეების პირობებში გაბატონებული შეხედულებებისადმი.

ცხობილია, რომ რენესანსის სქოლასტიკისადმი მიმართების საკითხს პრინციპული, შეთოდოლოვიური მნიშვნელობა აქვს და მასზე სხვადასხვა მოსაზრებანი არსებობს. ახალი დროის მოაზროვნება სხვადასხვა შეფასებას აძლევდნენ იდეურ ძვრებს, რომლებიც რენესანსის ეპოქაში მოხდა. გერმანული რომანტიზმის ერთი ფრთა, და მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი ფრ. შლეგელი ფიქტობდა, რომ შუა საუკუნეები წარმომადგენდა იდეალურ ეპოქას და საუკეთესო დროს კაცობრიობის ისტორიაში. ნოვალისი შუა საუკუნეებს უპირისპირდება ახალ დროს და უპირატესობას შუა საუკუნეებს ანიჭებდა. თანამედროვე დასავლეთში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რენესანსი შუა საუკუნეების იდეების უარყოფა კი არაა, არამედ „ამ იდეების აპოთეოზი“ (ჟ. შევალიე).

დიამეტრულად განსხვავებულია ჰეგელის, განმანათლებლების, მარქსიზმისა და საბჭოთა შეცნიერების თვალსაზრისი. ჰეგელის მიხედვით სქოლასტიკის პირობებში ჩვენი, მიწიერი სამყარო სრულიად კარგავს ღირებულებასა და ძნიშვნელობას და კაცობრიობის განვითარების მთელი პროგრესი ამ ღირებულების აღდგენაში მდგომარეობს. ენგელსის სიტყვით რენესანსის ეპოქა „უდიდესი პროგრესული გადატრიალება“ იყო. რენესანსში დაარღვია შუა საუკუნეების ცხოვრებისა და აზროვნების საფუძვლები და ახალი ეპოქა შექმნა. ახალი, რენესანსული იდეები უპირისპირდებოდა სასულიერო ფენების შეხედულებებს, როგორც შუა საუკუნეების იდეების წარმომადგენლებსა და დამცველებს.

ივ. ჯავახიშვილის პოზიცია, რომელიც კერძოდ, XII ს-ის ქართული სააზროვნო ვითარების შეფასების დროს, საცხებით გარკვეულია.

წინააღმდეგობანი ძველსა და ახალ იდეებს შორის ივ. ჯავახიშვილისათვის თავისთავად ნაგულისხმევი კანონზომიერი ფაქტია (ერთ შემთხვევაში ის პირდაპირ ლაპარაკობს ამ წინააღმდეგობათა დიდ პროგრესულ მნიშვნელობაზე). ქართულ საერთო პოეზიაში ის ხედავს კულტურულ ფაქტორს, რომელმაც „თამარმეფის დროს... საეკლესიო სქოლასტიკურ აზროვნებას საბოლოოდ სძლია“ (გვ. 301). რაც შეეხება ფილოსოფიურ მოძღვრებებს და „მეტადრენეოპლატონურ ფილოსოფიას“, ივ. ჯავახიშვილი გარკვევით ლაპარაკობს საშლედელოების „თავისუფალი აზროვნების დამხშველ“ წრეებზე, მათ „დიდ“ წინააღმდეგობაზე და სიმკაცრეზე თავისუფალი აზროვნების ახალი ნაკადის მიმართ. „ამგვარნი მკაცრი და თავისუფალი აზროვნების დამხშველნი პირნი

საძღვდელოებაში საქართველოშიც ყოფილან; ეფრემ მცირეც ემდურებოდა. შათ და იოანე პეტრიშვილიც უჩივის, რომ მას მარტო ბერძნები კი არა სდევნიდნენ, არამედ „მის უამის“ „ქართველებიც“ (გვ. 300).

აქვარი მიღომა ქართული შუა საუკუნეების იდეოლოგიური ფაქტები-საღმი შემთხვევითი არა და, შეიძლება ითქვას, ივ. ჭავახიშვილის კვლევის პრინციპს წარმოადგენს. გიორგი მთაწმინდელის შეხედულებას, რომ ქართველები იმთავითვე ორთოდოქსალური ქრისტიანობის პიზიციაზე იდგნენ და არასდროს არ უღალატნიათ „მართლისა“ სარწმუნოებისათვის — ივ. ჭავახიშვილი კრიტიკულად აფასებს, — ხედავს: რომ შუა საუკუნეების ამ ცნობილი წარმომადგენლის მიერ მოყვანილი მოსახრება — მცდარია ფაქტობრივად და შიულებელი შეთოდოლოგიურად; რომ თანამედროვე თვალსაზრისი ერეტიკულ შოძრაობებზე არსებითად განსხვავდება შუა საუკუნეების შეხედულებებისაგან და ეს შეხედულებანი არ შეიძლება მისაღები იყოს თანამედროვე მეცნიერებისათვის. „თანამედროვე მეცნიერება, — წერს ივ. ჭავახიშვილი გიორგი შთაწმინდელის სიტყვებთან დაკავშირებით, — რასაკვირველია, სულ სხვა აზრისაა და შევალებლობა ხშირად ორმა და ცხოველ სასოებისა და სარწმუნოებრივი შემოქმედების ძლიერების დამატებიცებელია. ამიტომ იქ, სადაც სარწმუნოების სიმბოლოსა და წესის შესახებ ცილობა და ბრძოლა არ ყოფილა, იქ ცხადია სარწმუნოებრივი აზრი დაბაზუნებული უნდა ყოფილიყო და სიცოცხლე აკლდა“ (იქვე, გვ. 185). აღსანიშნავია, რომ ივ. ჭავახიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში არსებული ერეტიკული მიმღინარეობების ისტორიის გარკვევაში და მათი მრავალსახეობის ფაქტობრივ დასაბუთებაში.

3. „ვეფხისტყაოსანი“ ივ. ჭავახიშვილის ინტენსიური კვლევის საგანი 30-იანი წლების შუა ხანებიდან გახდა, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილება იქნა მიღებული შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს ჩატარების შესახებ. ამ დროს განეკუთხება მისი ნაშრომები: „შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზემის გამო“ („ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1, თბ., 1935 წ.) „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მოხსენების სახით იყო წაკითხული საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენურზე 1937 წლის დეკემბერში (გამოქვეყნებულია, როგორცა ჩანს, შემოყლებით „ლიტერატურულ საქართველოში“, 10.1.38 წ.); „პიროვნება და მსოფლმხედველობა“ (გაზ. „Известия“, 17.III-1937, № 66) და სხვ. იმავე პერიოდს უნდა ეკუთხხოდეს ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი სათაურით — „ვეფხისტყაოსანი“ (ყველა ეს ნაშრომი შესულია კრებულში — ივ. ჭავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956. ქვევით ყველგან ეს კრებულია დამოწმებული).

აღნიშნულ დადგენილებას ივ. ჭავახიშვილი აღფრთვანებითა და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით შეხვდა. სიძნელე, რომელიც ქართველ შეცნიერებასა და საზოგადოებრიობას დაკისრა, მხოლოდ ამოცანის სირთულით კი არ აიხსნება, — წერდა ივ. ჭავახიშვილი, — „არამედ იმ პასუხისმგებლობითაც, რომელიც მის ასრულებასთან არის დაკავშირებული. 750 წლისათვის ზემის აღსანიშნავად განკუთხნილი „ვეფხისტყაოსანის“ გამოცემა შეუძლებელია მხოლოდ კარგი გამოცემა იყოს: ის უნდა უმშეველად სამაგალითო, უზადო გამოცემა იქნეს. ამგვარადვე ძეგლიც, რომელიც გენიოს მკონს,

და დედგება, მისი შემოქმედების სიღიადის აღმაფრენის ჰაეროვნებისა და მისი იდეალების სიღრმის ამსახველადაც უნდა მოგვეჩენოს. შოთას თხზულებასა და სახელთან დაკავშირებული მუსიკალური ნაწარმოებიც, მისი ლექსის განმაცვითებელების სინარნარისა და გამომსატველობითი ნიჭის ღრმა გულწრფელობითაც უნდა იყოს გამსჭვალული, ჰაეროვანი აღმაფრენის მონაბერად უნდა მოგვევლინოს.

ჭეშძარიტად, მძიმეა ის ტვირთი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის ამ ისტორიული დადგენილებით სათანადო დაწესებულებებსა და ცალკეულ ქართველ შეცნიერ-ხელოვანთ ეკისრებათ. ძნელი გამოსათქმელია ის პასუხისმგებლიბა, რომელიც მის ასრულებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ მაინც ყველაფერი უნდა დაძლეული იყოს, რადგან ეს გენიოსი მგოსნის ხსოვნის წინაშე აქამდის მოუხდელი მოვალეობის ასრულებისათვის არის საჭირო (კრებული, გვ. 12).

ცხობილია, რომ ამ ტვირთის უდიდესი ნაწილის აღება ივ. ჯავახიშვილის თავის თავზე მოუხდა და არა მხოლოდ დიდი პასუხისმგებლობით, დიდი ენთუზიაზმითა და თავდადებით ასრულებდა, მეცნიერულ ხელმძღვანელობასთან ერთად, რომელ და მძიმე ორგანიზაციულ საქმიანობასაც.

ხსენებულ ნაწარმოებებში ივ. ჯავახიშვილი კატეგორიულად და სრული საფუძვლიახობით იცავს დებულებებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“, ეს „ქართული პოეზიის მშენება“ ეკუთვნის თამარ მეფის ეპოქას, მთელი თავისი არსებით ქართული ნაწარმოებია და ქართული კულტურის განვითარების შედეგს წარმოადგეს; მასში ისახულია XII ს-ის ქართული კულტურა და ეპოქის მოწინავე პოლიტიკური იდეები. თუმცა „ვეფხისტყაოსანში“, წერს ავტორი, „დასახელებულნი არიან არაბები, სპარსელები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვებებს, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქ დასახელებულია. შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძეგრს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს“ (კრებული, გვ. 19).

შოთა რუსთაველის ნაწარმოებებში, ასახულია იმდროინდელი ქართული სახოგადოების „პროგრესული ფენების იდეები“, მათი „პოლიტიკური ტენდენციები“ (იქვე, გვ. 18); „თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული“ პოეტი „გადმოვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებს, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში“ (იქვე, გვ. 19).

ივ. ჯავახიშვილს იმდენად ღრმად და ურყევად სწამდა, „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის ეპოქაში ეკუთვნისო, რომ შესაძლებლად მიაჩნდა რუსთაველის პოემის დაწერის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა. დაწერის terminus ante quem non, მისი სიტყვით, 1196 წელია. უგვიანესი თარიღი — თამარ მეფის გარდაცვალება. მეორე მხრივ — ყოველგვარი ცდა — პოემის უფრო გვიანდელ ეპოქაში გადმოტანისა, მისი მწვავე მეცნიერული პოლემიკის საგნად იქცეოდა. ქერ კიდევ 1914 წელს ამგვარი პოლემიკის საბაბს სარგის კაცაბაძის მოსაზრება წარმოადგენდა. ამ მოსაზრების კრიტიკული განხილვის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი მიდის კატეგორიულ დასკვამდე, რომ „ეგოდენ მაღალი აზრებითა და გრძნობით გამსჭვალული, ხელოვნების უმწვერვალეს განვითარე-

ბის გამომხატველი და პოეტური ქმნილება“ უდაოდ თამარ მეფის ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს („ქართველი ერის ისტორია“, II, 1948, გვ. 315).

მეორედ საბაბი პოლემიკისათვის ნ. მარის გამოკვლევამ („Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема“, ИАН, 1917) მისცა, რომელშიც ორი ძირითადი დებულება იყო წამოყენებული: რუსთაველის პოემა ეკუთვნის XIV ს-ეს და თვით რუსთაველი მაკმაღიანი იყო. ივ. ჭავახიშვილი წერს: „ყოველ-გვარ გამოსალება და გამოუსადეგარ მოსაზრებათა გამოყენებით, თავგამოდებითა და გულმოდგინებით მოპოვებული და კატეგორიულად გამოთქმული განცხადების შემდგომ, ვითომც დასკვნა შოთა რუსთაველის მაკმაღიანობისა და XIV ს-ში შედგენის შესახებ ლოგიკურად აუცილებელი („Неизбежен такои вывoт“) შედეგია და ერთადერთი შესაძლებელი დასკვნაა, სწორედ, რომ მოულოდნელია და უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე, როდესაც ნ. მარი თავის უკანასკნელ გამოკვლევას ასე აბოლოებს: და ამისდამიუხედავდ ჩვენი დებულება ის კი არ არის, რომ შოთა რუსთაველი თამარ მეფის თანამედროვე არ არის და ის აუცილებლად მაკმაღიანი იყო“ (კრებული, გვ. 38).

ივ. ჭავახიშვილი რა თქმა უნდა, არ კმაყოფილდება ნ. მარის შეხედულებათა ლოგიკური წინააღმდეგობის კონსტატაციით. ნ. მარის ყოველი ცალკეული მოსაზრება კრიტიკულად არის ავტორის მიერ განხილული და უარყოფილი.

ხსენებულ სტატიებში არაერთხელაა გამოთქმული მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველი „თავისუფალი აზროვნების“ წარმომადგენერია; თვით პოემა — „თავისუფალი აზროვნების სიმბოლო“ ქართული კულტურის ისტორიაში. ამიტომ იმის შემდეგ, რაც ჩვენ ზევით ივ. ჭავახიშვილის თვალსაზრისი გავარკვიეთ „ქართველი ერის ისტორიის“ II ტომის პირველი გამოცემის მიხედვით, თავისუფალი აზროვნების წარმომადგენელი პოეტი არ შეიძლებოდა, მისი შეხედულებით, მისაღები ყოფილიყო ყველა სოციალური ფენებისა და წრეებისათვის. ივ. ჭავახიშვილი ამავე პიზიციაზე რჩება თავის გვიანდელ გამოკვლევაშიც. „ვეფხისტყაოსანს“, მისი სიტყვით „ერთნაირი გრძნობითა და აღფრთოვანებით არ შეხვედრიან“ („კრებული, გვ. 6) ძველ საქართველოში ივ. ჭავახიშვილი ლაპარაკობს როგორც პოემს „ძლიერ მოწინააღმდეგებზე და „მტრულად განწყობილ“ წრეებზე, განსაკუთრებით სასულიერო წოდების შიგნით, აგრეთვე ბრძოლის იმ ფორმებზე, — პოეტის სახელის უგულვებელყოფიდან პოემის ფიზიკურ განადგურებამდე, — რომელსაც ეს წრეები მიმართავდნენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის გარევევის თვალსაზრისით, მისახურებს ივ. ჭავახიშვილის სტატია „პიროვნება და მსოფლმხედველობა“. პირველყოვლისა, სტატია გამოირჩევა დიდი იდეური დატვირთულობით. როგორც მკითხველი დარწმუნდება (ქვევით ვაქევანებთ სტატიის ქართულ თარგმანს), ამ პატარა მოცულობის ნაშრომში რუსთაველის შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მხარე გაშუქებული, პოეტის დამოკიდებულება სამეფო კართან სახელმწიფოებრივ წყობასთან, სხვადასხვა სოციალურ ფენებთან, ქალის კულტურან პოეტის განსწავლულობა, მხატვრული აზროვნების ძალა; პოემის მთავარი მო-

ტივი, ხალხთა შორის მეგობრობის იდეა; რუსთაველის დამოკიდებულება. რელიგიასა და მონოთეიზმისადმი და მრ. სხვა.

„ცხადია, — წერს ავტორი, — რომ პოეტი რელიგიურ საკითხებში სავსებით თავისუფალი მოაზროვნე იყო, რომელიც უარყოფდა როგორც ოფიციალურ ქრისტიანობას, აგრეთვე მაჲმადიანურ მოძღვრებას რწმენაზე („ვეფიუცენიე“). რუსთაველი, მისი ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობის მიხედვით, წარმოდგენილი ყავს ივ. გავახიშვილს უფრო მეტად მონოთეიზმსა და პანთეიზმს შორის მერყევ მოაზროვნედ, ვიდრე რომელიმე იმ დროს გაბატონებული რელიგიის ადეპტად.

რუსთაველის მსოფლმხედველობის დაკავშირება პანთეიზმთან მთლად ახალი მოსაზრება არ იყო, როდესაც ივ. გავახიშვილი ამ სტრიქონებს წერდა. კერძოდ, მისთვის ცნობილია ამ დროს პ. ინგოროვას დებულება რუსთაველის პოემაში, როგორც ივ. გავახიშვილი წერს, „გაბნეული წარმართულ-პანთეისტური“ მრწამსის (კრებული, გვ. 10) ანარეკლის შესახებ. შემდგომაც პანთეისტურმა თეორიამ საქმაოდ ფართო გავრცელება პპოვა დასავლეთელ, რუს და ქართველ მეცნიერთა შორის. ივ. გავახიშვილის დებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ის არ წყვეტს რუსთაველის პანთეიზმს შუა საუკუნეების სააზროვნო გარემოსაგან, კერძოდ, მონოთეიზმისაგან. ამ გაგებით, ივ. გავახიშვილის შეხედულებას რუსთველოლოგიაში თავისი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში.



პუბლიკაცია

ივანე ჯავახიშვილი

პიროვნება და მსოფლმხედველობა¹

„შოთა რუსთაველის პიროვნებისა და მსოფლმხედველობის საკითხის განზიღვისას ბუნებრივი იქნებოდა პირველყოველისა და ვერდნობოდით ბიოგრაფიულ შონაცემებსა და მის ნაწარმოებებს. სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებულნი გართ ამ შესაძლებლობას, რადგან ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები რუსთაველზე არ არსებობს, ხოლო პოეტის ნაწარმოებთა შორის ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი, მართალია, მთავარი, პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მის ოდებს, რომელებსაც ის თავისი პოემის პროლოგში ასახელებს, ჩვენამდე არ მოუღწევია. საქმე იმ გარემოებითაც რთულდება, რომ არც ეს პოემა, არც ავტორის სახელი არ იხსენიება თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებში.

შეგრაშ ისტორიული ტრადიცია ამ პოემის ავტორად ასახელებს შოთა რუსთაველს, და ამავე დროს აღიარებს მას თამარ მეფის თანამედროვედ და კარის პოეტად. ეს ტრადიცია მართლდება აგრეთვე პოემის პროლოგით. არ არსებობს არავითარი სერიოზული მოსაზრება, რომელიც იძლეოდეს საფუძველს — ეს წარმოდგენა შედარად ჩაითვალოს. არც პოემის შინაარსში, არც ეხაში, არც ავტორის მსოფლმხედველობაში არ არის არაფერი, რაც აძლევდეს ძკვლევარს უფლებას — გადაწიოს „ვეფხისტყაოსანი“ აღმოცენების დრო XIII ს-ის დასაწყისის იქით.

იმისდა შიუხედავად, რომ არ არსებობს ბიოგრაფიული მონაცემები, პოემის მთელი შინაარსი მოწმობს პოეტის მრავალმხრივება და ღრმად განათლებულობას. რუსთაველი ღრმად ჩასწევდა თავისი მშობლიური ლიტერატურის საიდუმლოებას, თვით მშობლიურ ენას, მაგრამ ამავე დროს ის, ცხადია, სრულყოფილად ფლობდა სპარსულ და არაბულ ლიტერატურას, ისევე როგორც ბერძხულსაც. პოეტის შემეცნების მრავალმხრივობა იძლენად ფართოა, რომ ის სრულყოფილად ურკვევა თავის ეპოქის სახელმწიფოებრივ-სამართლებლივ საკითხებში, იცნობს საკარო ცხოვრებისა და ცერემონიალის ყოველ დეტალს, საბჭედრო ხელოვნების ყოველ ნიუასს; განსაკუთრებით — დიდი საქლვაო სავაჭრო სახელმწიფოს წყობილებას და მისი ცხოვრების აღნაგობას, მისი სატახტო ქალაქის მქეფეთარებით აღსახვე ციებ-ცხელებას და ამ მსხვილ საპორტო ქალაქს თავისი აუიოტაუით და მოსახლეთა ბედის მთელი უკუღმართობით. აიღებთ თქვენ ფეოდალური წყობის კანონებს, თუ რაინდული სიყვარულის, ერთგულებისა და ლირსების კოდექსს, თუ ვაჭართა კლასის ურთიერთობათა საფუძვლებს, მისი მოგების წყურვილით და მორალური განურჩევლობით, თუ ინტიმური ადამიანური სულიერი განცდების ნიუანსებს, — ყოველივე ამაზე

1 ივ. ჯავახიშვილის ეს სტატია პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „Известия-ში“ 1937 წლის 17 მარტს. შემდეგ გამოქვეყნდა ქრებულში — ივ. ჯავახიშვილი. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხი, 1956. ქართული თარგმანი პირველად იბეჭდება.

შოთა რუსთაველი იძლევა თავის პოემაში სრულს, ინტერესის აღმძვრელს, ცოცხალს, ფრადოვან სურათებს.

ბუნებრივად დგება ამ გაღორქის სოციალური წარმომავლობის საკითხი. პოემის მთელი შინაარსი და მცირერიცხვანი ავტობიოგრაფიული მონაცემები მიუთითებენ, რომ შოთა რუსთაველი ეკუთვნოდა ქართულ სამეფო კართან დაახლოებულ გარემოს. მაგრამ XII ს-ის ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების მიხედვით მხოლოდ ეს არ შეიძლება გამოდგეს მისი სოციალური წარმომადგრინდების გახსაზღვრის კრიტერიუმად, რადგან ამ ეპოქაში სოციალურ წარმომავლობას უკვე აღარ ჰქონდა, როგორც წინათ, დომინირებული მნიშვნელობა; უკვე არსებობდნენ კართან დაახლოებული პიროვნებანი, რომლებსაც შიხისტრების თანამდებობაც კი ეჭირათ, და აღზევებული იყვნენ დაბალი სოციალური ფენიდან მხოლოდ თავისი პირადი დამსახურებისა და ნიჭის წყალობით.

შოთა რუსთაველის პოემაში ძალიან ცოტაა თქმული დაბალ ფეოდალურ ფენაზე, რომ შესაძლებელი იყოს მსჯელობა მის დამოუკიდებლობაზე ამ ფენისაღმი; საშუალო ფენაზე, ვაჭრებზე პოეტი სახარბიელოს ცოტას ლაპარაკობს და ეს იმაზე მეტყველებს, რომ რაინდული სიყვარულის დიდი მომღერალისათვის ეს სოციალური გარემო არ შეიძლებოდა მშობლიური ყოფილიყო.

ძთელი მისი სიმპატია, მთელი მისი ნიჭი ეძღვნება რაინდობას, მთელი ძისი პოემა წარმოადგენს რაინდული სიყვარულისა და თავგანწირვის ჰიმნს. და ეს გარემოება იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ ეს გარემო იყო მისთვის ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ახლობელი.

საინტერესოა შოთა რუსთაველის დამოკიდებულებაც რელიგიისაღმი. ქრისტიანი აღზრდითა და განათლებით, რაც რემინისციენცებიდანაც ჩანს, ის სრული დუმილით უვლის გვერდს იმდროინდელი ქრისტიანობის ძირითადი დოგმატს — სამებას. მან არსად თავის თხზულებაში ერთხელაც არ ახსენა ქრისტეს სახელიც კი და ამავე დროს შესაძლებლად მიაჩნია მოეყვანა ქრისტიანობის თვალსაზრისით მკრეხელური ხალხური ანდაზა.

პოემა მაპმადიანურ ქვეყნებს აღწერს, მაგრამ აქაც პოეტი გმირისა და პერსონაჟების პირით გამოთქვამს არასახარბიელო, ირონიულ ფრაზებს მაპმადიანურ რელიგიაზე. ასე, მაგალითად: ტარიელი მოლებს, რომლებიც ყურანს უკითხავე, უწოდებს სისულელის მბოდველებს²; ბალდადელ ვაჭრებს, რომლებიც თავის მაპმადიანობას ახსენებენ, ათქმევინებს ასეთ ირონიულ დახასიათებას: „ჩვენ ვართო მობალდადენი ვაჭარნი, მაპმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისმენ მაჭარნი“³. ამგვარად, შოთა რუსთაველთან ინდეფერენტიზმი და ხშირად ირონიული დამოკიდებულებაც კი ჩანს მაპმადიანობის მიმართაც.

ცხადია, რომ პოეტი რელიგიურ საკითხებში საესებით თავისუფალი მოაზროვნე იყო, რომელიც უარყოფდა როგორც ოფიციალურ ქრისტიანობას, აგრეთვე მაპმადიანურ მოძღვრებას რწმენაზე. როგორც მისი გმირებიც შოთა რუსთაველი წარმოგვიდგება პიროვნებად, რომელიც უფრო მეტად მერყეობს

² შდრ. „სრული მუყრნი და მულიანი, მე გარეშემომცვიდიან; მათ ხელთა ჰქონდა მუსაფი, ყოველნი იკითხვილიან;

³ შტერ-დაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას სჩმახვიდიან“. (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966, სტროფი 354.).

³ იქვე, სტროფი 1031.

ერთობერთიანობის აღიარებასა და პანთეიზმს შორის, ვიდრე არის რომელიმე იძ დროის გაბატონებული რელიგიის ადეპტი. ეს, როგორც ჩანს, უკვე აღრევე ყოფილა შექმნეული საქართველოში და ამ გარემოებით უნდა აიხსნას, უმთავრესად, მისი სახელის სრული მიჩქმალვა მისი თანამედროვე სასულეო-რო წარმოშვლობის ისტორიკოსების მხრივ.

როგორც თავისუფალი მოაზროვნე რელიგიურ საკითხებში, შოთა რუსთაველი ამავე დროს სრულიად თავისუფალია ხალხურ ცრულწმენთა კოშმარისაგახაც, ამ შუა საუკუნეების თითქმის ყოველი ავტორისათვის ჩვეულებრივი სენისაგან.

კარგადაა ცნობილი, რომ შოთა რუსთაველის თხზულების თემა მისი გმარების: თინათინისა და ავთანდილის, ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სიყვარულია, შაგრამ ამ სიყვარულის ვნებებითა და უკულმართობით აღსაგვე ისტორია, გადმოცემულია ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ-სოციალური წყობილების ფონზე. ავტორისათვის ცნობილია დიდი საგჭრო სახელმწიფოს არსებობაც, რომლის სიმდიდრე და უზრუნველი მხიარული ცხოვრებაც დახასიათებულია მის მიერ ესოლენ მარჯვედ და ფერადოვნად, მაგრამ სიმპატიას ჩვენი პოეტი არა გრძნობს ამ სიმდიდრისადმი, პირიქით, ამ ქვეყნისა და ქალაქის აღწერაში ცხადად გამოსჭვივის ანტიპატია. სამაგიეროდ ის — რაინდულ ურთიერთობათა კოლექსით შერბილებული ფეოდალური მონარქიის აღფრთოვანებული თაყვანის შცემელია.

ყურადღებიანი მკითხველისათვის შეუმჩნეველი არა რჩება ის უჩვეულო გარეშოება, რომ შოთა რუსთაველი გმირ ქალებს და საერთოდ ქალ პერსონაჟებს ხატავს როგორც აქტიურად მოქმედ პირებს. საერთოდ მთელ პოემაში არა მხოლოდ ასახულია ქალის კულტი, ის გვევლინება არა მხოლოდ აღფრთოვანებული თაყვანისცემის საგნად, არამედ ამბავთა მამოძრავებელ ძალად, რომელიც განაგებს სხვების ბედს. ცნობილია შოთა რუსთაველის აფორიზმი, გამოთქმული არაბის პირით: „ლეკვი ლონისა სწორია, ძუ იყვეს თუნდა ხვადია“, როგორც ავტორის აღიარება სქესთა თანასწორობის პრინციპისა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ ამ აფორიზმის გარეშეც მთელს პოემაში ჩანს ავტორის უჩვეულოდ მოკრძალებული დამოკიდებულება ქალისადმი. იმსახურებს ამ თვალსაზრისით ყურადღებას, რომ ის ხმარობს ორ სიტყვას: „ქალი“ და „დიაცი, რომელთა შორის მეორე, მის მეტყველებაში ნიშნავს „ქალს“, ხოლო პირველი შეიძლება გადმოიცეს მხოლოდ მიახლოებით სიტყვათ „დამა“⁴. ამავე დროს შოთა რუსთაველი ხმარობს ამ სიტყვას არა მხოლოდ თავისი მთავარი გმირი ქალებისათვას, მეფის გვარის ქალებისათვის, არამედ იმ პირთათვისაც, რომლებიც დაბალ სოციალურ საფეხურზე დგანან.

პოემის თემაა არა მხოლოდ ქალისადმი იდეალური სიყვარულის კულტი, არაედ უმთავრესად ძმადნაფიცობა და უზადო, თავგამწირული შეგობრობა, და არა მხოლოდ მამრობითი სქესის გმირებს შორის, არამედ მამაკაცსა და ქალს შორისაც მკვლევარებს არა ერთხელ იღუნიშნავთ, რომ ძნელი სათქმელია, თუ სახელდობრ რას ანიჭებდა „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური შემოქმე-

⁴ დედანშია: „...он употребляет два слова: «кали» и «диashi», из которых второе означает в его устах «женщина», а первое может быть передано лишь приблизительно словом «дама».“

დი დომინირებულ მხიშვნელობას: ქალის კულტს, თუ ძმადნაფიცობას და თავ-გახწირულ შეგობრობას. მაგრამ, თუ ჩავწედებით შოთა რუსთაველის მსჯე-ლობათა შსვლელობას, მის დახასიათებებს, აფორიზმებს, რომლებსაც ის ხან გძირების პირით, ხან საკუთრივ გამოთქვამს, არ შეიძლება რაიმე ეჭვს იწვევ-დეს, რომ ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ძვირფას ჭილდოდ უკვდავი პო-ეშის ავტორი სწორედ ძმადნაფიცობასა თვლის, ამასთან, არა მხოლოდ ერთი გვარისა და ერთი ტომის წარმომადგენელთა შორის, არამედ ძმადნაფიცობას ეროვნებათა შორის.

ნიკოლოზ იაზვილი

03860 ჯავახიშვილი და ქართული კაზთაცოდნეობა

შოთლი კანკეცელი აღსრულდა. მისა, რომ მანამდეც ზევრი თვალსაჩინო რამ იყო გაეცთებული აღმისავ-
ლეოთცოდნების და, კერძოდ, ქართველობის დარგში (თეიმურაზ ბატონიშვილი, მარი —
ფელისტე ბროსე, დ. ჩუბაძიშვილი, ა. ცაგარელი, დ. კარიქაშვილი, ა. ხახაშვილი, მ. ჯანა-
შვილი, ე. თავარშვილი, მ. ჭიჭიაძე, თ. უორდანი, ნიკო მარი, ოთხებ ყიფიძე, აკეთ შანიძე,
გორგი ახვლედიანი და სხვ.), იგანე ჭავაგასშვილმა გრანიოზული პირადი მუშაობა გასწია
საქართველოს ისტორიის, ფილოლოგიის, სამართლისმოდერნიზის, ეკონომიკისა და სხვა მათი
მოსაზღვრე დისციპლინების სფეროში; მან სოციოლოგიის უფართოეს მონახაზში ისეთი
ფუძემდებული შრომები შექმნა, რომ ჭეშმარიტად იგი გვივლინება ამ დარგის მამამთავრად
საქართველოში.

1. ივანე ჭავახიშვილის მიერ დასახული გზა საქართველოს სოფლის შეუძლების ეკონომიკის შესწავლაში. ივ. ჭავახიშვილს იმთავითვე ღრმად სწავლა, რომ ერთს კეთილდღეობა და მთელი მომავალი მის მეურნეობრივ ძლიერებას
2. „მაცნე“, თიოთსტოის... სკრია, 1976, № 3

უნდა ეყრდნობოდეს. გეზის სწორი დასახვისათვის კი ორი რამ არის საჭირო: ქვეყნის მიწაშეყლის პოტენციური შესაძლებლობა, რაც ბუნებათმცოდნეობაში უნდა უჩევენოს ადამიანს და ამ შესაძლებლობათა გამოყენების ხელსაყრელი საშუალებები; მათს სწორ გამოყენებას გვასწვევლის საზოგადოებათმცოდნეობა, კერძოდ, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის კვლევა-ძიების შესახებ აკად. ივ. გაგახეშვილი წერდა: „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ პირველად 1907 წელს გამოვიდა. იმ დროს ჭერ არც „ქართული საისტორიო წყაროების მიმოხილვა“ და არც „ქართველი ერის ისტორია“ დაბეჭდილი არ მქონდა. ზემოთასახულებულ თხზულებათათვის ბევრი საჭირო წინასწარი კვლევაძიება დაწერილიც კი არ იყო. მაშინ „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის გეგმის გარდა არა ჰომეპოვებოდა რა. ამიტომ იმ დროს და იმ პირობებში „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დაწერის განსაზღვრა ეხლა ჭაბუკურ გამბედაობად მეჩევენება. მანიც სიცრტხილემ მიეკარნახა, რომ ეკონომიური ისტორიის განხილვა მხოლოდ IX ს-დან დამეშეყო ქ. შ. და სასოფლო მეურნეობის ეკონომიკოსთან მარტო ერთი საკითხის ფარგლებით შემომეზღუდა მიწისმფლობელი და მიწისმოქმედი და სხვას არაფერს შევხებოდი. ...ამ სიცრტხილეს გუმადღილი ეხლა, რომ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ პირველი გამოცემის 23 წლის შემდგომაც აქ გამოთქმული აზრებისა და დებულებათაგან ბევრი არაფერი მაქვს შესაცვლელი და უარსაყოფელი. სამაგიეროდ, ხელახლად დასაწერი და შესავსებელი კი — აუარებელი მომეპოვება“¹.

1935 წლის გაზაფხულზე ივ. ჯავახიშვილი ქველი საქართველოს მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობდა... „თუ ეს საქმე ისე გაკეთდა, როგორც მინდა, — მითხრა ბატონმა ივანემ, — დიდი ხნის ნატერა ამისრულდება და ჩემი ხალხის ყოფაცხოვრების ძეგლები წარუშლელი დარჩება“... „გუშინ სარეწაო კოოპერაციის ცენტრალურმა გამგეობამ მიიღო დადგენილება საქართველოში შინაგამისტეველობის ისტორიის მასალების შესავსებად. 25 კაცი უნდა მივავლინოთ ამ ზაფხულს საქართველოს რაიონებში. რაჭაში იმუშავებოთ ორი კაცი. ქვემო რაჭა თქვენთვის მაქვს ნავარაუდევი, ზემო რაჭა — ნიკო რეხვიაშვილისათვის...“ წერს მისი ასპირანტი ა. კიკვიძე. „წინადადება უსიტყვოდ მივიღე... მაგრამ ახლა, როცა ივანეს დავცილდი, გულზე ლოდივით დამაწვა იმის განცდა, რომ „ქართლის ცხოვრებისა“ და საერთოდ საქართველოს ისტორიის ძეგლების შესწავლიდან უნდა გადასულიყავი კალ-საბძლისა და მარნის მოწყობილობის შესწავლაზე...“ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევები საქართველოს მეურნეობის შესახებ, სამაგიდო წიგნს შეადგენს სპეციალისტ-აგრონომებისათვის და მთელ ენციკლოპედიის მკითხველისათვის. „ვაზი სოფლის მეურნეობის უმაღლესი კულტურა“ — ეს ივანეს სიტყვებია... მებობს ახლა უკვე პროფ. ა. კიკვიძე. ამ აზრს კარგა ხანია სავსებით იზიარებენ არა მარტო სპეციალისტები, არამედ, კულტურულ ადამიანთა ფართო წრეები. ეს ვრცელი ამონაშერი მეთოდოლოგიურად დღესაც გასათვალისწინებელი და სასარგებლოა. ეს გარემოება შექმნა იმან, რომ ჭერ კიდევ „1923 წელს ახალი მასალები აღმოჩნდა. ხანმეტი პალიმფსესტების ხნი-

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ქართული წიგნი, ტფილი-სი, 1930, გვ. III; ის., აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტფილი-სი, 1907.

ერების გამორკვევამ სათანადო ტერმინების დადგენის შესაძლებლობა მისცა მკვლევარს და ამიერიდან უძველესი ხანის სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის შესწავლასაც შეუდგა...² დიდი ივანე ჭავახიშვილი ეთანხმებოდა დიდილია ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველმა დასვა „ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვნი წარსულის ეკონომიკური საფუძვლის გაშოკვლევის აუცილებლობის საკათები...“ ამიტომაც „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის კვლევას ივ. ჭავახიშვილია, რა თქმა უნდა, ქართველ მცოდნეობის საკითხებთან ერთად, თოთქმის ოთხი თეოული წელი მოანდომა...“

იყად. ივ. ჭავახიშვილი „მევენახეობა“ მოთავსებული აქვს საქართველოს ეკონომიკური ისტორიის მეორე წიგნში — მესამე დარგად და უჭირავს 317 გვერდი. შესავალში მოკლედ დახასიათებულია შევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობა საქართველოში და პირველ თავში განსაცვიფრებელი ზედმიწევნილობით გადმოცემულია ვაზის ქართული ზოგადი სახელები, ამა თუ იმ ჯიშის გავრცელება საუკუნეთა განმავლობაში. § 1-ში გარჩეულია სიტყვა „ვენახი“ და მისი ძეველი მნიშვნელობა, ამ და სხვა ყველა ტერმინთა წარმოშობა და მათში ნავარაუდევა ცნებების განმარტებანი. დიდ მეცნიერს საქართველოს ეკონომიკური ისტორია ისტორია ოთხ წიგნად აქვს დაწერილი. სამწუხაროდ, დღეში გამოქვეყნებულია მეტოდური რიტუალი (1200 გვერდამდე)³. მევენახეობა-მეღვინეობის საკითხები განხილულია „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის“ მეორე წიგნში (თბ., 19 ფედერაცია 35, ვვ. 289, დარგი მესამე). „მევენახეობას“, რომელსაც უჭირავს 420 გვერდი, დღემდე ვერ გაუჩნდა ანალოგიური ნაშრომი და ერთადერთი სანიადაგოდ მოსახმარია საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა შემსწავლელთათვის.

სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი მელიქიშვილი, რომ : „ივანე ჭავახიშვილი კარგად გრძნობდა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის ეკონომიკის შესწავლის დიდ მნიშვნელობას. მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ შეიცავს უძვირფასეს მასალას ძველ საქართველოში მეურნეობის მთელი რიგი დარგების (კერძოდ, სოფლის მეურნეობის) შესასწავლად, ფაქიზ ტერმინოლოგიურ ანალიზს, გონებამახვილურ დასკვნებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებ⁴. „ცნობილია, რომ მევენახეობა-მეღვინეობა სასოფლო მეურნეობის უმაღლესი დარგია. მისი წესიერი და ნაყოფიერი წარმოებისათვის განსაკუთრებული ცოდნაც არის საჭირო და დიდი დაკვირვებისა და შორსგამჭვრეტელობის ნიჭიც უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ ამ რთული საქმის პირსათლად გაძლოლა შეძლოს“. დიდი და ძვირფასი შრომის დამთავრების შემდგომ კი, იყად. ივ. ჭავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ყველაფერი ცხადჰყოფს, რომ ქართველი მიწისმოქმედი მევენახეობას გატაცებით მისდევდა. გასაგებიც არის, რადგან მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყურძენი, თავის

² აბელ კიკვიძე, მოგონებანი ივ. ჭავახიშვილზე; ვაზ. „ახალგაზრდა კომინისტი“, 29.V.1973.

³ დავით გვრიტიშვილი. ივანე ჭავახიშვილი; თბილისი, 1949, ვვ. 106; იხ. მისივა გამოც. 1960 და 1968 წლ. „ნაკადული“.

⁴ გ. შელიქიშვილი, დიდი ქართველი შეცნიერი, აკადემიკოს ივანე ჭავახიშვილის დაბადების 90 წლისთავის გამო, ვაზ. „კომუნისტი“, 24.IV.1966.

და თავად, საჭმელად თუ ჩამიჩად, გინდა მისი ტკბილისაგან დამზადებული თა-
თარისა. ფელამუშავა და ჩურჩხელის სახით, მეტად ნოყიერი და სასიამოვნო
საჭმელი იყო. ყურძენს საუცხოო საკვები თვისებები ქვეს და აღამიანის ჯან-
მრთელობისათვის მეტად მარგებელია⁵. ამის გამო დიდი მკვლევარი გვირ-
ჩევდა, რომ ყურძნის მოსავლიდან ბევრად მეტი, ვიდრე წინად, ნაწილი გამო-
ყენებულიყო ნუგბარად (საგონე ან სუფრის ყურძნად) ან ჩამიჩად (ქიშმიშად)
საჭმელად. ან ტკბილ მაჭრად, ან კიდევ სხვადასხვა ქართულ ტკბილეულ პრო-
დუქტად. ღვინოც ბლომად დაგვევეუნებია მზარდი რაოდენობით, ოლონდ აღგრ-
ლობრივ ზომიერად სასმელად, ხოლო საექსპორტოდ სარფიანი რეალიზაციი-
სათვის გამოვეყო ხოლმე გაცილებით მეტი წილი და ამით უზრუნველვაყო
საქართველოში ნაციონალური შემოსავლის განუხრელი გადიდება და ხალხის
მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის აღმავლობა... აქ ციტირე-
ბულ წერილში ამას მოგვითხრობს მისი ყოფილი ასპირანტი პროფ. ა. კიქვიძე,
რომელსაც პირადად მოუსმენია ბ-ნი ივანეს მაღლობა და თავაზიანი უარი,
როცა მას ღვინის მირთმევას შესთავაზებდნენ. ასეთი რწმენის აღამიანს ვაზი
და მევენახეობაც ისევე გულმხურვალედ უყვარდა და იკვლევდა, როგორც
სულჩე უტკბესი დედა საქართველო. ამიტომაც ასე თავდადებულად ამზადებ-
და დადი მასწავლებელი მრავალრიცხვან სპეციალისტთა ჯეროვან კადრებს.
ამასევ შთავონებდა მათ დიდი მეცნიერი, რათა სულ ფფრო განერმზიცები-
ნათ საქართველოს ეკონომიკა, დაუღალავად ემოლვაწათ მისი მეურნეობისა და
კულტურის აღმავლობისა და ხალხის ბედნიერებისათვის... სადღეისოდ ეს და-
და დავალება საიმედო ხელშია.

შეწრალი გორგი ნატრომვილი აღნიშნავს, რომ: „ქართული მწერლობა
იწყება ვენახში და ვენახიდან: „მე მეთერთმეტე მოქმედე ვენახისაა“ — ასე
იგვაცნობს თავს მთავარი გმირი ჩვენამდე მოღწეული ყველაზე პირველი ქარ-
თული მოთხოვნისა... და აქედან მოყოლებული ქართულ დამწერლობასა თუ
ზეპირისიტყვიერებაში იშვიათია ნაწერი თუ ზეპირი გამოცემა, რომელშიც გაკ-
ვრით თუ სპეციალურად, პირადისი თუ შუალობით, ნახსენები არ იყო ვაზი
და ღვინო. — კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა თუ ყოფიერების დარგ-
ში. ასეთი იყო და არის მათდამი სიყვარული, ზრუნვა და გარჯილობა, რაღაც
მრავალ ჭვეყანაში, უპირველესად კი საქართველოში აღამიანის მატერიალური
კეთილდღეობის და კულტურული ტებობის საყრდენი და წყარო ოდითგანვე
ვაზი და ღვინო იყო. საქართველოს მეცნიერთა ცხოვრებაში: „ღვინო ყველ-
დღიური სასმელია, მათი სუფრის, პურობის განუყრელი მონაწილეა“⁶.

საინტერესო მასალები აქვს დაგროვილი ა. ბოხოჩაძეს საკანდიდატო დი-
სერტაციაში (ავტორეფერატი და წიგნად გამოცემული — მევენახეობა-მეღვა-
ნეობა საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბილისი, 1963),
რომლის რუსულ რეზიუმეში ხაზგასმულია შემდეგი: „მკვლევართა უმრავლე-
სობას მიაჩნია, რომ კულტურული მევენახეობის სამშობლოა ამიერკავკასია
და კერძოდ, საქართველო. საქართველოს ტერიტორიაზე ფართოდაა გავრცე-
ლებული ტიპიური გარეული ვაზი Vitis silvestris, ხოლო შავი ზღვის სანა-
პიროსე დამოწმებულია გარღმავალი ფორმებიც. ამიტომ ზოგი მკვლევარი

⁵ ივ. გავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, ფაფერა-
ცია, ტფილისი, 1934, გვ. 284, 604.

⁶ გაზ. „კომუნისტი“, 10 აგვისტო, 1974.

ვაზის კულტურის ერთ უძველეს ცენტრთაგან თვლის ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს. თვით საქართველოში კი არსებობდა მევენახეობის წარმოშობის ორი დამოუკიდებელი კერა: დასავლეთი და აღმოსავლეთი“ (გვ. 142). ამ აზრს, დიახაც, მრავალი მომხრე ყავს და იმასაც აღნიშნავენ, რომ აქედან ძალზე გავრცელდა ვაზის კულტურა საბერძნეთზე გავლით ხმელთაშუა ზღვის ნაპირა ქვეყნებში და მთელს ევროპაში.

სპეციალურ ლიტერატურაში დახსიათებულია ვაზის მსოფლიო ასორტიმენტის სამი კერა: 1. ევროპულ-აზიური, 2. აღმოსავლეთ-აზიური და 3. ჩრდილო-ამერიკული კერები. სამი კერიდან, რომლებიც განცალკევებული აღმოჩნდნენ კონტინენტების ჩამოყალიბების შორეულ ეპოქაში, დაბურულ ტეაბში ხარობდა ვაზის ჯგუფი *Vitis*-ის მრავალი ჯიში; მათგან ყველაზე ძვირფასი იყო და არის ევრაზიელი კერა (ევროპა, ჩრდილოეთი აზია). აქური ერთი იყო და არის ევრაზიელი კერა (*Vitis vinifera* L.) — იყოფა ორ ქვესახედ: ველური ვაზი *Subsp. silvestris* Gmel (prosp.) და კულტურული გაგარეულებული ვაზი *Subsp. Sativa* D. C. ამ კვუფების ჩამოყალიბების შემდეგ გავიდა რამდენიმე ათასი წელი⁷. ამ კერაში დაღასტურებულია ამიერკავკასიას და განსაუთრებით საქართველოს რაზი როლი ვაზის ყველაზე უპირველესად გაშინაურების, კულტურის ამაღლიდან როლი ვაზის ყველაზე უპირველესად გავრცელების საქმეში. ლების, გამრავალფეროვნებისა და მეზობელ ქვეყნებში გავრცელების საქმეში.

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი პ. უშკოვსკი წერს, რომ მეცენარეობა განუყრელადა გადაჯიშული კაცობრიობის მატერიალურ კულტურასთან; ბა განუყრელადა გადაჯიშული კაცობრიობის მატერიალურ კულტურასთან; ამიტომ კულტურულ მცენარეთა ისტორია წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიის ნაწილს⁸. ვაზის ველური წინაპრები გადაშენდნენ და ჩვენს წინაშეა თვითი წარმოადგენდნენ მოწყვეტილი ადამიანის მიერ შექმნილი სახეობა⁹. აკად. ნ. ვ. გავილოვმა, მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში შეგროვილი უარიავი მასალის ღრმა შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოყო მსოფლიოში კულტურულ მცენარეთა წარმოშობის თურთმეტი ცენტრი. რომლებმაც კაცობრიობას მისცეს მთელი თანამედროვე კულტურული მცენარეულობა. აქედან კულტურულ მცენარეთა მეოთხე კერას წარმოადგენა წინა აზია, რომელშიც შედის წინა და მცირე აზია, ამიერკავკასია, ირანი და მთიანე თურქეთიანი¹⁰. ამათშია უარიავი სხვადასხვა ფორმის ვაზი და სხვა ნაირ-ნაირი კულტურულ მცენარები, მინდვრის, ბალ-ბოსტნისა და სუბტროპიკულ-ტროპიკული ზონებისა.

ამ საკითხებზე შეკვლობისას უდაოდ საინტერესოა მევენახეობა და მელვინების X საერთაშორისო კონგრესის (თბილისში) ვიცე-პრეზიდუნტის, იტალიის მეცენახეობისა და მელვინეობის და მედვინეობის აკადემიის პრეზიდენტის პროფ. ჯოვანი დოლმანის მიერ 1962 წლის წოებშის — იტალიურ კულტურას „იტალიის სოფლის მეურნეობის“ დაბეჭდილ სტატიაში: „ამიერკავკასიის მეცენახეობა და მედვინეობა, ნაწილი პირველი, „საქართველო“ — ნათევამია მრავალი ჩვენთვის საულისხმო რამ... აქედან განსაუთრებულ ინტერესს იმსახურებს შემდეგი სიტყვები: „საქართველო მეცენახეობის და მე-

⁷ А. М. Негруль. Происхождение культурного винограда и его классификация, Ампелография СССР, М., 1946, т. I, стр. 161.

⁸ П. М. Жуковский. Культурные растения и их сородичи; М., 1950, стр. 5.

⁹ В. Л. Комаров. Происхождение культурных растений; М.-Л., 1938.

¹⁰ Н. Н. Вавилов. Селекция как наука. Сборник. Теоретические основы селекции растений, т. I, М.-Л., 1935, стр. 42.

ღვინეობის ის ქვეყანაა, საიდანაც მეცნიერება გავრცელდა დასავლეთ ევროპაში... ამის შესახებ მრავალი არგუმენტია თბილისის მუზეუმებში, განსაკუთრებით კი თბილისის მეცნიერებისა და მელვინეობის ინსტიტუტის მუზეუმში (ბრინჯაოს ხანის გათხრების ბევრი მასალა), რის საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში 5000—6000 წლის წინათ, ქრისტეს დაბადებამდე მზადდებოდა ჩვენი დღევანდელი სახის ღვინო¹¹ და სხვ.

საესებით მსგავსი აზრები ამ საკითხთა შესახებ გამოქვეყნებული იყო წინამდებარე ნაშრომის ავტორის მიერ ორი წლით ადრე, რომელსაც იტალიელი მეცნიერისაგან გადმოცემული და ზოგი სხვა წყაროები კიდევ უფრო ადრე ჰქონდა გაცნობილი და გამოქვეყნებული¹². ზედმეტი არ იქნება, თუ მათგან აქ გავიხსენებთ ორ წერილში გამოთქმულ ზოგ აზრს მაინც. სახელდობრ—იტალიელ მკვლევარს მეორე ციტირებულ სტატიაში ნათქვამი აქვს: „მოდით, ახლა განვიხილოთ საქართველოს ღვინოები, — რომელთა ღირსებაც ცნობილია საუკუნეების მანძილზე; მათ დიდ ღირსებას აღნიშნავენ მწერლება, პოეტები, მოგზაურები... ისინი (ქართული ღვინოები) წარმოდგენილია როგორც მთელს საბჭოთა კავშირში საუკეთესო ღვინოები, რომლებიც ეცრობის საუკეთესო ღვინოთა შორის საუკეთესოებსაც შეეღრება. იგივე ჭეშმარიტება შეგვიძლია გავიჩიაროთ საღესერთო (შემარგებელ) ღვინოებზეც“ (ჟ. № 8, გვ. 88). ეს აზრი გამოთქმული მაქვს სიყრმითანც მრავალგერ და აქ მხოლოდ ორიოდე გამოქვეყნებული წყარო მომყავს¹³.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის შრომების მორიგ XV ტომში მოთავსებულია ერთობახნახევრის ხოცულობის საუბილეო სტატია მელვინეობის ხარისხობრივი კადევ უფრო ვაჟუმბეჭებული ძირითად ღონისძიებათა შესახებ. აქ, სხვათა შორის, ყურადღებაა გამახილებული დაჭავნიკების (დევუსტაციის) ხელოვნებისა და, კონკრეტული მაჩვენებლების გაუმჯობესების საფუძველზე, მათი კლასიფიკაცია — მარკებისა დასახელებათა დაზუსტების შესახებ. რასაკვირველია, აქ გამოთქმულია მხოლოდ საორენტაციო აზრები.

2. ქართული და სხვა ვაზთა წარმოშობა, მათი სახეები, კლასიფიკაცია და გამოყენება. მცენარეთა სამყროში ვაზი ყველაზე უკეთილშობილესია. მისი ნაყოფი მრავალფეროვანი და უძვირფასესია. ყველაზე, საღაც ვაზისათვის ხელსაყრელი პირობებია და შექმნილია მეცნიერების მყარი ტრადიცია, ამ დარგს პირველი ადგილი უჭირავს და სოფლის მეურნეობათვის ეკონომიკი კეთილდღეობის უპირველესი საფუძველია. საღლეისოლ გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ის აზრი, რომ საქართველო ვაზის სამშობლოა და მეცნიერების მსოფლიო კერებიდან — ყველაზე მნიშვნელოვანია. ამის დასტურია საქართველოში კულტურული თუ გრძელი ვაზის განსაცვიფრებელი მრავლობა და მეტწილად ვენახისათვის უნიკალური ბუნებრივი პირობები. ამის უკვე უცილობელი ძეგლია ივანე ჭავჭავალის, გიორგი წერეთლის, გიორგი ჩარაიასა და ბევრ სხვათა ვაზთმცოდნეობითი შრომები.

¹¹ ილა ტაბაღუა, ვასილ ჩაჩანიძე. ტალიელი მეცნიერი ქართული ღვინოების შესახებ; ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1964, № 8, გვ. 86—90.

¹² ნიკოლოზ იაშვილი. ვაზი და ლენო (მსოფლიო კონგრესისადმი — თბილისში — მიძღვნილ სტატიაში); ჟ. „ეკონომისტი“, 1962, № 8, გვ. 15—27.

¹³ ნიკოლოზ იაშვილი. ღვინოების მსოფლიო ჟამშიკობა თბილისში, ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1965, № 8, გვ. 51—58.

ქართველი მეურნის გამუდმებული ბეჭითი და კონიერი შრომით საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა საქართველოს ნაირნაირი კუთხების განსხვავებულ ბუნებრივ-წარმოებრივ პირობებისადმი სავსებით შესაფერი და, მშესადამე, მრავალრიცხოვან ვაზთა ასორტიმენტი. საბჭოთა ქვეყანაში, მისი ფარგლების მიმართ არ მოიპოვება მევენახეობის სხვა მხარე, სადაც მეურნეობრივად თუ მიზნობრივად იმზომ დანაწილებული თუ სპეციალიზებული იყოს ყურძნის ჯიშები, როგორც საქართველოში, ამ პატარა, უპირატესად მთავრობინი ქვეყნის მიკრორაიონებშია. ივ. ჭავახიშვილი დაწვრილებით არჩევს ამ საკითხს და დაასკვინის:

„სახელდობრ, ზემომოყვანილ მიმოხილვათაგან ჩანს, რომ ჰერეთში სულ 8 შავი და თეთრი ჯიშია, კახეთში — 17 შავი, 36 თეთრი და 13-ის ფერის შესახებ ცნობები არ მოვეპოვება. სულ კი 66 სახელწოდებაა; ქვემო ქართლში ანუ ბორჩალოში — 2, შიდა ქართლში 18 შავი და 20 თეთრი, სულ — 38; მესხეთში 3 შავი და 2 თეთრი, სულ — 5; იმერეთში 20 შავი და 22 თეთრი, სულ — 42; რაჭაში — 25 შავი და 34 თეთრი, სულ 59; ლეჩეუმში 16 შავი და 20 თეთრი, სულ — 36; სამეგრელოში 37 შავი და 16 თეთრი, სულ — 53; გურიაში 41 შავი და 18 თეთრი, სულ — 59; აჭარაში 14 შავი და 12 თეთრი, — სულ 26; შავშეთ-კლარჯეთში 13 შავი და 13 თეთრი, სულ — 26... ამრიგად, საქართველოს ყველა თემში საერთოდ 420 ყურძნის ჯიშსხვაობათა სახელწოდება ყოფილა გადარჩენილა. ამ სიმრავლეში გარკვევა, რასაკვირველია, ადგილი საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ წინათაც კი, როდესაც ზემოაღნიშნულ ჯიშთა გაცილებით ნაკლები რიცხვი იყო ცნობილი, გარკვევას ვერც კი ბედავდნენ“. მაგალითისათვის მოყვანილი და დახასიათებულია ზელინსკის შეხელულებანი¹⁴.

ქართველი მევენახე თითოეული ყურძნის ჯიშს შესაბამის სახელს არქემედია და ხელმძღვანელობდა შემდეგი ნიშნებით: სადაურობა, დანიშნულება, თვისებები — ზოგი შესაბამისი მაგალითია: ქინძმორეული, კასპური, ოყურეშული და სხვა; საგობრე ან სასუფრე, საღვინე ან საკონიაკე, სამურაბე ან საკონსერვო, სახმობი, საჩამიჩე და სხვა; რქაწითელი, გრძელმტევნიანი, მრავალმარცვალა და ხვა... „ამ ჯგუფს ამბელოგრაფიული ანუ ყურძენთ-აღმწერლობითი სახელების ჯგუფი უნდა ეწოდოს. ყურძნის ჯიშების სახელებიდან ეს ჯგუფები ყველაზე მრავალრიცხოვანია.

თავის მხრივ ეს დიდი ჯგუფი შესაძლებელია რამდენსამე ქვეჯგუფად დაყოს, რადგან ზოგი სახეთაგანი ვაზის ლერწის, ზოგი ყურძნის რომელსამე თვისებას ახასიათებს ხოლმე. ვაზ-ყურძნის ჯიშების ქართული სახელების შესწავლა და ანალიზი სწორედ ამ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფით უნდა დავიწყოთ, რადგან ამ გზით ქართველი მევენახის ყურძენთაღწერილობითი დაკვირვების ნიჭისა და ცოდნის გათვალისწინება საუკეთესოდ შეიძლება“... (გვ. 475) და ამას მოჰყვება არსებულ ლიტერატურაში ყველაზე უფრო დაწვრილებითი ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების კლასიფიკაცია და სსენებული დიდი ჯგუფის ჩაკირკიტებული ანუ სკრუბულიობზური მრავალმხრივი დახასიათება (თავები XV, XVI, XVII, XVIII, 475—522, სულ 47 გვერდზე).

¹⁴ ივ. ჭავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, გვ. 471—474.

Мономилеулене XIX თავშია — საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჭიშების ხელისა განსახლერა. მეცნიერი აქ გულისხმობდა ვაზის მეურნეობრივ კულტურად დანერგვისა და ათვისების ამბავს, ჭიშების გამრავალფეროვნება-გამრავლებას, რაც ახლაც მიმდინარეობს... და სანამ ამ საკითხის მისეულ გაშუქებაზე გადავიდოდე, საჭიროა შევეხოთ ვაზის, როგორც მცენარეული საყიდეო საკვირველ წარმომადგენელს. ვაზი აღამიანდელი მცენარეა. სპეციალისტთა თითქმის საერთო აზრით, ბუნებამ იგი ადამიანზე მრავალი ათეული ათასი წლით ადრე ჩამოყალიბა.

ბევრ ადგილზე, „პალეონტოლოგიური ნაშთების საფუძველზე დაუგნილია, რომ საყურძნე ვაზი გამოჩნდა ცარცის პერიოდში, ე. ი. ჭერ კიდევ ადამიანის დედამიწაზე წარმოშობამდე. ამ პერიოდში გაჩნდნენ გვარის Cissites სახეები, რომლისაგნაც ყველაზე სავარაუდებელია წარმოიქმნა დღესაც არსებული გვარი Cissus, ოჯახი — Ampeliceae Kunth (Vitaceae Linley) მაგრამ სახე Vitis, რომელსაც მიეკუთვნება ყურძნის ყველა სახე და მნიშვნელობა აქვთ მეცნიერებისათვის, გაჩნდა მესამეულ პერიოდში; მაგალითად, საფრანგეთში, მარნას დეპარტამენტში ნახულია გამჭრალი, ყველაზე ძველი ევროპული სახე Vitis sesannensis Saporta ფოთლების ანაბეჭდი¹⁵. (ასეთი წარმოშობის ვაზის ნაპოვნი რიგ სხვა კერებშიცაა იღმოჩენილი). ვაზის ასეთი მთავარი კერა კი გამოყოფილია სამი: ევროპულ-აზიური ყურძნი, ყურძნის აღმოსავლეთ-აზიური სახეები და ყურძნის ჩრდილო-ამერიკული სახეები¹⁶.

ისინი ურთიერთისაგან თვალსაჩინოდ გამოირჩევა და ბიოლოგიურ-მეურნეობრივი ძირითადი თვისებებით საქმიანდ მკვეთრად განსახვავდებიან. ყველაზე მნიშვნელოვანია, რასკვირველია ევროპულ-ზომური კერა, რომელშიც შედის მთელი საბჭოთა კაშშირი და საქართველოს რესპუბლიკაც. რომელთაც სპეციალურად შეეხება წინამდებარე წერილში მონათხრობი ამბები. მაგრამ, ვიდრე ამ სპეციალური განვითარებით, მოვიყვანთ სამივე ძრის მთავარ სახეთა სქემატური დახსიათება.

ა. ყურძნის სახეები და მათი გამოყენება. ყურძნის ყველა კულტურული და გარეული ფორმა ეკუთვნის ყურძნეულთა ოჯახს (Vitaceae Lindl.) ანუ ამ-ჰელურებს (Ampelideae Kunth.). ამ ოჯახს აქვთ 11 გვარი და 600-ზე მეტი სახე¹⁷. ჯიშთა მსოფლიო ასორტიმენტი შეიცავს მრავალნაირ სახეთა და გვართა ვაზის ჭიშებს, დაახლოებით 4000 ერთეულს. რაც დრო ვადას, ეს ასორტიმენტი სულ უფრო იზრდება და მრავალფეროვანდება — სელექციათა და პიპრიდიზაციით გამოიყენება, ჩამოყალიბდება და წარმოებაში ინერგება აზლი, სამეურნეო თვალსაზრისით უკეთესი და მეტად სასარგებლო ვაზ-ყურძნის ჭიშები.

ასეთი მუშაობა მზარდი ინტერესითა და გულმოდგინებით დღესაც შემდინარეობს მსოფლიო მეცნიერება-მედიცინის ყველა ქვეყანაში და საქართველოშიც, რომელსაც მსოფლიოს მეცნიერების ყველა ქვეყანაშე უფრო ფართო ასორტიმენტი აქვს. ამით დაუოკებლად მდგიდრებენ ვაზის ჭიშთა ფა მა-

15 Н. Неделчев, М. Кондарев. Виноградарство; «Земиздат», София, 1959; стр. 5.

16 А. М. Негруль, Виноградарство; Госиздат с.-х. литературы, М., 1952, стр. 19.

17 Книга виноградаря; Госиздат с.-х. лит., М., 1959; глава 2. А. М. Негруль. Виды винограда и их использование, стр. 5—10.

სი პროდუქციის ხარისხის მრავალფეროვნებასა და დონეს. ეს მიტომ, რომ ვაზი ი ღიათგანვე, ვიმეორებთ, უკეთილშობილეს მცენარედ იყო საყოველთაოდ მიჩნეული და მისი ნაირ-ნაირი პროდუქცია ენით გამოუთქმელ სიტყბოსა და საყოველთაო მაღალ სიამოვნებას ჰგვრიდა ყოველ მათგანს — ცალკეულად, თუ სხვადასხვა თავისურილობებსა და შეკრებილობაში — ჯგუფურად, საერთოდ ყველა გონიერ მომხმარებელს.

4. ვაზის ნაყოფის მოყლე დახასიათება. ვაზის ნაყოფი მრავალმხრივ ძვირფასი და სასარგებლო პროდუქციის მომცემია:

1. ყურძენი — ხილად, ნუგბარი სახით — ძვირფასი დიეტური, განსაკუთრებულად გემრიელი, სამკურნალო (სისხლნაკლოვანების საწინააღმდევო, გულის მუშაობის მომწესრიგებელი) და, საერთოდ, დიდად მარგებელი საზრდო პროდუქტია. ტექნოლოგიური გადამუშავებით მისგან მიიღება ღვინო, ჭავა, ღვევი;

2. ქიშმიში (ჩამიჩი) — მაღალტრანსპორტაბელური, ხანგრძლივად შენახვისუნარიანი და თითქმის ყურძნის თვისებათა მქონე კონცენტრული პროდუქტია;

3. ღვინო — სხვადასხვა სახით (სუფრის, შამპანური, მაგარი, შემაგრებული, ტყბილი, ნახევრადტკბილი, ნატურალური თუ ხელოვნური; ან სადესერტო — თეთრი თუ წითელი) ძვირფასი სასმელია, რომელსაც არა მხოლოდ აღმგზნები, ადამიანის ორგანიზმში მიმღინარე ფიზიოლოგიური პროცესების გააქტივების დანიშნულება, არამედ, იმავდროულად, პირდაპირი მასაზრდოებელი მნიშვნელობაც აქვთ; მოიხმარება, აგრეთვე, რიგ დავადებათა სამკურნალოდ. გადამუშავებით ღვინისაგან მრავალი კიდევ უფრო ძვირფასი — კონცენტრული პროდუქტები მზადდება: კონიაკი, ღვინის სპირტი და სხვა;

4. ჭავა და ღვევი — რექტიფიკაციის საგანია და არყისა თუ სპირტის ყველა სხვა სახეთა შორის უძვირფასეს ჭაჭის არაყსა და ღვინის სპირტი იძლევა, რამელნიც მსგავს პროდუქტთა შორის — კონცენტრიციის გარეშეა.

5. წიგწისა და ჩურჩისაგან — მრავალი სხვადასხვა სახის პროდუქცია მიიღება, სახელდობრი: ღვინის ქვის მჟავა — მეღიცინაში, სამარიალომ წარმოებაში, გემო-კვების რიგ დარგში საჭირო და ძვირფას ნივთიერებად არის მიჩნეული, ეთეროვანი ზეთები — გემოკვების მრეწველობასა, პარფიუმეტრიასა და მედიცინაში გამოიყენება, ნაშთი ამგვარი ფრაქციული გადამუშავებისა — ორგანული მასა — გამოიყენება ნაშთილობრივ შინაურ ცხოველთა (ფრინველი, ღორი და სხვ.) ზაფებად; სხვა შემთხვევებში — ნიადაგის ძვირფას სასუქად;

6. ტკბილის ის ნაწილი, რომელიც უალკოჰოლო პროდუქტებად გადამუშავდება, იძლევა ყურძნის წვენს — ძვირფას დიეტურ, საზრდო და სამკურნალო პროდუქტს; ყურძნის წვენის კონცენტრატებს — ჩურჩელის (ჭანჭუბს, გოზინაყს), ტკბილისკვერს (ტყლაშს), ყურძნის თაფლს, ყურძნის შაქარს და სხვა;

7. ვაზის ანასხლავი რქა (ლერწი), რომელიც დღემდე ღობის განსაზღვებლად (ჭარჭი) ან სათბობად (სათონე ფიჩხი) გამოიყენება, ძვირფასი მასალაა მაღალხარისხს განვითარება (სახელმწიფო ნიშნების — ფული, ობლიგაციები და სხვ.) დასამზადებლად;

8. ვაჲის ნამხრევი (ფოთოლი, ყლორტი) — მწვანე ოპერა-ციების შედეგად მიღებული — ტექნოლოგიური გადამუშავების დროს მრავალ სასარგებლო პროდუქტს იძლევა (ლვინისმუჟავა და სხვ.); ჩვენში, ის, ჯერ კიდევ შინაური პირუტყვის საკვებად იხმარება.

ამრიგად, ვაზის, როგორც სასოფლო-სამეურნეო მცენარის, ნაყოფი და ყველა ნაწილი ძვირფასი სამეურნეო გამოყენების საგანია და სათანადო შე-მოსავალს იძლევა¹⁸. ამიტომ არის რომ ვაზის გაშენებას დიდი ხალისითა და ინტერესებთ მისდევენ ყველგან, სადაც ამ კულტურისათვის შესაფერისი სა-წარმო პირობებია.

წარმოებრივად ვაზი მაღალი შრომატევადი კულტურაა და ნაირნარი ოპერაციების შესრულება დაასაქმებს ორთავე სქესის ყველა ძირითადი ასა-კის მოსახლეობას. მოთხოვნილებაც მუშახელზე, თითქმის ყველა კულტურას-თან შედარებით (ჩაის მცენარის გარდა), უფრო გამოთანაბრებული აქვს და, იმავე დროს, ადგილად შეეთანაწყობებიან სხვა დამატებით თუ ძირითად მცე-ნარეულ (სასურსათო და საკვებ) კულტურებს. ვაზის სამუშაოები საერთოდ ხალისით სრულდება, ხოლო მოსავლის აღება კი (რთველი), ნამდვილ დღე-სასწაულსა და ზეიმს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ვაზის ქება საუკუნეების უროშესი ხევულებიდან მომდინარეობს. ვისაც მისი ნაწარმი უგემია — უძ-ველეს დროიდან დღემდე — მეტადრე ქართულ ვაზს და ღვინოს, ერთხმად ასამდენენ ხოტბას¹⁹.

აკად. ივ ჭავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ: „ქართველი მეურნის მიერ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებუ-ლია ძვირფასი თვისებების ქონე ქართული ვაზის ჯიშები: საფერავი, რქაში-თელი, ხიხვი (ჯანანური), მწვანე, ბუდეშური, ციცქა, ცოლიკაური, ალექსან-დროული — ხეანჭყარა, ტვიში, ალადასტური და სხვა მრავალი“...

სტრაბონის თქმით, რაც ჩვენთვის ფრიად დიდ ინტერესს შეიცავს, საქართველო მდიდარი ყოფალა ხილით, თაფლით და ყოველგვარი საქონლით, რაც საჭიროა ხომალდებისათვის. აქ მოყავთ დიდამალი სელი და აგრეთვე კა-ნაფი, ბრინჯი, ცვილი და კუპრი. სტრაბონის გადმოცემით, ქართველთა წინაპ-რები, კოლხები, სელის ქსოვილებს შარტო თავისთვის კი არ აშადებდნენ, არამედ უცხოეთშიაც მრავლად გაპქონდათ.

სახელგანთქმული ფრანგი მოგზაური და მეცნიერი უან შარლ ენი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ეწვია საქართველოს (1672 წ.) და აქაურ-სოფლის მეურნეობაზე სხვათა შორის დაწერა: „ხილი საუცხოოა და მრავალ-ნაირი, ყოველგვარი ხილეულობა მოდის. ევროპის არც ერთ ადგილის არ მო-დის უფრო გემრიელი მსხალი და ვაშლი, აზიაშიც არსად მოიძებნება აქაურ-ზე უკეთესი ბროჭეული... დაბეჭითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ არ არ-

¹⁸ დაწერილებით ამ საკითხზე იხილეთ: სოლომონ ჩოლოყაშვილი. თანამედროვე მეცნიერება, თბილისი, 1935, გვ. 5—8; პროფ. ს. ჩოლოყაშვილი. მეცნიერების სა-ხელმძღვანელო, თბილისი, 1937, გვ. 63—64; ვ. ჭანთარია და მ. რამიშვილი. მეცნი-ეობის სახელმძღვანელო, თბ., 1948, გვ. 4—7. იხ. აგრეთვე: რუსული სახელმძღვანელოები.

¹⁹ 6. ი ა შ ვ ი ლ ი. ქართული ღინის სახელგანთქმულობა — „მაცნე“, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1974, № 1, გვ. 154—169.

სებობს ქვეყანა, სადაც იმდენსა და ისეთ კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც აქ. ისევე, როგორც კოლხეთში, აქაც გაზები ხეებზეეა გაშენებული“²⁰

არ ქანგელო ლამბა ბერტი (იტალიელი მისიონერი) აღნიშნავს, რომ „ოდიშის მრავალ ნაწილში, სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ლობის დათესვა, თესავენ ბრინჯს, რომელიც ისე ბლომად მოდის, რომ არამც თუ აქაურობას ჰყოფნის, არამედ მიაქვთ თურქეთის გემებს, რომლებიც აქ მოდიან“²¹.

ივანე ჭავახიშვილს მოჰყავს ბიზანტიის ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის აღწერილობა: „მესხეთი უაღრესად მაღალი და დიდი, მეტად გაუგალი მთებით იყო საესე, რომელიც არც მკაცრი თვისებიანი იყვნენ და არც უნაყოფო, არამედ ყოვლის სიკეთით იყვნენ ალსაგსე. თვით მცხოვრებნიც თავიანთა შრომითა და დახელოვნებული მეურნეობით ბუნების თვისების საუკეთესო გამოყენებას ახერხებენ... ცხადია, რომ მაღალი ღირსების ვაზ-ყურადნის ჯიშების შექმნა, როგორც საფერავი, რქაწითელი, სიხვი, თავკვერი, კაბისტონი, მცვივანი, ჩინური და ბევრი სხვაც არის, ქართველ მევენანა ხეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებით მუშაობით აღსავს ე-ბულ გეგმა-შეწოლი და მზრუნველობით აღსავს ე-ბულ გეგმა-შეწოლი...“

ნაირნაირია ამცელოგრაფიული და საერთოდ მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინოლოგია; ვაზ-ყურძნის ჯიშების სიმრავლე, ისევე, როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომუღავნებული დაკვირვების ნიჭი, ქართულ ვაზ-ყურძნის ჯიშების მაღალარისხოვან თვისებებთან ერთად, სრულ უფლებას აძლევს მკალევარს დასკვნას, რომ „ძეველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოლნისა და საქმიანობის დონეც უცველია, მაღალი უნდა ყოფილიყო“. ივ. ჭავახიშვილი აქ ეხება მეცნიერებაში საინტერესო... მევენახეობა-მეღვინეობის სამშობლოს საკითხს და ამბობს, რომ: „ყველა ფერი, რაც ამ წიგნში უკვე გამოირკვა, ხომ მათ მართლი ცხად ადგი კუთხით, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგან უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეულია“²². ამ პრობლემის ჭავახიშვილისეული ცხოველი გამოკვლევების შედეგად — „ეს კითხვა კარგა ხანია ენათმეცნიერთა ყურადღების ცენტრში დგას. მრთ უმეტეს, რომ მათ წინაშე მართლაც საგულისხმო ფაქტია: თვით განსხვავებული სისტემების ენებშიც კი ღვინო მსგავსი სახელებით აღინიშვნება. არაპეციალისტისათვისაც ადვილი დასანახია ამ სიტყვათა მსგავსება. ინდოევროპულ ენებში: ბერძნული ოინუს, ლათინური ვინუმ, ხელური ვიანა, სომხური გინი, რუსული ვინო, გერმანული ვიანდა და ა. შ.: სემიტურ ენებში: არაბული ვიანუნ, ებრაული იაინ, ასირულ-ბაბილონური ინუ და სხვ.“... ამ სახელწოდებათა საერთო წარმოშობა უდაო იყო. გასარკვევი რჩებოდა მხოლოდ ის, თუ საიდან მომდინარეობდნენ ისინი. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ა. მეიერ ინდოევროპისტთა საერთო აზრს გამოხატავდა, როცა „ღვინის“ სახელწოდება ინდოევროპულ ენებში ნასესხე-

20 უანგ შარლენის მოგზაურობა საარსეთა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), გამომც. „მეცნიერება თბ., 1975, გვ. 296—297.

21 არ ქანგელო ლამბა ბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, თბ., 1938, გვ. 45.

22 ივ. ჭავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი მეორე, ტფილისი, 1935, გვ. 602—603.

ბად მიიჩნია. სემიტურ ენათა მიმართ ანალოგიურ დასკვნამდე მივიღნენ სემიტოლოგებიც. „იქნებ ლვინის აღმნიშვნელი სიტყვა ქართული წარმოშობისაა?“ — გამოთქვა მრავალმა ქვლევარმა ერთი და იგივე აზრი... ასეთი მოსაზრება საფუძვლიანი აღმოჩნდა. აკადემიკოსი გორგი წერეთელი ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარებითმა ანალიზმა მიიყვანასაგულისხმო დასკვნამდე: ქართველურ ენებში ლვინის აღმნიშვნელი სახელწიდების სომხურიდან, აგრეთვე სემიტური ენებიდან შესატანად კარი დახშული იყო, სამაგიეროდ გზასნილი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელებულიყო „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მაჩვენებელი ისეთი სიტყვა, როგორიც არის ლვინი“.

კვლევა-ძიება გრძელდება, ვენახის თავდაპირველი სამშობლოს საკითხი კვლავ მეცნიერთა ცხოველი ინტერესის საგანია. ახალ ფაქტებსაც მოუთმენლად ელის მეცნიერება. „უთუოდ, კულტურის ისტორიის ამ საიდუმლოს საბოლოოდ ფარდას ახდის ის ნივთიერი ნაშთები, რომელთაც არქეოლოგის ბარი მიწის წიაღში წააწყდება“, დასკვნის ა. ლეკიაშვილი²³.

მეცნიერება-მეცნიერობის საკითხებს ამ ბოლო ორ ათწლეულში ბეჭითად იქვევენ ქართველი ეთნოგრაფებიც. მათმა მეთაურმა აკად. გ. ჩიტააძ ღირს-შესანიშვნავი შრომები მიუძღვნა ვაზისა და ლვინის წარმოშობის ისტორიას, მათ როლსა და მნიშვნელობას სამეურნეო ყოფა-ცხოვრებაში. ძალზე თვალსაჩინო მათ შორის: „საქართველოს ვაზის კულტურის ისტორიიდან (ძველი ლეგენდები)“.

შევრის შემცველი ანალიზის შედეგად, ავტორს შრომის რუსულ რეზიუმეში აქვს წამოყენებული პრობლემათა საკვანძო საკითხზე ფრთხილი და საინტერესო დასკვნა-წინადადება შემდეგი სახით: „კულტურული ვაზის წარმოშობის შესახებ ძველი მსოფლიოს ლეგენდათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ: ძველსპარსულნი და ძველებრულნი. კულტურული ვაზის წარმოშობას ორთავე გადმოცემა ამ კულტურის ყველა უძველეს ცენტრებიდან მცირეკავებისის კულტურულ კერას უკავშირებს. ამასთან ერთად ინკვევა, რომ რამდენადაც იმ შორეულ ეპოქაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ იძერიულ-კავკასიური ტომები, ამ საქმეში სემიტებისა და ინდოევროპელთა მონაწილეობა გამოირიცხულია“.

ზემოაღნიშნულ გადმოცემათა საფუძველზე, რასაკვირველია, ოდნავადაც კერ ჩაითვლება. რომ კულტურული ვაზის წარმოშობის პრობლემა გადატერილია. აეტორი ისახვდა მორიდებულ მოცავას. მხოლოდ ყურადღება გაემსახულება ძველ ლეგენდებზე მეცნიერობის წარმოშობის შესახებ რომ არსებობენ. მიღებული დაკვირვები უნდა გაითვალისწინონ დასახელებული პრობლემის ძირითადი საკითხების გამოკვლევათა პროცესში²⁴. ფიქრობს აკად. გ. ჩიტაა. ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ივ. ჯავახიშვილის მიერ. დაახლოებით ნახვარი საუკუნის წინა გამოთქმული. ჰიპოთეზის განმტკიცებისაკენ.

5. მეცნიერების ტერმინოლოგია, ვაზის კლასიფიკაცია და მოვლა-პატრონება. კულტურის ისტორიის წყაროების მიხედვით, იურის გეოლოგიური

23 ა. ლეკიაშვილი, „შენ ხირ ვენახი“, თბ., 1972, გვ. 9—10.

24 ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, გმომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1964, გვ. 133.

ფორმაციის მცენარე ვაზი (ყურძნი, ვენახი), ადამიანთა კულტურაში 8—10 ათასი წლის წინად, კავკასიისა და შავი ზღვის მიმდებარე ქვეყნებში დაინერგა სოფლის მეურნეობაში. ეს სხვაზე აღრე მოხდა მტკვარ-არაქსის (იბერია) და რიონის (კოლხეთი) აუზებში, სადაც იგი ველური ფლორიდან გაკულტურულ-და და გზა გაიკავა ხმელთაშუა ზღვისპირა ქვეყნებზე გავლით — დასავლეთით, მთელს ევროპაში, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით განვირცო შუალინარეთისა. შეუ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ქვეყნებში. აქედან ყველაზე ხელსაყრელი პირობები ამ მცენარემ ჰქოვა საქართველოს ტერიტორიაზე და ინტენსიურ მაღალხარისხოვან კულტურად გადაიქცა. აქ ივი თავიდანვე ორ პარალელურ სახელს — „ვაზი“ და „ვენახი“ — ატარებდა. ხანგრძლივი დროის მანძილზე ეს სახელწოდებები მონაცელებდა და დიფერენციული შინაარსი მიიღეს — მცენარის ცალკეულ ბუჩქს „ვაზი“, ხოლო ვრცელ მასივზე გაშენებულს „ვენახი“ ეწოდა; მასში თუ ხეხილიც იყო არეული, მაშინ ბაღსაც ეძახდნენ. კიდევ უფრო დიდ ფართობზე გაშენებულ ვაზის „ზეარი“ ერქვა. ასე ჩამოყალიბდა საუკუნეებში ეს ტერმინები, რომელნიც დღესაც დამკვიდრებულია, ოღონდ დიფერენციულად გამოიყენება.

ვაზის „დაჭხმა“ თუ ვენახის გაშენება — წიპტით (თესლით), მოჭრილი ლერწით ან მძღვანელ ფეხითან რქების გადაწვენით ხდებოდა. ვენახს სხვადასხვა ფორმით აშენებდნენ. უხსოვარი დროიდან ამ ძალზე მხვიარა მცენარეს ხეებზე უშვებდნენ. შემდგომ მას „მაღლარი“ ეწოდა და, დაყენების წესის მოხედვით, ვენახს — დობილო, ოლიხნარი და ტალავერი — ხეივანი შეარქვეს. ასეთ ვენახს თათქმის არ უცლიუნენ, მხოლოდ დამტიფებულ ნაყოფს — ყურძენს ჰკრეფთდნენ. რაც დრო გადიოდა, მაღლარი, სახარდნე თუ საჭიროე ვაზით იცვლებოდა, აშენებდნენ ცალკე ბუჩქებად ან შპალერებად. ასეთ ვენახს დაბლარი — ახალშენი ერქვა. მეტ შემთხვევაში ლერწით გაშენებულ ვენახში — სიმჭიდროვის მოსამატებლად, ან გამეჩხერიანებული ადგილების შესავსებად — მძღვრი ბუჩქიდან 2—3 გრძელ რქას გადაწიდნავდნენ, ან გადმორგავდნენ. სადაც ძლიერი ყინვებია, იქ დღესაც ვენახში ვაზის განთხმული ფორმაა და ზამთარში მიწაში ფლავენ.

ვენახების დაბლარ ფორმაზე მასობრივად გადაყვანის კვალობაზე ვაზის კულტურა ინტენსიური ხდება, უმჯობესდებოდა მოვლა-პატრონობა, იზრდება შრომა და მატერიალური ხარჯები (გასხვლა, ბარვა, მოსარვა და მავთულზე გაკვრა, მორწყვა, თოხნა, შეწამვლა, გაფურჩქვნა, ცის გახსნა და სხვა); მაგრამ კიდევ უფრო მატულობდა მოსავლიანობა, შემოსავალი და ამით იგი განამტკიცებდა მევენახეთა ეკონომიკას მით უფრო, რაც უკეთესი იყო ვაზის ჭაში და ყურძნის ხარისხი. ყველგან რამდენიმე უხვმოსავლიან ჭიში აშენებდნენ; საქართველოში ხომ ღიათგანვე ვაზის სორტიმენტი — მრავალი სხვადასხვა ჭიში — ძალზე ფართო, მდიდარი და მაღალხარისხოვანია; თითოეული მათგანი კი რიგი თავისებურებით ხასიათდება: ზრდის ენერგია (ფესვთა სისტემა, ლერწმის აღნაგობა და ფერი, ფოთლის სიდიდე — დაებილულობა — შებუსვილობა — ფერი, პწყალი და სხვა). ამ მხრივ ვაზი ყველგან ყველა კულტურაზე უფრო რთულია და დიდ ცოდნა-გამოცდილებას, შრომასა და გულმოლგანებას მოითხოვს.

მოსავალი — ყურძნის სხვადასხვა მცენარის მტევანი დიდი ან პატარაა, შესაბამისად სხვადასხვანაირია და შესდგება კლერტისა და მარცვლებისაგან;

ივი კუმში ან მეჩხერია; მარცვალი მსხვილი, საშუალო ან წერილია; ფერი თეთრი, შავი, მწვანე ან ვარდისფერია; დანიშნულებით ისინი განირჩევან: საღვინე, საკონიაკე, ცქრიალა — შუშტუნა, პასტერიზებული წვენი, სახმობი, საკონსერვო (ჩამიჩი, ჩურჩხელა, ფელამუში, მურაბა და სხვა) და სასუფრე ყურძნად, ნუგბარად საჭმელი და სხვა. თითოეულ მდ და ზოვი სხვა დანიშნულებისათვის ამა თუ იმ კუთხეში შექმნილია რამდენიმე სხვადასხვა ჯიშის ვაზი — პავის, რცლიეფის, ექსპოზიციის და ზონას ლობის მიხედვით; აქედან წარმოსდგა ვაზის ჯიშების უვრცელესი ასორტიმენტი. ასორტიმენტს ზრდიდა ისიც. რომ გარკვეულ კუთხეში თუ ქვეყანაში შექმნილი ვაზის ჯიშები ხალხს გადაქონდა ადგალმონაცელების თან თუ ურთიერთგაცელისა თუ ასორტიმენტის გამდიდრების მიზნით. შესაბამისად, ვაზის დასახელებაც მრავალფეროვნებოდა — იგი წარმოსდგება: დანიშნულების, ფერის, ხარისხის, სადაურობის, შექმნელ-გამოყვანისა და ზოგი სხვა ნიშნის მიხედვით. მაგრამ ერთი და იგივე ჯიში სტერილური რამდენადმე იცვლიდა — ან ფერს ან „ზნეს“, ე. ი. გემოს, ხარისხს, მოსავლიანობას და სხვ., ანუ გაკეთილშობილდებოდა ან გაუარესდებოდა, ფეხს მოიდგამდა ან გადაშენდებოდა. ყველაფერ ამის შესწავლას ბერძნებმა ამპელოგრაფია, ხოლო ქართველებმა კი — ვაზითმცოდნება დაარქვეს. მაგრამ ერთი და იგივე ცნების აღმნიშვნელი სახელშოდება სხვადასხვა კუთხეში ზოგჯერ განსხვავებულია და ესეც ართულებს და აძნელებს ვაზთმცოდნეობას.

ყველა ზეპონსენებული და მრავალი სხვა საკითხის გასარკვევად ენათმეცნიერების გამოყენებასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილმა მოიშველია ქართული ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლები (საყდრების, ეკლესიების, მონასტრების და სხვა საკულტო, სამხედრო და სამოქალაქო ნაგებობათა) ჩუქურთმების, ბარელიეფების, გორელიეფებისა და სხვა სამკაულების ის ნიმუშები, რომლებშიც ჩაქსოვილია ვაზის ნაწილები — ბუჩქი, ფოთლები, მტევნები და სხვა; აგრეთვე ჩვენი უნიკალური, უძველესი ხელნაწერების — საერთო და სასულიერო წიგნების ფოლიოების სამკაულებად მოქარებულ ორნამენტების ხლართებში ჩაწნული ვაზის ცალკეული ნაწილები. ეს მატერიალური განძი იძზომ ნატიფად იყო გაკეთებული, რომ დღემდე ბუნებრივმა და სოციალურმა საუკუნეებრივმა უკულმართ მოვლენათა მსახვრალია გავლენამ, ვერ წაშალა გამოყენებული ვაზის ჯიშური თავისებურება (მტევანი, ფოთოლი, ბუჩქი და სხვ.). აი, მაგალითები:

ეკონომიური ისტორიის მეორე წიგნის გვ. 480 — ბაგრატის ქუთაისის ტაძრის სვეტის თავი (მე-XI ს. დამდეგისა) — საყურადღებო ჯიშთა ხნიერების თვალსაზრისით, ზედ გამოქანდაკუებული გრძელ-მტევანი ას ანდა დიდ-მტევანას ჯიშის მაგვარი კუმში მტევნის გამო (სურ. 7 და 8), გვ. 484, სურ. 10; ანანურის საყდრის გარეთა აღმოსავლეთ კედლის ქანდაკება ბსხვილი და წვრილმარცვლიანი მტევნებითურთ იმავე თავისებურებათა მაუწყებელია (იხ. გვ. 520, 522), სურ. 2. მცხეთის სვეტიცხოვლის ქვის ძველი კანკელის ქანდაკება, რომელიც ჯიშების ხნიერების განსაზღვრისათვისაც არის საყურადღებო და მოკლემტევანას ჯიშის მაგვარია, აგრეთვე საინტერესოა — გვ. 530, სურ. 5. ცალკეა ილუსტრირებული ვენახის მოვლა, ბარვა და მყნობა — ჯრუჭის მე-XII ს. ოთხავის (საქ. მუზეუმ. № 4, 1967) მხატვრობა; გადმოღებულია მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის მიერ (გვ. 482, სურ. 6)..

ყურძნიანი და ხილიანი ტოტების ქანდაკება გამოსახულია ბანის (მე-IX — X სს.) ტაძრის კედელზე; საყურადღებოა ყურძნის ჯიშების ხეირების გამსარკვევად და გვიჩვენებს ორნაშილადი, აკიდოს ჯიშის მაგვარ მტევნიან ჯიშის ყურძებს და სხვა.

კიდევ უფრო დაწვრილებითი ანალიზის საშუალებას იძლევა არქეოლოგიური განთხოვებიდან მოპოვებული მასალები: ღვინის ჭურჭლები, ბათ ფსკერზე დალექილი გამშრალი ღვინის ქვა-სიმჟავე; სასმისები, წილები, ვაზის სასხლავი დანები, სხვა იარაღი და სხვა ნაშთები; ამთ არკვევენ მაშინდელი ღვინის ფერს, ყურძნის ჯიშს, ხარისხსა და ბევრ სხვა საკითხს. ასეთი სიშბოლო თუ ემბლემები — უძველესი დროიდან მომდინარეობს — „ძველი საბერძნეთის დროიდან ამ მცენარის ფოთლები და ნაყოფი (მტევნები) ნიშნავს სიუხვესა და მხიარულობას. ძველებურ წიგნებში ნათქვამია, რომ ქვეყანა ან ქალაჭი, რომელიც თავის ემბლემად აირჩევს ვაზის ფოთოლს და მტევნას, ამით აჩვენებს თავის სიმილარეს, სუსტეს. ძველ სპარსეთშიც ვაზი დიდად პატივცემული იყო და ამის გარდა, წარმოადგენდა ძლიერების სიშბოლოს... კირისმა თავი ისახელა უამრავი ქვეყნის დაპყრობით. მის სამხედრო წარმატებებს მიაწერდნენ ვაზის მფარველობას, რომელმაც მეცეს მისცა ძლევამოილება.

ალსანიშვანია, რომ ვაზით, მისი ფოთლებითა და ნაყოფით მოჩარჩოებულად ჩეენი ქვეყნის სამხრეთით მდებარე მოკავშირე რესპუბლიკების მთავარი საეგრძო ფიგურები და ეს არის სიმბოლო ამ რესპუბლიკების მიწის ნაყოფა-ფურების და სიუხვისა (გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ვაზი“, 11.II.1969 წ)... და როცა ეს რესპუბლიკები, თუ მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა, თავისი ვინახების ვაზთა ასორტიმენტის გაფართოებასა და ქვეყნის გაძლიერებაზე ზრუნავენ, საქართველოდან გააქვთ მთელი რიგი ძვირფასი ჯიშები... ზოგი რამ ჩვენც შემოვგაძეს ასე იყო დასაბამითვე — ზვრების გასაკეთილშობილებლად.

6. ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევათა წყაროები და მეთოდოლოგია. XVIII საუკუნის სამოცი-სამოცდაათიანი წლებიდან საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის მაღალმა ხარისხმა და პოტენციურმა შესაძლებლობამ რუსეთში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს დამსახურება უმთავრესად დაკავშირებულია: „მეცე ერეკლეს პეტერბურგელი დესპანის გარსევან ჭავჭავაძის და მისი ვაჟის, ცნობილი ქართველი პოეტის — ალ. ჭავჭავაძის სახელთან“²⁵... შემდგომ თვით იმპერატორის და მისი კამარილის წევრთა, აგრეთვე რუსეთის მაღალი საზოგადოების წრეებშიც. ვინც გაეცნო ქართული ღვინის გემოს, მას დამფასებლები და ქომაჯებიც აღმოუჩნდნენ — იმპორტულ ფრანგულ ღვინებს ადარებდნენ და ზოგჯერ უფრო მაღლაც აყენებდნენ... განიზრახეს ამ დარგის განვითარება და წარმოების იმ ზომით გადიდება, რომ შემცირებულიყო შემოზიდვა და მომავალში კი, სულ არ ყოფილიყო საჭირო... მაგრამ ამას ისინი რუსეთის მევენახეობა-მელვინეობის განვითარებად სთვლიდნენ.

ასე იყო თუ ისე, — გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში — პირველ მსოფლიო ომამდე იმპერიის სამხრეთ გუბერნიებში, სადაც ვაზის კულტურისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები აღმოჩნდა, მათ იმდენს მიაღწიეს, რომ შექმნეს თვალსაჩინო მზარდი მეურნეობრივი მნიშვნელობის მევენახეობა-მელვინეობა: საუფლისწულო უწყების, სა-

²⁵ ნიკოლოზ იაშვილი. ქართული ღვინის სახელგანთქმულობა, „მანქ“, ფილო-სოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1974, № 1, გვ. 157.



ეკლესიონ-სამონასტრო, კერძო კაპიტალისტების და მათ შეხარებზე მყოფი თავად-აზნაურ-მემამულების წარმოებაში. ამას თან მოყვა შეძლებული გლეხების დაინტერესებაც მაღალშემოსავლიანი დაზვების განვითარება-გამდიდრებაში.

ისტორიულმა და ფილოლოგიურმა ყოველმხრივმა განათლებამ და ღრმა წყაროთმცოდნეობამ ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა გამოყენებინა და შედარებითი ანალიზის მეთოდით აქესნა — სწორი გაშუქება მიეცა მრავალი ტერმინოლოგიური, ფაქტობრივი, მანამდე უცნობი და შეუსწავლელი პრობლემისათვის — ებრაულ, სირიულ, ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ, მრავალ ეპრო

პულ, რუსულ, სომხურ, ქართულ და სხვა ენებზე. პარალელურად მიმდინარე-ობდა არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნიმუშმატიკური მასალების ანალიზი და გაშიფრვა...

ამასთანავე, ამ მონუმენტური და უბადლო შრომის უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა მასალები ზემოაღნიშნული ექსპედიციისა, რომელიც ჩატარდა 1935 წელს ივ. ჯავახიშვილის სპეციალური მეთოდითა და პროგრამით სა-ქართველოს მეცნიერება-მეცნიერების ყველა ძირითად რაიონში.

ამ გრანდიოზულ წამოწყებაში დამხმარე როლი ჭეროვნად შეასრულეს სპეციალურმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, რომელთაგან დასა-ხელებულია: 1888 წ. დაარსებული საქართველოს ამერიკული ვაზის სანამყენე-სანერგის, მისი პირველი ხელმძღვანელის — ნ. სტაროსელსკის მთელი მომდევ-ნო მოღვაწეობა (ამჟამად მეცნიერება-მეცნიერების საცდელი სადგურია); 1923 წ. დაარსებული ვაზისიუბნის (ყოფილი ურაიათუბნის) საცდელი სადგური; შემდგომში — 1931 წ. თბილისში დაარსებული და მაღლე თელავში გადატანი-ლი მეცნიერება-მეცნიერების საკავშირო-სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (ВИВ-ВАСХНИП და მისი ამიერკავკასიის ფილიალის ორგანიზაცია); შემდეგ მეცნიერება-მეცნიერების საკავშირო ინსტიტუტი გადატანილ იქნა ყირიმში — მაგარაჩი და თბილისში მოეწყო ვიბ — ამიერკავკასიის შესაბამისი ინსტი-ტუტი და ორივე წლის შემდეგ ისიც რეორგანიზებული იქნა გიბ საქართვე-ლოს მეცნიერება-მეცნიერების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რომელ-მაც ნაყოფიერად იმუშავა წლების მანძილზე.

შემდგომში თბილისში (დილომში) აშენდა მთელი კომპლექსი — საქართ-ველის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში მებალეობა-მეცნიერება-მე-ლოგინების ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი კეთილმოწყობილი ბაზა საც-დელი ვენახები, ასეთივე მარან-სარდაფი, კაბინეტ-ლაბორატორიები საკუთარია შესაბამისი ყველა ატრიბუტით; აგრეთვე, როცა ამგვარი ბრწყინვალე ბაზა მო-ეწყო და ასევე ფართოდ გაიშალა — სწავლასთან ერთად — კვლევითი მუშაობა სა-ქართველოს სას. სამ. ახლად აშენებულ ინსტიტუტში, ორი საცდელ-სასწავლო მეურნეობით — მუხრანშა და დილომში, ამ დაწესებულებათა მუშაობა მშიდ-როდ და ურთიერთ სასარგებლოდ დაკავშირდნენ ამ დარგში და საქმე წარმა-ტებულადაც წარიმართა. პირველად სსრ კავშირში დილომში გაშენდა ამპე-ლოგრაფიული ნაკვეთი — 1200 ჭიშით საცდელი მიზნებისათვის, ამით გაძ-ლიერდა სცლეჭირული მუშაობა და ახალ ჭიშთა გამოყვანა. ამ საქმის მიბაძ-ვით, შემდგომში ყირიმში მეცნიერება-მეცნიერების საკავშირო ინსტიტუტ-თან — მაღარაჩში მოეწყო ვაზის ჭიშთა კიდევ უფრო მძლავრი საერთაშო-რისო მნიშვნელობის სასელექციო ნაკვეთი და ლაბორატორია.

რესპუბლიკის მეცნიერება-მეცნიერების მთავარ ზონაში მოეწყო საც-დელ-საჩვენებელი რიგი საყრდენი ბაზები: საქართველოს და თელავის ზონალური საცდელი სადგურები, ყვარლის, ახალციხის და სხვა საყრდენი და საცდელ-საჩვენებელი მეურნეობები და ტექნიკუმები. ამან კიდევ უფრო გააფართოვა და განამტკიცა უძირდვასესი დარგების მეცნიერული შესწავლა, რასაც მიბაძ-ეს მოკავშირე რესპუბლიკათა მეცნიერება-მეცნიერების სხვა საცდელ-სამეც-ნიერო დაწესებულებებმა. ამ საქმეში უდაოდ დადებითი მნიშვნელობისა იყო ის გარემოება, რომ დიდმა ივ. ჯავახიშვილმა თავისი დიადი შთანაფიქრი ყვე-ლაზე ადრე გააცნო პროფ. ს. ჩოლოვაშვილს და მონაწილეობა შესთავაზა. ეს 3. „მაცნე“, ფილოსოფიის, ... სერია, 1976, № 3



თანამშრომლობა დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა. იგი ხომ ადრიდანვე იყო მე-
კენახეობის დარგში ყოველგვარი დიდი წამოწყებისა და სიახლის თავგამო-
დებული თაოსანი, უშუალო მონაწილე და მეტწილად ორგანიზატო-
რი. მისი ავტორიტეტი საკავშირო მეცნიერულ წრეებშიც მაღა-
ლი და ანგარიშგაწეული იყო. მას ისიც მოწმობს, რომ საქართველოში მეცნი-
ეობა-მეცნიერების საკავშირო ინსტიტუტის არსებობის პერიოდში მან მთა-
ვარი როლი წარმატებით შესასრულა მისი ორგანიზაციისა და მეცნიერულ-
გარე როლი წარმატებით — სანამ ინსტიტუტი ყირიმში არ გადაიტანეს.
კლევით ხელმძღვანელობაში — სანამ ინსტიტუტი ყირიმში არ გადაიტანეს.

საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ს. ჩოლოყაშვილსა და უცელას, ვიზც აკად. ივ. გაგახიშვილთან თავიდანვე და განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლო-ათწლეულში ითანამდებობლეს — დიდი გამოცდილება დაუგროვდათ. ანან შეძლებია მათ ვაზთამცოდნეობის და მთლიანად მევენახეობა-მეღვინეობის ახალ, მაღალ საფეხურზე აყვანაში დღიდად სასარგებლო მონაწილეობა მიეღოთ. ამ მიღწევებმა გარკვეულად შეუწყო ხელი მთელი საბჭოთა ქვეყნის ამპელოგრა-ფიის შესწავლას, უამრავი მასალის დაგროვებას, მეცნიერულ დამუშავებას, სასტატიკო დამზადებას და დიდი — 6 ტომისაგან შემდგარი ნაშრომის „სსრ კავ-შირის ამპელოგრაფიის“ გამოცემას მოსკოვში²⁶. მასში — საქართველოს ვაზ-მცოდნეობის ავტორი და მთელი ნაშრომის მრავალრიცხოვანი სარედაქტო კოლეგიის წევრი პროფ. ს. ჩოლოყაშვილი იყო. მან დიდი შრომა გასწია, რათა საქართველოში მსგავსი გამოცემისათვის მასალების შესწავლა-შეგროვება მო-ეწყო და სათანადო დონეზე შესრულებულიყო; მაგრამ ვეღარც ის მოესწრო მისთვის ესოდენ ძვირფასი საქმის განხორციელებას...

„საკვარელ მასწავლებელს, მევენახეობის დარგის გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ სოლო-მინ მიხილოს ძე ჩოლოყაშვილის ხსოვნას — ვუძღვნი“.

ექვსი წლის შემდეგ, იმავე რედაქციით გამოკვეყნდა „საქართველოს ვაზის ჯიშები“ — II, დ. ტაბიძე „განეთის ვაზის ჯიშები“. აქ, წერილი რედაქტორისაგან, მთავრდება სიტყვებით: „დ. ტაბიძის შრომა უნდა გამოცემულიყო 1950 წელს, მაგრამ მისი გამოცემა სხვადასხვა შინების გამო დაგვი-

²⁶ Ампелография СССР, М., 1946. т. I,

27 გ. რამიშვილი გ. გურიანი, სამეცნიელოს და პურის ვაზის ჭიშები. საქ. მეცნ. აკად. ნაცღვილი წერტის, პროფესიონალურ ნ. კეცხოველის წინასიტყვაობთა და რედაქციით, თბ., 1948.

ანდა. იმედია, შემდეგი ტომები (III ტ. „ქართლის ვაზის ჯიშები“, IV ტ. „იშერეთის და რაჭა-ლეჩხუმის ვაზის ჯიშები“ და V ტ.) გამოცემული იქნება თავის დროზე“...

წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „საქართველო სამართლიანად ითვლება ვაზის სამშობლოდ და მევენახეობა-მეღვინეობის ერთ-ერთ უძველეს კერად. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს, ძირითადად უკვე არქეოლოგიური გამოკლევათა მატერ მოპოვებული მატერიალური ნაშთები, რომლებიც მოპოვებულია მსოფლიო მევენახეობის ძირითად რაიონებში და დასტამბულია; ხოლო საქართველოში აღმოჩენილ მასალათა თვალსაჩინო ნიმუშები წარმოდგენილია ჩვენი ას დარგების საკვლევ ინსტიტუტში — მევენახეობა-მეღვინეობის მუზეუმში (თბილისი, დილომი) და ყოველწლიურად მდგრადირება“...

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოცდაათიანი წლებიდან აკად. ივანე გავახიშვილი მრავალრიცხოვნი მიმდევრები ზედიზე აქვეყნებდნენ მნიშვნელოვან შრომებს მევენახეობა-მეღვინეობაში და სადღეისოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის არც ერთ სხვა დარგში არ მოგვეპოვება მათი ტოლფასი — ვრცელი და ღრმა შინაარსიანი ლიტერატურა. მართლაც, რევოლუციამდე მოგვეპოვებოდა მხოლოდ პირველი და ერთადერთი მნიშვნელოვანი წიგნი, მევენახეობა-მეღვინეობაში — კახეთში სოფ. შილდა-საბუეში, ევროპულ ყაიდაზე მეცნიერული გამართული ერთადერთი მსხვილი მეურნეობის მეპატრონე ლ. ე. ჭორჭაძისა (1876 წ.), რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს ინტერესი. ამას გარდა, ოციოდე წლის შემდეგ ოდესის უნივერსიტეტის რექტორმა, თავისი დროის საქვეყნოდ სახელგანთქმულმა ქიმიკოსმა პროფესორმა ვ. მ. პეტრიაშვილმა, გამოაქვეყნა ფუნდამენტური 560-მდე გვერდიანი ქართული წიგნი — „ღვინის დაყენება“ (ტფილისი, 1895) და გვერდა ი. წინამძღვრიშვილის ორიოდე წიგნაკი ამავე საგანზე. სულ ეს შეადგენდა მთელს ჩვენს ავლადიდებას.

მხოლოდ 30—40 წლის შემდეგ ივ. გავახიშვილის შთაგონებითვე დაიწყო თვალსაჩინო განვითარება მევენახეობა-მეღვინეობის მეცნიერებამ და იქმნება სულ მზარდი მაღალხარისხოვანი სპეციალური ლიტერატურა, ბევრი მათვანი რუსულ და უცხო ენებზეცაა დაწერილი ან თარგმნილი. თვით მაღლიან ქართულ ვაზზეც დღითიდლე იზრდება მოთხოვნილება მსოფლიოს რიგ მევენახეობის ქვეყანაში (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, უნგრეთი და სხვა), მოკავშირე რესპუბლიკების მიწებზე ხომ დიდი ხანია ქართულმა ვაზმა გასავრცელებლად და იქაური ვაზის გასაუმჯობესებლად მოკავდა ფეხი და სანაქებო პროდუქციას იძლევა — მოლდავეთში, უკრაინაში, რსფსრ, შუაზიის რესპუბლიკებში და სხვ. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძვით: ს. ჩილოყავშილს, კ. მოდებაძეს, ვ. ღვალაძეს, ნ. კეცხველს, ი. დურმიშიძეს, ვ. ქანთარიას, მ. რამიშვილს, ნ. გელაშვილს, ტ. ტაბიძეს და სხვა მრავალ; ქვეყნდება სადისერტაციო შრომები, მეცნიერული კრებულები, პოპულარული წიგნები და ბრძოლები და მაინც... საქმე მოითხოვს ამგვარი მოღვაწეობის კვლავაც ზრდას. ამავე დროს, ახლაც მიმდინარეობს ივ. გავახიშვილის დატოვებული დიდალი ძვირფასი მასალის დასასტამბად მომზადება და თანდათანობითი გამოქვეყნება²⁸. გამოქვეყნებულია მრავალი წიგნი

²⁸ ივ. გავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი I (ჩედ. აკად. ნ. ბერძენიშვილი), თბ., 1964; ივ. გავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკუ-

ჩვენი ეთნოგრაფებისა, მათ სათავეში უდგას აკად. გ. ჩიტაია, რომლის მეთო-დურ-პროგრამული ხელმძღვანელობათ, წლების მანძილზე მზადდება შრომათა მთელი სერია საქართველოს კუთხეების მიხედვით. გასულ წელს გამოქვეყნდა ორი მონოგრაფია, რომლებშიც თითქმის სრულად აისახა აღრინდელი გამო-ცემანი ამ დარგში. შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ საქართველოში იწე-რება და ისტაბება გაცილებით მეტი ყველა სახის სპეციალური ლიტერატურა მევენახეობა-მელინეობაზე, ვიდრე სოფლის მეურნეობის სხვა რომელიმე დარგზე; მაგრამ ისიც ალსანიშვანია, რომ შესასწავლ-გამოსაყვლევიც კიდევ ბევრი რამ არის. ამ საქმეში დიდად გვრწყობს ხელს აკად. ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო ლიტერატურული მემკვდრეობა, მისი ნაშრომები ნიადაგ ხელ-საპყრობი და გამოსაყენებელია.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებულმა გიგანტურ გამოკვლევათა დღემ-დე გამოქვეყნებულმა ნაწილმაც კი, ძალზე კეთილსასურველი გავლენა მოახ-დინა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვა რიგ ანალოგიური სოფლის მეურნეობის პროფილის მქონე მოძმე რესპუბლიკურშიც ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგთა ვრცელი კომპლექსის გორავალფეროვანებასა, შემო-სავლის ზრდასა და საერთო ეკონომიკური ეფექტიანობის აღმავლობაში. დიდ-მა მკვლევარმა სოფლის მეურნეობის კომპლექსური თემატიკის სინთეზურ დამუშავებაში ჩააბა იმდროინდელი საუკეთესო, დაოსტატებული ახალგაზრდა ძალები: პროფესორები, ღოცენტრები, ლექტორები, ასისტენტები, ლაბორან-ტები და პრეპარატორებიც კი: ს. ჩილოყაშვილი, ი. ლომოური, ნ. კეცხველი, ი. განდიერი, ნ. იოსელიანი, ლ. დეკაპრელევიჩი, გ. მენაბდე, ნ. ჩახნაშვილი, ვ. სუპატაშვილი, ქ. ცხავაია, ა. მაყაშვილი და მრავალი სხვა. მათ ცალკეულ დავალებათა შესრულებით, მასალების თუ ცნობების მიწოდებით, ექსპედი-ციებში მოპოვებული მასალებისა და შეცნიერების ყამირის კერძოლურ და-მუშავებაში თუ სხვა საქმეში შესაბამისი მონაწილეობით, მნიშვნელოვნად შე-უძლებულეს ის უდიდესი სიმძიმე, რომელიც თავდაპირველმა მამულიშვილმა სურვილისამებრ იყიდა და ტიტანური შრომა წარმატებით დაგვირჩვინა.

მორალური სიშმინდის ადამიანის, მრავალმხრივი და ღრმა მეცნიერის, უებრო მოქალაქის, ქართველი ერის ყოველივე კეთილი ზე-ჩეულების მუ-დამ ჩრდილშეუყენებლად შემსრულებლის, ერის სინდისის, სიყვარულისა და სასოების ეტალონება — ივ. ჯავახიშვილმა, არა მხოლოდ გაწვრთნა, ინტელექ-ტუალურად აღმაღლა, საერთო ეროვნულ მაღალ სარჩიელზე დაამკვიდრა ზე-მოხსენებული თანამშრომლები, არამედ მუშაობის მთელ მანძილზე და თავისი ყველა შრომის სათანადო გვერდებზე, დამსახურებისამებრ და ძალზე ხშირად მადლობით იხსენიებს თითოეულ მათგანს... ამით მთელი მისი განუზომელი, წნიკალური დამსახურების თანამონაწილედ საქვეყნოდ აღიარებს მათ.

ჭეშმარიტად ბედნიერია ყველა, ვისაც წილად ხვდა ივ. ჯავახიშვილის სიბრძნის ღალადისის მოსმენა, მისი მოწაფეობა, მასთან დაოსტატება, თანა-მშრომლობა, მის ახლოს ყოფნა და მისი მაღალი ადამიანური ნათელით გაკე-თილშობილება, შრომისა და ცხოვრების გაბრწყინება, გაშინაარსიანება, გა-

რი ისტორიის ძეგლები, აღმოსავლეთ საქართველოს XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრები, თბ., 1965; ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორი-ისათვის, თბ., 1965; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, წიგნი II (XVIII-XIX სს.), გამომც. „მეცნიერება“, თბ., 1974 და სხვ.

აღვილება და სიხარული. დღეს, მისი დაბადების 100 წლისთავზე საერთო ეროვნული სიამაყით იგონებენ მას მისი მარად თაყვანისმცემელი თანამემა-
მულენი, მათი უსასრულო თაობები, რომელთათვისაც იყო იუ, არის და იქ-
ნება შუქურა და ჩირალდანი შორეთსა და სიახლოვეში სვლაგეზის განათები-
სათვის; მისი დიადი მაგალითი შეაძლებინება მათ ბევრი სიძნელის გადალახ-
ვას — განვთარებადი, ძლიერი და აღმავალი საქართველოს დაუსრულებელ
სამსახურში.

Н. Ш. ЯШВИЛИ

АМПЕЛОГРАФИЯ — СОРТОВЕДЕНИЕ ВИНОГРАДНОЙ ЛОЗЫ ГРУЗИИ В ТРУДАХ АКАД. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

Резюме

Считая сельское хозяйство одним из надежных основ всей экономики Грузии, преданный служитель Родины, академик Иван Александрович Джавахишвили, с юных лет всесторонне изучал экономику сельского хозяйства — особенно его интенсивных культур. Едва ли можно было сыскать в мировой литературе аналогию того монументального труда, который выполнил наряду с другими трактатами, по многим проблемам истории, языкоznания, экономики, юриспруденции — в целом грузиноведения, за 40 с лишним лет напряженного труда, великий ученый И. А. Джавахишвили и издал в двух объемистых частях «Экономическую историю Грузии» (1930, 1935 гг.).

Значительно большее внимание уделено всеобъемлющему исследованию виноделия и виноградарства Грузии, с предельно тщательным освещением всех деталей сортоведения виноградных лоз (Ампелографии). Следуя особому — «джавахишвилевскому» — методу научных изысканий, ученый дает анализ и оценку тех трудов, которые были известны и доступны с древнейших времен и до тридцатых годов нашего века — на грузинском, еврейском, арабском, ассирийском, индийском, египетском, персидском, армянском, греческом и других языках; широко использованы данные изобразительного искусства, остатки памятников религии-культы и сооружений оборонного, гражданского, торго-ремесленного и хозяйственного, дорожно-мелiorативного строительства, предметов обихода, оружия, орудий и средств производства, огласлей хозяйства — пищи и питания; нумизматика словом все, что извлекалось из руин разрушений и пожаров, землетрясений, оползней, геологических обнажений; и, наконец, планомерных археологических раскопок и изысканий. Весь этот богатейший материал подвергался тщательным научным исследованиям и сопоставлениям различных — подчас противоположных данных — и делались наиболее вероятные выводы. Аналогично тщательным был анализ несравненно обширных литературных источников и оформлялись заключения, заслуживающие наибольшего доверия. И, тем не менее, предельно осторожный, с чувством ответственности ученый редко высказывал категорические, тем более, императивные мнения, довольствуясь чаще вероятными соображениями он многократно перепроверял свои доводы.

Акад. И. А. Джавахишвили установил, что Грузия — страна древнейшего виноградарства и виноделия, один из очагов происхождения благороднейшей из растительного мира виноградной лозы. Эта страна высокой культуры селекции — выведения новых, приспособленных к многообразным природно-производственным условиям низменных, хол-

мистых и предгорных зон. Страна — с территорией избыточного, достаточного и недостаточного увлажнения, с бесконечно разнообразным почвенным покровом, с большой дисперсностью почвенного плодородия, урожаев культур и культуры самого производства.

Акад. И. А. Джавахишвили показал, что творческий гений наших предков — тружеников, создал удивительную гамму различных и по преимуществу высокосортных виноградных лоз, произрастающих в различных условиях не только Грузии, но и Молдавии, Украины, Средней Азии, Азербайджана, Армении и др.; что введенная впервые на древних землях культура виноградной лозы, распространилась по обеим берегам Средиземноморья. Она дала определенный стимул образованию прославленного промышленного виноградарства и виноделия в странах Европы и Африки.

Грузия и поныне охотно обменивается с ними уникальными сортами Саперави на Каберне, Ркацители на Бордо и Шардоне и т. п. А на всемирных и региональных съездах, конкурсах, дегустациях постоянно завоевывает значительное количество медалей, в основном — золотых и серебрянных. Из 4000 сортов виноградных лоз всей нашей планеты 1250 насчитываются в Советском Союзе и только в Грузии — около 500 сортов.

Труды акад. И. А. Джавахишвили, особенно его работы по экономике сельского хозяйства Грузии являются настольными книгами для изучающих основы экономики виноградарства и виноделия Грузинской ССР.

ჭრმოაღვინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის
ინსტიტუტის.



შოთა ესიტაჟვილი

კაშა-ვებგველა და მატერიალური სიცავილის
რელიგიურ-მითოლოგიური გაცირკვების
ზოგიერთი საკითხი

მხატვრული ლიტერატურის შეცრდა გამოჩენილმა ოსტატმა გამოიყენა შემოქმედებითი ჟათავის წყაროდ რელიგიურ-მითოლოგიური თქმულებანი და მათი ცალკეული პერსონაჟები. შემოქმედნი ასეთ თქმულებებს, განსაკუთრებული ეფექტის შესაქმნელად, რეალისტურ სახეობში აქსოგენ და როგორც გარსამოსს საკუთარი განწყობილებებსა და იღების გადმოსაცემად იყენებენ. მხატვრული სიტყვის ცნობილი რუსი ოსტატი ვალერი ბრიუსლოვი პ. პერიოდისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში შენიშვნავს: „არ შეიძლება, შენი სულიერი განწყობილება ისე გაამოსცე, რომ ჩეულის ფიცართა შემმუსკრელი მოსე გამოსახო?“ მართლაც, ბრიუსლოვი საქამიან ხშირად იყენებდა ასირიის, ძველი ეგვიპტის, ანტიკური საბერძნების მითოლოგიას; აგრეთვე — მონოთეისტური რელიგიების ლეგენდებსა და პერსონაჟებს, ქრისტიანობის საცუცველდებულ წიგნს — ბიბლიის როგორც მხატვრული შემოქმედების წყაროსა და თვით ანტირელიგიური იდეების გადმოცემის ხერხს.

ვაჟა-ფშაველა თვითონ ცხოვრობდა ჩელლიგიურ-მითოლოგიური სასწაულების მხარეში — თუშ-ზუგა-ხევსურთა ფანტასტიკურ სამყაროში, რომელთა ილუზორული წარმოსახვით ზეპუნებრივი ასებანი — ქაჭები, ღვევები, ღვთისშვილნი და სხვა ანიმისტური პერსონაჟები აქვე, დედამიწაზე — უღრან ტუებში, კლდე-ღრეებში, ჩანჩქერებში, წარაფებში, მდინარეთა ჩაბნელებულ ხეობებში თუ ადამიანთა სამოსახლოν აღგილებში ბინაღრობენ, ერთმანეთს ებრძევან და გაუთავებელ შესლა-შვამებაში თვით ადამიანებსაც ითრევენ. ჩასაკვირველია, ვაჟა შეეძლო უშუალოდ დაპკირვებოდა მთიელთა სულიერ სამყაროს, მათს მდიდარ ჩელლიგიურ-მითოლოგიურ თქმულებებს და თვით მათი ფანტასტიკური ასახვის იმიერტის — ბუნების ძალების ილუზორული გარდაქმნის პროცესსაც, „რომლებიც სხვადასხვა ხალხის შემდგომ განვითარებაში მრავალგვარ ერად განვიროვნებას პოულობენ62.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მთავარი ობიექტი ადამიანია. იგი მწერლის ნიჭის საზომად ადამიანის სიყვარულს, მისი ყოფის გაუკეთესებისათვის ბრძოლას აცხადებს, რის გადმოსაცემად საჭიროა „დიდი გრძნობა, დიდი კორნა

¹ М. Васильев. Свободная ладья. «Наука и религия» № 9, 1973, стр. 54.

² ფ. ენგელსი. ანტი-დიურბინი, თბ., სახელმავ, 1952, გვ. 378.

ადამიანის სულისა და მისი ცხოვრებისა“. მითი თუ ლეგენდაც მწერალმა „უსათუოდ თავისებურად უნდა გადაამუშავოს, თავისი გრძნობა-გონების საკუთრებად გახადოს“, — ე. ი. მის პერსონაჟებს ადამიანური შინაარსი დაუბრუნოს. ვაჟას აზრით, გოეთემაც ფაუსტის ლეგენდას თავისი დიდი ნიჭისა, ე. ი. დიდის გრძნობა-გონების“ წყალობით შეასხა ახალი ხორცი და შთაბერა სული ცხოველი⁴.

ერთ-ერთი მითოლოგიური პერსონაჟი, რომელიც ვაჟამ „თავისი გრძნობა-გონების საკუთრებად“ გარდაქმნა, „საკუთარ სულიერ ქურაში.. გადააღნო... გადააღულა“, ამ ირანი იყო. მკვლევართა აზრით, ამირანი ბერძნულ პრომეთეს მსგავსად პოლითეიზმის წინარე მითოლოგიური პერსონაჟია. იგი ებრძვის ბოროტ ძალებს — დევებს, ქაფებს, გველეშაპს, — მათგან ადამიანებს იცავს და ამიტომ იგი ქართველი ხალხის საყვარელი მითოლოგიური გმირია. მაგრამ ამირანი შხოლოდ დევ-ქაფებს კი არ ებრძვის, არამედ ერთ-ერთ ძლიერ ღვთაებასაც, რომელიც „ღრუბელთა საქმეს განაგებს“, და ქართულ წარმართულ პანთეონში პირიმზეს, ლაზარესა თუ ელიას სახელს ატარებს; იგი მას ასულს მოსტაცებს და შეებრძოლება, რის გამოც ღვთაებამ კლდეზე მიაჯაჭვა. უფრო მოგვიანებოთ კი ხალხის ფანტაზიამ ამირანი წარმართული დმერთის მაგიერ ქრისტეს შეაბრძოლა და ეს ბრძოლაც ამირანის მიჯაჭვით დამთავრდა. ამირანს მისი შესაფერი ძალიაც ჰყავს — ფრთოსანი ყურშა, „გოშია ყორნის ნაშობი“⁵. ვაჟა-ფშაველა გადმოგვცემს, რომ ფშავ-ხევსურები ძალლისა და ყორნის უწმინდურ ძალად აღიარებენ და მათ მოკვლას ერიდებიან. განსაკუთრებით „ახლის მიცვალებულის პატრონი ვერ მოჰკლავს უწმინდურ ცხოველს, რადგან იმას სწავს, რომ იმ უწმინდურის ცხოველის სული გააუწმინდურებს კაცის სულს“. მას ვერც ხატ-ჭვარი აკლებს რაიმეს და მისი მიერების ეშინია კიდეც. უწმინდურ ძალად აღიარებული ძალი მაინც შემორჩენილია თაყვანისცემის ობიექტად. მაგრამ მას მსხვერპლად ასევე უწმინდურ ცხოველად შერაცხულ ციკნებს სწირავენ და ოჯახის კარგად ყოფნა-გამრავლებას შესთხოვენ. უნდა ვითიქროთ, რომ ხატებთან (ე. ი. ფშავ-ხევსურულ პოლითეიზმთან) ძალლის, ყორნის ასეთი დაპირისპირება მათი ფეტიშური, ტოტემური თვისებების არსებობის ადრინდელ საფეხურებს მიუთითებს, რომელთაც შემდეგ წარმოშობილი პოლითეიზმი ებრძვის და მათ უწმინდურ ძალებად აცხადებს. ყურშასთან და ყორნითან დაკავშირებული ამირანიც წმინდა მითოლოგიურ პერსონაჟად გადაქცეული პოლითეიზმამდელი ანიმისტური სულია, რომელიც არა მარტო ბოროტ ძალებს ებრძვის, არამედ წარმართული და მონოთეისტური რელიგიების მრისხანე ღმერთებსაც. მეტად საყურადღებო შემთხვევაა, როდესაც ადამიანთა მითოლოგიური ფანტაზია რელიგიურ ფანტაზიას ებრძვის. ეს არის ხალქური შემოქმედების ჯანსაღი მარცვალი, — „ლაშარის ჯვარის სამსახურით“ შეწუხებული ფშაველი კაცის ფანტაზიას პოეტური „ფრთა გაშლაა“, რითაც „ხუმრობას უტეხს“ მძლავრ ხატს: „ფშაველთა ლაშარის ჯვარი ნეტარ არ დაუბერდაო? მებობენ დაბერებულა, ნეტარ არ მოუკვდებაო?“ — ამასთან დაკავშირებით, ვაჟა-ფშაველა შენიშვნავს: „რადა? რად უნდა მოუკვდეს ლაშარის ჯვარი, ფშაველთა დიდება და სახელი? ალბათ აწუხებს, სამახურს. სთხოვს და იმიტომ“⁶.

⁴ ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. 9, გვ. 307.

⁵ ივ. ფავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, გვ. 153, 157.

⁶ ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. 9, გვ. 56, 163.

აღნარებულია, რომ მითოლოგია სინამდვილის ფანტასტიკური ასახვაა და წარმოიშვა პირველყოფილ ადამიანთა ცნობიერებაში ბუნების, მთელი სამყაროს გასულიერების შედეგად. იგი ხალხის რელიგიური ფანტაზიის ნაწარმოებია და ბუნების ან საზოგადოების ამა თუ იმ მოვლენას აგვისტის გულუბრყვილო-განპიროვნებული, შეუცნობლად წარმოსახული მხატვრული სახეობითი ფორმებით. ფ. ხ. კესიძის აზრით, პირველყოფილ რწმენაში (ფეტიშიზმი, ანიმიზმი, პოლითეიზმიც კი) ზებუნებრივი ჯერ კიდევ არ არის გააზრებული როგორც რაღაც წმინდა იდეალური (ზეგრძნობადი), რამდენადაც პირველყოფილ მა ადამიანმა საერთოდ არ იცის იდეალური ანუ ზეგრძნობადი არსება; ზებუნებრივი მას წარმოუდგება საგანთა ან არსებათა სახით და არც თუ იშვიათად მითოლოგიური ფანტაზიით გასულიერებულ სახეებად. ამ სახეების ხორც-შესხმა, მათი პერსონიფიკაცია კონკრეტულ პირებად, წარმოშობს პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში გრძნობად-წარმოდგენის სულებს, დემონებსა და ღმერთებს. იქმნება ე. წ. საკულტო მითები, ე. ი. მითები, რომლებიც ხდებიან რელიგიური რწმენისა და თაყვანისცემის საგნად. მაგრამ ეს მხოლოდ ლაპარაკობს მითოლოგიაში მეტ-ნაკლებად რელიგიური ელემენტების არსებობის შესახებ და არა მათ იგივეობაზე, ვინაიდან მითი და რელიგია სხვადასხვა რიგის მოვლენებია... მითოლოგია — ეს არის სამყაროს თავისებური ხედვა, გარემომცველი სინამდვილის შესახებ წარმოდგენით განსაკუთრებული ტიპი, რომელშიც რეალური შეერწყმის ფანტასტიკურს; ხოლო რელიგია — ეს არის რწმენა, რომელიც უშვებს ფანტასტიკურს, მაგიურს, სასწაულებრივს, მაგრამ ფანტასტიკურს განასხვავებს სინამდვილისაგან, ერთმანეთისაგან განასხვავებს იდეალურსა და რეალურს, აიძულებს იარსებოს თავისი ნორმების თანახმად, მოითხოვს წეს-ჩვეულებათა, აკრძალვათა თავისებურ დაცვას და ა. შ.⁸

მითისა და რელიგიის ურთიერთობიმართების შესახებ მრავალი სხვა მოსაზრებაც (ს. ტოკარევი, ა. სუხოვი და სხვ.) ძირითადად იმ აზრს ადასტურებს, რომ ორივესათვის დასაშვებია ფანტასტიკური, მაგრამ რელიგია უცილებლად გულისხმობს რაიმე კულტს, რწმენას, რაიმეს გაღმერთებასა და გაღმერთებულის თაყვანისცემას. მოითხოვს წეს-ჩვეულებათა თავისებურ დაცვას. რელიგია, ერთიან სამყაროს ორებს ზებუნებრივ და ბუნებრივ სამყაროებად, ამქვეყნიურად და იმქვეყნიურად, იდეალურად და მატერიალურად და, ბუნებრივია, ერთმანეთისაგან განასხვავებს ფანტასტიკურსა და მიწიერს. რაც შეეხება მითოლოგიას, მასში ფანტასტიკური და რელიგიური, იდეალური და მატერიალური იგივეობრივია, მისთვის საგადოებულო არ არის ზებუნებრივის რწმენა, იგი არვის ავალდებულებს რაიმე საკულტო თუ მაგიურ წეს-ჩვეულებათა შესრულებას. კ. მარქსი აღნიშნავს, „ყოველი მითოლოგია, ძლევს, იმორჩილებს და აყალიბებს ბუნების ძალებს ფანტაზიაში, ფანტაზიის საშუალებით“, იგი არქს „ბუნება და თვით საზოგადოებრივი ფორმები, უკვე გადამუშავებულნი შეუცნობელ-ხელოვნებით წესით ხალხური ფანტაზიის მიერ“⁹. მაშასადამე, მითოლოგიური თქმულება გულისხმობს ბუნებისა და საზოგადოების ამა თუ იმ მოვლენის განზოგადებას. მაგრამ განზოგადებული და განსაზოგადებელი, ზო-

⁷ Философская энциклопедия, т. 3, стр. 457; Краткий научно-атеистический словарь, М., «Наука», 1964, стр. 361.

⁸ Ф. Х. Кесиди. От мифа к логосу, М., «Мысль», 1972, стр. 50, 51.

⁹ კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკისათვის, თბ., სახელგამი, 1953, ვე. 296.

გადი იდეა და კერძო გრძნობადი სახე, ფანტასტიურ-სასწაულებრივი და ჩვეულებრივი ერთმანეთს ნივთობრივად ემთხვევიან. ვ. ი. ლენინი მითოლოგიაში ხედავდა „პირველყოფილ იდეალიზმს“, რომლის მიხედვით „...ზოგადი (ცნება, იდეა) არის ცალკეული არსება¹⁰.“ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველგვარი იდეალიზმი გაფაქიზებული ხუცობაა, გზაა რელიგიისაკენ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ხოლო „პირველყოფილი იდეალიზმი“ გულისხმობს რელიგიურ-მითოლოგიური წარმოდგენების ამა თუ იმ ძირითადი დებულების, უწინარეს ყოვლისა კი, მიცვალებულთა სულებისა და არამატერიალური, ზებუნებრივი ძალების შესახებ ანიმისტური შეხედულების განმტკიცებასა და განვითარებას, მაშინ უნდა შევნიშნოთ, რომ მკვეთრად გამოყალკვებულად თითქმის არ არსებობენ რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები; ყოველ შემთხვევაში, დღემდე მოლწეულ მითებში მაინც ისინი უმეტესად ერთმანეთშია შერტყმული. რელიგიური და მითოლოგიური ელემენტების ასეთ შერტყმასთან დაკავშირებით, მ. ი. შახნოვიჩი (რომელსაც ეთანხმება გ. პ. ფრანცივიც) აღნიშნავს: „როდესაც მითოლოგია შებოჭილია ზებუნებრივისადმი ბრძან რწმენით, წარმოადგენს რელიგიური იდეოლოგიის შემადგენელ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს და განუყრელად დაკავშირებულია ღმერთების თაყვანისცემასთან, კულტთან, შეს-ჩვეულებებთან, შელოცვებთან და სხვ., მაშინ ამ შემთხვევაში დამახინჯებულ წარმოდგენათა ქსელში ჭანსალი ხალხური შემოქმედება მხოლოდ ჩანამატია და დათრგუნვილია. საწინააღმდეგო სურათს ვამჩნევთ იმ მითებში, რომლებშიც რელიგიური წარმოდვერები ჩანამატია ჭანსალი ხალხური ფანტაზიის სახეებიან ქსოვილში“¹¹.

„ამირანი“ ისეთი მითოლოგიური თქმულებაა. სადაც „ჯანსალი ხალხური ფანტაზიის სახეებიან ქსოვილში“ რელიგიური ელემენტები ჩანამატი და არარსებითია. ვაჟა-ფშაველამ თქმულების ჭანსალი მარცვალი აიღო, ახლებურად გაიაზრა და ახალ შემოქმედებით „ნიადაგზე დათესა“¹². პოეტმა მითოლოგიური გმირის — ბოროტ ძალებთან, წარმართულ და მონოთეისტურ ღმერთებთან მებრძოლი ამირანის სახე თავისი თანამედროვე სოციალური ბოროტების, კერძოდ, რელიგიური ცრურშენის წინააღმდეგ მიმართული პროტესტის, თავისუფლებისათვის ადამიანთა ბრძოლის სიმბოლოდ წარმოსახა და წმინდა ადამიანური შინაარსით აღჭურვა.

ამირანის სახის დემითოლოგიზაცია და ანტირელიგიური ხასიათი განსაკუთრებით გამოკვეთილია პოემაში „მთათა ერთობა“¹³. საყურადღებო ფაქტია — საღვთო წიგნების მემკვიდრედ ავტორს სვავი გამოჰყავს, რომელსაც ათქმევისებს: „იქ ერთხელ მწირი ცხოვრობდა; დაბლა ის იყო, მაღლა მე... მოკვდა და იქვე დაეფლო გრკალად მოხრილი წელშია. ნე დამრჩა, როვორც მემკვიდრეს, მთელი იმისი ქონება... არა მჭირდება ღონება წერილის მისაწერადა, თუ სადიდებლად უფლისა, ანუ თქმა „მამაო ჩვენოს“, საკურთხებელად სუფრისა“¹⁴. ავტორი ღვთის მოსავი მწირის იმედების სრულ ილუზორულობას გვიჩვენებს და ამირანს საღვთო წიგნების, საერთო, სვავად პერსონიფიცირებული მონოთეისტური რელიგიის ინსტიტუტის წინააღმდეგ და ადამიანთა

¹⁰ ვ. ი. ლენინი. თხ. ტ. 38, გვ. 384.

¹¹ Г. П. Францов. Научный атеизм. М., «Наука», 1972, стр. 261.

¹² ვაჟა-ფშაველა. თხ. ტ. 9, გვ. 307.

¹³ ვაჟა-ფშაველა. თხ. ტ. 4, გვ. 179.

ერთობის სასარგებლოდ მიმართავს, როდესაც ათქმევინებს: „დაკარგეთ მან-დით ეგ უშნო, წაიღოს თავის ხელობა; ცოდვა არ არის ბრჭყალითა მაგანა გიჯგნოს ერთობა?“. პოემის დასკვნითს ნაწილში ამირან თვით ღმერთის არ-სებობის უარყოფის საშუალებად არის გამოყენებული. ღვთისადმი სულთა ვედ-ჩებას იმის შესახებ, რომ დაჩაგრულ ადამიანებს ნუგეში სცეს და ქვეყანაზე გამეფებული უსამართლობა დათრგუნობა, ამირანი პასუხობს: „ყველამ თავის თავს უშველოს, ყოფნამ სხვის შველის ამარა მე არა მარგო, ნაღველმა მხო-ლოდ გულმკერდი დაღარა. ძალის შეძენა ვეკველის მეც და სხვას, ვინაც ტანჯულა მართლა, თუ უსამართლოდა, სხვა არა გამონახულა მის გარდა სა-შუალება“.

პოემაში ჩართული ამირანის სახე ქრისტიანულ და, საერთოდ, მონოთეის-ტურ რელიგიებს უპირისპირდება. ცნობილია, რომ ერთმანეთს დაუპირისპირ-დნენ წარმართული და მონოთეისტური რელიგიებიც. მაგრამ, რასაკირველია, ამირანი წარმართული სარწმუნოების პოზიციებზე არ დგას.

ვაკას ამირანი არ დგას წარმართი ფშავ-ხევსურების პოზიციებზე, რო-მელთა საშაჟაროში უმეცერება, ცრუმორწმუნოება დაფარფაშობს და უბირ მთი-ელს ბუნებაში „ყველაფერი, ხილული და უხილავი... ცრუმორწმუნეობის საგ-ნად გაუხდია“, „ღმერთსაც და ხატსაც თავის სარგებლობის გულისათვის ევე-ჩება“ და პგონია, რომ „დედამიწა ვეშაპის ზურგზეა დაფუძნებული“¹⁴. წარ-მართული რწმენის წარმოშობისა და არსებობის მიზეზებს ვაკა-ფშაველა ადა-მიანთა განვითარების დაბალი დონითა და შესაბამისი მატერიალური ცხოვ-რების პირობებით ხსნის. ადამიანთა ცხოვრება — „კუზიანი“, ბრმა, ჯობე დაბჯენილი მათხოვარა ბებერი“, რომელსაც საკუთარი წესი და რიგი აქვს. ადამიანთა, მათ შორის, წარმართთა გონებრივი საქმიანობის ობიექტური სა-ფუძველია¹⁵.

ვაკას ამირანი მონოთეისტურ ღმერთს არც იმ ველური, კაციჭამია გოჩის პოზიციებიდან უპირისპირდება, რომელიც ბუნებას, მის მოვლენებსა და სავ-ნებს გასულიერებულად აღიქვამს, ქარი ცოცხალი არსება პგონია და მას მუშ-ტით ემუქრება, ბუნებას ქერ არ გამოყოფია, ნახევრად ცხოველია და დარწ-მუნებულია, რომ ადამიანის გულისა და თვალების შეჭმით ორმაგად გულადი და მხედველი გახდება¹⁶. დიდი ქართველი პოეტი თავის მრავალ ნაწარმოებში ბუნების, მისი საგნებისა და მოვლენების პერსონიფიცირებას ახდენს, რაც ადამიანთა თვითშეცნობის, ესთეტიკური აღქმის, პოეტური ტკბობის საშუალე-ბაა და არა მათი ცოცხლად არსებობის დადასტურება.

ვაკას ამირანი არც გაიდალებული წარმართია, არამედ დევ-ქაჩებად გა-დაცმული, გაბატონებული სოციალური ძალების მიერ მიჯაჭული გმირია, რო-მელიც ქართველი მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის, მტარვალთაგან წართმეული ბედნერების დაბრუნებისათვის, წოდებრივი განსხვავების მოს-პობისათვის იბრძების¹⁷. ვაკა ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „საშინელება!... მაგრამ ვითმენ იმიტომ, რომ არც უნდა ვეცადო, ლოდებს ხმას ვერ ამოვა-ლებინებ, ენას ვერ ჩავუდგამ... იმათ მაგიერ მე მოვყები ყბედობას, ვითომ ისინი ლაპარაკობენ.. და ამით ჩემ თავს ვატყუებ“. და იქვე გონებამახვილუ-

¹⁴ ვაკა-ფშაველი. თხზ. ტ. 6, გვ. 74, 78; ტ. 10, გვ. 67.

¹⁵ ვაკა-ფშაველი. თხზ., ტ. 9, გვ. 193, 296, 393; ტ. 10, გვ. 90.

¹⁶ ვაკა-ფშაველი. თხზ., ტ. 5, გვ. 37—40.

რად უმატებს: „ჭკვათმყოფელი ადამიანი თავს ტყუილით არ დაუწყებს კვებას, სინამდვილეს პასუხს გასცემს. სინამდვილე რაღა ხილია?“

ჩვენი აზრით, ეს კითხვა, სხვა მოტივებთან ერთად, გულისხმობს ადამიანისა და გარემომცველი სინამდვილის ურთიერთმიმართებას, ბუნების როგორც გარემომცველი ობიექტური სინამდვილის გაგებას, სამყაროში ადამიანის ადგილის გარკვევასა და რელიგიური წარმოდგენების რეალურად არსებობა — არ არსებობის საკითხს. ვაჟას აზრით, სინამდვილე „ის, რასაც თვალით ნამდვილად ცველა ეხედავთ და რაც უურით გვესმის; ისიც კი უნდა ჩაითვალოს სინამდვილედ, რასაც ნახულისა და გაგონილის გამო ვგრძნობთ. მაშასადამე, სინამდვილეა ცხოვრება ჩვენი და მისი პირობანი, აგრეთვე ისინი, ვისაც ჩვენ ვხედავთ, ვისთანაც ჩვენ ასე თუ ისე დამოკიდებულება ვვაქვს. და თვით ბუნება გარემო ჩვენსა“. სინამდვილეა ცხოვრებისა და ბუნების მოვლენები, — ეს სინამდვილე ადამიანის გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს და შთაბეჭდილებს იწვევს; ამ სინამდვილის გარეშე არაფერი არ არსებობს, არარაობაა, არარაიდან კი მხოლოდ არარა წარმოსდგება¹⁷. აქ გარკვევით არის მინიშნებული მატერიალური სინამდვილის ობიექტურ რეალობად არსებობა, რომელიც სუბიექტის გრძნობათა ორგანოებზე მოქმედებს, შეგრძნებებში ეძლევა. რასაც ვ. ი. ლენინი ფილოსოფიურ მატერიალიზმს, ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტურ გადაწყვეტას უკავშირებს¹⁸. სინამდვილის გარეშე კი არარაობაა და, მაშესადამე, ყოველგვარი ზებუნებრივის არსებობაც არარაობაა.

პოემაში ამირანი არა მარტო ღმერთს, რამედ თვით პერსონიფიცირებულ ბუნებას უპირისპირდება. იგი მთებს უსაყვედურებს:

„რამდენჯერ აღვებული გაგზავნეთ აქით ხევები,
რამდენი კაცი დაარჩო, რიყედ აქცია ველები..
ბევრს დაუქცია სახლ-კარი, შლამით აუვსო ქვევრები.
თუ საფშე სამართალია თქენენცა ხართ და ასე ასე ბევრები.
ვაი რომ შებორკილი ვარ, მტარვალია კელარ შევები,
თავის ნებაზე მაშინა ვერ გატარებდნენ დევები..“

საყურადღებო აზრია. მთებს დევები ატარებენ თავიანთ ნებაზე. წარმართისათვის ეს დევები ბუნების საგნებსა და მოვლენებში ჩასახლებული სულება. ამირანი ამ ცრუმორჩმუნეობრივ წარმოდგენების მოსპობას ცდილობს, რათა ბუნებას თავისი ნება, თავისუფლება და თავისი ნამდვილი შინაარსი დაუბრუნოს. არც ზეციურ ძალებს როგორც ილუზიორულ წარმოდგენებს, არც „უნივერს“ ბუნებას და მის მოვლენებს, რომლებიც „არც ავს ამბობენ, არც კარგსა“ — არ ძალურ დააკმაყოფილონ ვედრება: „თავისუფლების გვირგვინი დაადგი კარგის მცველადა, დათრგუნე უსამართლობა, გამეფებული ქვეყნადა“. ეს შეუძლია მხოლოდ თვითონ აღმიანურ ახალ ძალას, რომელსაც ვაჟა მიჭაჭული ამირანის სახით წარმოსახავს და, წამოიძახებს: „უნდა უფალოთ ამირანს, გამოუშვებენ მანამდე“.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პოეტს სურს ბუნების უსულო საგნები და მოვლენები აალაპარაკოს. ასეთ სურვილს სხვა წერილშიც ქვედებით: „თუ გძინავს, გაიღვიძე, — ეუბნება ვაჟა ლოდს, — თუ გლვიძავს, დაიძინე, ერთი

¹⁷ ვაჟ ა-ფ შაველა. თხზ., ტ. 9, გვ. 193-194, 260, 407.

¹⁸ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 330.

რამ ქმენი, აბა რას უგდიხარ ეგრე თხრად და ტიალად? რას ჰგავს შენი ყოფნა? ვაცქერდები, თოქოს დამცინის და მეუბნება: „შენ მოჰკვდები, მე კი ისევ ესრე ვიქნები აქ დარბაისლურად წამომჭდარი და გამვლელ-გამომვლელი მნახავს, მზე გამათბობს, ცის ნამი დამნამავსო!“ პაი, ბეჩავო, ბეჩავო, არც ერთი არ არის შენთვის! ეს მხოლოდ ჩემი ოცნებაა, მაინც მკვდარი ხარ, მაინც შენ ვერაფერსა ჰგრძნობ და კიდეც ეგ მიკლავს გულას, მხოლოდ კი ხარ, არსებობ და განა მე კი არ ვიქნები მკვდარი? მაგრამ დღეს რომ ცოცხალი ვარ, — ეს მეტი მაღლია ჩემთვის ლვთისაგან მონიჭებული და ვცდილობ სიცოცხლე რა-შემე გამოვიყენო. ვიქრობ, ვგრძნობ, მიყვარს, მძულს და კაცი მქვიან, დიალ კაცი საუკეთესო ბუნების წევრი ვარ¹⁹.

რასაკვირველია, ბუნების წარმართული გაგება — მისი საგნებისა და მოვლენების გასულიერებულად არსებობა უარყოფილია. ფიქრი, შეგრძნება, სიყვარული, სიძულვილი ცნობიერებაზე მიუთითებს და შხოლოდ ადამიანს ახასიათებს. საგნები და მოვლენები შეიძლება გასულიერებული იყოს იმდენად, რამდენადც მათ ადამიანის ფანტაზია გაასულიერებს, ე. ი. ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია. წარმართის რწმენით, საგნები დ მოვლენები გასულიერებულია, იგი მათ თაყვანისცემის ობიექტებად აქცევს, ასეთი გზით თავისივე გულის-თქმით ანთებულ სურვილებს ილუზორულად იქმაყოფილებს და ბუნების ძალებისაგან დათრგუნვილი სინამდვილესაგნ მოწყვეტილ თავისივე ტვინის ნაყოფს სრულ მორჩილებას უცხადებს. კ. მარქსის სიტყვებით, აქ ადამიანის ტვინის პროცესუატები წარმოგვიდგებიან დამოუკიდებელ არსებებად, რომელთაც მინიჭებული აქვთ საკუთარი სიცოცხლე და გარკვეულ ურთიერთობას ამყარებენ ადამიანებთან და ერთმანეთთან²⁰.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვაჟას ბუნება თავისთავადია, მატერიალური სინამდვილეა და სუბიექტს შეგრძნებებში ეძლევა. ეს ბუნება ყველაფერს მოიცავს, ყველა საგანი და მოვლენა მასშია, მაგრამ ისე კი არა, როგორც ჭურჭელში ჩაყრილი ნივთები. საგნები და ბუნება დიალექტიკურ ერთიანობაშია. ყოველი საგანი და მოვლენა ბუნებაშია, ბუნება ყოველ საგანსა და მოვლენაშია და ყოველ მათგანში თავისებურად მეღავნდება. ეს გამომუღავნება — ქმნადობა უსასრულოდ მრავალსახოვნად ხდება. ადამიანიც ბუნების ნაწილია, ბუნებაშია, მაგრამ ბუნებაც ადამიანშია, მასში თავისებურად გამომუღავნებულია. მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნება გაუსულიერებელია, როდესაც უსულო საგნებშია, და გასულიერებულია, როდესაც ადამიანში მეღავნდება. შეგნიშნავთ, რომ ვაჟა არ ხდის პრობლემად, ადამიანი მარატიულად არსებობს, თუ ბუნების განვითარების გარკვეულ საფეხურზე წარმოიშვა. ახლა სრულიად გასაგებია ვაჟას სიტყვები, რომ ბუნებას „თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინისად ექნება?“ და მაინც „თვალისლულიც არის და ბრმაც ერთსა და იმავე ღროს“, „აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრში მოსდის, უნაკლო არც იგია“, ცხადია, იმიტომ, რომ ადამიანიც უნაკლო არ არის. ბუნება ვაჟას ღმერთამდე არ აუმაღლებია, იგი ღმერთის ფუნქციებათ არ აღუჭურვია. ვაჟა არ არის პანთეისტი, არამედ პანთეისტურია ის სამყარო, რომელსაც პოეტი თავისი შემოქმედების მასალად იყენებს. მართალია იგი ბუ-

¹⁹ ვაკე-ფშაველა. თხ. ტ. 10, გვ. 114—115.

²⁰ К. Маркс и Ф. Энгельс. Об атеизме, религии и церкви. М., «Мысль», 1971, стр. 375.

ნების გონიერებაზეც ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ბუნების „წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩენ გვაკოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრით აღმატება“. ვაჟა-ფშაველა ისასაც წერს, რომ შინაგანი მოქმედება და „აზრი გაზაფხულისა მხოლოდ და მხოლოდ განგრძობაა სიცოცხლისა. მიზანი მისი ალბათ დიდებულია, თორემ ასე დიდებულად, ასე საამოდ, სულისა და გულის დამატევევებელ სურათებში არ იქნებოდა გახევეული!... ლამაზი, მიმზიდველი არაფერია სხვა, თვინიერ სიცოცხლისა; ტურდა, მშვენიერი, ბუნების ამოდენა გარდაქმნა — ცვალება-ობაში, არა რა არს გარეშე გაზაფხულისა... გაზაფხული მქონელი, მშობელია სიცოცხლისა“²¹.

ბუნების ე. წ. „გონიერი მოქმედება“ და „დიდებული მიზანი“ გაცნობიერებულ მოქმედებას კი არა, არამედ მიზანშეწონილ უნარიანობას გულისხმობს, რასაც მარქისიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებიც ადასტურებენ²². საკითხი გნოსეოლოგიურ ასპექტშია გადატანილი. რაც მთავარია, ვაჟა პოეტია; იგი იმდენად პოეტურია, რომ პუბლიცისტურ წერილებშიც კი თავის აზრებს უმეტესად დიდებული მხატვრული შედარებებით გადმოსცემს; მისთვის ბუნება ესთეტიკური აღმისა და გაზრდების ობიექტია, პოეტური შედარებების ამოუწურავიწყარია და მას ადამიანთან მიმართებაში განიხილავს. კ. მარქსი წერს, რომ „ათეიზმი ღმერთის უარყოფაა და ადამიანის ყოფას სწორედ ამ უარყოფის მეშვეობით ამტკიცებს“. გადაჭარბებული არ იქნება აღნიშნოთ, რომ „ამირანის“ დემითოლოგიზაციის გზით ვაჟა ცდილობს ადამიანსა და გარემონცველ სინამდვილეს რელიგიის მიერ მიტაცებული მათი შინაარსი დაუბრუნოს, ადამიანმა თავისი ადგილი მიწიერ სამყაროში მონახოს, განსაზღვროს და დაადგინოს. ამასთან, ამ გრანდიოზულ ცდის მკვეთრად გამოხატულ სოციალურ ხასიათს ანიჭებს. რასაცირველია, ვაჟას ამირანი მითოლოგიური პერსონაჟი არ არის. მასთან სულიერი მისწრაფებების, მათი ადამიანური შინაარსის გადმოცემასა და რელიგიური რწმენის უარყოფას ემსახურება. ავტორმა მითოლოგიური ამირანი თავისებურად გადამუშავა, ადამიანური განცდებით აღჭურვა და ადამიანის მიერ საკუთარი ძალების, თავისი თავის შეცნობისა და დადგენის საშუალებად გარდაქმნა. „ადამიანი, — აღნიშნავს ფ. ენგელსი, — საკუთარ არსებას რელიგიაში ჰყარგავდა, თავის ადამიანობას თავისთავისაგან აუცხოებდა... მას შეუძლია თავისი ადამიანობა, თავისი არსება კვლავ დაიბრუნოს მხოლოდ იმით, რომ ყველა რელიგიური წარმოდგენა ძირეულად გადალახოს და გაბეჭდულად, გულწრფელად დაუბრუნდეს თავის თავს და არა „ღმერთს“. ყოველივე ეს აქვს გოეთეს... მხოლოდ ადამიანური იყო მისი სტიქია, და ეს ადამიანობა, რელიგიის ბორჯილებისაგან ხელოვნების ეს განთავისუფლება შეადგენს კიდეც გოეთეს სიღიადეს“²³. ვაჟა-ფშაველამ გოეთეს ეს სიღიადე შენიშნა, და ეს არის მისი სიღიადეც.

დემითოლოგიზაცია, ზებუნებრივის რწმენის უარყოფა და რელიგიური ილუზორული წარმოდგენებისაგან ადამიანის განთავისუფლება შესანიშნავი ცოცხალი მხატვრული ფერებით მოცემულია ვაჟას პოემაში „ხის ბეჭი“, რომ-

²¹ ვაჟა-ფშაველი. თხზ., ტ. 9, გვ. 383—384, 395-396.

²² იხ. ფ. ენგელსი. შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გადაცევის პროცესში. თბ., 1973, გვ. 15.

²³ К. Маркс и Ф. Энгельс. Об атеизме, религии и церкви, стр. 42, 79.

ლის მასალად, თ. ოჩიაურის აზრით, პოეტმა რელიგიურ-მითოლოგიური თქმულება „ხეჭეჭა“ გამოიყენა²⁴.

როგორც აღნიშნეთ, მითოლოგიური და რელიგიური იგივეობრივი არ არის, ყოველ შემთხვევაში, მითოლოგიისა და რელიგიის ურთიერთობის შესახებ მრავალი მოსახრება არსებობს, რომლებიც მათს სხვადასხვაობას და მრავალ თქმულებაში ორივე ამ ელემენტის ურთიერთშერწყმას მიუთითებენ. „ხეჭეჭა“, რომელიც ვაჟამ თავისებურად გადაამუშავა და მას ახალი შემეცნებითაღირებულება შესძინა, ასეთი რელიგიურ-მითოლოგიური თქმულებაა: უწინარეს ყოვლისა, მითოლოგიურ თქმულებაში მთავარი პერსონაჟის — მონადირე ბათირას ყოველი მოქმედება გაპირობებულია მფარველი „ეშმაკის“ ნებით, დარიგებით და იღბლიანი ნადირობის სურვილით²⁵.

ნადირობა ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საარსებო დარგია პირველყოფილი თემური წყობილების დროს. მართალია, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, ნადირობა არსებობის ერთადერთ წყაროდ არასოდეს ქცეულა, მაგრამ როგორც ერთ-ერთ საარსებო წყაროს ხანგრძლივი დროით, ყოველ შემთხვევაში, პირველყოფილი საზოგადოებრივ ურთიერთობათა პირობებში უნდა შემოენახა თავისი მნიშვნელობა, რასაც ფშავ-ხევსურეთის მაგალითებიც ადასტურებენ. ნადირობა როგორც პირველყოფილი ადამიანის საარსებო მოქმედება რეალურად არსებობდა, სინამდვილეა, რომელიც დამახინჯებულად ასტახა რელიგიურ-მითოლოგიურ თქმულებაში. ბათირას მიერ ჭიხვის მოკვლა-არმოკვლას მისი მფარველი ეშმაკი (უფრო ზუსტად, ნადირთა პატრონი) განაპირობებს. ასე სწავის პირველყოფილ ადამიანს, რადგან ასე განაპირობა მისი ცხოვრების პირობებში; იგი მატერიალური სახით წარმოდგენილი ზოგადია, ე. ი. „ზოგადი.. არის ცალკეული არსება“. ბათირას მფარველი ეშმაკი (და დანარჩენი ეშმაკებიც) არ არის ბოროტი სული, მაგრამ, იგი არც კეთილი სულია. მართალია ბათირას ჭიხვები მოაკვლევონა, მაგრამ მხოლოდ დათქმული პირობის შესრულების შედეგად. თუ ამ პირობას არ შეასრულებდა, შეიძლება მისთვის ევნო კიდეც. ე. ი. თქმულებაში ზებუნებრივი ძალები ჯერ კიდევ კლასიფიცირებული არ არიან კეთილ და ბოროტ სულებად და საზოგადოებრივი განვითარების მეტად აღრეულ საფეხურს მიგვანიშნებენ. თქმულებაში, მაინც და მაინც, ნადირთა პატრონისადმი საკულტო თხოვნა-ველრება არ ჩანს.

ამასთან დაკავშირებით, საყურადღებო მოსაზრებებს გამოიქვამს აკადემიური გ. პ. ფრანცოვი: „მითოლოგიის ერთ-ერთი თანამედროვე კვკლევარი.. შემდეგ მითს გადმოსცემს: „ეს დიდი ბორცვი რატომ არის პეიზაჟის ცენტრში? პასუხი: ოდესლაც გიგანტები არსებობდნენ და ერთხელ მათ შექმნეს ის (პეიზაჟი — შ. ეს.), ქვიშის გროვა ერთ მათგანს დაუცვიდა“. მაგრამ თუ მითი არ მთავრდება, თუ მისგან არავითარი საწეს-ჩვეულებო მითითება არ გამომდინარეობს, თუ იგი რწმენასთან დაკავშირებული არ არის, მაშინ ის რელიგიური ფანტაზიის ნაწარმოებად რატომ უნდა მივიჩნიოთ? იმიტომ, რომ იგი

24 ვაკა-ფშაველა თხზ., ტ. 3, გვ. 238.

25 ვაკა-ფშაველას ხსოვნისადმი მიღვნილი კრებული. თბ., 1966, გვ. 233.

ჰერც სხვა მითებს, რომელიც... დაკავშირებული არიან წეს-ჩვეულებებთან,— ასეთა დასმული კითხვის ერთადერთი პასუხი²⁶.

ჩვენი თქმულება არა მარტო ჰერც გადმოცემას, რომელიც შეიცავს ნა-ლირთა პატრონისადმი მიმართულ რელიგიურ რიტუალს, არამედ მიზანშეწო-ნილი იქნება ვიფიქროთ, რომ ეს რიტუალი წინ უსწრებდა ბათირას მიერ „ეშ-მაკია“ მფარველობის უსიტყვო აღიარებას და ეს მფარველობა-ურთიერთობა ასეთი რიტუალის შედეგია (იგი შეიძლება დაჩრდილა წმინდა მითოლოგიური ხასიათის ამბავი).

მითოლოგიურ თქმულებაში განსაკუთრებით საყურადღებოა ბეჭის ძვლის საკითხი: იგი ძირითადი და წმიუგანი ელემენტია როგორც თქმულებაში, ასე-ვე ვაჟა-ფშაველას პოემაში; ამასთან, საკმაოდ გავრცელებულია ცრულწმენა ძვალზე ადამიანის ბედის წინასწარმეტყველური ამოკითხვის შესახებ, რომე-ლიც ჯადოქრობასთან არის დაკავშირებული და ფეტიშურ ან, სავარაუდებე-ლია, ადამიანისა და ცხოველის შორეული ტოტებური ერთიერთობის გამო-ნაშთებსაც მიანიშნებს. ექიმი გ. თედორაძე გადმოგვცემს, რომ სევერულებში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ბეჭის მკითხაობა: „როდესაც საქონლის პატრონი ნაღიმს, ლხინს იხდის, ის თავის საკუთარ ცხვარს, თხას. ან ხარ-ძრო-ხას ჰყლავს, საკლავის პატრონი დაინტერესებულია უფრო მისი ბეჭის გაჩხ-ჩერებაში, რომ გაიგოს მისი ოჯახური მდგომარეობა, მოელის თუ არა მას რაიმე ხიფათი საქონლისა, მოსაცლისა, ან და ადამიანის მხრივ... ეს ცრუმორწმუნე-ობა მეტის-მეტად ძირგადგმულია მთაში“²⁷.

ბეჭის ძვალზე მკითხაობა მანტიკის ერთ-ერთი სახეა და ზებუნებრივი ძალების დახმარებით ადამიანის მომავალი ბედის წინასწარმეტყვილობას გულის-ხმობს, რაც, თავის მხრივ, მიწიერ სინამდვილეზე გაბატონებულ ზებუნებრივ ძალებთან ცალკეულ პირთა დაკავშირებასაც გულისხმობს. ბათირა „მფარველ ეშმაკს“ უკავშირდება, მისი მითითების შესაბამისად მაგიური ტაბუს დაცვით, გაფეტიშებული ბეჭის ძვლის მალული შენახვით ზეგავლენას ახდენს ზებუ-ნებრივ ძალებზე და აიძულებს მათ დააკმაყოფილონ მისი სურვილება. ასე-თია ფშავლისა თუ ხევსურის რწმენა, რომელთა ფანტაზიის აპილპილება მა-ტერიალურად ხელშესახებ ნივთს — ბეჭის ძვალს ფეტიშური თვისებებით აღჭურავს. კ. მარქსი შენიშნავს, რომ „გულისთვემით ანთებული ფანტაზია ფე-ტიშისტის უქმნის ილუზიას, თოთქოს „უგრძნობ ნივთს“ შეუძლია თავისი ბუ-ნებრივი თვისებები შეიცვალოს მხოლოდ იმისათვის, რომ დააქმაყოფილოს მისი უინი“²⁸. ამასთან თქმულებაში ბეჭის ძვალი მაგიურ საგნად არის ჰყეუ-ლი, მონადირის სურვილის დაკმაყოფილება მაგიური ხერხითა და ეშმაკის მფარველობით ხორციელდება და, რასაკვირველია, იგი მაგიზმისა და ანიმიზმის ელემენტებსაც შეიცავს. მისი „დამახასიათებელი ნიშანია რწმენა, რომ ადა-მიანს აქვს უნარი თავისი საკუთარი მოქმედებით, ჯადოქრული მეთოდებით მიაღწიოს დასახულ მიზანს... მაგრამ ყოველგვარი მაგიური რწმენა დაკავშირე-ბულია მეტად თუ ნაკლებად გაცნობიერებულ წარმოდგენასთან, რაღაც რაგი-ური, ზებუნებრივი ძალების შესახებ. ეს გაცნობიერებული წარმოდგენა ანი-

26 Г. П. Францов. Научный атеизм, стр. 259—260.

27 გ. თედორაძე. ხუთი წელი ფშავ-ხევსურებაში. თბ., 1930, ვ. 45, 47.

28 К. Маркс и Ф. Энгельс. Об атеизме, религии и церкви, 1971, стр. 26.

მიზმის მომენტია, რომელიც ერწყმის მაგიზმს²⁹. ასეთი ზებუნებრივი ძალაა ბათირას მფარველი ეშმაკი, რომლის დახმარებით ბუნების საგანი — ბეჭის ძვალი — ზებუნებრივი თვისებებით აღიჭურვება და მონადირის სურვილების დაკაყოფილების მაგიურ საშუალებად გარდაიქმნება.

უევნიშნავ, რომ ოქმულებაში ანიმიზმის, მაგიზმისა და ფეტიშიზმის ელემენტების შერწყმაა და მთავარ როლს ანიმისტური სული (ეშმაკი) ასრულებს. კ. მარქსის თქმით, „ფეტიშიზმი ერთობ შორს არის იმისაგან, რომ ადამიანი ამაღლდეს მის გრძნობით გულისთქმებზე, — ის, პირიქით, „გრძნობით გულისთქმათა რელიგიაა“³⁰. მაშასადამე, ბეჭის ძვალს თავდაპირველად ფეტიშური (და შაგიური) თვისებები უნდა მინიჭებოდა. ანიმისტური სულები კი, რომლებიც მოვგიანებით წარმონაქმნ და ადამიანთა „გრძნობით გულისთქმებზე“ ამაღლების საწყის ნაბიჯად მიმაჩნია, მათ შეერწყნენ, მაგიური შეიგუეს, ხოლო ფეტიშური შეავიწროვეს. აქ პირველყოფილ ადამიანთა „წარმოსახვის დახმარებით“ ბუნების რეალური საგნები და მოვლენები დაძლეული, გარდაქმნილი, განპიროვნებული, გასულიერებული და გაცოცხლებულია ანიმისტურ სულებად და განუსხვავებელია შინაგანი და გარეგანი, სუბიექტური და ობიექტური, ასასახი და ასახული, ყველაფერი ზღვარწაშლილი და ამავე დროს „ადამიანურია“. მაგრამ ბუნებასა და ადამიანს თავიანთი ნამდვილი შინაარსი დაკარგული აქვთ.

პირველყოფილ ადამიანთა გულისთქმით ანთებული ფანტაზიის შეირჩევენ მითოლოგიურ-რელიგიურ თქმულებაში ბუნების საგნის (ბეჭის ძვალის) გარდაქმნა, მისთვის ზებუნებრივი თვისებების მიწერა და ამის შედეგად საკუთარ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება ფატალისტური ხასიათისაა. ბედი თუ ფატუმი, — რომელიც „მფარველი ეშმაკის“ სახით არის პერსონიფირებული და რომელსაც უსიტყვოდ, ბრძად ემორჩილება მონადირე, — წინასწარი აუცილებლობით განაპირობებს, გარდაუვალს ხდის სურვილის აღსრულებას. აქ ბათირას ნებისყოფის თავისუფლება, გარემოზე მისი რაიმე აქტიური, მიზანდასახული, გარდამქმნელი შესაძლებლობა გამორიცხულია, მონადირე უაქტიურად ბრძად ბედისწერის ხელში. იგი ბედისწერით დაპროგრამებული არსებაა, რომლისთვისაც ადამიანური განცდები, განწყობილებანი, სიცოცხლის მაუწყებელი ცხველმყოფელი მოქმედება სრულიად უცხოა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მითის ფატალისტური ხასიათი არ არის ცალკეული, ლოკალური მოვლენა, არამედ იგი საერთოდ ფესვგადგმულია ვაჟა-ფშაველას დროინდელი მთიელების სულიერ ცხოვრებაში. ვაჟა-ფშაველა ეთნოგრაფიულ წერილში „ფშაველები“ აღნიშნავს, რომ ფშაველი ფატალისტია: კაცს, რაც შუბლზედ აწერია, ის არ ასცდება; კაცი უმწერლოდ, ე. ი. თუ არა წერით, არ მოკვდება“. ამასვე აღნიშნავს ვაჟა „ფშაველების ამაოდ — მორწმუნეობაში“: „უმწერლოდ კაცი არ მოკვდებაო“, ამბობს ფშაველი. დაბადების დღესვე დაუწერს ღმერთი, თუ კაცი რით, ან როგორ უნდა მოკვდეს, როგორ უნდა ატაროს ცხოვრება“. ამის შემდეგ ავტორი საკმაოდ გონებამახვილურად გაღმოგვცემს ფშაველის წარმოდგენას ბედისწერის შესახებ: „ბედი და უბედობა კაცისა „საათზეა“ დამიკიდებული. კარგ საათზე დაიბადება კაცი, კარგად წავა

²⁹ ვ. ვაბიძაშვილი. წიგნში — „მეცნიერული ათეიზმის ძირითადი სკიმები“, თბ., 1972, გვ. 46.

³⁰ К. Маркс, Ф. Энгельс, В. И. Ленин о религии. М., Политиздат, 1975, стр. 31.

4. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1976, № 3

იმისი საქმე, იბლიანი იქნება, ავზე დაიბადება — ივად. რა არის კარგი საათი? კა საათია ისა, რომ როდესაც ღმერთი ან ანგელოზი კარგ გუნდებაზე არიან, მაშინ ცუდად არ დასწერენ „კაცის ბოლოს“. ივა საათია ის, რომ როდესაც ღმერთი და ანგელოზები გაფარებულები არიან, მაშინ დაბადებულის სახელსა და „ბედბოლოს“ კაცია სახელების წიგნში ივად ჩასწერენ“³¹. ძნელი არ არის შევამჩნიოთ, რომ ვაჟა-ფშაველა აქ გარკვეულად ემიგრება ფატალისტურ დეტერმინიზმს, რომელიც სინამდვილეში თავისთვის უარყოფა და წმინდა შემთხვევითობაზე დაყვანაა. მართლაც, ბედისწერით წინაშარ გაპირობებული მკაცრი ფატალისტური დეტერმინიზმი აბსოლუტურად დამოკიდებულია იმაზე, თუ „რა გუნდებაზე არიან“ ღმერთი და ანგელოზები ადამიანის დაბადების დროს. „აუცილებლობის ამგვარი გაგებით, — აღნიშვნავს ფ. ენგელსი, — ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვცილდებით ბუნებაზე თეოლოგიური შეხედულების ფარგლებს“³².

„ხეჭეჭას“ რელიგიურ-მითოლოგიურ თქმულებაში, რომელიც რეალურად არსებული საგნებისა და მოვლენების თავისებური ასახვის ცდას წარმოადგენს, იდები და საგნები იგივეობრივი, გასაგნობრივებული და პერსონიფიცირებულია, მასში უსულო საგანთა და ცოცხალ ასახბათა შორის განსხვავება გაუცნობიერებულია. თქმულების მთავარი გმირი ბათირა რელიგიურ-მითოლოგიური პერსონაჟია. იგი ბუნებისაგან გამოუყოფელია, გასულიერებულ საგნებსა და მოვლენებს ორგანულად შეერწყმის. და მათთან ერთად პარმონიულ მთლიანობას ქმნის. ბათირას ანიმისტური სულების ნადიმზე ჩაეძინება და კვლავ სასწაულების სამყაროში გამოეღვიძება. იგი მფარველი ანიმისტური სულის მიერ დაწესებულ ტაბუს იცავს. გადამალული ბეჭის ძვლის დამარებით (სწორედ ეს ბეჭია ზებუნებრივი თვისებებით აღჭურვილი) ხესბეჭიან ჯიხვს მოჰკვავს... პირველყოფილი დამაიანი ამ სასწაულებს ნამდვილ ასებულად წარმოსახვავს. ამ წარმოსახვაში იგი ბათირას სახით ბუნების ძაღუბს ძლევს და მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

ვაჟა-ფშაველამ ასეთი მითოლოგიური თქმულება გამოიყენა პოემის — „ხის ბეჭის“ შესაქმნელად. იგი წერილში „კრიტიკა ბ. ი. ვართავასი“ აღნიშვნავს, რომ „უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადააღნო, არ გადააღულა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“³³. თუ ამ კუთხიდან განვიხილავთ საკაოდ აღიარებულ და პოპულარულ პოემას „ხის ბეჭის“, მასში გამოყენებული მითოლოგიური თქმულების ფანტასტიკური სახეები და შინაარსი ავტორის სულიერ ქურაში უნდა იყოს გადადონბილ-გადადულებული, ე. ი. ახლებურად და ორიგინალურად უნდა იყოს გააზრებული და შეგნებულად გამოყენებული როგორც მხატვრული შემოქმედების მეტაფორული ხერხი.

პოემა „ხის ბეჭის“ ავტორისათვის დამახასიათებელი დიდებული მხატვრული ფერებით იწყება. გადმოცემულია ბუნების რეალური სურათი ყოველგვა-

³¹ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა . თხზ., ტ. 9, გვ. 13, 67.

³² ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ბუნების დიალექტიკა, გვ. 224.

³³ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა . თხზ., ტ. 9, გვ. 361, 307.

რი სასწაულის გარეშე: ღამის წყვდიადში წამოჩინებული მთებას სილუეტები, წვიმის, ელვა, ღვარები, ხევებში ადიდებული მღინარეების ხმაური, ტყეებით ჩამუქებული, კაცთაგან დაუსახლებელი, ირმებითა და გარეული ღორებით მდიდარი, ანკარა წყაროებით სავსე ფერდობები. ბუნებას თავისთვალი, ზებუნებრივი ძალების გარეშე არსებული სინამდვილის წინიშვნელობა აქვს. პოემის დასაწყისი უკვე მიუთითებს თქმულების დემითოლოგიზაციას, მას ახლებურ გაგებას, მხატვრული შეტემედებითი გარდაქმნისა და რაციონალური გააზრების მომენტებს. ავტორი ბუნების თავისთვალობაზე ყურადღებას ამახვილებს სიტყვებით: „სხვა ხმა არსიდამ არ ისმის“. ამ შთლიანობას თუ მაინც აღლევს გარეშე ძალა — ეს არის მასში შეკრილი წონადირე ბალრა (პოემის გმირი), სრულიად რეალური, მიწიერი აღმარი მისთვის დამახასიათებელი ცნობიერების უნარითა და იარაღით, რომელიც ამ იარაღითა და ცნობიერებით უპირისპირდება ბუნების საგნებსა და მოვლენებს, როგორც ავტორი ამბობს, მხოლოდდამხოლოდ „მათ მონადირე აწუხებს ქურდულად შემოპარული“. ვაკა ბუნების ამ თავისთვალობას, მის დიალექტიკურ მთლიანობას შესანიშნავი პოეტური ფერებით გადმოსცემს ლექსში „ღამე მთაში“³⁴:

„ბუნება მბრძანებელია, იქვე მთხრელია ზვავისა..“

ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა,
ერთფერად მტკირთელი არის საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს, იქვე მთხრელია ზვავისა...“

ვაკას აზრით, ბუნების არსებობა გარეშე ძალებით კი არ არის გაპირობებული, რადგან ასეთი გარეშე ძალა არც არსებობს, არამედ თავისივე იმანენტური მიზეზით, თავისი წესით. სწორედ ამის მეოხებით ბუნება მარად ცვალებადია, განვითარებადია. მას მარად არსებობა, სიცოცხლისუნარიანობა, სავსეობა, უსასრულობა და განუსაზღვრელობა ახასიათებს. იგი ყველაფერს მოიცავს, ყველაფერი მასშია. აღამიანიც (ცნობიერების იგივეობრივი) თავის ფიქრთან ერთად ბუნების პროდუქტია, ბუნებაშია, ბუნებაც აგრეთვე აღამიანშია და მასში თავისებურად მჟღავნდება. ბუნებაში შეჭრილი გარეშე ძალა ვაკას პოემაში თავის დამოუკიდებელ ღვთაებრივ არსებობას კი არ მიუთითებს, არა-წერდ თავისი თავის გაცნობიერების, ინდივიდიალობად დადგენის გზით ბუნების სხვად ყოფნას, მისდამი დაპირისპირებას. ავტორი სწორედ ასეთ განსხვავებას აღნიშნავს „მთათა ერთობაში“: „ჩვენ უენ-პირო ბუნება სხვა ვართ, კაცთაგან ვსხვავდებით“. იმ დღეს ბუნების წააღში შეჭრილ უცხო ძალას ხელმოცარულობის და საარსებო წყაროს გარეშე დაჩჩენის საშიშროება დაუმუქრა. ეს ნადირობა რომ უბრალო გარობა ყოფილიყო, ხელმოცარვას ადვილად შეეგუებოდა და სახლში დაბრუნებას აჩჩევდა. მაგრამ ვაკას აზრით იგი ცხოვრების საარსებო წყარო, რაც ნადირის მოკვლის უინის დაკმაყოფილების აუცილებლობას განაპირობებს. ვაკა ერთ-ერთ ეთნოგრაფიულ წერილშიც აღნიშნავს: „ორმა ცხოვრების სახსარმა, უძველეს დროინდებლმა — მონადირეობამ და ლაშქრობამ გამოიწვია ბარელისა „გამარჯვებით“ და ხევსურის — „ხელმოგიმართას“. ...ძველს დროში ლაშქრობა და მონადირეობა ისე იყო ერთმანეთში არეულ-დარეული, კაცი ვერ გაიგებს ადვილად, სად იწყება ან ერთი, ან მეორე. მაგრამ მაინც და მაინც არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ სასწორი უფრო

³⁴ ვაკა-ფშაველა და მატერიალური სინამდვილის რელიგიურ-მითოლოგიური... ტ. 1, გვ. 93; ტ. 3, გვ. 38.

გადახრილია მონაცირეობისაკენ, ვინაიდან ძველისძველი ადამიანის უპირველესი სალსარი ცხოვრებისა ნადირობა იყო და, ვიზრე ადამიანი ადამიანს აუტეხდა ოშა, ეს ოში ჯერ ტყის ნადირებთან ექნებოდა, საზრდოს მით მოიპოვებდა, რადგან უსაზრდოვოდ სიცოცხლე ყოვლად შეუძლებელია³⁵.

შევნიშნავთ, რომ ვაჟა-ფშაველა სრულიადაც გადაჭარბებით არ აფასებს ნადირობის როლს ადამიანთა საარსებო საშუალებათა მოპოვებაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ მწირ ნიადაგებზე, კლდე-ღრეებიან ხეობებში და მთის დამრეც ფერდობებზე მოსახლე ფშავ-ხევსურებისათვის კიდევ უფრო მეტი საარსებო მნიშვნელობა უნდა ჰქონდა ნადირობას, ვიზრე თუნდაც მათი განვითარების დონეზე მყოფი ბარის ტომებისათვის. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ღამის შეყვდიადში ერთ-ერთი ხის ძირას მიმჯდარი მონადირის ცნობიერება მთლიანად ამ ხელმოცარვის მიზეზების ძიებით და ნალირის მოკვლის აუცილებლობის უინით არის შეპყრობილი: „მიტომ მჭმუნვარებს ვაჟაცი, ფიქრისას აგებს ყორესა“. მოვლენები სრულიად რეალურია — ცრუმორწმუნე ხელმოცარული მონადირის ღამის თევა უღრან ტყეში, საარსებოდ გამიზნული ნადირობის დაუყებელი უინი, ხელმოცარულობის მიზეზების უიმედო ძიებით ჩანთქმული გონება, ბუნების შეუცნობელი, იდუმალი ძალების წინაშე შიშის, დათრგუნვილობისა და უძლურების განცდა. ასე მთავრდება პოემის პირველი თავი.

ასეთ შემთხვევაში, როგორც ფოიერბახი აღნიშნავს, სრულიად მიწიერი სიძნელეები შეიძლება გადაილახოს მხოლოდ ფანტაზიით, ზებუნებრივი ძალების „მოშველიებით“ და ზეცაში³⁶, ე. ი. თავისი სიტყვა უნდა თქვას ნადირობის სურვილის დაქმაყოფილების უინით ანთებულმა ფანტაზიიმ. ეს მონადირე ისეთივე რეალური ადამიანია, რომლის შესახებ ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთ წერილში შენიშნავს: „როგორც უველა განათლებული კაცი... არის ცრუმორწმუნე: ეშმაკებითა და დევებით სავსე პგონია ქვეყანა... მონადირეს რომ დაუღამდეს საღმე მთაში, ან ხევში, მიებარება ადგილის დედას... პგონია, ნადირსაც თავისი საკუთარი პატრონი ჰყავს, ის ევედრება ნადირთ პატრონს... რომ ხელი მოუმართოს“. ეს ფშაველი მონადირე სადაც „დაინახავს ნანგრევებს, ქვას ან კლდეს, რომელსაც ადევს რამე განსაკუთრებით ნიშანი და გამოიწვევს ფანტაზიის პატობილებას, იქ დასხავს ან ანგელოზებს ან ეშმაკებს“³⁷. ეს არის ღამის შეყვდიადით მოცულ უღრან ტყეში ხის ძირას მიყუნშული ხელმოცარული მონადირის გულისითქმით ანთებული ფანტაზია, რომელსაც შეუძლია ბუნების გრძნობად ნივთებსა და მოვლენებს ზეგრძნობადი თვისებები მიანიჭოს, „გრძნობად-ზეგრძნობად“ ნივთებად და მოვლენებად წარმოსახოს.

ვაჟა-ფშაველა რელიგიურ-მითოლოგიური თქმულების სიუჟეტის გამოყენებას პოემის მეორე თავიდან იწყებს. რასაკირველია, თუ სასწაულები ავტორისეულ „ქურაში გადადულების“ გარეშე იქნებოდა გამოყენებული, პოემის შემდგომი განვითარება რელიგიურ-მითოლოგიურ ხასიათს მიიღებდა...

პოემის შემდეგ ნაწილში, თქმულების ანალოგიურად, სასწაულებრივი და ფანტასტიკური მოქმედება იშლება. ხელმოცარულ მონადირე ბალიას ადამიანად ზემნებული ზებუნებრივი ძალა ეპატიუება... უცნაურობით შიშლაკრული,

³⁵ ვაჟა-ფშაველი. თხზ., ტ. 9, გვ. 393, 395, 184—185.

³⁶ Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. 2, стр. 253.

³⁷ ვაჟა-ფშაველი. თხზ., ტ. 9, გვ. 12.

მაგრამ ნადირის მოკვლის უინით შეპყრობილი მონადირის წინაშე ანიმისტურ წარმოდგენათა სამყარო გადაიშლება: ცამდე აწვდრლი სანთლებით განათებული სასწაულებრივი, ვერცხლის და ოქროს წყლით მორწყული, ყვავილნარით შემცული ტაფობი და ხავერდოვან ბალახზე დაჯერებული ხალხი. გაოცებული მონადირე მათ უერთდება: „ჩამოსვეს ხალიჩაზედა, ღვინოს აწვდიან თანაო, გადაჰკრა მონადირემაც, დიდხანს არ დაახანაო“, — ნათქვამია პოემაში. ამით ავტორმა უკვე გადაუხვია მითოლოგიურ თქმულებას ეს გადახვევა მაშინაც გრძელდება, როდესაც ახალგაზრდა გოგოს სახით წარმოსახული მთავარი მასპინძელი ბალიას მთის სახელით გაუმასპინძლდება, მოხიბლავს და მასში სიცოცხლის მაუწყებელ ვნებათა ღელვას გამოიწვევს. ეს არის მონადირის დამოკიდებულება რელიგიურ ელემენტებისაგან განთავისუფლებული მითოლოგიური პერსონაჟის „ადგილის დედისაღმი“ თუ მთის ასულისაღმი, რომლის ერთადერთი მოთხოვნა — გამოხრული ძვლები არ გადაყარონ და არ დაკარგონ — ბალიამ არ შეასრულა და წილგვდომილი ირმის ბეჭი „ხელ-უკუღმა“ წყალში გადაგდო, დღესაც წყალს მიაქვს, მიდისა!“. ესეც ნიშანდობლივია, რადგან ავტორმა ამით „ბეჭის ძვალი“ როგორც გაფეტიშებული, „ზეგრძნობადი“ ნივთი საერთოდ უარყო.

ნადიმის მასპინძელი, მითოლოგიური ადგილის დედა თუ მთის ასული ყველა ძვლის ბეჭის მომავლის ბეჭს დაუშერს, დაკარგულის ნაცვლად კი გამოთლილ ხის ბეჭზე აღნიშნავს, რომ გაცოცხლებულ ხისბეჭიან ირემს განსაზღვრულ დღესა და საათზე ბალია მოჰკლავს. მაგიური შთაბეჭჭლებებით დაღლილსა და მომავალი ბეღ-იღბლით დაიმედებულ მონადირეს ჩაეძინება. როდესაც ბალია გამოიღოებს, სასწაულებრივი ზმანების მაგივრად, კვლავ ავტორის მიერ გამოძერწილი რეალური ბუნების დიდებული სურათი გადაიშლება. „არ დავიწყნოდა ბუნებას თავის წესი და რჩულია: გათენებულა მზის სხივმა მთა მოჰკრა მართლის სულია“. ავტორმა კიდევ ერთხელ ბუნების თავისთავადობა აღნიშნა და რაიმე ზებუნებრივის არსებობა გამორიცხა. ამით იმ ლამის სასწაულებრივ ზმანებას რელიგიურ-მითოლოგიურ თქმულებაში გაბატონებული საყოველთაო ჩრდილის ხასიათი ჩამოაყილა, მკითხველს მისი სიყალბე აჩვენა და იგი ხელმოცარული მონადირის კუთხინილებად დატოვა.

ბუნებრივისა და ზებუნებრივის ურთიერთ დაპირისპირება მთელს პოემას წითელ ხაზედ გაჰყვება. მაგრამ თუ ბუნებრივი თავისთავადობის მნიშვნელობით არის გადმოცემული, ზებუნებრივი წარმოსახულია როგორც ბალიას გულისთვმით ანთებული, აპილისილებული ფანტაზიის ნაყოფი. ეს დაპირისპირება გვაქვს, როდესაც ავტორი მიტექტურად არსებულ გარემომცველ სინამდვილეს, ბუნებას სრულიად რეალური ფერებით, ხოლო ბალიას ზმანებას ზებუნებრივი სამყაროს სახით გადმოგვცემს. ეს დაპირისპირებაა თვით ჩვენებაშიც, როდესაც მიწიერი მონადირე ზეციურ ძალა მოთხოვნას უგულვებელყოფს და ტაბუ დადებულ ბეჭის ძვალს „წყალს გაატანს“. მაგრამ ბალია რეალური ადამიანია და ამიტომ მისი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა დაიკმაყოფილის ადამიანური სურვილები. ამ სურვილის დაკმაყოფილების ერთადერთ საუცალებად ხის ბეჭი წარმოსადგება. ამიტომ ბალიას სუშმის მასზე დაწერილი ბეღ-იღბალი, რომელიც ირმის მონადირების ტოლფასი მნიშვნელობისაა. „ფეტიშისტს სწამს, — აღნიშნავს ფრანციფი, — რომ უკრძნობ ნივთს შეუძლია შეცვალოს თავისი ბუნებრივი თვისებები და, ამგვარად, დაკმაყოფილის

ადამიანის სურვილი. ბუნებასთან ბრძოლაში უძლურების შედეგად გულის-თქმით ახთებული ველურის ფანტაზია ქნის ად ოქმენს ბუნებას „სასწაულებრივი“ ნივთების, საგნების, მოვლენების შესახებ“³⁸.

ხის ბეჭებ ასეთი ზებუნებრივი თვისებები აქვთ მინიჭებული, იგი ფეტიშად ქცეული ნივთია, რომელმაც მონადირის ფანტაზიით აპილპილებული ჟინი უნდა დაკმაყოფილის. ბალიაც ასეთი რწმენით ბრუნდება სოფელში. ამის შედევ პერმაში ახალი სასწაულები გაიშალა, რომელიც წმინდა ავტორისეულია და ბალის ცნობიერებაში შემოჩენილი ბედისწერის და საერთო „ზეგრძნობად-ზებუნებრივის“ რწმენის მსხვრევას ემსახურება. ბალის ბედისწერით კუთვნილი ირმის მოკვლას უცხო მონადირე დაასწრებს. ეს იყო პირველი დაღი დარტყმა ბალის ფანტაზიის აპილპილებით წარმოსახული ზებუნებრივის რწმენის მიმართ. მარცხით გაოგნებული ბალია იმასლა ახერხებს, რომ უცხო მონადირეს მთაში დაკანონებული ტრადიციული სიტყვებით მიმართავს: „— მუდაც ხელ მოგემართების!“. მაგრამ ბალია თავისი ჟინის დაკმაყოფა-ლების შესაძლებლობა კვლავ შეექმნა. — ირემი წარმაწყდათ და უცხო მონადირემ თავაზიანად დაუთეო პირველსასროლად:

„ეს ჩოლა თოფი ბალიამ, აქვე მის მარჯვეს მდგარია, დაუცდა, თუმცა ფიქრობდა, უთუოდ მოკვლავ, მაშაო!.. გაქცა, ირმის ფეხის ხმას ტყემ მიაძახა: „ვაშაო!.. უმწერლოდ მწერიც არ კვდება,	რატომ არ იცი, ვაჟაო?.. მობრუნდა წიწილასაკე გაწბილებული სახითა, ჰედაგს, რომ ისიც გამქრალა თავის გრძნეულის მახითა, ირემი გატყავებული იქვეა სრულად მთლიანად“.
--	--

ეს უკვე მიწიერ საფუძველს მოწყვეტილი ბალის ილუზორული წარმოდგენების სრული მსხვრევაა. ყერ წერა-მწერლის მიერ ნაკუთვნ ირემზე ნადირობებისა წარცხდება, ახლა კი ირემს ვერ ჰყავს, რადგან მისი „წერა“ არ ყოილა („უმწერლოდ მწერიც არ კვდება, რატომ არ იცი, ვაჟაო“). აზრი სრულიად ნათლად არ ის გადასცემული—მოქმედებენ ურთიერთგამომრიცხავი „მიზე-ზები“. იქმნება ერთგვარი ჯადოსნური წრე. ავტორი ამ წრიდან გამოსვლის ერთადერთ სწორ გზას იძლევა იმით, რომ ააშკარავებს წარმოდგენის სიყალბეს. ყოველივე ეს ბალის ილუზორული წარმოდგენაა და სხვა არაფერი: უცხო მონადირისაკენ მობრუნებული და გაწბილებული ბალია „ჰედაგს, რომ ისიც გამქრალა თავის გრძნეულის მახითა“. ავტორმა მონადირის გაწბილებას გაწბილება დაუმატა, რელაგიურ-მითოლოგიური წარმოდგენები უბრალო მოჩვენებაზ აქცია. ბალიაში შემოჩენილი ბედისწერისა თუ განგების რწმენის თავშესაფარი დაამსხვრია, ამით საერთოდ უარყო ბუნების რელაგიური გაოცებისაგენ გისწრაფება, რონელშაც „ყველაგან ღმერთები, და consensus geti-სთ წარმოშვა. რომელსაც ღმერთის ყოფიერების დასაბუთება იმოწმებს და განვიზონებისაკენ როგორც უცილებელი გარდავავალი საფეხურისაკენ ამ მისწრაფების სწორედ საყოველთაობას, — მაშასადაც, რელაგის საყოველთაობასაც ასაბუთებს“³⁹.

ერთი შეხედვით, შეიძლებოდა ამით პოემა დამთავრებულიყო. მაგრამ ზებუნებრივის რწმენის მსხვრევა მხოლოდ ბალის ცნობიერებაში მოხდა. სა-

³⁸ Г. П. Францов. Научный атеизм, стр. 171.

³⁹ К. Маркс, Ф. Энгельс, В. И. Ленин о религии, 1975, стр. 33.

ჭიროა ახლა მას საყოველთაობის ხასიათი მიენიჭოს. ამიტომ არ დაუშვა ავტორმა გატევებული ირმისა და მასში ჩაღმული ხს ბეჭის გაუჩინარება. ბალია ნანაღირევით სოფელში დაბრუნდა როგორც რელიგიური ბურუსისაგან გამოფხიზლებული, რომლის ცნობიერებას მიწიერი სურვილები დაუფლებია და მიწიერი გზებით ექებს გამოსავალს. მაგრამ ვაჟა კვლავ აამოქმედებს ხის ბეჭს ახალი „სასწაულის“ მოსახდენად. სწორედ ამ სასწაულმა ხალხი თვით რელიგიური სასწაულების ნამდვილობაში დააჭირა. „ბეჭს გულმოდგინედ ჰსინჯავდა მოქუჩებული ერია: „არ არის მაგის“ მოკლული“, თურმე ზედ არა ჸწერია!“, — ამბობს ავტორი, რითაც, ფაქტიურად, — ზებუნებრივის რწმენის უარყოფას საყოველთაობის ხასიათს ანიჭებს.

რასაკვირველია, „ბეჭის გულმოდგინედ“ სინჯვა უბრალო ცნობისმოყვარეობა არ არის, არამედ, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხალხის მოთხოვნაა „...თავის მდგომარეობის შესახებ არსებულ ილუზიებზე ხელის აღებისაა...“⁴⁰. ესაა ხევსურის ქვეცნობიერი მოთხოვნა, რომელიც არ ივიწყებს, რომ მის ხატ-სალოცავებს „...ძალიან დიდ-დიდი მუცლები კი აქვთ რადმე...“⁴¹.

ვაჟამ პოემის მასალად რელიგიურ-მითოლოგიური თქმულება გამოიყენა, მას ლოგიკური თანმიდევრობით რელიგიური შინაარსი ჩამოაცილა, რეალობაზ წარმოსახული სასწაულებრივი სურათები „საკუთარ სულიერ ქურაში... გადაადგულა“, „მასალიდან ახალი რამ... შექმნა“, ე. ი. თქმულება ახლებურად გაიაზრა და ანტირელიგიურ მხატვრულ ნაწარმოებად გარდაქმნა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით, საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს დ. უგრინოვიჩი: „ხელოვნების ყოველი ნაწარმოები რეალობის უბრალო, „ფოტოგრაფიული“ წარმოსახვა როდია. მხატვარი თავის დაკვირვებასა და შთაბეჭდილებებს ყოველთვის გადაადნობს საკუთარი შემოქმედებითი წარმოსახვის ქურაში. მხატვრული სახე — ეს არა მარტო ინდივიდუალურია, არამედ, აგრეთვე, ზოგადია, არსებითია, ტიპობრივია“⁴². თუ ამ კუთხით შევხედავთ პოემას, უნდა დავასკვნათ, რომ ცოცხალ ფერებში გადმოცემული ბალიას მარცხის, დაფარულის გამუღავნების და ამით გამოწვეული „ხალხის სიხარულის“ სახით რელიგიური წარმოდგენებისადმი რწმენის შერყევის მოტივს ავტორი არსებითის, ტიპობრივის. საყოველთაობის მნიშვნელობას ანიჭებს.

თქმულებაში ფანტაზიისა და მისი ობიექტის, იდეისა და საგნის სუბსტანციური იგივეობაა, სასწაულებრივი და გრძნებული სახეები მოცემულია გასაგნობრივებულად ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ე. ი. ნამდვილობის პრეტენზით, რომელშიც არაფერია მეტაფორული თუ ალეგორიული. ვაჟა-ფშაველას პოემაში არა გვაქვს რეალურად არსებობის პრეტენზის მქონე სასწაულები და ზებუნებრივი წარმოდგენები, არამედ მათ გადატანითი, მეტაფორული მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული. რელიგიისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით ლუდვიგ ფოიერბახი შენიშნავს: „...ხელოვნება თავის ქმნილებებს არ აცხადებს რაღაც სხვად, თუ არა ისეთად, როგორც სინამდვილეშია, ე. ი. თუ არა ისეთად, როგორც ხელოვნების ქმნილე-

40 ქ. მარქ ს. პეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის (შესავალი), თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1971, გვ. 4.

41 ვაჟა-ფშაველა. თხზ., ტ. 9, გვ. 4.

42 დ. მ. უგრინოვიჩ. ვведение в теоретическое религиоведение, М., «Мысль», 1973, стр. 42.

ბებია; ჩელიგია კი თავის გამოგონილ არსებებს ნამდვილ არსებებად ასაღებს⁴³. პოემაში სასწაულებრივი, ზებუნებრივი სახეები თაყვანისცემის ობიექტია კი არ არის დატოვებული, არამედ, პირიქით, გამოყენებულია სწორედ მათი არსებობის რწმენის შესაჩყვევად და ადამიანთა რეალური ცხოვრებისეული, სოციალური აქტივობის გამოსალვიძებლად. სასწაულებრივი, ზებუნებრივი, რომელიც თქმულებაში მატერიალური სამყროს, მის მიზეზობრივ კავშირურთიერთობათა მიღმაა და ბუნების არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება, პოემაში ბუნების ამ კანონზომიერებით ნიღაბჩამოხდილია და წარმოდგენილია როგორც მოჩვენება, ცრურწმენა, უბირი გონების „ფანტაზიის აპილაილების“ ნაყოფი. ვაჟა-ფშაველმ ჩელიგიურ-მითოლოგიური თქმულება „ხეჭვეჭვა“ სრულიად ახლებურად გაიაზრა და თავისი იდეების მატერიალიზაცია პოემაში „ხის ბეჭი“ ზებუნებრივ, სასწაულებრივ, გასულიერებულ არსებათა სახით მხატვრული შემოქმედების ეფექტურ ხერხად გმოიყენა⁴⁴.

Ш. А. ЕСИТАШВИЛИ

ВАЖА-ПШАВЕЛА И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ РЕЛИГИОЗНО-МИФОЛОГИЧЕСКОГО ОДУШЕВЛЕНИЯ МАТЕРИАЛЬНОЙ ДЕЙСТВИТЕЛЬНОСТИ

Резюме

Важа-Пшавела природу, отношение человека к природе объясняет материалистически. На этой основе он в своем творчестве осуществляет демифологизацию религиозно-мифологических преданий, вносит в них новое содержание. Используя художественные образы, Важа-Пшавела отрицает реальное существование сверхъестественного и этим отрицанием помогает человеку найти свое место в материальном мире, вернуть свою человеческую сущность.

SCH. A. ESITASCHWILI

WASHA-PSCHAWELA UND EINIGE FRAGEN DER RELIGIÖS-MYTHOLOGISCHEN BESEELUNG DER OBJEKTIVEN WIRKLICHKEIT

Резюме

Washa-Pschawela versteht die Natur, das Verhältnis des Menschen zur Natur materialistisch. Auf diesem Grunde führt er in seiner Dichtung die Demythologisation der religiös-mythologischen Sagen durch, und führt einen neuen Inhalt insic ein. Mit seinen künstlerischen Gestalten verneint Washa-Pschawela die realistische Existenz des Übernatürlichen und mit dieser Verneinung hilft er dem Menschen seine eigene Stelle in der wirklichen Welt zu finden, sein menschliches Wesen zurückgewinnen.

⁴³ Л. Фейербах. Избранные философские произведения, т. 2. М., 1955, стр. 693.

⁴⁴ რასაკვარველია, ჩელიგიურობის საკითხი ამა თუ იმ ნაწარმოების მთელ შინაარსს არ ამოწურავს; ვეთანებებით გრ. კიკ ნაძის აზრს იმის შესახებ, რომ ვაჟას რომელიმდ თხზულება ერთ გარკვეულ მოტივზე აგებული არ არის, არამედ მასში მოტივების პარალელური დინებაა, მრავალგვარობა (იხ. მისი „ვაჟა-ფშაველის შემოქმედება“. თბ., 1957, გვ. 36).

ვახტანგ ვამრეპელი

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა 1770 წლის
5 აპრილის ნუსხის მიხედვით

საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენენ წარმოებრივი ძალები, ხოლო პირებით და წამყანი წარმოებრივი ძალა არის თვით ადამიანი. ეს განსაკუთრებით იქნების კა-პიტალიზმის წინააღ ხანაზე, როდესაც საზოგადოების წარმოებრივ პროცესში მეტად დაიდი იყო ადამიანის ფიზიკური შრომის ხედრითი წონა. ამიტომ, საერთოდ, რაგინადარა საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისას და კაპიტალისტურის წინააღ საზოგადოებრივ შესწავლისას, განსაკუთრებით, დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გარკვევას, თუ ადამიანთა რა რესურსებს (რა-ოდენობრივად და თვისებრივად) ჰყლობდა შესასწავლი საზოგადოება. აქედან გამომდინარებას, რომ დემოგრაფიული მომენტებისადმი ყურადღების გამახვილებას კვლევაში აჩვებით მნიშვნელობა აქვს.

დემოგრაფიული კვლევა-ძეგბა — არა თუ XIX-XX საუკუნეთა მიმართ, არამედ შეასაუკუნების მიმართაც — არ არის ჩვენში ახალი წამოწყება. თუმცა ღრმას ამ საკითხებზე მოშაობდენ ექვ. თაყაიშვილი, ივ. ჭავალიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. ბოჭორიძე, ვ. გუგუშვილი, გ. გაშტრელიძე, ი. ლორთქიფანიძე და სხვანი. ამისდამიუხედავად, XIX ს-ის უწინარე საქართველოს დემოგრაფიული შესწავლა დაწყებით საფეხურს კერ არ გახდილებია. მოსახლეობის რაოდენობის დაზღვნა აბსოლუტურ რიცხვებში დიდ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრავ ეს არის მხოლოდ პირველი ამოცანა დემოგრაფიულ კვლევაში; ზემდეგ უთუოდ საჭირო არის შოსახლეობის მასის პოპულაციის ფინანსურული მაჩვენებლების და მისი სტრუქტურის დადგენა. ამისათვის განსახილევთა მოსახლეობის ასაკობრივი, სქესობრივი და ეთნიკური შედეგები; მოსახლეობის გაადგილება, მისი საერთო და ტექნიკური განსწავლულობის დონე და რიგი სხვა საკითხებისა. ამის შედეგად შესასწავლი საზოგადოების შესახებ შეიქმნება ბევრად უფრო რეალური და კონკრეტული წარმოდგენა.

ყოველ საკვლევ თემას ახლავს დამუშავების თავისი სიძნელები; ასევე — დემოგრაფიულ კვლევას შუა სასურცხების მიმართ, რაც პირველ ჩიგში გაზომვეულია დამატებულობებით წყაროების უქონლობით: სათანადო წყაროების, ზოგ შემთხვევაში, სრული უქონლობით; ზოგ შემთხვევაში, ისტორიული მასალის სიმცრითა და ფრაგმენტულობით; დაბოლოს, ჩვენამდე უცნონასული დემოგრაფიული ხასიათის მასალის არადამაკავალეობებით ხარისხით, დღევანდვილი კვლევით მოთხოვნილებათა თვალსაზრისით (აღრიცხვა წარმოებდა არა სულადობრივ, არამედ კომლობრივ; აღირიცხებოდა არა მოელი მოსახლეობა, არამედ მხოლოდ ზოგიერთი სიცალური ფენა — სამხედრო ბეგარავალდებული და გადასახადთა გამომლები — არ აღინიშნებოდა მოსახლეობის ეთნიკური, კონფესიონალური კუთვნილება). ყველავე ამის გამო, რიგ საკითხებზე, რომელიც საინტერესოა დღევანდვილი დემოგრაფიისათვაն, ჩვენ ამ ისტორიულ მასალებში პირდაპირ პასუხს ვერ ვპოულობთ. ამის გარდა, საჭიროებს საგანგებო გაანალიზებას აღწერებში ხმარებული ზოგიერთი ეთნიკური ტერმინი და სააღწევრო მიერთებას სახელშოდებანი (თბილისი, ცხინვალი და სხვ.) — მათი რეალური შინაარსის დაუსტებისათვის.

ზოგიერთი გარემობათაგანი მეტად ზღუდვს დემოგრაფიული შესწავლის შესაძლებლობებს; ზოგ შემთხვევაში საოულო, ნაკლებ სარწმუნოს ხდის ასეთ კვლევას, ან ხდის აცილებელს ცალკეული დავთორისა თუ ფრაგმენტის წინასწარ გაანალიზებას. და მაინც ასეთ დემოგრაფიულ ძიებას შეუძლია მოგვცეს ზოგიერთი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალება.

କୁଳମା ମାତ୍ରଲୀଏର୍ଯ୍ୟିତ ଅନ୍ଧବିଶ୍ୱାସ, ଖରି ଏ ଶ୍ରାତିରେ ଦାମଶାଙ୍କାବିର କରିପାଶି ହିଂସା କାହାରେ ଥିଲା?

ჩვენს ხელთ არსებული დემოგრაფიული მასალის შესწავლამ და შეპირის-პირებამ არა თუ მხოლოდ უნდა გამოავლინოს XVIII ს-ის საქართველოს დე-მოგრაფიული თავისებურება, დამასახიათებელი ნიშნები იმ დროს მიმდინარე პროცესებისა განზოგადებული მსჯელობისათვის საკმარისი ოდენობით, არა-შედ საშუალებაც უნდა მოგვცეს, რომ ისინი გამოვსახოთ რიცხვნიშნებთა და კოეფიციენტებით. თუ გამოთქმული ვარაუდი გამართლდა ეს იქნება საგულის-ხმო და მნიშვნელოვანი მიღწევა. მაგრამ ეს მოითხოვს წინასწარ დიდი მოცუ-ლობისა და სკრუპულობური კრიტიკული მუშაობის ჩატარებას, რაც ჯერჯე-რობით არ არის განხორციელებული და წარმოიდგინება მხოლოდ ხანგრძლივი და მრავალი კვლევითი ცდების შედეგად.

როგორც ცდა ამ მიმართულებით ნაბიჯის გადაღვმისა, ავირჩიეთ დღეის-თვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ძეგლის განხილვა და გაანა-ლიზება. ეს არის 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა², რომელიც არ არის სრულყოფილი თავისი ხარვეზებისა თუ უზუსტობათა გამო, მაგრამ ალიარებულია (ალ. ცაგარელი, ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე და სხვ.) მეტად მნიშვნელოვან საისტორიო წყაროდ³. მართლაც, XVIII ს-ის შემორჩენილ ძეგლთაგან ეს არის ერთადერთი, რომელიც შეიცავს ერთდროულ ცნობებს აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი და უმრავლესი პროვინციების მოსახ-ლეობის შესახებ. ამ ნუსხაში ცნობები წარმოდგენილია ცალკეული ქალაქე-ბისა და პროვინციების მიხედვით; მასთანვე, უმეტეს შემთხვევაში, მოსახლე-ობა დიფერენცირებულია ეთნიკური ნიშნით. ნუსხის მონაცემების ამგვარი დაჯგუფება გვაძლევს საშუალებას, რომ რიცხობრივი მონაცემების ერთგვარი სისტემატიზაციის შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სტრუქ-ტურა განვიხილოთ რამდენიმე ჭრილში.

ნუსხის მონაცემთა ანალიზს შეუძლია წარმოდგენა შევიქმნას, თუ რამ-დენად საღი⁴ იყო იმ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სტრუქ-ტურა მისი გააღვილების (მთისა და ბარის, ცენტრალური და პერიფერიული თემების, სხვადასხვა პროვინციების მოსახლეობის რიცხობრივი შეფარდებების თვალსაზრისით) ან მისი ეთნიკური შემადგენლობის ჭრილში და ნათელყოფს, თუ ამ ასპექტებში რა სატკივარი ჰქონდა ქვეყანას, რა ამოცანები იყო გადა-საწყვეტი პირველ რიგში. სამწუხაროდ, ეს ნუსხა არ შეიცავს მონაცემებს, რომლებიც შევიქმნილენ წარმოდგენას იმდროინდელი მოსახლეობის სოცი-ალურ სტრუქტურაზე ან მის დაჯგუფებაზე პროფესიების მიხედვით; თუმცა, გვვინია, რომ სხვა წყაროთა მოშველიებით, შესაძლო იქნება მომავალში ამ მიმართულებითაც ზოგი რამის მიახლოებითი განსაზღვრა.

2 ამ ნუსხის პუბლიკაცია და მის შესახებ ცნობები უფრო დაწვრილებით იხ. ვ. გ ა მ რ ე-კ ე ლ ი, ზ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, უკრ. „მაცნე“, ისტორიის.... სერია, 1973 წ. № 1.

3 ს. კაკაბაძე წერდა: „მცხოვრებთა რიცხვის ანგარიშს XVIII ს-ში შეიძლება სა-ფუძვლად დაეღოს 1770 წლ. 5 აპრილის... ნუსხა“ იხ. მისი „ევლევა-ძეებანი საქ. ისტორიის საკითხების შესახებ“. თბ. 1920, გვ. 27; ხოლო 1974 წ. გამოცემულ „საქართველოს ისტორიის ნარკევების“ IV ტომში გვ. 518, ის აღიარებულია „უნიკალურ დოკუმენტად“ და მასზე და-ყრდნობით არის გამოთვლილი მიახლოებითი რიცხოვნობა აღმოსავლეთ საქართველოს მო-სახლეობისა.

4 „საღად უნდა მივიჩნიოთ ისეთი სტრუქტურა, რომელიც ასრულებს პროგრესული გან-ვითარების წანაშინებრივისა და ბაზისის როლს.“

1770 წლის 5 აპრილის ნუსხის კიდევ ერთი ღირსებაა ის, რომ ხერხდება მის ციფრობრივ მონაცემთა და, შესაბამისად, ჩვენ გაანგარიშებათა დაგვუფება ორი განზომილებით: 1) მოსახლეობა იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს ტერიტორიისა (ქართლ-კახეთი — ყაზახ-შამშადილოს, დვალეთისა და ლორე-ფაშაკის მიმატებით) და 2) მოსახლეობა აღრიცხული ამ ნუსხით დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში (ე. თ. აღმოსავლეთ საქართველო — ყაზახ-შამშადილოს, დვალეთისა და ლორე ფაშაკის გამოკლებით).

თოთოეული ამ განზომილებით კვლევას თავ-თავისი ინტერესი აქვს. ამიტომ ჩვენ მიერ შედგენილ ტაბულებში მონაცემები ზოგჯერ ამ ორი განზომილებით ცალ-ცალკეა დაგვუფებული. ვიდრე 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის ციფრობრივი მასალის დემოგრაფიულ მიზნით გამოყენებას შევეცდებოდით და სხვადასხვა ასპექტით მათს სისტემატიზაციას მოვახდენდით, საჭირო გახდა მისი წინასწარი დამუშავება:

1. ამ უწყვისის დასახუეწად სათვალავიდან ამოვილეთ მოსახლეობის ციფრობრივი მაჩვენებლები იმ ტერიტორიებისა, რომლებიც არც 1770 წლისა და არც დღევანდელი აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში არ შედიოდნენ და არც შედიან; ამასთან გამოვყავით რიცხოვნობის მაჩვენებელი იმ თემების მოსახლეობისა, რომლებიც 1770 წ. თუმცა შედიოდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს საზღვრებში, მაგრამ დღეს საბჭოთა საქართველოს ფარგლებს გარეთ არიან. ამისათვის შევადგინეთ გადახალისებული ტაბულა (1).⁵

2. დავადგინოთ კომლის სულადობრივი შემადგენლობის კოეფიციენტები, რათა შესაძლო გახდეს კომლთა რიცხოვნობის ეკვივალენტური სულადობის გამოოთვლა; უკეთესი სხვა წყაროების უქონლობის გამო, ამისათვის გამოვიყენეთ 1804 წელს ჩატარებული პირველი კამერალური აღწერის ნუსხები. მათ მონაცემთა საფუძველზე გამოვიანგარიშეთ სხვადასხვა რაიონებისათვის და ეთნიკური ჯგუფებისათვის კომლის სულადობრივი შედგენილობის თავ-თავისი საშუალო-არითმეტიკული მაჩვენებლები (იხ. ტაბულა2).

3. უნდა გავარკვიოთ ნუსხის ციფრობრივ მონაცემთა სანდოობა, თუ რამდენად სწორად გამოხატავენ ამ ნუსხის ციფრები რეალურად არსებულ კომლთა რიცხოვნობას.

ციფრობრივ მონაცემთა სანდოობის გარკვევა წამოჭრის საკითხს მათი წარმომავლობის ანუ პირველწყაროს შესახებ და საკითხს მათი სისრულისა და სიზუსტის შესახებ. პირდაპირი მოწმობა იმისა, თუ როგორ შედგა ან საიდან არის შემოტანილი ამ ნუსხაში მოსახლეობის რიცხოვნობის გამომსახული ციფრები ჭერჭერობით ცნობილი არ არის, ამიტომ დღემდე უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ ვარაუდით. ნუსხის წყაროების შესახებ გარკვეული თვალსაზრისი ჩვენ მიერ გამოთქმულია ზ. ცქიტიშვილთან თანავტორობით გამოქვეყნებულ წერილში.⁶ ნათქვამს დავუმატებთ მხოლოდ ერთს: 1767 წელს ან მის მომიჯნავე წლებში უნდა ჩატარებულიყო კომლთა აღწერა ქართლ-კახეთში და ამ ვარაუდს დღეს მოენახა დოკუმენტური დადასტურებაც. ეს არას ერეკლე მეორის მიწერილობა მდივან ისესადმი (ამილახვარისადმი) 1764

⁵ შესადარებლად იხ. „მაცნე“, (ისტორიის... სერია), 1973, № 1, (გვ. 151) დაბეჭდილი ტაბულა.

⁶ იხ. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1973, № 1, გვ. 149—150.

წლის 10 მარტს: „ამ ხანად კახეთი ზოგიერთი მხარე შენ უნდა ახშერო... აღდ-
გომის მეორეს, მესამეს დღეს უნდა წახვიდე. ამაზე დაგვიანება არ შეიძლება“. ისე ამილახვარი რომ კომლთა აღშერებში მონაწილეობდა, ამას ახსენებს უფ-
რო გვიანდელი (1790 წლის) საბუთიც⁷. ამას ემატება ს. კაკაბაძის ხელთ ნამ-
ყოფი 1765 წლის საკათალიკოსო ყმების ნუსხა⁸.

ამიტომ ეხლა უკვე არა ვარაუდით, არამედ კონკრეტულ დოკუმენტულ სა-
ფუძველზე ითქმის, რომ 1760-იან (შუა) წლებში ჩატარებულა ქართლ-კახეთში
კომლთა აღშერა. ბუნებრივია, ვიფრიქოთ, რომ 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის
შედგენის დროს ხელისუფალნი გაითვალისწინებდნენ კომლთა აღშერის დავთ-
რების მონაცემებს და ესენი გასწევდნენ ერთგვარი აბიექტური საფუძვლის
როლს ქართლ-კახეთის მთავარი პროვინციების მოსახლეობის რიცხობრივი
მაჩვენებლებისათვის⁹.

გასარკვევია კიდევ ორი საკითხი: 1) რამდენად ზუსტია თვით კომლთა
აღშერის დავთრების მონაცემები და 2) 1770 წლის 5 აპრილის ნუსხა ზუსტად
აჯამებს ამ დავთრების მონაცემებს, თუ მეტ-ნაკლებად ასხვაფერებს მათი შე-
ნაჭამის სიდიდეს.

ბეგარავალდებულთა და გადასახადების გამომლებთა აღშერის დავთრებ-
ში უთუოდ, ნებსითაც და უნებლიერთაც, გამორჩენილი იყო მოსახლეობის რა-
ლაც ნაწილი.

კომლთა აღშერის დავთრების მონაცემთა სიჩუსტის გარკვევის
თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს 1715 წლის ბურის სამწყსოს
გადასახადების გამომლებთა დავთრის დასკვნითი ნაწილი. აქ ნიკო-
ლოზ მროველს უწერია: „ამ სამწყსოს დავთარს მეფეს მოსაქმეს
ნურავის აჩვენებთ: კოდის პურსა და საურზე ქვეყანას გარჩიან: და
მე არ მიჯობს. მე დრამისათვის დავწერე: საყდარს მოსავლის ანგარიში არ და-
ეკარგოს; ღვთის სიყვარულისათვის ამ სამწყსოს მატიანეს ნურას მეფის მო-
საქმეს ნუ აჩვენებთ, თუ ქირსტე გწმთ“¹⁰. ნათლად ჩანს, რომ სასულიერო
ფეოდალი უმალავს მეფეს ცნობებს გადასახადთა გამომლებ პირებზე. ის თავის
თვის ერთ დავთარს ადგენს, ხოლო სამეფო გადასახადების გამომლებისათვის
სხვა შემცირებულ ცნობებს აწვდის. აგრეთვე საგულისხმოა 1781 წ. ჩატარე-
ბული აღშერის დროს სოფლის მამასახლისის და ნაცვალის მიერ გაცემული
ერთ-ერთი მუხალგის წიგნის ტექსტი: „თუ ჩვენ ან კომლის კაცი და ან მო-
რიგეში შემძლებელი, რომ გამოსვლა შეეძლოს დაგვემალოს და არ დაგვეწე-
რებინოს, ღვთისაც შემცოდენი ვიყვნეთ და ბატონისაც ჭარიმის მიმცემი; რაც
განწესება არის ბატონისაგან ჩვენ მასასახლის ხოსრომ და ნაცვალმა ზურაბ-
მა გარდავიგადოთ“, ან კიდევ მინაწერი გაკეთებული გავაზის ნაცვალის მიერ
გავაზში კოდის ბურისა და კულუხის გამომლებთა ნუსხაზე 1788 წელს: „ამ
სიით თუ გავმტყუნდეთ და თუ ან გამოჩნდეს ვინმე 12 თუმანი ბატონის“

7 ცსა, ფ. 1448, ს. 4553, 1377.

8 „საისტორიო კრებული“ წ. IV, ტფ. 1929, გვ. 23, 24.

9 როგორც ჩანს, ივ. ჭავახიშვილსაც ასეთი წარმოდგენა ჰქონდა ამ ნუსხის ციფრობრივ
მონაცემებზე. ერთ თავის აღრეულ ნაშრომში ის წერდა, რომ ნუსხაში „ხალხის აღშერის დავ-
თრიდან ამოქრებილი სტატისტიკური ცნობებია შეტანილი“ (იხ. უურნ. „მოამბე“, 1901, № IV,
83, 7).

10 უურნ. „მოამბე“, 1901, № IX, გვ. 30.

სარქანში მივცე“ . XVIII ს-ის მეორე ნახევრის ერთ საბუთში ზემო ქართლის გლეხების სის დასასრულს სწერია: „თუ ამა გარდა ან გლეხი ან მამული დაგვეცალოს ხელმწიფის შემკოდე ვიყვნეთ და რაც დამალული ყმა ან მამული გამოჩენდეს ხელმწიფემა თავისთვინ მიირთვას“¹¹. მსგავსი მუხალგის წიგნები და მინაწერები ასახვენ ჩვენში კომლთა ოღწერის თრგანიზაციის საგულისხმო მომენტს. ე. ი. აღსარიცხავ პირთა დამალვისათვის დაწესებული ყოფილა ჭარიმა, ხოლო ჭარიმის დაწესება — კი ნიშნავს, რომ სინამდვილეში აღსარიცხავ პირთა დამალვის ფაქტებს არც თუ იშვიათად ჰქონდა ადგილი.

აღსარიცხავ პირთა განზრახ დამალვის გარდა, უთუოდ უნდა ყოფილიყო უნებლიერ შემთხვევებიც და ეს შეპირობებული იყო თვით აღწერის მსვლელობის რეალური გარემოებით. ამ უნებლიერ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა, ჩვეულებრივ, სხვა ქვეყნებშიც და არა მარტო XVIII ს-ის, არამედ XIX ს-ის აღწერებშიაც.

აღსათვლელ პირთა რიცხოვნობის დანაშაულებრივი (ნებით თუ უნებლიერ) შემცირების გარდა, სრული უეჭველობით არის ცნობილი, რომ, თვით აღწერის დადგენილი წესის თანახმად, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფები არც უნდა აღრიცხულიყვნენ (სამეფო კარი, თავადიშვილები, აზნაურების ნაწილი, სასულიერო წოდების მაღალი — სოფლის მღვდელზე უფრო მაღალი — ფენა და სხვა). სააღმწერლო დავთრებში მათი შეუტანლობა თავისთავად იგულისხმებოდა და დანაშაულად არ მიიჩნეოდა. მეტად სასურველია დადგენა იმისა, თუ რა რაოდნენობას შეაღვენდნენ გამოტოვებული კომლები, მაგრამ, მასალის უქმარისობის გამო, დამაჯერებლად ამის დადგენა ჯერ არ მოხერხდა.

ამრიგად, სრულიად უეჭველია, რომ მოსახლეობის კომლთა რიცხოვნობა სინამდვილეში მეტი იყო ვიდრე ეს გადასახადების გამომლებთა და სამხედრო ბეგარავალდებულთა აღწერის ნუსხებშია წარმოდგენილი. მეორე კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა არ შევიძლია, რაღანაც ხელთ არა გვაქვს მეკომურთა აღწერის ის დავთრები, რომელნიც საფურცლად უნდა ედოს 1770 წლის 5 აპრილის ნუსხას. ჩვენ შევიძლია ამ ნუსხის მხოლოდ ზოგიერთი ციფრის შეპირისპირება სხვა აღწერილობების ციფრებთან და ამით შემოწმება ამ მონაცემთა სისწორისა და რეალურობისა. ასეთი შეპირისპირება და შემოწმება ხელში 1770 წლის ნუსხის ზოგიერთ ციფრისათვის. რაც გავაკეთეთ კიდევ ქვევით გზადაგზა სხვადასხვა ტაბულების შედეგენის დროს ნუსხის ციფრები ჰქონებენ მიახლოვებით დადასტურებას.

რაც შეეხება საკუთრად 1770 წლის ნუსხის მონაცემთა სიზუსტეს, მის არასისრულე აღნიშნა უკვე აღ. ცაგარელმა¹² და ეს სავსებით მკაფიოდ გამოსჭვივის თვით ნუსხის ტექსტიდანვე. სახელდობრ:

¹¹ ცსსა, ფ. 1448, ს. 1217; 1781 წლის აღწერის დროს ქსნისა და არაგვის თემებში დაიწერა მსგავსი სხვა მუხალგის წიგნებიც, — იხ. ცსსა, ფ. 1448, სს, 1219, 1223, 1224, 1225, 1016, 1900, 1610.

¹² «Приведенные статистические сведения далеки от полноты и безусловной точности, но и в таком виде они весьма поучительны». А. Цагарели. Новые архивные материалы для истории Грузии XVIII стол.: см. Журнал министерства народного просвещения за январь 1883, стр. 131.

1. ნუსხაში ცალკე პარაგრაფად წერია: „არს ქართლი მართლმადიდებელი, ქრისტეანი ქართველი ხიზანს გარდა სახასო, ეკლესიების ყმა, თავადების ყმა და აზნაურიშვილებისა ოთხი ათასი“. ე. ი. ამ ოთხი ათასში შედიან შილა ქართლის მხოლოდ ქართველი და გერმანთველებული ყმა-გლეხები; არ არიან შიგ ნავარაუდევი თავად-აზნაურები და კულტის მსახურთა მაღალი და საშუალო-ფენა და არც ხიზნები. ხიზნების მოხსენება საერთო ციფრიდან (4000) გამორიცხვის აზრით მიგვანიშვნებს, რომ შედა ქართლის სოფლებში ყოფილა ხიზნების რაღაც რიცხვიც, მაგრამ სათვალავში არ შესულა წინააღმდეგ კახეთისა, სადაც კომლთა რიცხოვნობის ციფრში (7000) ნაცულისხმევი არიან ხიზნებიც. ქართლის თავადაზნაურობა, სამღვდელოების ზედა ფენა და ხიზნები ნუსხის სხვა პარაგრაფებშიც არაა იხსენიებიან, ე. ი. ნუსხაში გამოტოვებულნი არიან რაც ნუსხის არასისრულებრივი მეტყველებს.

2. ნუსხაში აღნიშნულია სომხითისა და საბარათაშვილის აოხრებულობა, მოსახლეობის მხოლოდ ერთი მეორმოცედის და ერთი მეასედის სახეზე ყოფნა. არ არის მთლად ნათელი: მოსახლეობის ამ ნაშთს გულისხმობს ნუსხაში. ნათქვამი, რომ „ერთმანეთში არიან ხიზნად“, თუ ეს ნაშთი აქა იქ არის თავ-თავის სოფლებში, ხოლო ნათქვამი „ერთმანეთში არიან ხიზნად“ გულისხმობს. მოსახლეობის კიდევ სხვა ნაწილს. ასეა თუ ისე ნუსხაში აღიარებულია სომხით-საბარათიანოში რაღაც მოსახლეობის არსებობა, ხოლო ის არავითარი ციფრით აღნიშნული არ არის. თუმცა მეტად შეთხელებულ, მაგრამ მაინც: სომხით-საბარათიანოში მოსახლეობის რეალურად არსებობას აღასტურებს თავის დღიურში გილდენშტედტიც¹³, რომელმაც 1772 წელს გზად გაიარა ამ მხარეში. ქვემო ქართლში ქართულ სათვალოების არსებობაც ცხადი ნიშანია. იმისა რომ, თუნდ მცირე რიცხოვნობის სოფლის მოსახლეობა მაინც იყო ადგილზე; ე. ი. ამ პარაგრაფითაც ნუსხის ციფრობრივ მონაცემებს სისრულე აკლია:

3. ნუსხაში დასახელებულნი არიან ცალკე პუნქტებად თემები: გუჯარეთი, თრიალეთი, ტაშირი, ყაიყული და დახასიათებულნი არიან როგორც „აოხრებული და უმკვიდრო“ რაიონები. მათი მოსახლეობის არავითარი რიცხოვნობა არ არის ნაჩვენები. ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთი მთის თემები როგორც თრიალეთი და გუჯარეთია სრულიად უმკვიდრო შექმნილიყო. ხსენებული 4 რაიონის დასახვა როგორც სრულიად გაუკაცრიელებული ტერიტორიისა, ჩვენ მიგვაჩინია კიდევ ერთ მაჩვენებლად იმისა, რომ მოსახლეობის რეალური რიცხოვნობა ამ ნუსხაში სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი.

ტაბ. 1-ისა და ტაბ. 2-ის საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ტაბ. 3, რომელიც გვაძლევს წარმოდგენას 1770 წლის 5 აპრილის ნუსხაში წარმოდგენილ კომლთა და სულთა (ჩვენი გამოთვლით) საერთო რიცხოვნობაზე. სოფლის მოსახლეობა დანაწევრებულია დასახელებული პროცენტიებისა და ეთნიკური კვალიფიკაციის მიხედვით; ქალაქების მოსახლეობა წარმოდგენილია ერთობლივად, ეთნიკური ნიშანით, დიფერენციაციის გარეშე, — როგორც ეს თვით ნუსხაშია.

მოსახლეობის რიცხოვნობა (კომლობრივი და სულადობრივი) გამოთვლილია ცალკე თანამედროვე საქართველოს სსრ ტერიტორიის მიმართ და ცალკე

¹³ გილდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გამოსცა გ. გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 67, 83, 239, 241.

1770 წლის აღმოსავლეთ საქართველოს მთავრობის მიმართ. პირველ შემთხვევაში მოსახლეობა შეადგენდა 33540 კომლს და 204081 სულს, ხოლო მეორე შემთხვევაში — 44000 კომლს და 273453 სულს. ორი ზემოგანნილული გარემოების (მეკომურთა აღწერის დავთრების, რომელიც უნდა ნასარებლევი ჰქონდეთ 1770 წლის ნუსხის შემდგენელთ) არასიჩუსტისა და ოვთ 1770 წლის ნუსხის არასირულის გათვალისწინებას მივყავრთ დასკვნამდე, რომ 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის ციფრობრივი მონაცემები მხოლოდ მიახლოებითა და მოსახლეობის ნამდვილი კომლობრივი და სულადობრივი რიცხოვნობა საკრძნობლად აღმატებოდა ამ ნუსხაში მითითებულს.

სახელდობრი რა პროცენტს შეადგენდა ნუსხაში გამოტოვებული და აღუნუსხავი მოსახლეობა, დაბეჭითებით თქმა ძნელია, მაგრამ, თუ აღწერის დავთრებიდან კომლთა რიცხოვნობა სწორად არის გადატანილი 1770 წლის ნუსხაში, მაშინ დიდად არ შევცდებით, თუ ვივარაუდეთ, რომ გამოტოვებულთა და აღუნუსხავთა რიცხოვნობა აღწევდა მთელი მოსახლეობის 10%-მდე. ასეთი კორექტავით (10%-ის მიმატებით) აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის საერთო ჯმი გამოიხატება შემდეგი ციფრებით: პირველ შემთხვევაში — $33540(90\%) + 3726(10\%) = 37266(100\%)$ კომლი და $204081(90\%) + 22675(10\%) = 226756(100\%)$ სული; ხოლო მეორე შემთხვევაში — $44000(90\%) + 4888(10\%) = 48888(100\%)$ კომლი და $273453(90\%) + 30383(10\%) = 303836(100\%)$ სული.

1770 წლის 5 აპრილის ნუსხით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის დადგენის საკითხში ჩერჩერობით ამით ვკმაყოფილდებით.

მოსახლეობის აბსოლუტურ რიცხოვნობის დადგენასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურის განხილვა სხვადასხვა ჭრილში. ამ სტატიაში ჩერენ ვეცდებით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურის განხილვას მხოლოდ იმ მონაცემთა მიხედვით, რომელთაც შეიცავს 1770 წლის ნუსხა; აბსოლუტურ რიცხოვნობას კორექტივს არ ვუკეთებთ და ვტოვებთ უცვლელს, როგორც ეს ნუსხაშია; ჩერენ მხოლოდ ასპექტების შესაბამისად სხვადასხვარიგად დავაწვდომობთ ნუსხის ციფრობრივ მონაცემებს.

ტაბულებში ციფრები მოყვანილია 1770 წ. ნუსხიდან უცვლელად, კორექტირება 10%-ით არ გაგვიკეთებია შემდეგი მოსახლეებით: ამ 10%-ში შედიან სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ნიშნის მქონე, სხვადასხვა პროგიციებში გაბნეული მოსახლენი. ამიტომ ნუსხის ყველა ციფრების თანაბარი კორექტირება 10-10%-ით აშკარად უმართებულო იქნება. აქ უთუოდ საჭიროა დიფერენცირებული მიღომა, ხოლო კორექტივის პროცენტობრივ დიფერენცირებას, განსახლების სხვადასხვა რაიონების თუ ეთნიკური ნიშნების მიხედვით, ჩერენ ვერ ვახერხებთ საამისო ობიექტური კრიტერიუმის უქონლობის გამო. ამიტომ ტაბულებში 10%-ანი კორექტივის შეტანისაგან ამჭერად თავს ვიკავებთ.

ქალაქის მოსახლეობა. ქვეყნის მოსახლეობის საერთო ჯმში ქალაქების პოსახლეობის პროცენტის გარკვევისას, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებები:

1. საზოგადოდ, ქალაქის მოსახლეობა არა თუ სურამის, ცხინვალის, ანანურის, ახალგორის, თელავის, სიღნაღისა, არამედ — გორისა და, ნაწილობრივ,

თბილისისაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. ამიტომ პროვინციულ ქალაქებში მოსახლეობის ნაწილი თავისი სოციალური მდგრადარეობით და მეურნეობრივი საქმიანობით ვერ მიიჩნევა სრულფასოვან, „ნამდვილ“, ბუნებით ქალაქებად.

2. თბილისში მოსახლე კომლთა განსაზღვრა 4000-ით ჩენ სარწმუნოდ მიგახნია, ამ ციფრის დამაჯერებლობას ამაგრებს 1781 წლის აღწერა, რომლის მიხედვითაც თბილისში ითვლებოდა 3498 კომლი. სხვაობა შეიძლება აისხნას შედეგით: ა. 1770 წლის 5 აპრილის შემდეგ — 1770—71 წლებში, თბილისში მძვინვარებდა უამი და მოსახლეობის დიდი ნაწილი (ერთ მეოთხედამდე) ამოწყვეტილა, რვა-ცხრა წლის (1772—1780 წწ.) მანძილზე მოსახლეობის აღდგენა სრული მასშტაბით არ განხორციელებულა; ბ. 1781 წლის ნუსხაში აღრაცხულია მხოლოდ სახასო და ფეოდალების ყმები, თვით ფეოდალური ფენა ან სამეფო კარი არ ჩანს; 1781 წლის ნუსხაში იხსენიება ცალკე ასებულად „მოქალაქეთა დავთარი“, რომელშიაც აღირიცხებოდა თბილისის მოსახლეთა გარკვეული ნაწილი და რომელიც გამოქვეყნებულ თბილისის 1781 წლის აღწერის ნუსხაში არ შესულა¹⁴. ცველა ამ შიზეზით ადვილი გასაგებია, რომ 1781 წელს შედგენილ თბილისის აღწერის ნუსხაში ნაჩვენები უნდა იყოს კომლთა ხავლებირაოდენობა, ციდრე—1770 წლის 5 აპრილს შედგენილ ნუსხაში. მაშასადამი ცნობა, რომ 1770 წლისათვის თბილისში ითვლებოდა მოსახლედ 4000 კომლი; უნდა მიერჩიოთ სარწმუნო ცნობად¹⁵. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ 4000 კომლის გარდა, სავარაუდებელია მოსახლეთა კიდევ რაღაც რაოდენობა—სამეფო კარისა და სამხედრო გარნიზონის სახით.

3. 1770 წლის ნუსხით, იმ დროს გორის მოსახლეობა „ხიზნითვე“ შეადგენდა 500 კომლს, ხოლო 1804 წლის პირველი კამერალური აღწერით, გორში აღრაცხული იყო 418 კომლი. ეს სხვაობა უფრო ძნელი ასახსნელია. დროითი დაშორება აქ მეტია, ვიდრე ზევით განხილულ შემთხვევაში (თბილისის ნუსხა) და მიგრაციული თუ სხვა პროცესების ზემოქმედების გათვალისწინება შერ ვერ მოხერხდა. შესაძლოა, ეს სხვაობა, ნაწილობრივ მაინც, 1770 წელს გორში მოსახლე ხიზნების ხარჯზე აიხსნას, ნაწილობრივ კი პირველი კამერალური აღწერის არასისრულით.

4. ცხინვალისა და თელავის კომლთა რიცხვი ნამდვილად დიდად არის გაზრდილი. ორივე ქალაქი მნიშვნელოვნად უფრო მომცრო იყო ვიდრე გორი. ამიტომ მათ კომლთა რიცხვონბის შეფარდება (გორში — 500 კომლი, ცხინვალისა და თელავში — 700—750 კომლი) გაკვირვებას იწვევს. ამ უცნაურობის ამოხსნა შეიძლება ვეძებოთ იმაში, რომ გორში, ცხინვალში და თელავში მოსახლეთა რიცხვში იგულისხმებიან ხიზნებიც, მაგრამ სახიზნავად ცხინვალი და თელავი უკეთესი იყო გორზე და ამიტომ იქ ხიზნების რიცხვი ჭარბობდა აღბათ. ამასთან, თელავის კომლთა საერთო რიცხვში (750) შევიდა „თელავის

14 იბ. ივ. გავახი შვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები, ჭ. I. დემოგრაფიული ძეგლები. თბ., 1967. გვ. 140—144.

15 არქივში დაცულია სტ. ბურნაშვილის ხელშოთერილი სტატისტიკური ცნობათა კრებსი საქართველოს მოსახლეობაზე (ძაცსა, ფ. 23, ს. 16, ნაწ. 17, ფრ. 110), რომლის თანახმადც 1784 წელს თბილისში ყოფილა 1862 კომლი. ასეთი მცირე მოსახლეობა არც ერთი სხვა ცნობათ არ დასტურდება. აქ „თბილისი“ ნაგულისხმევი იქნება უთუოდ არა იმ ფარგლებში, როგორც წარმოდგენილია 1770 წლისა და 1781 წლის ნუსხებში.

ბოლოს სოფელიც". ცხინვალთან თუმც სოფელი არ არის დასახელებული, მაგრამ სავარაუდებელია, რომ კომლთა საერთო რიცხვში (700 კ.) შესულია, ლიახვის აყოლებით, ცხინვალის მომდგომი უახლესი სოფლების კომლებიც. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ნუსხაში ნახ-სენებია „მაჩაბლის ისი... და ურია“. ხოლო ქრისტიანი ქართველები სამაჩაბ-ლობში არ იხსენიებიან, თუმცა ქართული მოსახლეობის ყოფნა აქ სრულიად უეჭველია და დამოწმებულია მრავალი საბუთით.

I კამერ. აღწერით, ირიცხებოდა: გორში 418 კომლი, ცხინვალში 182 კომლი, თელავში 312 კომლი. თუმცა პირველი კამერალური აღწერის ციფრები არ იყო ჯეროვნად სარწმუნო, მაინც, ჩვენის აზრით, მიახლოებით ორენტირად გამოდგება.

საბოლოოდ, ჩვენი შეხედულებით, საკუთრივ ქალაქის მოსახ-ლეობად თელავში 350 კომლზე მეტი და ცხინვალში 250 კომლზე მე-ტი ვერ იანგარიშება. ამ ორი ქალაქის დანარჩენი 850 ($700+750=1450-600=850$) კომლი უნდა მიეკუთვნოს საკუთრივ სოფლის მო-სახლეობას. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შეპირისპირების ასპექტ-ში, ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნება ახალგორის მოსახლეობაც (140 კომლი) მთლიანად სოფლის მოსახლეობას მივათვალოთ. 1770 წლის ნუსხა ახალგორში 140 კომლს ანგარიშობს. ეს სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს. კომლების უახლოესი აღწერის — 1774 წლის — დავთრით ახალგორში ირი-ცხებოდა 111 კომლი — 196 თავი¹⁶, ამათში ხიზანი 29 კომლი — 44 თავი. ხი-ზანს გარდა დანარჩენი მიჩნეულია ქსნის ერისთავისა და რატისშვილის ყმებად, — არც ერთი აზნაურიშვილი არ არის დასახელებული; მასთანცე, ქსნის ერის-თავის სასახლისა და ციხე-კოშების მობინადრეებზე არაფერია ნათქვამი. თვით ყმებიც, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა, კომლთა სახელობითს ნუსხაში არ იქნებოდნენ სრულად წარმოდგენილი. ამიტომ 1770 წლის ნუსხით ნაჩ-ვენები კომლთა რიცხვი — 140, თუ მთლიად არა, ძირითადად მაინც ეთანხმე-ბა 1774 წლის აღწერის ცნობას (სხვაობამ შეიძლება შეადგინოს მხოლოდ 5%-მდე) და არ უნდა იყოს სინამდვილეს დიდად დაშორებული.

ანანურის მოსახლეობას, მთლიანად ვტოვებთ ქალაქთა მოსახლეობაში, რადგანაც ანანურის მეზობლად დუშეთი იყო და ამ ორი პუნქტის მოსახლე-ობის მეტი ნაწილი იმ დროის ქალაქური ტიპისა იყო.

ზოგად და კონკრეტულ ამ გარემოებათა გათვალისწინებით ჩვენ შევად-გინეთ ტაბ. 4 ორ პარალელურ სვეტად: ერთი, 1770 წლის ნუსხის მონაცემთა უცვლელად გამოყენების საფუძველზე და, მეორე — ამ მონაცემების ერთვა-რი კორექტივით გამოყენების საფუძველზე. ეს კორექტივი მდგომარეობს იმა-ში, რომ 990 კომლი (ცხინვალის, თელავის, ახალგორის) ანუ 4554 სული და-ვკელით ქალაქის მოსახლეობას და მივუმატეთ სოფლის მოსახლეობას.

ქართლ-კახეთის ბარის და მოსახლეობრე დიდი კავკასიონის მოსახლეობის რიცხობრივი შეფარდება. ამ ასპექტით აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლე-ობის სტრუქტურას ყურადღებას ვაქცევთ, რადგანაც საქართველოსათვის მი-სი ისტორიის მთელ მანძილზე არსებოთი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი კავკასი-ონის მთისა და ქართლ-კახეთის ბარის მოსახლეობის ურთიერთობას. ხოლო ამ ურთიერთობის ხასიათს ზოგ რამეში განსაზღვრავდა მათი რიცხობრივი შეფარ-

16 ივ. ჯავახიშვილი. იქვე, გვ. 199—204.

5. „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია, 1976, № 3

დება. ტექნიკის დაბალი განვითარების პირობებში, მოსახლეობის რიცხობრიობა, მისი სიმჭიდროვე, ზოგიერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებთან ერთად, პირველხარისხოვან როლს ასრულებდა მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ფორმირებაში. ამ ურთიერთობას მრავალი ასპექტი აქვს და მრავალმხრივი იყო მისი გავლენა და მნიშვნელობა საქართველოსათვის, კერძოდ, ის უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოს ეთნიკურ ფორმირებაში და მას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, მთისა და ბარის სამეცნიერო საქმიანობის კონპერიორებისათვის, მათი პროდუქციის ბრუნვისა და სამომხმარებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

თავის მხრივ, მთისა და ბარის მოსახლეობის ეკონომიკურ ურთიერთობა-თა რეგულირებას, ნორმალიზაციას უშუალო და ძლიერი გავლენა ჰქონდა ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობის სტაბილურობაზე. ამ ნორმალიზაციის ერთ-ერთ წინაპირობად კი უნდა ყოფილიყო გარკვეული პროპორცია მათს რიცხობრივ ურთიერთშეფარდებაში. მთისა და ბარის მოსახლეობის რიცხობრივ შეფარდებაში დისპროპორციის შექმნა — კი, ჩასაკვირველია, მათს ურთიერთობაში მახინჯ, კონფლიქტურ სიტუაციას წარმოშობდა, რომელიც სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა გზით თავს იჩენდა ხოლმე და ნორმალურ განვითარებას აფერხებდა.

1770 წლის ნუსხა შეიცავს მონაცემებს, რომელნიც იძლევიან საშუალებას გავარკვიოთ, თუ რა ვითარება იყო შექმნილი იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში მთისა და ბარის მოსახლეობის რიცხობრივი თანაფარდობის მხრივ. ამისათვის ჩვენ შევადგინეთ ტაბ. 5. სიმკვეთრისათვის, ქართლის შესახებ და კახეთის შესახებ ციფრობრივი მასალა ცალ-ცალკე დავაჭგულეთ. ტაბულაში შეტანილ და არშეტანილ ციფრებშე უნდა ითქვას შემდეგი:

1. საკუთრივ ქართლ-კახეთის ბარისა და მთიანეთის მონაცემებს გარდა, ჩვენ ჩავურთეთ ნარა-ზაყას (ე. ი. დვალეთის) და დიდოეთის მონაცემებიც, — ეს ორი პროვინცია უშუალოდ ემეზობლებოდა ქართლისა და კახეთის ბარს; ამიტომ, იმისგან გამოუკიდებლად, შედიოდნენ ისინი თუ არა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოს საზღვრებში, ისინი ქართლ-კახეთის ბართან მრავალმხრივ და მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ ჩაბმულნი; განსაკუთრებით კი — ეკონომიკურ კავშირში.

2. ტაბულის ვარეთ დარჩა ყაზა-შამშადილოს მოსახლეობა, რაღანაც ის არ მონაწილეობდა ქართლ-კახეთის ბარის ურთიერთობაში მაღალმთიანი კავკასიონის მოსახლეობასთან;

3. უგულებელვყავით ქვემო ქართლის მოსახლეობა, რაღანა თვით ნუსხაში მისი რიცხოვნობა გარკვეული არ არის, მისი დეზორგანიზებულობის (ხიზნობა) გამო იხსენიება მხოლოდ ქვემო ქართლის მეტისმეტი გაპარტახებულობა. ამისი გამო მისი მოსახლეობა არ წარმოადგენს რამე საგრძნობ ფაქტორს ქართლ-კახეთის ბარისა და კავკასიონის მთის ურთიერთობაში.

4. ტაბულაში შეტანილია ბორჩალოს, დემურჩი ასანლუს და ბაიდარის „თათრები“ 2200 კომლი, რაც გამართლებულია იმით, რომ ისინი სახლობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ძირითად ტერიტორიაზე. ეს გარკვეულად ორგანიზებული მოსახლეობა იყო და ეკონომიკურად, ქართლ-კახეთის ბართან ერთად, გარკვეულ მთლიანობას ჰქმნიდა.

5. ქსნის, არაგვისა და სამაჩაბლოს ოსები მთლიანად მთას მივაკუთვნეთ ხოლო არაგვის და ქსნის ქართველები გავყავით ორად: ბარს მივაკუთვნეთ 1600 კომლი (არაგვის — 1000 და ქსნის — 600 კომლი), ხოლო მთას მივაკუთვნეთ 2000 კომლი (არაგვის — 1000 და ქსნის — 1000). ცხადია, ასეთი გაყოფა ქსნი — არაგვის ქართველებისა უხეში მიახლოვებითი გარაუდით არის შესრულებული, მაგრამ მაინც საჭიროა მთა-ბარის რიცხობრივი ურთიერთ შეფარდების უფრო სწორი სურათის შექმნისათვის.

დასასრულს, კიდევ პატარა ტაბულა 7 იმის საილუსტრაციოდ. თუ რა პროცენტს შეადგენდნენ ქართველები აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაში 1770 წელს. ამ წლის ნუსხა ითვლის სოფლად 182000 კომლ ქართველს, რაც ჩვენი გამოთვლით შეადგენდა 118800 სულს (იხ. ტაბ. 3). გაურკვეველი დარჩა ქართველების რაცხოვნობა ქალაქებში, რადგანაც ნუსხაში ქალაქის მოსახლეობა არ არის დიფერენცირებული ეთნიკური ნიშნით. ქალაქის მოსახლეობის ეროვნული ნიშნით დიფერენცირებაში მთავარია ამ საკითხის გაღაწყვეტა თბილისის მოსახლეობის მიმართ. აյ კი ძირითადია თბილისის ქართველ და სომეხ მოსახლეთა პროცენტული შეფარდების დადგენა, რადგან დანარჩენი ეთნიკური ჯუფების („თათრები“, ებრაელები, კავკასიელი მთიელები, დასავლეთევროპელები და სხვ.) საერთო ხევდრითი წონა მეტად მცირე იყო (10%-მდე). ისევ დავიხმარებთ XIX ს-ის პირველი წლების დემოგრაფიულ მასალას.

1803 წლის იანვრის აღწერით, თბილიში შემო მაშინ იჩიცხებოდა:

ქრონიკა	კომლი		სული			
	აბსოლუტ.	პროც.	აბსოლუტ.	პროც.		
ქართველი	636	—	21.7%	2663	—	22.6%
სომეხი	2170	—	74.2%	8729	—	74.0%
„თათარი“	64	—	2.2%	224	—	1.9%
კათოლიკი	37	—	1.3%	161	—	1.3%
და სხვ.	18	—	0.6%	28	—	0.2%
სულ	2925	—	100%	11805	—	100% ¹⁷

ეს პროცენტული შეფარდება, რასაკვირველია, მექანიკურად არ გადაიტანება 1770 წელზე. მხედველობაში მისალებია, ერთი მხრივ ის, რომ 1802 — 1803 წლისათვის ქართული მოსახლეობა თბილისში უნდა დაკლებულიყო ქართული სახელმწიფო პარატის გაუქმების გამო, ბატონიშვილების და თავადების ნაწილის ოპოზიციურ განწყობილების და თბილისიდან წასვლის გამო; საფიქრებელია „თათრების“ რაცხოვნობის დაკლებაც¹⁸. ხოლო მეორე მხრივ, XVIII — XIX სს. მიზნის წლებში, იმდროინდელი დემოგრაფიული მასალების მიხედვით, თბილისში შესამჩნევად მატულობს ახალგადმოსახლებულ სომეხთა რიცხოვნობა. ამის შედეგად 1800-იან წლებში 1770 წელთან შედარებით ქართ-

17 მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის ყველა ციფრი აღებული გვაქვს ს. კავაბაძის ხსნებულ სტატიდან („საისტ. მოამბე“, 1925, II, გვ. 29), პროცენტების დანარჩიშება ჩვენია.

18 ამ დროს თბილისში მოქმედებდა ერთი მეჩეთი (იხ. AKAK, რ. II, გვ. 1046) ნაცვლად სამი მეჩეთისა 1770 წ. (იხ. აქვე, გვ. 68). ქალაქ თბილისის 1800 და 1802 წლებში შედგენალ გეგმებზეც აღნიშნულია ერთი მოქმედი და ოთხი დანგრეული მეჩეთი (იხ. ცგვია, ვუა, დ. 22660, 22661). საფიქრებელია, რომ ეს აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგი იყო.

ველთა პროცენტმა იყლო, ხოლო სომებთა პროცენტმა იმატა. ამის შესაბამისად ჩვენ ვივარაუდეთ 1770 წლისთვის პროცენტის გაზრდა ქართველებისა 20%-მდე და „თათართა“ 7,5%-მდე, ხოლო სომებთა პროცენტის შემცირება 60.0%-მდე.

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ერთგვარ მაჩვენებლად შეიძლება ივარგოს ცნობაში სხვადასხვა კონფესიის სალოცავი საყდრების რაოდენობის შესახებ. გილდენშტედტის ცნობით, 1772 წელს თბილისში იყო 15 ქართული, 21 სომხური, 1 კათოლიკური ეკლესია და 3 მეჩეთი¹⁹.

საგულისხმოა, აგრეთვე, 1781 წლის თბილისის ოღწერის მონაცემებიც. ამ ოღწერის ნუსხის თანახმად, სამეფო-სახასო ყმა იყო 1580 კომლი, სამეფო ოჯახის წევრების ყმები ერთობლივ — 752 კომლი, მსხვილ ქართველ ფეოდალთა ყმები ერთობლივ — 413 კომლი და ქართული ეკლესია-მონასტრების ყმები — 167 კომლი; სულ — 2912 კომლი; ამათში, უცველია, ბევრი იქნებოდა ქართველი. დანარჩენი 579 კომლი იყო ყმები საშუალო ხელის მოხელე-ფეოდალებისა და მოქალაქეებისა, სომხური ეკლესია მონასტრებისა და სომები ფეოდალებისა.

უკველა ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, თბილისის მოსახლე 4000 კომლი განაწილდა ასე: სომები — 2400 კომლი (60%), ქართველი — 1200 კომლი (30%), „თათარი“ — 300 კომლი (7,5%) დასხვა — 100 კომლი (2,5%). დანარჩენ 7 ქალაქში, კვლავ რიგ გარემოებათა და 1804 წლის პირველი კამერალური ოღწერის შედეგების გათვალისწინების საფუძველზე, ქართველთა რიცხვს ჩვენ ვნებარიშობთ დაახლოებით 1300 კომლს. ამათ რიცხვში 960 კომლი იგულისხმება თელავისა და ცხინვალში, რადგანაც, უცველია, ამ ქალაქებზე ნუსხაში უმეტესად სოფლის მოსახლეობაა მითვლილი.

ამრიგად, 1770 წლის 5 აპრილის ნუსხაში ქალაქების მოსახლეობად ნაჩვენები 6490 კომლიდან ქართველებად მივიჩნიეთ თბილისში 1200 კომლი $\times 4 = 4800$ სული) დანარჩენ 7 ქალაქში 1300 კომლი $\times 4.6 = 5980$ სული; სულ 2500 კომლი — 10780 სული ქართველი გამოდის, რომ 1770 წელს ომისავლეთ საქართველოს სამეფოში სულ იყო $118800 + 10780 = 129580$ სული ქართველი. თუ გავიჩხენებთ, რომ შიდა ქართლში, სომხითსა და საბარათიანოში აღურიცხავი დარჩა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ჭგუფები, აღურიცხავი იყო სამეფო კარი და სხვ. მაშინ ქართველთა რიცხოვნობის კორექტირება სამეფო კარი და სხვ. მაშინ ქართველთა რიცხოვნობის კორექტირება 10%-ით საჭიროდ და მართებულად წარმოგვიღება. ამ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობა 1770 წელს გამოიხატება ასეთ ციფრებში: $129580(90\%) + 14398(10\%) = 143978$ (100%) სული; დარგვალებით — 144000.

1770 წლის 5 აპრილის ნუსხის საერთო გაცნობა და ანალიზი გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ნუსხას საერთოდ გულახდილობის იერი აქვს; ის არ მაღავს რიგ ისტორიულ ფაქტს მაჩვენებელს საქართველოს სისუსტისა (დიდოეთის და ენისელი-ფადარის დაკარგვას, მრავალი თემის აოხრებულობას, ეთნიკურ სიჭრელეს და სხვ.), ამავე დროს, აოხრებულ და უმკვიდრო თემების, სუვერენიტეტისა და ქართველოს ჩამოცილებულ თემების, ჩამოთვლა და ივრის პირზე 12000 „თარის ელის“ ნამყოფობის ხსნება ნუსხაში გვაფიქრებინებს მის შემდგენელთა

¹⁹ გილდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში... ტ. I. გვ. 89—93.

სურვილს, აჩვენონ რუსეთის საიმპერიო კარს საქართველოს პოტენციალური შესაძლებლობანი რაც შეიძლება უფრო ვრცლად;

2. სახელმწიფოს ცენტრალური რაიონები — იყრის პირი, სომხით-საბარათიანო, თრიალეთ-გუგარეთი — ძალზე გამარტახებულია, მოსახლეობა აქ მეტად მცირება; შიდა ქართლის ბარიც კი, ქართლის მთიანეთთან (არაგვი-ლიანების ხეობები) შედარებით, თხლად ყოფილა დასახლებული;

3. ქალაქის მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენდა ყველა განზომილებაში (მერყეობდა 8.4%-დან 13.5%-მდე). ეს აისახება თბილისის მოსახლეობის რიცხვონბით²⁰. მისი მრავალრიცხოვნობა მანიშნებელია მისი საწარმოო-სამეურნეო შედარებით ძლიერებისა. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონების მოსახლეობის სრუცირის პირობებში ასეთი ქალაქის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა, ამ ქალაქს რომ მხოლოდ ამ პერიფერიით ესაზრდოვა. თბილისი იმ სახით არსებობა, როგორც ის იყო, მიგვინიშნებს იმაზე (რაც სხვადასხვა ისტორიული მასალითაც დასტურდება), რომ თბილისი ქალაქობას უწევდა არა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ მის გარე მყოფ მოსახლეობასაც: დასავლეთ საქართველოს, კავკასიელ მთიელებს, ერევნისა და აზერბაიჯანის სახანოებს და მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი ჰქონდა უფრო შორეულ ქალაქებსა და ქვეყნებთანაც;

4. წარმოდგენილი ტაბულების თანახმად მოსახლეობის სტრუქტურა ხასიათდებოდა შემდეგი ნიშნებით: ა. დისპროპორცია მთისა და ბარის მოსახლეობის რიცხვონბის შეფარდებაში. ბარის — სახელმწიფოს ცენტრალურ რაიონებს — არა ჰქონდა ძლიერი, შთამბეჭდავი უპირატესობა მთისა და პერიფერიის მოსახლეობის მიმართ; ბ. აღმოსავლეთ საქართველოში, საერთოდ, და, განსაკუთრებით, ქართლში ეროვნულ უმცირესობათა სამრავლეა, მათი პროცენტი მაღალია ძირითად ეთნიკურ ბირთვთან შედარებით. ეთნიკური სიჭრელე მასთანვე კონფესიური სიჭრელეც იყო და ეს აღრმავებდა ეთნიკურ სიჭრელის დეზინტეგრაციულ ზემოქმედებას. აქაც შექმნილი იყო, შეიძლება ითქვას, ერთგვარი დისპროპორციულობა. გ. ეროვნული უმცირესობები დასახლებულნი არიან კომპაქტურად პერიფერიაზე სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთით — „თათრები“, აღმოსავლეთით — ლეკები და მუღალოელები, ჩრდილოეთში — ოსები; ხოლო ცენტრში — თბილისში და სხვა ქალაქებსა და გარეუბნებში — სომხები; ძირითადი ბირთვი კი — ქართული ეთნიკური მასივი — ძალზე შელახული და დასერილ-დაბზარულია.

ორი პირობა — პერიფერიულობა და კომპაქტურობა, შეთავსებული მესამე პირობასთან — ქართული პოლიტიკური ხელისუფლების არა სიმყარესთან და გარეპოლიტიკური ძალის შემოჭრის მუდმივ საფრთხესთან (რაც ჰქმნიდა მერყევ მორალურ-იდეურ ატმოსფეროს) — ძალიან ძნელ ამოცანად ხდიდა ამ ეროვნულ უმცირესობათა ადაპტირებას.

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის სტრუქტურის განხილვას რამდენიმე ჭრილში მივყავართ ერთ საერთო და შინაგანად შეთანხმებულ დასკვ-

20 თბილისი მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქური მოსახლეობის კომლთ 61.5%-ს შეიცავდა, ხოლო ჩვენი კორეგტივის გათვალისწინების შემთხვევაში 72.7%-ს: თუ ვინგარიშებთ სულადობრივ, გაშინ თბილისის მოსახლეობა შესაბამისად შეაღვენდა 53.3% და 69.9%-ს.

ნამდე. აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს აშკარად აკლდა ადამიანური რესურსები ამიერ-კავკასიაში ენერგიული პოლიტიკის წარმატებით წარმოებისათვის; ამასთან, მოსახლეობის სტრუქტურაში საღი პროპორციები დარღვეულია და შექმნილი დასპროპორციები ერთობლივ მოწმობენ ცენტრალური რაიონებისა და ბარის სისუსტეს პერიფერიისა და მთის მიმართ; ამის გამო თვით ამ სახელმწიფოს, ქართლ-კახეთის სამეფოსა და მის პოპულაციას კომპაქტურობა, მტკიცე შეკრულობა უნდა ჰქონდებოდა. საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში წამყვანი, ხელმძღვანელი როლის შესრულება მთას, პერიფერიას, ბუნებრივია, არ შეეძლო, — ეს როლი ბარს, ცენტრალურ რაიონებში უფრო შეესაბამებოდა, მაგრამ ამ როლის შესრულებისათვის ბარს, ცენტრს უნდა მოეპოვებინა აშკარა, მყარი დომინირება პერიფერიისა და მთის მიმართ; ე. ი. ქართული სახელმწიფოებრივობის განმტკიცების საქმეში პირველი რიგის ამოცანად იდგა სახელმწიფოს ცენტრის, ცენტრალური რაიონების — ბარის — მოშენება, გაძლიერება და ეთნიკურ-კონფესიური სიჭრელის განელება.

ერეკლე II-ის საშინაო პოლიტიკის რიგი ღონისძიება გამიზნული იყო სწორედ ქართლ-კახეთის ბარში მოსახლეობის მომრავლებაზე. ერეკლე II საქართველოში დასასახლებლად იწვევდა ყველას განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა და ყველა ახალდასახლებულს, განურჩევლად ტომობრივი კუთვნილებისა, აძლევდა თანაბარ შეღავათებს; ე. ი. მოსახლეობის მომრავლება ბარში მას უფრო მნიშვნელოვან საქმედ მიაჩნდა, ვიდრე ეთნიკურ-კონფესიური სიჭრელის განელება.

მოსახლეობის სტრუქტურაში დასპროპორციების წარმოქმნას მოჰყვა მრავალმხრივ ღრმა, უარყოფითი სოციალური შედეგები. ამ სოციალური შედეგების განხილვა განზრახული გვაქვს სხვა დროს.

ტაბ. 1

1770 წლის 5 აპრილის ნუსხის საერთო მონაცემები

დასახლებული ადგის სახელი	1770 წლის 5 ნუსხი	თანამდებობები		1770 წლ. აღმ. საქ-ლოს	შენიშვნები
		საქ- ლოს	საქ- ლოს		
თბილისი	4000	4000	—	4000	—
გორი ხიზით	500	500	—	500	—
ცხინვალი ხიზით	700	700	—	700	—
სურაძი	200	200	—	200	—
თელავი ხიზით და ბოლოს სოფლით	750	750	—	750	—
სოლინი მცირე ყარაბა	100	100	—	100	—
ანაური	100	100	—	100	—
ახალგორი	140	140	—	140	—
სულ ქალაქებში	6490	6490	—	6490	—
ოსი სახასო, ნარა, შაა, კუდარო	1400	300	1100*	1400	* ნარა, დვალეთი
ოსი არაგვის: ზაყა, თრუსო, ჭვრი-	1200	1000	200*	1200	* ზაყა
ვრ, ადა, ლუდა	2000	2000	—	2000	
გარელმაღალებელი, არაგვს	2000	2000	—	2000	
ოს ქინის	1600	1600	—	1600	
მართლზაღილებები. ქსანს-საერისთოს	860	860	—	860	
ოს მაჩაბულის	40	40	—	40	
მაჩაბულის გარელი	4000	4000	—	4000	
სომეხი ქართლში	500	500	—	500	
დომურჩი ასანლუ „თათარი“	1000	1000	—	1000	* ბორჩალო:
ბაიდარი „იბლა რომ არის“ თათარი	200	200	—	200	თათარი — 1000
ბორჩალო და ფეხაკი „მოელი სა- ხანო... ...სომხითი“	2560 ¹	1500*	1060**	2560	სომეხი — 500
ყაზახი „დღეს არის თათარი“	3500	—	3500	3500	** ლორე-ფაშაკი:
სომეხი	1200	—	1200	1200	თათარი — 500
უაშადილუ „თათარი“	2200	—	2200	2200	სომეხი — 560
სომეხი	1200	—	1200	1200	
ქეესურეთი	1200	1200	—	1200	
ფ ჭ ა ვ ი	1000	1000	—	1000	
თ უ ჭ ე თ ი	1400	1400	—	1400	
დიდოეთი	4000	—	4000	—	4000
კახეთის მართმაღიდებ. ხიზით	7000	7000	—	7000	
” სომხეთი ხიზით	450	450	—	450	
” თათარი“	1000	1000	—	1000	
ენისული, ფალარი, ლალალი	10000	—	10000	—	10000
სულ სოფლები	51510	27050	24460	37510	14000
ჯამი: ქალაქები და სოფლები	58000	33540	24460	44000	14000
მის გარდა:					
სომხითი აოხრებული	დარჩა მოსა- ხლეობის 1/40				
საბარათაშვილო აოხრებული	დარჩა მოსა- ხლეობის 1/100				
იერის პირი აოხრებული	ნასახლარი 12000				
თრიალეთი აოხრებული	უმკვიდრო				
გუგარეთი აოხრებული	”				
ტაშირი აოხრებული	”				
ყაიყული აოხრებული	”				

1 დედანიში ასეა ერთობლივ; ეს ციფრი გავყავით მითხოვებითი ვარაუდით ორ პრო-
ვინციას და ორ ერთოვნებას შორის.

კომისა სულადობრივი შედგენილობის საშუალო არითმეტიკული
 ოლმოსაფლეთ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში 1804 წლის
 პირველი კამერალური აღწერით

	სოფლების რიცხვი	მიმღები საკუთრივი საკუთრივი	გათვალისწინებული თანამდებობის სულთანის საკუთრივი	გათვალისწინებული თანამდებობის სულთანის საკუთრივი	გათვალისწინებული თანამდებობის სულთანის საკუთრივი	გათვალისწინებული თანამდებობის სულთანის საკუთრივი	კომისის საშუალო სულადობრივი შედგენილობა კრონცხათა მიხ. დეილ				
							კარ.	სომხ.	თან.	სი	ცარ.
ანანურის მაზრა	212	3278	21008	15,5	6,4	6,5	5,6	—	6,23	—	—
გორის მაზრა	190	5500	35850	28,9	6,52	6,52	6,0	—	6,72	7,5	7,0
თელავის მაზრა	83	4804	34239	57,9	7,13	7,35	5,45	—	—	—	—
სიღნაღის მაზრა	47	4499	33668	95,7	7,48	7,85	5,8	—	—	—	—
ლორის მაზრა	109	5112	21773	46,9	4,28	6,1	5,15	7,0	5,5	—	3,44
ს უ ლ	641	23193	146538		6,3						
თბილისი	1	2925	11805 ¹		4,0						
გორი	1	418	1451								
ანანური	1	59	355								
თელავი	1	312	1351								
სიღნაღი	1	256	1305								
ცხინვალი	1	182	966								
სურამი	1	129	735								
ახალგორი	1	93	518								
სულ თბილისის გარდა	7	1449	6681 ²		4,6						

1 კაკაბაძე, ქალ. თბილისის აღწერა 1803 წლისა. იხ. „საისტორიო მოამბე“, 1925.
 II წ. გვ. 29.

2 საქ. სსრ, ცსსა, ფ. 254, სს. 70, 74, 75, 76, 77.

ტაბ. 3

აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლე კომლთა და სულთა საერთო
 რიცხვი 1770 წლის 5 აპრილის ნუსხის მიხედვით

	სსრ ფარგლებში			1770 წლ. ილ. საქართველოს სამართლებრივი ფარგლებში		
	კავკასიი კავკასიი	საქართველო საქართველო	სულთა სულთა	კავკასიი კავკასიი	საქართველო საქართველო	სულთა სულთა
შიდა ქართლი, არაგვისა და ქსანზე	7000	6,5	49400	7000	6,5	49400
კახეთში	7000	7,5	52500	7000	7,5	52500
ფშვ-ხევსურეთში	2200	4,5	9900	2200	4,5	9900
თუშეთში	1400	5,0	7000	1400	5,0	7000
სულ ქართველი	18200		118800	18200		118800
შიდა ქართლში	500	5,8	2900	500	5,8	2900
კახეთში	450	5,7	2565	450	5,7	2565
ბორჩალოში	500	5,7	2850	500	5,7	2850
ყაზახ-შამშადილო-ფამბაკი	—	—	—	2960	5,7	16872
სულ სომხეთი	1450		8315	4410		25187
შპასა და კუდაროში	300	6,5	1950	300	6,5	1950
არაგვზე და ქსანზე (მაღალმთიან ზოლში)	2000	6,2	12400	2000	6,2	12400
ქსანზე (ბარში) და სამახსახელოში	1860	6,7	12462	1860	6,7	12462
ნარასა და ზეყაში	—	—	—	1300	7,0	9100
სულ ოსი	4160		26812	5460		35912
კახეთში	1000	7,0	7000	1000	7,0	7000
ბორჩალო, დემურჩი—ასაწ.	2200	7,0	15400	2200	7,0	15400
ყაზახ-შამშადილო-ფამბაკი	—	—	—	6200	7,0	43400
სულ „თათარი“	3200		22400	9400		65800
კბრაელი	40	7,5	300	40	7,5	300
სოფლად მოსახლეთა ჯმი	27050		176627	37510		245999
თბილისი სურამი, ცხინვალი, გორი, ახალგო- რი, ანაური, თელავი, სიღნაღი	4000	4,0	16000	4000	4,0	16000
შიდა ქალაქები და მოსახლეთა ჯმი	2490	4,6	11454	2490	4,6	11454
აღმ. საქართ. მოსახლეობის სრული ჯმი	33540		204081	44000		273453

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რიცხობრივი შეფარდება
1770 წლის 5 აპრილის ნუსხით

808. 4

დღევანდელი საქართველოს სსრ ფარგლებში	1770.IV.5 ნუსხით		ჩვენი კორქეტივით	
	კომლი	სული	კომლი	სული
სოფლის მოსახლეობა ქალაქის „ ”	27050 6490	176627 27454	28040 5500	181181 22900
ს უ ლ ქალაქის მოსახლეობის % 1770 აღმ. საქართველოს სამცფოს ფარგლებში:	33540	204081 13,5%	33540	204081 11,2%
სოფლის მოსახლეობა ქალაქის „ ”	37510 6490	245999 27454	38500 5500	250553 22900
ს უ ლ ქალაქის მოსახლეობის %	44000	273453	44000	273453 8,4%

ქართლ-კახეთის ბარის და მოსაზღვრე კავკასიონის მოსახლეობის
რიცხობრივი შეფარდება 1770 წლის 5 აპრილის ნუსხით

Digitized by srujanika@gmail.com

ტაბ. 6

ცენტრალური და პერიფერიული რაიონების მოსახლეობის
რიცხობრივი შეფარდება 1770 წლ. 5 აპრილის ნუსხით

ცენტრის შემადგენელი ქალაქები და პროვინციები	მოსახლეობა		პერიფერიის შემადგენელი ქალაქები და პროვინციები	მოსახლეობა	
	კომლი	სული		კომლი	სული
ქალაქები: თბილისი, გორის, სურამის, ცხი- ნვალი, თელავი, სოლნალი, ანანური	4000	16000	ქალაქები: ახალგორი (რისთავის და გიორის მაჟული)	140	644
ქართლი: ქართველი სომხი	2350	10810	ნარა-კუდაროს ოსი არავესის ოსი ქსნის ოსი	1400 1200 2000	{ 35912
„თათარი“	4000	26000	სამაჩაბლოს ოსი	860	
არაგვის მართლმადიდებელი	1200	8400			
განეთი: ქართველი სომხი	2000	13000	ქსნის მართლმადიდებ.	1600	10400
„თათარი“	7000	52500	ფამბაკი: სომხი	560	3192
„თათარი“	450	2565	„თათარი“	500	3500
ბორჩალო: „თათარი“	1000	7000	ყაზახ-შამშადილ:	2400	13680
სომხი	500	2850	სომხი	5700	39900
მამაჩაბლო: ქბრაელი	40	300	თუშ-ფშავ-ხევსურეთი: ქართველი	3600	16900
	ჯ ი მ ი	24040 149325	ჯ ი მ ი	19960	124128

ტაბ. 7

აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეროვნული
შემადგენლობა 1770 წლის 5 აპრილის ნუსხით

1770 წლ. აღმოს. საქართ- ველის ფარგლებში	თანამედროვე საქართველოს სსრ ფარგლებში			
	აბსოლუტური რიცხვი		% %	
	მ ლ ე ნ	ს უ ლ	მ ლ ე ნ	ს უ ლ
ქართველები				
სოფლად	18200	118800		
ქართველები	2500	10780		
ქალაქები				
სულ ქართველები	20700	129580	47	47,4
არაქართველები	19310	127199		
სოფლად				
არაქართველები	8850	57827		
ქალაქები	3990	16674		
ქალაქები	3990	16674		
სულ არაქართველი	23300	143873	53	52,6
სულ ერთობლივ	44000	273453	100	100
	33540	204081	100	100

Э. Г. ЧАДУНЕЛИ

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ НАРОДНИЧЕСКОЙ ЭКОНОМИЧЕСКОЙ МЫСЛИ¹

Ход экономического развития пореформенного периода обусловил возникновение народничества как движения, направленного против пережитков крепостничества и пауперизации крестьянства. «Источник» народничества — преобладание класса мелких производителей в пореформенной капиталистической России². То же самое можно сказать и относительно Грузии³ того времени. Участники грузинского студенческого кружка в Петербурге (1873—74 гг.): М. Кипиани, Э. Қазбеги и др. считали необходимым идти в народ с целью пропаганды революционных идей. В первой половине 70-х гг. существовал революционный кружок «Кавказец», организованный по инициативе Эгнате Иоселиани, куда входили И. З. Бакрадзе, К. Д. Бакрадзе, Лаврентий и Палиевкт Квицаридзе, М. Кипиани, Г. Зданович (Маишвили), И. Кикодзе и др.

Основное внимание грузинских народников 70-х гг. было обращено к народническому движению в России. Они были глубоко убеждены в том, что только в условиях тесного союза с революционным движением России возможно осуществить свержение царского самодержавия⁴. Революционно-практическая деятельность грузинских народников 70-х годов (так же, как и русских народников) закончилась поражением. Народническая пропаганда не смогла пустить корни в широких массах крестьян. Народники не сумели поднять крестьянство на борьбу с царским самодержавием. Несмотря на это, они сыграли важную роль в деле революционирования народных масс.

После поражения народнического движения 70-х годов, в Грузии 80-е годы XIX в. выступило новое поколение грузинских народников, разделявшее взгляды публицистов, основавших журнал «Имеди» («Надежда»)⁵. До настоящего времени вопросы, связанные с историей жур-

¹ За последнее время до некоторой степени восполнен пробел, существовавший ранее в деле изучения общественно-политической деятельности и социально-экономических взглядов грузинских народников. Следует отметить: Л. Горгиладзе. К истории марксизма в Грузии, Тб., 1956; А. Киквидзе. История Грузии XIX—XX вв., Тб., 1959; Г. Мегрелишивили. Грузинская общественно-экономическая мысль второй половины XIX в. и начала XX в., Тб., т. I, 1959 и т. II, 1960; П. Гугушвили. К. Маркс в грузинской публицистике и общественности, Тб., 1963 (II изд.); И. Антелава. Из истории общественно-политического движения и общественной мысли в Грузии, Тб., 1967; Ю. Норакидзе. Г. Ф. Зданович-Маишвили и эволюция народнических общественно-экономических взглядов в Грузии последней четверти XIX и начала XX вв. (канд. дисс.), 1969; З. Швейдз. Очерки по истории революционно-освободительной борьбы в Закавказье.

² М. Зандукели. «Тергалеули» и народники в грузинской литературе. Тб., 1928.

³ В. И. Ленин. Соч., т. I, стр. 375.

⁴ Ш. Давиташвили. Народническое движение в Грузии. Тб., 1933.

⁵ Ежемесячный литературно-политический журнал «Имеди» выходил в 1881—1883 гг. Основными сотрудниками редакции были: М. Гургенидзе (редактор), С. Чре-

нала «Имеди», не были изучены монографически. Впервые указанные вопросы были затронуты А. Джорджадзе⁶. Более широко осветили деятельность журнала «Имеди» С. Хундадзе⁷, М. Зандукелии⁸ и др. Многое в их исследованиях заслуживает самого серьезного внимания, но следует отметить, что ни одним из них не было определено революционно-народническое направление журнала.

Давая характеристику общественно-политического направления журнала «Имеди», Урбнели (Н. Хизанишвили) писал: «Как в России, так и у нас возникло своеобразное направление, предметом которого является изучение крестьянства, улучшение его положения... В России это направление называли «мужицким», и многие над ним насмехаются. Да и у нас многие не сочувствуют этому направлению и подвергают его яростным преследованиям, заявляя, что ни одни только крестьяне являются людьми и т. п. Посмотрим, что покажет будущее; одно только несомненно: «крестьянское» направление имеет в нашей литературе своих представителей и полностью искоренить, уничтожить его нельзя»⁹.

Д. Каrichашвили в своем «Библиографическом обзоре грузинских периодических изданий» отмечал, что «по своему направлению журнал «Имеди» не представлял ничего нового, так что читатель не смог бы найти большой разницы между «Имеди» и «Иверией», кроме того, что «Иверия» была более солидной»¹⁰. Приблизительно такое же мнение высказал В. Котетишвили: «несмотря на то, что он в теоретическом отношении не давал ничего нового, журнал все же стал прибежищем для оппозиционных элементов»¹¹.

Такое отношение к журналу «Имеди» совершенно неправильно. Это был орган народнического направления и уже один этот факт говорит о том, что он отстаивал интересы определенного класса, интересы крестьянства. Защита интересов крестьянства в пореформенной Грузии сама по себе была прогрессивным явлением. Борьба за демократические требования, защита крестьянских прав по содержанию своему отражали естественно-исторический процесс пореформенного периода, переход от крепостнического хозяйства к хозяйству капиталистическому. Всесторонняя поддержка этого процесса, независимо от субъективных желаний народников, становилась объективной исторической неизбежностью.

Проф. П. Гугушвили совершенно справедливо отмечает, что эта выступившая в литературе 80-х годов группа создала совершенно своеобразное течение в общественной и политической жизни страны, в литературе. Более того, народничество создало первую политическую партию в Грузии¹².

Народническое движение 80-х годов в Грузии протекало в сложных политических условиях. После убийства царя Александра II в России лишили, А. Пурцеладзе, Д. Абдушелишвили, Н. Худадов, Н. Хизанишвили и др. До сих пор было известно, что в 1883 г. вышло всего три номера, однако в отделении литературы народов СССР Ленинградской Гос. Публ. библиотеки обнаружены еще два номера (№ 4 и № 5, 1883).

⁶ А. Джорджадзе. Соч., кн. II, Тб., 1911 (на грузинском языке).

⁷ С. Хундадзе. К истории социализма в Грузии, т. II, Тб., 1927.

⁸ М. Зандукелии. «Тердгдалсули» и народников в грузинской литературе, Тб., 1928.

⁹ Газ. «Дроеба», 1883, № 172.

¹⁰ Журн. «Цигнис Мегобари», 1925, № 1—2, стр. 109.

¹¹ В. Котетишвили. История грузинской литературы, Тб., 1959, стр. 495—496.

¹² П. Гугушвили, Карл Маркс в грузинской публицистике и общественности, стр. 155, 214.

установился период господства реакции, распространившейся и на Грузию. Усилилась русификаторская политика, выражавшаяся в создании строжайшей цензуры и в дальнейшем ограничении национальных свобод. На литературу были наложены оковы; публикуемые материалы до неузнаваемости изменяли свой вид в руках цензуры. В. И. Ленин, давая характеристику этого периода, писал, что это было время «разнужданной, невероятно бессмысленной и зверской реакции»¹³. Многие статьи вообще не пропускались Цензурным Комитетом¹⁴.

Проф. Л. Горгиладзе пишет, что грузинские народники, объединившиеся вокруг «Имеди», проповедывали «хождение в народ» отнюдь не с целью поднять крестьян на революционную борьбу против царского самодержавия. Революционные методы борьбы неприемлемы для либерально настроенных народников 80-х гг. «Культурно-просветительная борьба в деревне — вот их цель!»¹⁵. А. Гогуадзе сравнивает журнал «Имеди» с органом Кутаисской группы либеральных народников — «Шрома» (Труд): «Публицисты журнала «Имеди» и газеты «Шрома» в своих статьях, публиковавшихся на страницах указанных органов, являли собой в подлинном виде либеральных народников.. Из рассмотрения статей указанных органов становится ясно, что эта группа народников вместо борьбы с самодержавием проповедывала примирение с ним»¹⁶. Органом либерально-народнического направления считал «Имеди» и З. Швейцер¹⁷ (в последствии он изменил свое мнение¹⁸). На такой же точке зрения стоит П. Ратиани. Он указывает, что либеральные народники в начале 80-х годов создали свои печатные органы. В 1881—1883 гг. они издавали в Кутаиси газету «Шрома». В те же годы в Тбилиси либеральные народники, по его мнению, издавали журнал «Имеди». На страницах этих органов народнические взгляды утратили свою былую революционность и по существу скатились на позиции либерализма¹⁹. Аналогичную ошибку допускает Н. Махарадзе, по мнению которого грузинские либеральные народники так же, как их русские вдохновители, не только отказались от борьбы против самодержавия, но даже ожидали «милостей» от царского правительства²⁰. Неправильна и точка зрения О. Бакурадзе, согласно которой публицисты «Имеди» стояли на позициях поверхностного эволюционизма и, отрицая возможность исторических скачков, пытались оправдать свои оппортунистические взгляды²¹.

¹³ В. И. Ленин. Соч., т. 1, стр. 267.

¹⁴ В архиве Цензурного Комитета нами были выявлены статьи сотрудников журн. «Имеди», не пропущенные для опубликования: Татала «Из политической жизни», ЦГИА Грузинской ССР, д. 499, лл. 46—53; Н. Худадова «Еще о нашем самоуправлении», там же, д. 548, лл. 9—17, и др.

¹⁵ Л. Горгиладзе. К истории марксизма в Грузии. Тб., 1956, стр. 76.

¹⁶ А. Гогуадзе. Кутаисская группа либеральных народников и газ. «Шрома» (кандидатская диссертация), 1953, Кутаиси, стр. 42. (На груз. яз.).

¹⁷ См. З. Швейцер. Революционно-народническое движение в Грузии. Тб., 1960, стр. 200. (На груз. языке).

¹⁸ См. З. Швейцер. Очерки из истории революционно-освободительной борьбы в Закавказье. Тб., 1971, стр. 100. (На груз. языке).

¹⁹ «История Грузии», Тб., 1958, стр. 548—549. (На груз. языке).

²⁰ «Очерки по истории Коммунистической партии Грузии», ч. I, Тб., 1957, стр. 30. (На груз. языке).

²¹ О. Бакурадзе. Из истории распространения марксистской философии в Грузии, Тб., 1959, стр. 27 (на груз. языке).

Говоря о направлении журнала, следует указать, что нельзя составить правильного представления о его содержании только на основании отдельных, произвольно подобранных цитат. Основным в экономических воззрениях журнала является признание необходимости изменения существующего строя революционным путем. В этих условиях, конечно, можно говорить только и только о революционной направленности журнала²².

Публицисты «Имеди» уделяли большое внимание крестьянскому вопросу и стремились дать его всестороннее освещение; правовое и экономическое положение крестьянства они подробно рассматривали как в прошлом, так и в условиях своей эпохи. Особый интерес, проявленный ими к прошлому нашей страны, объясняется тем, что в тот период в общественной жизни шла борьба между двумя различными направлениями в вопросе оценки классовых отношений в древней Грузии.

Некоторые публицисты того времени утверждали, будто раньше не было существенных различий между сословиями. Публицисты «Имеди» хорошо понимали, что в условиях феодализма крестьянин не только отличался от своего господина в сословном отношении, но и подвергался жестокой эксплуатации. «Все наше право и законодательство ясно показывает, что жизнь Грузии в прошлом была основана на сословном неравенстве, и крестьянин во всех отношениях отличался от князей и представителей других сословий. Это различие не только было записано в законах, но и вся жизненная действительность подтверждала его»²³.

Журнал «Имеди» выступил против идеализаторов феодальной Грузии, утверждавших, будто бы для нее было характерно чуть ли не «отеческое» отношение помещиков к своим крепостным. В действительности же, как известно, крестьяне подвергались всяческому угнетению и жестокой эксплуатации. Против этой теории классовой гармонии выступали почти все сотрудники журнала. «Некоторые считают, что в Грузии крепостничество характеризовалось отеческо-сыновьевыми отношениями и даже в литературе утверждали, что «у крепостного был патрон, а не барин», что существовали братство, единство и равенство сословий»²⁴.

Изучению крестьянского вопроса уделяли немало места также «Дроэба» и «Иверия», но сотрудники журнала «Имеди» были несогласны с идеализацией исторического прошлого грузинского народа, наблюдавшейся у некоторых публицистов. «Грузинский крестьянин, — писал журнал, — был юридически всесторонне угнетенным существом».

Говоря об общественных отношениях феодальной Грузии, журнал «Имеди» подчеркивал: «Всякий, кто уделял достаточно внимания

22 В апреле 1959 года на научной конференции аспирантов и молодых научных работников нами был прочитан доклад на тему: «К вопросу направления основной группы публицистов журнала «Имеди», где мы попытались обосновать выдвинутое соображение. В тезисах указанного доклада мы писали, что «публистика ведущей группы журнала «Имеди» по существу представляла революционное направление» (Тезисы X научной конференции аспирантов и молодых научных работников Академии наук Грузинской ССР, Тб., 1959, стр. 64). В 1959 же году издана книга Г. Мегрелишивили «История Грузинской общественно-экономической мысли второй половины XIX в. и начала XX столетия», т. 2, где высказано мнение о журнале «Имеди» как об органе революционного направления.

23 «Имеди», 1882, № XI—XII, стр. 22.

24 «Имеди», 1883, № 11, стр. 36.

этому важнейшему предмету, не мог не уяснить себе одного явления нашей общественной жизни, а именно, что в нашей литературе открыто выступили представители двух различных направлений, литературных партий. Как мы уже говорили, предметом литературной борьбы являлась организация общественной жизни в древней Грузии, общественные отношения»²⁵.

მკელევარები [6], [9] ხშირად გამოთქვამენ ხოლმე შეხედულებებს პროფესიული შერჩევის საწინააღმდეგოდ. ე. კლიმოვა [6] დასაწყისში იღნიშნავდა, რომ „აღბათ საბჭოთა შრომის ფსიქოლოგიის მთავარი ამოცანა მდგომარეობს არა იმდენად პროფერჩერებაში, რამდენადაც იმაში, რომ სწავლების რაციონალიზაციის გზით აღმოფენილი შერჩევის თვით ფაქტი“. შემდგომ ვ. მერლინმა და ე. კლიმოვა [8] აღიარეს, რომ ზოგიერთი პროფესიისათვის (იგულისხმება პირველი ტიპის პროფესიები — გ. მ.) შერჩევა აუცილებელია. მართლაც, ამ ტიპის პროფესიებში არც შესატყვისი მოტივები, არც კვალიფიკაცია, არც ინდივიდუალური სტილი კიდევ არ ქნის საკმარის პირობას მოქმედების წარმატებისათვის — ადამიანები, რომლებიც ამ პროფესიებში მუშაობენ, უნდა ფლობდნენ განსაზღვრულ ფსიქოფიზიოლოგიურ თავისებურებებს. ხშირად აღმოჩნდება, რომ ავარიულ სიტუაციაში, მაღალი კვალიფიკაციის მიუხედავად, ადამიანი იბნევა, უშვებს ბევრ შეცდომას და განაცდის ზოგად შეკავებას. ცხადია, ეს ადამიანი მსგავსი პროფესიებისათვის უვარესია.

საბჭოთა ფსიქოლოგიაში პროფესიული შერჩევის საყითხი არაა ახალი. მას იყენებდნენ 30-იან წლებში, ფსიქოტექნიკის აყვავების პერიოდში; შემდეგ — საავაციო ფსიქოლოგიაში, რომლის ტრადიციებიც ხშირად გაზმოაქვთ ხოლმე აეტოფსიქოლოგიაში. უკანასკნელი წლების გამოკვლევებიდან აღსა-ნიშავია კიევის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში შექმნილი სამი მეთოდი: მძღოლთა შრომისუარაიანობის კომპლექსური გამოცდის მეთოდიკა, შემუშავებული

ე. მიღერიანის მიერ; მძღოლის რისკიანი მოქმედებისადმი მიღრეკილების გამოცდის მეთოდიკა (ავტორი ი. გილბუხი); დინამიკური თვალზომის გამოცდა (ავტორი ბ. ბავეი).

ერთი მეთოდით ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მძღოლის პროფესიისათვის უვარგისია ცდისპირითა 7,5%, მეორის მიხედვით — 13%, ხოლო მესამის მიხედვით — 20%. არადა სამრეც დამოუკიდებლად აცხადებს პრეტენზიას, რომ გვის საშუალებით შეიძლება პროფესიული შერჩევის განხორციელება. ასეთი დიდი განსვლა შედეგებს შორის საეჭვოს ხდის რომელიმე მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, და რაც მთავარია, ეს მეთოდები უფრო გამოსაყენებელია თვით მძღოლთა დონის შესამოწმებლად, ვიდრე იმ ადამიანთა უნარების დასადგენად, ვისაც სურს ავტომობილის მართვა. ეს მეთოდები იმ პრინციპს ეყრდნობა, რომ შესამოწმებელ პიროვნებას უნდა ჰქონდეს ავტომობილის მართვის გარკვეული გამოცდილება. ბუნებრივია, ასეთი გამოცდილების არმქონე ადამიანის შედეგები მნიშვნელოვნად იქნება განსხვავებული მძღოლის მონაცემებისაგან. ამ მეთოდებით შემოწმებისას ძირითადი ყურადღება ეთმობა მძღოლთა ჩვევებისა და ისეთი უნარების დადგენას, რაც ძალზე ვარგიშებადია, პროფესიული შერჩევის დროს კი მთავარია პიროვნების მყარი, დისპოზიციური თვისებების გამოვლენა. აღნიშნული მეთოდებისა და შესატყვისი აპარატურის დანიშნულებისამებრ გამოყენება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ, კორელაციური გზით, ნანახი იქნება რომელიმე მათგანის შესატყვისობა ძირითად პიროვნულ ნიშანთან (ან ნიშნებთან).

სამართლიანია ო. ოსიბოვასი და სხვათა [16] შენიშვნა პროფერჩევის თანამედროვე შდებარებობაზე. მათი ფიქრით, თუმცა ეჭვს არ იწვევს პროფერჩევის ეფექტიანობა, მაგრამ, მეცნიერული თვალსაზრისით, ამ საკითხს ჯერაც არა აქვს საკმარისი საფუძველი. თითო-ორთლა გამოკვლევა ამ მიმართულებით ტარდება უსისტემოდ, სხვადასხვა მეთოდის შემთხვევითი გამოყენებით. თეორიული წანამძღვრის არარსებობის გამო, ხელოვნურად ხდება ზოგიერთი თვისების გამოცალებება და მისი იზოლირებული შესწავლა. ეს უარყოფით გავლენას ახდენს შედეგების სანდობაზე და ამცირებს მათი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. ამ შენიშვნას სავსებით იმსახურებს კვლევართა თითქმის აბოლუტური უძრავლესობა.

საერთოდ, შერჩევისათვის ძალზე მნიშვნელოვნია პიროვნების შესწავლა სტრესულ სიტუაციაში. ადამიანი თუ ავარიულ სიტუაციაში ვერ გამოიყენებს თავის ცოდნასა და უნარებს, დაკარგავს კონტროლს საკუთარ თავზე და გააღრმავებს ავარიას გამომართლებელი მოქმედებით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მაღალია მისი მოქმედება ნორმალურ პირობებში, იგი გამოავლენს თვის სავსებით უვარგისობას შესატყვისი პროფესიისათვის.

პროფერჩევისას მომუშავეთა დიხოტომიური დაყოფა გულისხმობს: აქვს თუ არა მიღრეკილება პიროვნებას უბედური შემთხვევებისადმი. ამ კონცეფციას გამოსთქვამდა კ. მარბე — მკაცრად გაკრიტიკებული როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთულ ფსიქოლოგიაში. მას აკრიტიკებდნენ იმიტომ, რომ „მიღრეკილებას“ მისცა საბედისწერო აზრის მნიშვნელობა. კ. მარბე თვლიდა, რომ უბედური შემთხვევებისადმი მიღრეკილება დამოკიდებულია მრავალ მიზეზზე. ეს მიზეზებია ყურადღების კონცენტრაციის შეუძლებლობა, მოუხერებლობა, უზრუნველობა და დაუფიქრებლობა, რეაქციის დაბალი ხარისხი.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ტემპერამენტის თავისებურების საკუთარი თავის ფლობა. იგი სპეციალურად ღინიშნავს მისწრაფებას ალკოჰოლისადმი. მაგრამ ყველაზე მაღლა ამ „მიღრეკილებაში“ კ. მარბე აყენებს გადარცვას უნარს, რის მიხედვითაც ადამიანები ერთმანეთისაგან განახვადებან: ერთნა ნელა შედიან მუშაობაში, განწყობის შეცვლა, როგორც ახალ პროექტის შეკუნძულება მათვის უსიამოვნოა; მეორენი, პირიქით, საუმჯობის შეცვლგებიან ხოლმე ახალი ამოცანის შესრულებას და ცვლიან განწყობას ახალი მოთხოვნილების შესატყვისად. გადართვა მდგომარეობს განწყობის შეცვლაში და სწორედ ეს თვისება განსაზღვრავს, კ. მარბეს აზრით, უბედური შემთხვევებისადმი შიდაკულებას, იგი ცუდი გადართულების შედეგია. კ. მარბეს ხელმძღვანელობით შემუშავებულია გადართვის უნარის ექსპერიმენტული შესწავლის მეთოდიკა. ერთი მეთოდი ასეთია: ცვალაპარა (ცპ) კლევა ბარათების სერია გარკვეული რიგით დალაგებისათვის. შემდევ მასვე დაევალება ამავე ბარათების სხვა ნიშნით დალაგება. გადართულობის მახსინათებლებად გამოყენებულია დახარჯული დრო გადართვამდე უ ვალართვას შემდევ, აგრეთვე, ამ პერიოდში ცპ-ის მიერ დაშვებული შეცვლილები.

რას წარმოადგენს გადართულობა? — წამოჭრის კითხვას თავის გმოკვლევაში კ. გურევიჩი [5] და ასეთნაირად პასუხობს: ნათელია, რომ ეს არა რეაქციის სისწრაფე, არც ყურადღების კონცენტრაცია; ესაა თვისება. რომელიც გამოვლინდება მხოლოდ გარკვეულ ცხოვრებისეულ სატუაციებში. გადართულობა, განწყობის შეცვლა, თანამედროვე გაებით, ძალაზე გვაგონებს გადაკეთების პროცედურას ნერვული სისტემის ძარაული თვალებების დიაგნოსტიკის მეთოდიკებში. გადაკეთების დაღა და მცირე სიძნელე, რომელიც გამოიცდებოდა ადამიანებზე (იხ. აგრეთვე ბ. ანანიევი [1]), მეტყველებს ნერვული პროცესების ძალაზე და ძრადობაზე. თუ დაეუშვებო, რომ გადართულობა, ს. მარბეს მიხედვით, ნამდვილად წარმოადგენს კომპლექსის ძალა-ძრადობის გამოვლენას, მაშინ გასაგები ხდება, თუ ეს თვისება როგორ ეფარდება უბედურ შემთხვევებს.

კ. გურევიჩი ვარაუდობს, რომ მძლოლის პროფესიაში სწორედ ნერვული პროცესების საკმარისი ძალა და ძრადობა განაპირობებს წარმატებით მოქმედებას იმ როგორ სიტუაციებში, როცა ადამიანის არაზუსტ და დაგვიანებულ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ავარია.

პროფესიული ვარგისობის პრობლემა ორგანულ კავშირშია მუშაობის პერიოდში ადამიანის სამედიცინო პრობლემასთან.

ხშირად ამ პრობლემას უდებით უმაღლესი ნერვული მოქმედების ტიპების პოზიციიდან. მაგალითად, ი. პავლოვი თვლიდა, რომ „სუსტი ტიპის“ წარმომადგენლები ცუდად ეგუებიან ცხოვრებას. მათვის უტანელია როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური ცხოვრება. ყველა მისი მიმდევარი როდი იზიარებდა ამ ცესიმისტურ შეხედულებას (მაგ. ა. გ. ივანოვ-სმოლენსკი). ამასთან დაკავშირებით ბ. ტებლოვი [22] წერდა: „ნერვული სისტემის ნებისმიერი ტიპის შემთხვევაში ადამიანს შეიძლება პქონდეს მაღალი სოციალური მიღწევები.“

კ. ნებილიცინის [10] გამოკვლევა იწყებოდა ასეთი დაშვებიდან: „დადებითისა და უარყოფითის ცნება ხშირად ძალზე შეფარდებითია: რამე ფუნქციონალური დეფექტი ისეთი შეიძლება იყოს, რაც ჩვეულებრივ მიღებულია

დადგებითად ჩაითვალოს; ამავე დროს, ერთი სახის ნაკლი რაიმე სახით შეიძლება კომპენსირებული იქნას მეორის ღირსებით. აქედან კანონიერი იქნებოდა გვევარულა, რომ სუსტი უჯრედის შრომისუნარიანობის ნაკლი განსაზღვრული ხარისხით კომპენსირდება მასში არსებული სხვა რაიმე თვისებებით, რაც ძალასისუსტის ხაზით ვარიირებას უკეთებს არა მხოლოდ შრომისუნარიანობის თვარსებას (წინააღმდეგობა, მდგრადობა ძლიერი გამოიზიანებლის მიმართ და ა. შ.), არამედ სხვა თვისებასაც, რომელიც შეადგენს როგორც ძლიერი, ისე სუსტი უჯრედის განსაკუთრებულ ნიშანს. ზოგიერთი ფაქტი და დაკვირვება იძლევა საფუძველს ვითოქროთ, რომ ასეთ თვისებას წარმოადგენს მგრძნობიარობა (აგზების, რეაქტიულობის), რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ყოველგვარი ნერვული უჯრედისათვის, მთ შორის, რა თქმა უნდა, დიდი ნახევარსფეროების ქერქული უჯრედებისათვისაც". ვ. ნებილიცინის მიერ ექვერომენტით ნერვული შედეგები ასეთია: სუსტი ტიპის ნერვული სისტემა ხასიათდება გაძლიერებული აგზებადობით და, შესაბამისად, გაძლიერებული მგრძნობელობით ნერვული სისტემის ძლიერ ტიპითან შედარებით ჩვეულებრივ, სუსტი ნერვული სისტემის მთლიანად ნეგატური დახასიათება არა კმარა. ნერვული ისტეტის სისტემები აქ განხილულია როგორც მისი მაღალი რეაქტიულობის, მგრძნობელობის გაგება. არ არის აუცილებელი იმის მტკიცება, წერს ვ. ნებილიცინი, რომ არა მხოლოდ პროფესიული მოქმედებისას, არამედ სოციალურ ქსოვრებაშიც ნერვული სისტემის ეს თვისება არა თუ დასაშვებია, არამედ როგორ შემთხვევაში სასარგებლო და აუცილებელიც კა.

ვ. მერლინმა და ე. კლიმოვმა [8] შეამჩნიერ, რომ მუშაობის საწყის ეტაპზე „ძლიერები“ უკეთ ეგუებიან პირობებს, ვიდრე „სუსტები“. შემდეგ, ერთ-კვართვანი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ მოითხოვს არც ყურადღების ზიდ კონცენტრაციას, არც გამძლეობას, უკვე უარყოფითად მოქმედებს ძლიერების შრომითს მოქმედებაზე. რამდენადაც სამუშაო ვერ პასუხობს მათს შესაძლებლობებს, ისინი რამდენადმე აქვეითებენ შრომის ნაყოფიერებას. „სუსტები“ კი თავს აღწევენ შეკვებას, რომელმაც მოიცვა ისინი საწყის ეტაპზე და იწყებენ უფრო პროდუქტიულ მუშაობას. ავტორები ასკვნიან, რომ სუსტებში მიმღინარეობს სამუშაოში უფრო აქტიური შესვლა. შესასრულებელი სამუშაო მათთვის უფრო სასიამოვნოა, როგორც ჩანს ძლიერებს სჭირდებათ ისეთი დავალება, რომელიც დიდ მოთხოვნებს აყენებს გამძლეობისა და დაბაზულობის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში „სუსტები“ მართლაც სუსტად გამოიყურებან.

თუ ოცაან წლებში პროფერჩევისათვის იყენებდნენ სპეციალურ დანადგარებს, მაკეტებს, რომლებიც რეალური სიტუაციის მსგავს პირობებს ქმნიდნენ, შემდეგ მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ ასეთი საშუალებები არაა საჭირო, თუმცა წარმატებით შეიძლება მათი გამოყენება სწავლებისათვის. პროფერარგისანობის განსაზღვრის პროცესში ხომ შეისწავლება იღამიანი, რომელიც არასრულოს ადრე არ ყოფილა ოპერატორი და, ამდენად, არ იცის ანა თუ იმ მართვის ორგანოს მნიშვნელობა. ამიტომ უმჯობესია შეიქმნას შრომის კომპონენტების უფრო აბსტრაქტული მოდელი.

საინტერესოა ვ. პუშკინის მიერ შექმნილი აპარატი „მოძრავი ლენტი“, რომელიც უკვე რამდენიმე წელია არსებობს [17], [18], [19]. აპარატი მოწყობილია საკმაოდ მარტივად. ქაღალდის ლენტი ეცმევა ორ ლილვაკზე და

შოძრაობს მხედველობის ხაზის პერპენდიკულარულად. ლენტაზე ფიგურებია, რომლებიც ცდისპირმა უნდა თვალს ან დაიხსომოს. ცდა ხანგრძლივია — ერთი, ორი, სამი საათი. ცდისპირებს დროდადრო ეძღვევათ ექსტრენული სივნალები. რომლებზედაც უნდა მოახდინონ რეაგირება — რაც შეიძლება სწრაფად. ამ მარტივ აპარატზე არაფერია სეთი, რაც გარეგნულად ავტომობილს მოგვარეობდა, მაგრამ წარმატებით შეიძლება განისაზღვროს მძლოლისათვის მნიშვნელოვანი უნარები — მონოტონური მოქმედებისადმი მდგრადობა და სითხიზღვის დონე. ამ ხელსაწყოთი შეიძლება დადგინდეს სამუშაო განწყობა, ექსტრენული მოქმედებისადმი მზაობა. ცდისპირთა შესწავლისას აშკარად ვლინდება ინდივიდუალური განსხვავებები: ზოგის მოქმედების ამპლიტუდა უფრო თანაზომიერია, რაც კარგ მაჩვენებლად ითვლება; ზოგისა კი ირევა დიდ დიაპაზონშია. ამ მეთოდით შესწავლილი და შეღარებულია ნერვული სისტემის ძლიერი და სუსტი ტიპები. აღმოჩნდა, რომ ძლიერების ჯგუფისათვის კრიტიკული წერტილი დგება ცდის მეორე ნახევარში, ჩვეულებრივ, მეორე საათის ბოლოს — მესამის დასაწყისში მაშინ, როცა სუსტებისათვის იგი დგება უკვე ცდის პირველ ნახევარში, ზოგჯერ კი ძალზე ადრეც — მესამე, მეშვიდა მეთვეცხმეტე, მეოცე წუთებზე.

გამოკვლევის დასკვნითს ნაწილში ავტორი მიუთითებს ექსპერიმენტის შედეგები უფლებას გვაძლევს ვივარაულოთ, რომ აპარატ „მოძრავი ლენტის“ გამოყენება პროფესიული მომულების მნიშვნელოვნად შეამცირებს შემთხვევათა რაოდენობას. მაგრამ ამ მეთოდს, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, აქვს ერთი არსებითი ნაკლი, — ესაა ცდის ხანგრძლივობა. საჭიროა მოინახოს უფრო მარტივი მეთოდიკა, რომელსაც ნაკლები დრო სჭირდება ექსპერიმენტისათვის. აქ სწორედ საჭიროა რანგული კორელაციის გამოყენება. ფსიქოლოგები გამოდიან შემდეგი მოსაზრებიდან: თუ მონახული იქნა, რომ ორი მეთოდით მიღებულ მონაცემებში არის შესატყვევობა, მაშინ პრაქტიკული გამოყენებისათვის უმჯობესია მარტივი მეთოდი, რომელიც ნაკლებ დროსა და ანალიზს მოითხოვს.

შერჩევისათვის განკუთხნილ ფსიქოლოგიურ მეთოდს არა აქვს ფატალური, აბსოლუტური მნიშვნელობა, არამედ ეს მნიშვნელობა შეფარდებითა, ალბათურია. მაგალითად, შესაძლებელია მეთოდის რანგული კორელაციის ფოფულებითი უდრიდეს 0,72. და მაინც ასეთ მეთოდებს დიდი მნიშვნელობა ენაჭება. ამ გზით შერჩევა უფრო სანდოა, ვიდრე შემთხვევითი, რომელიც არ არის დაფუძნებული არავითარ პრინციპზე.

უკანასკნელ ხანს საბჭოთა ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში არაერთხელ გაისმა მოწოდება პროფესიების ფსიქოლოგიური შესწავლისათვის პროფესიონალური მიზანის შედეგენისათვის, სადაც გადმოცემული იქნება პროფესიის სპეციფიკური ფსიქოლოგიური მოთხოვები. ძნელად თუ შეიძლება შევურიგდეთ იმ ფაქტს, რომ ამ მოწოდებებმა ჯერჯერობით ვერ პჰოვა სათანადო გამოხმაურება. ბევრი მიზეზის გამო ფსიქოლოგები ჯერ კიდევ ნაკლებად სწავლობენ პროფესიათა მოთხოვებს. ამ სფეროში სინელეები განპირობებულია დიფერენციალური ფსიქოლოგიის დაბალი დონით.

ყოველი მეცნიერების მიღწევები თუ წარუმატებლობა განუყოფელ კავშირშია მის მეთოდურ შეიარაღებასთან. შეუძლებელია ამოცანის გადაჭრა, თუ ამისათვის არ მოგვეპოვება სათანადო საშუალებები. მეთოდოლოგიური



პრინციპებიდან გამომდინარე, მკვლევარები ძალზე განსხვავებულ საშუალებებს იყენებენ — დაწყებული მარტივი რეაქციის დროის გამზომი აპარატით და დამთავრებული რთული ტესტებითა და ტრენაჟერული მოწყობილობებით. და ასეთი ვითარების გამზ. ისინი ხშირად ურთიერთსაშინაო აღმდეგო დასკვნებსაც აკეთებენ.

ცრადია, რომ ახლა არ არის მშენობრი მეთოდოლოგიური სისტემა პროფესიული შესასწავლად და პროფესიული შერჩევის განსახორციელებლად. ამ სასიების შესასწავლად და პროფესიული შერჩევის განსახორციელებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია ბ. ტეპლოვის შეხედულებები. ჯერ კი-დევ 1959 წ. იგი წერდა: „ახლა უკვე მივადექით ჩვენი მუშაობის იმ ეტაპს, როცა წინა პლანზე დგება განსხვავებული ექსპერიმენტული მეთოდებით მიღებული შედეგების შედარება“ [21]. ეს ამოცანა ნაწილობრივ განხორციელდა, როცა ურთიერთშედარებული იქნა ნერვული სისტემის ტიპები და აზენკის ტიპები — ინტროვენტი, ექსტრავერტი [4], [11], [20]. მაგრამ ამოცანა ძირითადად განუხორციელდებოდა დარჩა. ბ. ტეპლოვს ეკუთვნის შემდეგი სიტყვები [22]: ცხოვრებაში ზოგადთსიქოლოგიური კანონზომიერების გამოყენება უკველთვის უნდა იყოს ინდივიდუალური განსხვავებების ცოდნით გაშუალებული. ამის გარეშე ეს ზოგადი კანონზომიერებები გახდება ისეთი აბსტრაქტული, რომ მათი პრაქტიკული ღირებულება საეჭვო შეიქმნება. ინდივიდუალურ განსხვავებათა საკითხების მეცნიერული დამუშავების მკეთრი ჩამორჩენა ხელს უშლის ფსიქოლოგიას მოიპოვოს ისეთი მეცნიერების სახელი, რომელს უცილებელია პრაქტიკის ყველა იმ სფეროში, საღაც საქმე გვაქვს ადამიანთა თსიჩიკურ მოქმედებასთან.

მართლაც ცხოვრება ახლა სულ უფრო ჩშირად სახას ინდივიდუალურ განსხვავებათა პრობლემას, განსაკუთრებით, ადამიანთა მოქმედების იმ სფეროს განვითარების გვერდს ვერ უვლიან პროფესიულ შერჩევას. სიფიზოლის რეაგებში, რომლებიც გვერდს ვერ უვლიან პროფესიულ შერჩევას. სინგრძლივი შენარჩუნება, რთულ და სახითათო პირობებში ორგანიზებული ჰანგრძლივი შენარჩუნება, რომლიც უნარი არა აქვს ყოველ ადამიანს, ხოლო პრიმიტიულ მიზანშეწონილი მოქმედების უნარი არა აქვს ყოველ ადამიანს, საკუთრებულ მოითხოვენ, საკმაოდ მრავალრიცხვანია. ფესიები, რომლებიც ასეთ უნარებს მოითხოვენ, საკმაოდ მრავალრიცხვანია.

შერჩევა, რომელიც არ ითვალისწინებს ადამიანის შესაძლებლობებს, როგორც წესი, იწვევს, ერთი მხრივ, სამუშაო ობიექტების ნაყოფიერების დონის დაკვეთებას და, მეორე მხრივ, — უარყოფით მოქმედებას თვით ადამიანზე. დადგენილია, რომ კუჭის წყლული, ჰიპერტონია და სისხლძარღვთა სხვა დავადებანი, რომლებიც ხშირად გვხვდება მძლოლებთან, მათი ფსიქოლოგიური არასრულფასოვნების შედეგს წარმოადგენს.

პროფესიული ფსიქოლოგიური შერჩევის საქმეში მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს განწყობის ფსიქოლოგიაში. ჯერ კიდევ 30-იან წლებში განწყობის ორგინალური თეორიის შემცნებისას დ. უზნაძე [24], აკრიტიკებდა რა კვლევის ფსიქოლოგიურ შეთოლებს, შერდა: ტრადიციულ პროფესიონალის სიმძიმის ცენტრი გადააქცის პროფესიულ ანალიზზე. მისი მთავარი კითხვაა: რა ფსიქოლოგიურ ანალიზზე. მისი მთავარი კითხვაა: რა ფსიქოლოგიურ ანალიზზე.

ნოს, რომ ადამიანი არ არის ფუნქციების ჯამი, არამედ მისი პიროვნება მთლიანია და ეს მთლიანობა განსაზღვრავს მის ფსიქიურ ფუნქციებს და არა პიროვნით. ინდივიდუულში შესაბამისი ფსიქიური ფუნქციების არსებობა ჯერ კიდევ არ იძლევა შრომის პროცესში მათი შესატყვისი გამოყენების გარანტიას.

ამგვარად, ფსიქოტექნიკის თეორიული საფუძველი არ არის სწორი და, ამდენად, საესებით უნაყოფოა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი გახდა დ. უზნაძეს ხელმეორედ დაესვა საყითხი პროცესიულ შრომასა და მომუშავე ადამიანის ფსიქოფიზიურ თავისებურებებს შორის დამოკიდებულების ნამდვილი ბუნების შესახებ. დ. უზნაძის და მისი მიმდევრების მიხედვით, პროცესიული შერჩევისათვის აუცილებელია პიროვნების ზოგადი თვისებების, დისპოზიციების შესწავლა, რომელიც დამოკიდებული არ არის გავარჯიშების დონეზე და არ იცვლება ამა თუ იმ პროცესიული თვისებურების გამო. ასეთი ზოგადი თვისება არის განწყობა, რომელიც წარმოადგენს მზაობას გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის. მასში დევს ამ მოქმედების განხორციელების პროგრამა. განწყობა ქცევის მოდუსია. განწყობის მცვლევართა მიერ (დ. უზნაძე, ვ. ნორაკიძე, ბ. ხაჭაპურიძე) დადგენილია განწყობის ტიპები, რომლებიც ახასიათებენ პიროვნებას. ამ თვალსაზრისით, პიროვნება შეიძლება იყოს დინამიკური ან სტატიკური, სტაბილური ან ლაბილური, კონსტანტური ან ვარიაბილური; აგრეთვე, ამ თვისებების სხვადასხვა ნაერთის მქონე;

როგორც უკვე აღინიშნა, განწყობის ფსიქოლოგიის აქცენტი მიმართულია არა ადამიანის ცალკეული ფსიქიური ფუნქციების შესწავლაზე, არამედ მისი მთლიანობითი ბუნების გამოვლენაზე. მოქმედებს ადამიანის არა აღქმა, არა ნებისყოფა ან სხვა რომელიმე ფუნქცია იზოლირებულად, არამედ ყოველთვის მოქმედებს მთლიანი პიროვნება. ამდენად პროცერჩევისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ზოგადი ნიშნების დადგენას და არა მისი რეაქციის სისწავის ან ყურადღების ამა თუ იმ ფაქტორის შესწავლას, თუმცა ამ თვისებებს მაინც ენიჭება გარკვეული მნიშვნელობა, როცა საქმე გვაქვს მათს განსაკუთრებულ, ზოგჯერ პათოლოგიურ დაქვეითებასთან. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა დ. უზნაძის შეხედულება: „ადამიანის პროცესიული ვარგისობის საფუძველი უნდა ვეძიოთ მის უნარში მოახდინოს მოცემული პროცესიული მოქმედების აღექვატური განწყობის აქტივირება.“

ეს არ გამორიცხავს იმას, რომ არ შევისწავლოთ პროცესიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცალკეული ფსიქიური ფუნქციები. ამ მხრივ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ აღგილი აქვს ამა თუ იმ ფუნქციის არასათანადო განვითარებას ან საერთოდ არასტაბობას შესატყვისი ორგანოს არასრულფასოვნების ან დეფექტურობის გამო. თუმცა ადამიანს აქვს დარღვეულ ფუნქციათა სათანადო კომპენსირების უნარი, მაგრამ გარკვეული ნაკლის მთლიანად დაფარვას იგი ძალზე იშვიათად აღწევს“ [24].

როგორც სამართლიანად მიუთითებს ვ. ნორაკიძე [12], [13], [14], პიროვნების სრული დახასიათებისათვის, გარდა განწყობის ტიპის დადგენისა, საჭაროა სხვა შინაარსეული ნიშნების ცოდნაც. ასეთ ნიშნებად მას მიაჩნია პიროვნების ინტროვერსია, ექსტრავერსია, შფოთვის დონე; ასოციაციების, მიმართებების წვდომა; გონებრივი დონის თავისებურებანი და ა. შ. ეს ნიშნები დგინდება უკვე კარგად ცნობილი ჰ. აიზენკის, ვ. ტეილორის, რორშახისა და მიურების ტესტებით. ეს სავსებით სწორი და ლოგიკური გზაა პიროვნების ზოგადი.

სურათის მისაღებად. ამ გზამ წარმატება მოუტანა მის ავტორს და ყველა იქანს, ვინც კვლევის ეს მეთოდი გამოიყენა. ამ მხრივ, განსაკუთრებით შთამშექმნა-ვის წარმატებები — მიღწეული სპორტის ფსიქოლოგიაში და ცალკეული პი-როვნების ხასიათის გახსნის მიმართულებით.

ჩვენი აზრით, ამ მეთოდის გამოყენება წარმატებით შეიძლება, საერთოდ, პროფესიული შერჩევის საქმეში და, კერძოდ, მძლოლის პროფესიისათვის კან-დიდატთა შერჩევის დროს; მაგრამ თითოეული პროფესიის სპეციფიკური გამო, შესაძლოა ამ მეთოდში ზოგიერთი ცვლილების შეტანა და კვლევის დროს გამოყენება ისეთი საშუალებებისა (ტესტები), რომლებიც უფრო მე-ტად უპასუხებენ მოცემული პროფესიის თავისებურებას. სწორედ ამის გამო, როცა ჩვენ გვსამზოდ პროფესიული შერჩევის ამოცანას, მიზანშეწონილად მიგ-ვაჩინა დამატებით ისეთი პიროვნული თვისებების შესწავლა, როგორიცაა სტრეს-ტოლერანტობა (სტრესისადმი გამძლეობა) და ანტიციპაცია. ეს თვისე-ბები მძლოლის პროფესიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხში-რად არის ხოლმე ასეთი სიტუაციების შინაშე [7].

მძლოლის სტრესისაღმი გამძლეობისა და ანტიციპაციის უნარის საკვლევად ჩვენ მიერ შექმნილი ტესტებით გვეძლევა კონკრეტულ სიტუაციაში მძლოლის მოქმედების პროგნოზირების საშუალება. რას წარმოადგენენ ეს ტესტები?

სტრეს-ტოლერანტობის ტესტი განეკუთვნება პროექციული მეთოდების რიგს, კერძოდ იგი წარმოადგენს თემატიკური აპერცეპციის ტესტის სახესხვა-ობას. ამ უკანასკნელისაგან მისი არსებითი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ცდისპირებს ეძლევათ არა ნაკლებად სტრუქტურული, არამედ ფრიად გა-მოკვეთილი მნიშვნელობის მქონე და ემოციურად ამგზნები სტიმული. ტესტი შეიძლება ჩატარდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე მცირე ჯგუფთან (7-8 კაცი). ცდის მასალა წარმოადგენს სურათებს, რომლებზედაც მოცემულია სხვადასხვა ავტოსაგზაო სიტუაცია.

ანტიციპაციის ტესტი წარმოადგენს ექვს ძირითად სურათს, რომლებზეც გამოხატულია სხვადასხვა ავტოსაგზაო სიტუაცია. ყოველ მათგანს აქვს 4-5 დამატებითი სურათი, რომლებიც გაგებულია როგორც ძირითადი სიტუაციის შესაძლო გაგრძელება. ცდისპირის ეძლევა დავალება კარგად დააკირდეს ძირი-თად სურათს, დაათვალიეროს დამატებითი სურათები და დაალაგოს იმ ვარა-ულით, რომ პირველი მათგანი იქნება ძირითადის ყველაზე შესაძლო გაგრძე-ლება, მეორე — შედარებით ნაკლებ შესაძლო და ბოლო — ყველაზე ნაკლებ შესაძლო გაგრძელება. ჩვეულებრივ, ასეთმა დალაგებამ შემდეგი სახე უნდა ითილოს, ჟაგალითად, პირველი სურათისათვის: I. ა, ბ, გ, დ, ე. თითოეულ ამ სიმბოლოს აქვს თავისი რანგული ნიშანი და ცდისპირის შეფასებაც მით მაღა-ლი იქნება, რაც მისი შედეგი ახლოსაა მოცემულ თანმიმდევრობასთან.

ყველა ზემოთ აღნიშნული ტესტი და, მით უმეტეს, მათი ერთობლიობა, პიროვნების ზოგადფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის დისპოზიციის ახასია-თებს. ეს მოტივი ედება საფუძვლად ჩვენს შეხედულებას პროფესიული შერ-ჩევისათვის ექსპერიმენტული გამოკვლევის ჩატარების დროს. მოცემული ექს-პერიმენტული საშუალებების ბაზაზე უნდა დადგინდეს იმ ფსიქიკური უნარე-ბისა და დისპოზიციების გარკვეული ეტალონები, რაოდენობრივი ნორმები, რაც აუცილებელია მძლოლის პროფესიისათვის. ასეთი ეტალონების დასაღე-ნად წინასწარ საჭიროა შედეგენა ორი ექსპერიმენტული ჯგუფისა: ერთი მათ-

განი დაკომპლექტებული იქნება საუკეთესო მძღოლებისაგან, მეორე კი პირი-ქით — ყველაზე ცუდებისაგან. შესასწავლ პირთა ასეთი დაყოფა ეფუძნება შემდეგ ჰიპოთეზს: მძღოლი, რომელიც წლების განმავლობაში უშეცდომოდ და უავარიოდ მუშაობს, უნდა გამოიჩეოდეს რამე ფსიქოლოგიური ნიშნით (ან ნიშნებით), რაც მას უსაფრთხო მოძრაობის საშუალებას აძლევს. ეს ერთ-გვარი ბუნებრივი ექსპერიმენტია, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ კვლევის დროს. ასევე შეგვიძლია ვიძესჭელოთ ცუდი, მეავარი მძღოლების შესახებ.

ზემოთ დასახელებული საკვლევი ტესტები იძლევა მძღოლის პროფესიისა-თვის საჭირო თვისებების დადგენის საშუალებას, მაგრამ ჩვენი მოცავა მდგო-მარეობს იმ სხვაობის დადგენაში, როთაც საუკეთესო და მეავარი მძღოლები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ გზით დგინდება თითოეული ტესტის ვალი-ზობა, მისი ეტალონური მახასიათებელი და იმ ძირითადი ტესტის (ან შეიძლე-ბა ტესტების) გამოყოფა, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს მო-მავალ მძღოლთა ფსიქოლოგიური პროფშერჩევა.

ჩვენი აზრით, ეს ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძველია, რომლის მა-ხედვითაც შესაძლებელია განხორციელდეს შერჩევა, ე. წ. კრიტიკული პრო-ფესიებისათვის. რა თქმა უნდა, კონკრეტულ პირობებში უნდა ხდებოდეს საკვ-ლევი საშუალებების საჭირო მოდიფიცირება.

ლ ი ტ ვ ა რ ა ტ უ რ ა

1. Аианьев Б. Г. Комплексное изучение человека и психофизиологическая диагностика, ж. «Вопросы психологии», № 6, 1958.
2. Военная инженерная психология, под ред. Б. Ф. Ломова, А. А. Васильева, В. В. Офицерова, В. Ф. Рубахина. М., 1970.
3. Горбов Ф. Д. Психофизиологическая экспертиза и отбор, Материалы III Европейского съезда общества психологов СССР, т. III, вып. I, М., 1968.
4. Грей Д. Сила нервной системы, интроверсия-экстраверсия, условные рефлексы и реакция активации, ж. «Вопросы психологии», № 3, 1968.
5. Гуревич К. М. Профессиональная пригодность и основные свойства нервной системы, М., 1970.
6. Клинов Е. А. Индивидуальные особенности трудовой деятельности ткачих-многостаночных в связи с подвижностью нервных процессов, ж. «Вопросы психологии», № 2, 1959.
7. Мерабишвили Г. М. Проблемы профессионального отбора водителей. «Проблемы эргономики и инженерной психологии», Тб., 1974.
8. Мерлин В. С. и Клинов Е. А. Индивидуальный стиль труда в зависимости от свойств типа нервной системы и направленности личности, XVIII Международный психологический конгресс, М., 1966.
9. Менмоллен М. Системы «человек и машина», М., 1973.
10. Небылицын В. Д. О соотношении между чувствительностью и силой нервной системы, «Психологические особенности высшей нервной деятельности человека», М., 1956.
11. Небылицын В. Д. Основные свойства нервной системы человека, М., 1966.
12. Норакидзе В. Г. Пути исследования личности, «Материалы IV Всесоюзного съезда общества психологов СССР», Тб., 1971.
13. Норакидзе В. Г. Пути исследования личности, «Психологические исследования», Под ред. А. С. Прангивили, Тб., 1973.
14. Норакидзе В. Г. Методы изучения характера личности (рукопись).

15. Норакидзе В. Г. Типы характера и фиксированная установка, Тб., 1966.
16. Осипова О. В., Лыхмус Э. П., Лебедева Э. Б. Опыт определения типологических различий водителей разных возрастных групп в связи их удовлетворенностью профессией, «Научная организация труда водителей автомобилей и безопасность движения», Л., 1972.
17. Пушкин В. Н. Готовность к экстренному действию (бдительность) как разновидность рабочей установки. «Вопросы профессиональной пригодности оперативного персонала энергосистем», М., 1966.
18. Пушкин В. Н., Нерсесян Л. С. Психология водителя, М., 1969.
19. Пушкин В. Н., Нерсесян Л. С. Железнодорожная психология, М., 1972.
20. Суторова В. В. Некоторые проблемы прогноза деятельности человека в экстремальных условиях, «Вопросы психологии», № 4, 1973.
21. Теплов Б. В. Предисловие к сборнику «Психологические особенности высшей нервной деятельности человека», т. II, М., 1959.
22. Теплов Б. В. Проблемы индивидуальных различий, М., 1962.
23. Узладзе Д. Н. Экспериментальные основы психологии установки, Тб., 1961.
24. Узладзе Д. Н. Об актуальных задачах и теоретических основах психологии профессии, Тб., 1933.

შარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
ეკადემიის ფინანსობრივი ინსტიტუტი

ზ. ხოჯავა, მ. სურგულაშვილი

ინსტრუქციის როლი სხვადასხვა დონეზე მდებარე ორენტირების შექმნილი განვითარების მოძრაობის

საკითხების დაყუნება

დ. უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად, ცნობილია, რომ განწყობის ილუზია მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენ თავს, თუ დღის პირზე (ცა) წინასწარი „საგანწყობო ცდები ჩავატარეთ“; ე. წ. „უგანწყობო ცდის პირებთანაც“ კი, რომელთაც მხელად უმუშავდებათ განწყობა, საგანწყობო ექსპოზიციის მრავალჭერ გამოირებით მაიც ვლებულობით ეცვეტს — გამღიზიანებლის ილუზიურ აღქმას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს განწყობის შემუშავება გამღიზიანებლის მხოლოდ და მხოლოდ გამოირების შედეგად იყოს შესაძლებელი. გამოირებას როგორც მხოლოდ გამოირებას მნიშვნელობა არა აქვს. ამის შესახებ დ. უზნაძე წერს: „საკითხისა მარტივი ცდა დავაყენოთ, რათა ამაში მაშინვე დავრწმუნდეთ: ცდისპირს საგანწყობო ცდაში დიდი და პატარა ბურთი სიმძიმის მხრივ შესაძარებლად ეძლევა, ხოლო კრიტიკულ ცდაში მას ევალება, მიწოდებული თანასწორი ბურთები მოცულობის მხრივ შეაძაროს ურთიერთს. როგორც წერი, ამ შემთხვევაში მოცულობის ილუზია, ჩვეულებრივ, თავს არ იჩენს. ცხადია, საგანწყობო ცდებში აქ ჩვეულებრივი განწყობის შექმნა ვერ ხერხდება. უეპველია, ამისთვის მარტო გამოირება არაა საკმარისი, ამისათვის პიროვნების შინაგანი მონაწილეობა, გამღიზიანებლის ზემოქმედების პიროვნების მიერ განცდაა აუცილებელი. ხოლო გამოირებას მარტო იმდენად და იმ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც და როდესაც იგი ამ ძირითად პირობის ფაქტორად იქცევა“). განწყობის შესაქმნელად რომ „საკითხისა არაა საგანწყობო გამღიზიანებლის მხოლოდ განმეორება“ და გარდა ამისა საკიროა „პიროვნების მიერ ამ გამოირებული გამღიზიანებლის განცდაც“, — დ. უზნაძის ეს დებულება, ჩვენის აზრით, უდაოდ სწორია. მაგრამ ამ სწორ დებულებასთან დაკავშირებით საინტერესოა საკითხი კერძოდ ინსტრუქციის როლის შესახებ: რას აკეთებს ინსტრუქცია იმის ათვის, რომ საგანწყობო განწყობის კლასიკურ ცდებში. — გავეცნოთ მოკლედ ამ მასალას.

საექსპერიმენტო მასალა. ინსტრუქციის როლის გამოსაკვლევად სხვადასხვა დონეზე მდებარე წრეებით შექმნილი განწყობის მოქმედებაში ჩავატარეთ ცდები, სადაც საგანწყობო და კრიტიკულ გამღიზიანებლად გამოყენებული მასალა სულ სხვაა, ვიდრე „განწყობის კლასიკურ ცდებში“. — გავეცნოთ მოკლედ ამ მასალას.

სამი ბარათი (თითოეული: ოთხი სქელი ქალალდი — ზომით 28×23 სმ. პირველ ბარათზე შევი ტუშით დახაზულია პორიზონტალური ხაზი და მის ცენტრალურ დაშვებული ვერტიკალი (პორიზონტალის სიგრძე — 10 სმ, ვერტიკალის — 6 სმ, სისქე — 1 მმ.). მეორე ბარათზე მოცემულია იგივე ხაზები (იხ. ნახ. 1), ოლონდ ვერტიკალის მარცხენა და მარჯვენა მხარეს, თანაბარ მანძილზე ამ ვერტიკალიდან (20 მმ), აქ ჩახატულია მოცულობით ტოლი შევსებული წრეები ($d = 5$ მმ), რომლებიც პორიზონტალიდან განსხვავებული მანძილებით არიან დამორჩებული (მარცხენა — 32 მმ, მარჯვენა — 20 მმ), რის გამო მარცხენა წრე უფრო „მაღალ დონეზეა“, ვიდრე მარჯვენა. მესამე ბარათზე მოცემულია იგივე ხაზები და წრეები, ხოლო იმ განსხვავებით, რომ

1 დ. უზნაძე. მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის, თბილისი, 1938, გვ. 23.

მანძილი წრეებსა და პორიზონტალს შორის თანასწორია (20 მმ.) და ამიტომ წრეების დონეც ერთნაირია.

პირველი ბარათით (მას ჩვენ ვიყენებდით მხოლოდ პირველ ცდაში) ცდისპირს ვამზადებ დით იმსათვის, თუ როგორ უნდა დაკვირდეს იგი მომდევნო ბარათზე მოცემულ შინაარს. მეორე ბარათი „საგანტყობოა“, რომლის დაკვირვებით ცდისპირს სათანადო აღმისაღმი განტყობა უნდა შეუმუშავდეს (განტყობა: მარცხენა წრე უფრო ზემოთ, ვიდრე მარჯვენა), ხოლო მესამე ბარათი „კრიტიკულია“, რომელმაც ამ განტყობის მოქმედება უნდა გამოავლინოს.




ნახ. 1

„კრიტიკული ბარათი“ დამაგრებულია სქელ მუყაოზე და უძრავია, „მოსამზადებელი“ და „საგანტყობო ბარათები“ კი ზედა გვერდით მიწებებულია „კრიტიკულზე“ და ამიტომ მოძრავია: მათი გადაწევა შესაძლებელია ქვემოდან ზემოთ; „მოსამზადებელი ბარათის“ გადაწევით „საგანტყობო ბარათი“ ჩნდება, „საგანტყობოს“ გადაწევით — „კრიტიკული“ და ამრიგად შესაძლებელი სხდება ცდისპირს ისინი სუკცესურად ვუჩვენოთ (კერ „საგანტყობო“ და შემდეგ „კრიტიკული“).

ამასთანავე ბარათები ისეა ერთმანეთზე მიმაგრებული, რომ „მოსამზადებელი ბარათის“ ურთიერთგადამკვეთი ვერტიკალი და პორიზონტალი ზუსტად ეძთხვევა დანარჩენ ორ ბარათზე გამოსახულ ხაზებს; ხოლო რაც შეეხება წრეების განლაგებას, იგი ასეთია (იხ. ნახ. 2): საგანტყობო და კრიტიკულ წრეების გარჯვიზ მდებარე წრეები, როგორც ერთნაირად დაშორებული პორიზონტალიდან და ერთ დონეზე მყოფნი, ადგილმდებარეობით ურთიერთს ემთხვევიან; მარცხნივ მდებარე წრეებიდან კი საგანტყობო წრე, როგორც უფრო დაშორებული პორიზონტალიდან, კრიტიკული წრის ზემოთ თავსდება და ამიტომ ღონით მაღალია².

ნახ. 2



ჩატარებული ცდების აღწერა და შეღეგების ანალიზი. ცდა I. ცდისპირი ზის მაგიდასთან. მის წინ ვდებთ საგანტყობო ბარათს (დაახლოებით 25—30 სანტ). დაშორებით თვალთაგან), უუჩვენებთ ორ ურთიერთგადამკვეთ პორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზს და ორ წრეს, რომელიც პორიზონტალიდან სხვადასხვა დონეზე მდებარეობს (მარცხენა უფრო ზემოთ, ვიდრე მარჯვენა); — ვავალებთ, რათა უცქიროს ხაზთა გადაკვეთის წერტილს ისე, რომ თვალები არ ამორქაოს და მევახვედრებთ, რომ წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობა ადგილად დასანახია მაშინაც, როცა მხოლოდ „გადაკვეთის წერტილს“ ვევრებთ; შემდეგ ვაცნობთ ჩვენს განზრხევას, რომ გვინდა ჩავატაროთ ერთი სრულიად მარტივი ცდა და ვაძლევთ ინსტრუქციას: „როცა გვეტყვით «დავიწყოთ ცდა», თქვენ ისევ ამ ხაზების გადაკვეთის წერტილს უნდა უკეთოთ (წერტილზე ვუთითებთ!). რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მე ბარათს გადაწევ, თქვენ დაინახავთ ახალ ბარათს, რომელზეც იგრევე დახაზული იქნება ორი ურთიერთგადამკვეთი პორიზონტალური და

² ხაზებისა და წრეების ზომა, ორიგინალთან შედარებით, შემცირებულია ორჯერ.

ვერტიკალური ხაზი და ორი წრე: ერთი — ვერტიკალიდან მარცხნივ, და მეორე — მარჯვნივ. თქვენ ამ ახალ ბარათზეც ხაზთა გადაკვეთის. წრის უნდა უცქიროთ და, როცა ამ ბარათს დაგხურავ, უნდა მითხრათ — რა დონეზე იყო წრეები მოცემული: თუ დაინახეთ, რომ წრეები ერთ-დონეზე იყო, თქვით: „ერთ დონეზე იყო“; მაგრამ თუ ისე დაინახეთ, რომ ერთი წრე ცოტა უფრო ზემოთ იყო, ვიდრე მეორე, მაშინ მითხარით: რომელი წრე იყო ცოტა უფრო ზემოთ — მარჯვენა თუ მარცხენა“.

„შეყბა ცდა: ცლისპირს ვუთითებთ საგანწყობო ბარათის ხაზ-
თა გადაკვეთის წერტილზე და ვეუბნებით: „— აბა უცქირეთ მხოლოდ ამ
წერტილს!“ — ბარათის ექსპოზიცია გრძელდება 20 სეკუნდის. შემდეგ ვაჩერნა-
კრიტიკულ ბარათს: ორი სეკუნდის შემდეგ ამ ბარათსაც ვხურავთ და
ცლისპირი იძლევა ჩვენებას წრეების მდებარეობის შესახებ.

შედეგი: ცდა ჩატარდა 10 ინდივიდზე (თბილისის პედაგოგური ინსტიტუტის მსმენელებზე)³. კრიტიკული წრეების ერთ ღონებზე მდებარეობა ადექ-
ვატურად აღიქვა მხოლოდ ერთმა ცდისპირმა, დანარჩენებმა (90%) კი ეს წრე-
ები ილუზიურად სხვადასხვა ღონებზე მდებარედ აღიქვეს და ყველამ კონ-
ტრასტულად საგანწყობო წრეების მდგრადი განვითარებისა,
ე. ი. საგანწყობო წრეებისაგან განსხვავებით, მარცხენა კრიტიკული წრე მა-
ძრებელიათ უფრო ქვევით მდებარე, ვითრე მარჯვენა.

აღწერილი ცდა განწყობის კლასიური ცდების ნაირია და, მაშასადამე, ეფექტურ, რომელსაც იგი იძლევა „ფსიქირებული განწყობის“ ეფექტად უნდა ვაგულოთ.

როგორც ცნობილია, დ. უზნაძის „განწყობის თეორიის“ თანახმად ორი პირობაა საჭირო და საკმარისი მისათვის, რომ სუბიექტს გარკვეული აქტო-ობისაღმი განწყობა გაუჩნდეს: მოთხოვნილება, რომელიც უნდა დაკმა-ყოფილდეს, და ობიექტური სიტუაცია, რომელშიც ეს დაკმაყ-ოფილება უნდა მოხდეს. მოთხოვნილება ნაირ-ნაირია, მაგრამ „განწყობის კლა-სიურ ცდებში“ მას ყოველთვის სიტყვიერად ფორმულირებული ინსტრუქ-ცია ქმნის და მისი ნაირ-ნაირობაც ამ ინსტრუქციითა განსაზღვრული:

ვანახოთ, რა მდგომარეობაა აღწერილი ცდაში ამ „ორი პირობის“ მიხედვით, რომლებიც ცდის პირს იღუზოგნენ რად მოქმედ განწყობას უნდა უქმნიდნენ! საკუთრივ „ცდის დაყენებამდე სუბიექტი ეცნობა საგანუყობო ბარათის შინაარსს, დავალებისამებრ ადარებს წრეებს მათი დონეების მიხედვით და არკვევს, რომ ამ წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობა (მარცხენა წრე უფრო ზემოთ, ვიდრე მარჯვენა!) ადვილად შესამჩნევია მაშინაც, როცა მხოლოდ ხაზთა გადაკვეთის წერტილს ჭრობს. შემდევ ვაძლევთ ინსტრუქციას, რომელიც მას ავალებს მომდევნო (კრიტიკულ) ბარათზეც ხაზთა გადაკვეთის წერტილს უცქოროს და, ამ ბარათზეც რომ წრეებს დაინახავს, გვითხროს რა დონეებზე იყო ეს წრეები მოკიმული (თაწვრილებით ინსტრუქცია იხ. ზიმონ)

განწყობის თეორიის თვალსაზრისით აღნაშნული ინსტრუქცია ცდისპირს უქმნის მოთხოვნილებას წრეები ურთიერთს დონეების მიხედვით შეადაროს, და იგულისხმება, რომ, განწყობა, რომელიც მას

3 საზოგად ცდები წარმოებდა მხოლოდ ისეთ ინდივიდებზე (პროფანებზე), რომლებიც „განცყობის კლებს“ არ იკონავნენ.

საგანწყობო წრეების სიტუაციაში უმუშავდება და კრიტიკული წრეების დონეთა ერთნაირობას ილუზიურად ცვლის, მხოლოდ ამ მოთხოვნილების თავისებურებითაა განსაზღვრული, სახელდობრ, ხდება შემდეგი: როცა ცალიპირი საგანწყობო სიტუაციაში წრეების დონეებს ურთიერთს ადარებს და მათ განსხვავებას ხანგრძლივად აღიქვამს, ეს აღმა მას სათანადო განწყობას უფიშებირებს — განწყობას დონით განსხვავებული წრეები განსხვავებული წრეების აღჭრისადმი, რომელთაგან მარცხენა წრე უფრო ზემოთაა, ვიდრე პარაგვეხა! და ბუნებრივია, რომ, როცა ასეთად განწყობილ სუბიექტს კრიტიკულ სიტუაციაში ერთ დონეზე მდებარე წრეები ეძლევა, მას ეს რწეები სხვადა-ხვა დონეზე მდებარედ ეჩვენება და, როგორც წესი, კონტრასტულად საგანწყობო წრეების მდებარეობისა (მარცხენა — წრე როგორც უფრო ქვევით მდებარე, ვიდრე მარგვენა!). ერთი სიტყვით, აღწერილი ცდის ეფექტი „დონით განსხვავებული წრეების აღმისადმი განწყობის“ ეფექტია, — იმ განწყობის, რომელიც სუბიექტთან ინსტრუქციით შექმნილი მოთხოვნილებისა (ე. ი. წრეების დონეთა შედარების მოთხოვნილების) და საგანწყობო წრეების განსხვავებულ დონეთა აღმის საფუძველზე ხდება ფიქსირებული. ეს ახსნა სწორია, მაგრამ ისეთი ფაქტიც დასტურდება, რომელიც რას თითქოს აღარ ეგუება: შეიძლება საგანწყობო წრეების განსხვავებულ დონეებზე მდებარეობა ნათლიდ იყოს აღქმული, მაგრამ მომდევნო კრიტიკული წრეების დონეთა ერთნარიბაც ადექვატურად აღიქმებოდეს. ეს ცხადათ ჩანს შემდეგი ცდილან.

ცდა II. ცდისპირის წინ მაგიდაზე ვდებთ სამივე ურთიერთზე დამაგრებულ ბარათს. ზედა ბარათი „მოსამზადებელია“, რომელსაც მხოლოდ ამ ცდაში ვიყენებთ. მასზე დახაზულია ორი ურთიერთგადამკვეთი ჰორიზონტალური და ვერტიკალური ხაზი. ცდისპირს ვავალებთ უცქიროს ხაზთა გადაკვეთის წერტილს და ვარკვევთ, რომ ხაზები ნათლად ჩანან მაშინაც, როცა მხოლოდ ამ წერტილს უცქერით და ხაზებისაკენ არ ვახედებით. შემდეგ, ისე როგორც პირველ ცდაში, ცდისპირს ვეუბნებით, რომ უნდა ჩავატაროთ ახალი ცდა და ვაძლევთ ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ამ ცდის პროცესში:

„როცა გეტყვით — «დავიწყოთ ცდა», თქვენ უნდა უცქიროთ მხოლოდ ამ ხაზების გადაკვეთს წერტილს (ვუთითებთ) ისე, რომ ხაზებისაკენ არ გაიხედოთ. ცოტა ხნის შემდეგ მე ამ ბარათს გადავშლი და თანმიყოლებით გიჩვენებ არ სხვა ბარათს, რომლებზეც ასეთივე ხაზები იქნება გავლებული. თქვენ ამ ახალ ბარათებზეც ხაზების გადაკვეთის წერტილს უნდა უცქიროთ, მაგრამ რასაც ამ ხაზებთან ერთად დაინახავთ, უნდა კარგად დაიხსომოთ და, როცა შეგვითხებით, უნდა მოთხარათ: რა დაინახეთ ცალკე პირველ ბარათზე და ცალკე მეორეზე.“

იწყება ცდა: ცდისპირი ჭვრეტს მოსამზადებელ ბარათზე ხაზთა გადაკვეთის წერტილს; 2—3 სეკ. შემდეგ ამ ბარათს გადავშლით და თანმიმდევრობით ვაჩინოთ მის ჭვრეტ მდებარე ბარათებს: საგანწყობო ბარათს უზრუნველყო 20 სეკ. ხანგრძლივობით, კრიტიკულ — 2 სეკუნდით, რის შემდეგ ამ ბარათსაც ეხურავთ და ცდისპირს ვთხოვთ გვითხრას — რა დაინახა თითოეულ ბარათზე.

შედეგი: ცდა ჩატარდა 10 ინდივიდზე (თბილისის პედაგოგური ინსტრუქტის მსენელებზე). წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობა საგანწყობო ბარათზე (მარცხენა წრე უფრო ზემოთ, ვიდრე მარგვენა!) და მათი დონეების ერთნაირობა კრიტიკულ ბარათზე სწორად აღიქვა 7 ცდისპირმა: დანარჩენებმა.

კი საგანწყობო წრეების დონეთა განსხვავება სურად აღიქვეს, მაგრამ კრიტიკული წრეები მხოლოდ დასახელების და მათი ერთ დონეზე მდებარეობა არ აღნიშნეს. შეიძლებოდა გვეციქა, რომ ცდისპირებმა დონეების ერთნაირობა ვერ შეავჩინის, მაგრამ ექსპერიციენტატორის დამატებითი შეკათვით: „გაიხსენეთ, — რა დონეზე იყო წრეები მეორე ბარათზე“. — გამოიკვა, რომ მათ ამ დონეების ერთნაირობაც ჰქონდათ შემჩნეული.

როგორც ვხედავთ, აღწერილი ცდის შედეგი სრულიად აღარა ჰგავს პირველისას: საგანწყობო წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობა (პარცხენა უფრო ზემოთ, ვიდრე მარჯვენა) ძალი უგამნაულისოდ ადექვატურად აღიქმება, მაგრამ შემდეგ რომ ერთ დონეზე მდებარე კრიტიკული წრეებს ვაჩინთ, იგივე ცდისპირები ამ დონეების ერთნაირობასაც ადექვატურად აღიქმავენ და არა კონტრასტულ-ილუზიურად, როგორც ეს პირველმა ცდამ გვიჩვენა.. ერთი სიტყვით, საგანწყობო წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობის აღქმა აღარ უკეთებს ფიქსაციას იმ განწყობას, რომელიც პირველ ცდაში თითქმის ყველა ცდისპირს (90%) უჩნდებოდა და კრიტიკული წრეების დონეთა ერთნაირობას ილუზიურად ცვლილა.

დაძრმის საკითხი: რა იწვევს ამ განსხვავებას? თითქოს არის შესაძლებლობა, ვიფიქროთ, რომ ერთი და იგივე გამღიზიანებლის — დონია განსხვავებული წრეების — აღქმა მხოლოდ პირველ ცდაში ქმნის ილუზიოგრანურად მოქმედ განწყობას (ე. ი. „განწყობას განსხვავებული დონეების აღქმა-საღმა-“), ხოლო მეორე ცდაში იგი საერთოდ არ ავითარი განწყობის ფიქსაციას არ იწვევს და ამიტომ კრიტიკული წრეების ერთ დონეზე მდებარეობაც მუდავ ადექვატურად აღიქმება. მაგრამ ფაქტის ასეთი ასენა „განწყობის თეორიის“ თვალსაზრისით მიუღებელი იქნებოდა. განწყობა უთუოდ ამ ცდაშიც ფიქსირებულია, მაგრამ სწორედ ისეთი, რომელიც, განსხვავებით პირველ ცდაში მოქმედ განწყობისაგან, კრიტიკული წრეების ერთ დონეზე მდებარეობის აღქმას კი არ არვევს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მას; ხოლო მიზეზი იმის, რომ აქ სხვა განწყობა ფიქსირდება და არა იგივე, რაც პირველ ცდაში, უთუოდ ინსტრუქციის თავისებურობაშია, რაც არა მხრივ, სხვა მხრივ, არავე ცდა სავსებით ერთნაირია.

ინსტრუქციაში, რომელიც აქ ცდისპირს ექლევა, წრეები ნახსენებიც არ არის მაგრამ არც ისაა თქმული, რომ თითოეულ ბარათზე ორი ფიგურა იქნება დახაზული — ერთი მარცხივ, მეორე მარჯვივ, — რომელიც ცდისპირმა დონეების მიხედვით ერთმანეთს უნდა შეადაროს და გვითხრას: ერთ დონეზე იყენებ ისინი თუ სხვადასხვა დონეზე და რომელი იყო უფრო ზემოთ — მარცხენა თუ მარჯვენა! ნათქვამია მხოლოდ ის, რომ ცდისპირმა ამ ახალ ბარათებზეც ხაზთა გადავვეთის წერტილი უნდა ჰქონიტოს და, რასაც ამ ხაზების გარდა დაინახავს, კარგად დაიხსომოს და თქვას: რა დაინახა ცალკე პირველ ბარათზე და ცალკე მეორეზე.

ცხადია, ეს ინსტრუქცია, პირველი ცდის ინსტრუქციისაგან განსხვავებით, „წრეების დონეთა შედარების მოთხოვნილებას“ ვეღარ შექმნის, მაგრამ ვინაიდან იგი მარც ინსტრუქციაა, ამიტომ რაღაც სხვა მოთხოვნილებას უთუოდ ასეთი ინსტრუქციაც უნდა ქმნიდეს; სახელდობრ: რაი ცდისპირს მხოლოდ ის ევალება, გვითხრას, თუ რა იქნება დახაზული ნაჩვენებ ბარათებზე, ამიტომ მოთხოვნილება, რომელიც მას ასეთი დავალებით (ინსტრუქციით) შეიძლება

კი საგანტყობო წრეების დონეთა განსხვავება სწორად აღიქვეს, მაგრამ კრიტიკული წრეები მხოლოდ დაასახელეს და მათი ერთ დონეზე მდებარეობა არ აღნიშნეს. შეიძლებოდა გვაფიქრა, რომ ცდისპირებმა დონეების ერთნაირობა ვერ შეამჩნიერ, მაგრამ ექსპერტებმა დამატებით შეკითხვით: „გაიხსენეთ, — რა დონეზე იყო წრეები მეორე ბარათზე“. — გამოიჩვა, რომ მათ ამ დონეების ერთნაირობაც ჰქონდათ შემჩნეული.

როგორც ვხედავთ, აღწერილი ცდის შედეგი სრულად აღარა ჰგავს პირველისას: საგანტყობო წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობა (მარცხენა უფრო ზემოთ, ვიდრე მარჯვნა) აქც უგამონაცლისოდ ადექვატურად აღიქმება, მაგრამ შემდეგ რომ ერთ დონეზე მდებარე კრიტიკული წრეებს ვაჩენთ, იგივე ცდისპირები ამ დონეების ერთნაირობასაც ადექვატურად აღიქვამენ და არა კონტრასტულ-ილუზიურად, როგორც ეს პირველმა ცდამ გვიჩვენა.. ერთი სიტყვით, საგანტყობო წრეების სხვადასხვა დონეზე მდებარეობის აღქმა აღარ უკეთებს ფიქსციას იმ განტყობას, რომელიც პირველ ცდაში თითქმის ყველა ცდისპირის (90%) უჩნდებოდა და კრიტიკული წრეების დონეთა ერთნაირობას ილუზიურად ცვლიდა.

დასმის საკითხი: რა იწვევს ამ განსხვავებას? თითქოს არის შესაძლებლობა, ვიფრეროთ, რომ ერთი და იგივე გამოიზიანებლის — დონაზე განსხვავებული წრეების — აღქმა მხოლოდ პირველ ცდაში ქმნის ოლუმბოგენურად მოქმედ განტყობას (ე. ი. „განტყობას განსხვავებული დონეების აღქმისადმი“), ხოლო მეორე ცდაში იგი საერთოდ არავითარი განტყობის ფიქსაციას არ იწვევს და ამიტომ კრიტიკული წრეების ერთ დონეზე მდებარეობაც მუდამ ადექვატურად აღიქმება. მაგრამ ფაქტის ასეთი ახსნა „განტყობის თეორიის“ თვალსაზრისით მიუღებელი იქნებოდა. განტყობა უთუოდ ამ ცდაშიც ფიქსირებულია, მაგრამ სწორედ ისეთი, რომელიც, განსხვავებით პირველ ცდაში მოქმედ განტყობისაგან, კრიტიკული წრეების ერთ დონეზე მდებარეობის აღქმას კი არ აღვევს, არამედ, პირველ, ხელს უწყობს მას; ხოლო მიზეზი იმის, რომ აქ სხვა განტყობა ფიქსირდება და არა იგივე, რაც პირველ ცდაში, უთუოდ ინსტრუქციის თავისებურობაშია, რადგან, სხვა მხრივ, რავე ცდა საცემით ერთნაირია.

ინსტრუქციაში, რომელიც აქ ცდისპირს ეძლევა, წრეები ნახსენებიც არ არის მაგრამ არც ისაა თქმული, რომ თათოვეულ ბარათზე ორი ფიგურა იქნება დახაზული — ერთი მარცხნივ, მეორე მარჯვნივ, — რომელიც ცდისპირმა დონეების მიხედვით ერთმანეთს უნდა შეადაროს და გვითხრას: ერთ დონეზე იყვნენ ისინი თუ სხვადასხვა დონეზე და რომელი იყო უფრო ზემოთ — მარცხენა თუ მარჯვნა! ნათქვამია მხოლოდ ს, რომ ცდისპირმა ამ ახალ ბარათებზეც ხაზთა გადაკვეთის წერტილი უნდა ჭვრიტოს და, რასაც ამ ხაზების გარდა დაინახავს, კარგად დაიხსოვოს და თქვას: რა დაინახა ცალკე პირველ ბარათზე და ცალკე მეორეზე.

ცხადია, ეს ინსტრუქცია, პირველი ცდის ინსტრუქციისაგან განსხვავებით, „წრეების დონეთა შედარების მოთხოვნილებას“ ვეღარ შექმნის, მაგრამ ვინაიდან იგი მარც ინსტრუქციაა, ამიტომ რაღაც სხვა მოთხოვნილებას უთუოდ ასეთი ინსტრუქციაც უნდა ქმნიდეს; სახელდობრ: რაკი ცდისპირს მხოლოდ ის ევალება, გვითხრას, თუ რა იქნება დახაზული ნაჩვენებ ბარათებზე, ამიტომ მოთხოვნილება, რომელიც მას ასეთი დავალებით (ინსტრუქციით) შეიძლება

შეექმნას, „შინაარსეულად“ „გამოიჩინებლის გამოცნობის მოთხოვნილება“ უნდა იყოს, — ე. ი. მოთხოვნილება, რომელშიც კონკრეტული საგნის მხოლოდ რაობის გამოცნობის საჭიროება განიცდება და რომელიც, როგორც ასეთი, ნეიტრალური უნდა იყოს ყველა სხვა ნიშნისადმი, რაც კი საკუთრივ გამოსაცნობი საგნის რაობას არ ეხება.

ერთი სიტყვით, განსხვავება ნათელია: მოთხოვნილება, რომელსაც აღწერილ ცდაში ინსტრუქცია ქმნის, „გამოიჩინებლის გამოცნობის მოთხოვნილებაა“ და არა „მოთხოვნილება წრეების დონეთა შედარებისა“, რომელიც სუბიექტს პირველი ცდის ინსტრუქციით ექმნება. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც იგულისხმება, რომ რაკი ამ ცდაში სუბიექტს სხვანაირი მოთხოვნილება ექმნება, ამიტომ სხვა შინაარსის უნდა იყოს ის განწყობაც, რომელიც მას საგანწყობო წრეების გახანგრძლივებულ აღქმით უფიქსირდება, და უთუოდ ეს „სხვა განწყობა“ უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ საგანწყობო წრეების აღქმის შემდეგ კრიტიკული წრეების დონეთა ერთნაირობა ილუზიურად აღარ იცვლება; სახელმობრ ხდება შემდეგი: ცდისპირს ვუჩეკენებთ საგანწყობო ბარათზე დაბაზულ წრეებს; იგი ცნობს, აღიქვამს ამ წრეებს და ამ აღქმაში მათი სხვადასხვა დონეზე მდებარეობასაც ნათლად ამჩნევს (მარცხენა წრე უფრო ზემოთ, ვიდრე მარჯვენა!). მაგრამ ვინაიდან აქ დონეთა განსხვავების შემჩნევა „გამოცნობის მოთხოვნილებით გათვალისწინებული“ არაა და, მაშასადამე, არც საგანგებო სელექციური შედარების პროცედურს წარმოადგენს, ამიტომ იგი არც იმ განწყობას აფიქსირებს (ე. ი. წრეების განსხვავებული დონეების აღქმისადმი განწყობას!), რომელიც პირველმა ცდამ ვაჩერენა; ხოლო საკუთრივ ის განწყობა, რომელიც აქ ცდისპირს „გამოიჩინებლის გამოცნობის მოთხოვნილების“ საფუძველზე ნამდვილად უფიქსირდება, უბრალოდ „წრე ების აღქმის განწყობა“! ამ განწყობით ხდება იგი მომდევნო კრიტიკული წრეების ექსპოზიციის და ანიტომაა, რომ მათაც თავიანთ დონეზე აღიქვამს, — ე. ი. აღიქვამს ადრე ვატურად, როგორც დონით ერთნაირებს, და არა ილუზიურად, როგორც სხვადასხვა დონეზე მდებარეთ.

დასკვნა. ამრიგად, ინსტრუქციის როლი განწყობის შემუშავება-მოქმედებაში უდავო ფაქტია! ზემოთ აღწერილ ცდებში საგანწყობო მასალა ერთი და იგივეა (სხვადასხვა დონეზე მდებარე წრეები!), მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველ ცდაში სუბიექტს „წრე ების განსხვავებულ დონეზე თა აღქმის განწყობა“ უფიქსირდება, ხოლო მეორეში კი — „განწყობა მხოლოდ წრეების აღქმისა“; ამ ორი შინაარსეულად განსხვავებული განწყობის შემუშავების მიზეზი უთუოდ ისაა, რომ პირველი ცდის ინსტრუქცია სუბიექტს „წრეების დონეზე თა შედარების მოთხოვნილება“ უქმნის, ხოლო მეორე ცდის ინსტრუქცია კი — „მოთხოვნილებას გამოიჩინებლის რაობის გამო ცნობისას“.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტიმა



©2016 Pearson

ବ୍ୟାକ ପରିଚୟ

კოლეგიას დაბლობის ათვისების პროცესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეცნიერობის განვითარების ძირითად მიზარულებრივი 1976—1980 წლებისათვის გათვალისწინებულია ჩვენს ქვეყნაში დაჭაობებული მიწების ამოზრობისა და ათვისების მაღალი ტემპებით განხორციელება. განსაკუთრებული ურალებაა გამახვილებული მელიორაციისათვის გაწეული ხარჯების ეფექტურ გამოყენებაშე. როგორც ცნობილია, ჩვენი რესეულოების სამეცნიეროაციი ღონისძიებათა კომპლექსში დიდი ადგილი უკავია კოლხეთის დაშრობებასა და ათვისების პროცესებს, რომელიც საქართველოს სსრ სოფლის მეცნიერობის შემდგომი განვითარების უკეთეს მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს.

კოლხეთის დაბლობის ტერიტორია 223,2 ათას ჰექტარს შეადგენს. მთელი ტერიტორია (იგულისხმება როგორც ამოშრობილი ისე ამოსაშრობი მიწები), ამეამად არსებული მიწათმოწყობით, განაწილებულია ოჩამჩირის, გალის, ზუგდიდის, ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ლანჩხეთის, მახარაძისა და ქობულეთის აღმინასტრაციულ რაონებს შორის. მთელი ტერიტორიის მიწის ფონდიდან 102000 ჰექტარი (45,7%) კოლმეურნეობათა სარგებლობაშია, 38542 ჰა (17,3%) საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფოებრივ მეურნეობებს-ეკუთვნის, 48479 ჰა (21,7%) შეადგენს სახელმწიფო სატყეო ფონდს, 7776 ჰა-ზე (3,5%) ქალაქები და ქალაქების ტიპის დაცებია, 1441,3 ჰა (6,5%) უკავიათ სხვადასხვა უწყებებს — რეინიგზებსა და მრეწველურ წარმოებას, ხოლო 11935 ჰა (5,3%) სახელმწიფო ფონდის მიწებია (იხ. ცხრილი 1).

კოლეგიას დამსახურის ტრიბუნის განაწილება აღმინისტრაციულ რაიონებს შორის
(ჰერცეგ-ვიზე) 1 (1968 წლის მონაცემების მიხედვით)

Qbromo 1

რაიონები	საკრთველო ფართობი (მასი კმ)	%-ი ჯარის მიმართ	მ. შ. ამოშრობილი ფართობი (ათასი კმ)	ამოშრობილი ფართობის % -იდ რაიონებზე მონა- გრუპული მცწების საკრ- თო ფართობის შემართ	რაიონებში ამოშრო- ბილი მცწების ფართობი %-ად რაიონების შემცწების საკრთველოში მასათ
ოჩაშემირე	10,0	4,5	—	—	—
გ ა ლ ი	48,0	21,5	18,0	37,5	21,8
ქობულეთი	2,8	1,3	1,6	57,1	1,9
სუგლილი	33,7	15,1	3,9	11,6	4,7
ხ ო ბ ი	60,7	27,2	24,2	39,9	29,4
ცხავარი	18,2	8,2	13,1	72,0	15,9
ააშა	16,4	7,3	12,4	75,6	15,0
ლანჩხუთი	30,0	13,4	6,4	21,3	7,8
მახარაძე	3,4	1,5	2,9	85,3	3,5
ს უ ლ	223,2	1000	82,5	37,0	100

¹ ცხრილი შედგენილია სკართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათმოწყვეტილობის სამსახურთვის 1970 წლის მონაცემების საფუძვლზე.

კოლხეთის დაბლობის ათვისებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სოფლის მეურნეობის ბუნებრივ რიგ თავისებურებათა გამო, კერძოდ, მთანი ქვეყნებისათვის დამახსიათებელი როული რელიეფის, სოფლის მეურნეობრივი წარმოების მკეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონა-ლობის, სახმარი მიწების თავისებური სტრუქტურისა და მცირებიშიანობის პირობებში, მიუხედავად ამისა, კოლხეთის დაბლობის დაშრობილი მიწების საერთო ფართობი მხოლოდ 84,0 ათას ჰექტარს ანუ მთლიანი ფართობის 40 პროცენტს შეადგენს.

კოლხეთის დაშრობა და სოფლის მეურნეობრივი ათვისება, მისი ნიადაგური და კლიმატური პირობების თავისებურებათა გამო მართლაც მეტად რთულ; და ძნელი საქმეა. მაგრამ ის, რაც ამ დაბლობის ამოშრობისა და ათვისებურსათვის უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში გაცემდა, საკმარისი არ არის. აქ განსაზღვრულ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა რამდენჯერმე აღმატება დაბლობის ამოშრობის ჩარიცხულებას, ამასთან ამოშრობისა და ათვისების გათვალისწინებული სამუშაო ძალზე ჭიანურდება. თუმცა კოლხეთის დაბლობის მიწების დაშრობა დაიწყო 1925 წლიდან, ათვისების სქემით, მომავალში დამატებით გათვალისწინებულია 1132 მლნ მანეთის საერთო ღირებულების სამუშაოს შესრულება. დაშრობისა და ათვისების სამუშაოთა ღირებულება 1 ჰექტარზე 5 ათას მანეთს შეადგენს, აქედან 3,8 ათასი მანეთი საანჯინრო-მელიორაციულ ღონისძიებებზეა.

კოლხეთში სამუშაო ორ ეტაპად წარიმართება: პირველი ეტაპი ითვალისწინებს საინჟინრო მელიორაციის ღონისძიებათა ჩატარებას, რამაც უნდა უზრუნველყოს დასაშრობი ფართობიდან ზედაპირულ წყლების მოცილება და მღინარეების ადიდების დროს ნიაღვრისაგან ტერიტორიის დაცვა; მეორე ეტაპი კი ითვალისწინებს ფართობებზე კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ჩატარებას და სფერული კვლების მოწყობას ზედაპირულ წყლების დაჩქარებითი მოცილების მიზნით.


კრიტიკამდელ პერიოდში პროფ. გ. თევზაძე სამ მომენტს გამოყოფს: § 1. „ეკლეკტიკური ცდები“ (გვ. 34—54), § 2. „მიმართულების ძიება“ (გვ. 54—74) და § 3. „გარდამავალი პე-

1 გ. თევ ვ. ბ. ა. გ. იმანუელ კანტი, თბილისი, 1974, (რედ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბოჭორიშვილი).

როიდი“ (გვ. 74—91). კანტის ფილოსოფიის კრიტიკამდელი პერიოდის შესახებ ავტორისეული მსჯლობისათვის დამასახიათებელია განსაკუთრებით იმ მომენტების წამოწევა, რომელიც უახლოვდებიან ან ენათესავებიან „წმინდა გონების კრიტიკაში“ გამოიქმულ დებულებებს. ამით, რასაკირველია, არ იჩქალება განსხვავება კანტის ფილოსოფიური განვითარების პირველ და მეორე პერიოდებს შორის.

კანტს ფილოსოფიური მოღვაწეობის დაწყება მოუხდა მაშინ, როცა ეპროპულ ფილოსოფიაში გაგატონებული იყო ეპირიზმი და რაციონალიზმი. სკეპტიციზმის (პიუმი) შემოტვის საბასუხოდ კანტი ენერგულად დღილობს ტრადიციული მეტაფიზიკის დაცვასა და გადარჩენას. ამ მიზნის მისაღწევად კანტმა მრავალი გზა და ხერხი გამოსცადა, რომელთაგან არც ერთ-მა არ გამართლა.

სარეცენზიონ ნაშრომში მოცემულია კანტის 1770 წლის დისერტაციის — „კრინიბადი და ინტელეგიბელური სამყაროს ფორმისა და პრინციპის შესახებ“ — ვრცელი ანალიზი; ნაჩენებია ის გზა, რომელმაც კანტი „წმინდა გონების კრიტიკასთან“ მიიყვანა; „არჩეულია პრინციპულად ახალი მიმართულება, დადგენილია მეტარი გამოსავალი პუნქტი, რომელიც, ჩართლავი, არც ერთ წინამობრძელ ფილოსოფობს არ ქონია. სივრცისა და დროის ახალი გაეგბა ჭუსტად დაადგენს ცდის საზღვრებს და მის შესაძლებლობას, — აქ ცდისეული სამყარო პრინციპულად გაიმიჯნება განსაკითხისაგან“ (გვ. 75). ჭერებერბით კანტი არა სვამს კითხვას მეტაფიზიკის შესაძლებლობის შესახებ. 1780 წლის ბოლოსათვის კანტი დარწმუნდა, რომ დმერთის არსებობის დასბუთების შეთანხება შეუძლებელია თეორიული შემეცნების იმ პრინციპებთან, რომელიც დროისა და სივრცეს როგორც წმინდა ჭერების ფორმებს ემყარება. ამით უკვე პრინციპულად შექმნილია „წმინდა გონების კრიტიკის“ თვალსაზრისი.

კრიტიკული პერიოდის კანტის შრომების განხილვისას და ანალიზის საფუძველზე, პროფ. გ. ოვეზებ აჩვენებს, რომ კანტის ცდაშ გადაერჩინა ტრადიციული მეტაფიზიკა დალებითი შედეგი ვერ გამოიღო. კანტის კვლევა-ძიებამ ამ მიმართულებით დადგინა: „პრინციპულად შეუძლებელია, რომ ისეთი საკონტების შესახებ, რომელიც ცდის გარეთ არსებულ სინამდვილეს ეხება... უშველ, საყოველთა დასკვნებამდე მივიღოთ“ (გვ. 81). ეს არ ნაშავს, მიუთითობს ავტორი, თითქოს კანტს მეტაფიზიკის აუცილებლობაში ეჭი ეპარებოდა, პირიქით, კანტი დარწმუნებული იყო მეტაფიზიკის უარყოფის შეუძლებლობაში (გვ. 92). მაგრამ, რაკი შეტაციზიკის ამიცანები ცდის სფეროს გარეთ გაღიან, ხოლო შემეცნება არ შეიძლება ცდის საზღვრებს გასცდეს, ამიტომაც, კანტის მიხედვით, მეტაფიზიკა არც არის თეორიული შემეცნება.

ფილოსოფიის როგორც შეცნიერების ამოცანა სინთეზურ-აპრიორული მსჯლობების არსებობის დადგნა, ამით კიდევაც გამართლდება შეცნიერება როგორც ფაქტი. კანტის გამოთქვა „შეცნიერების არსებობა „ფაქტია“, — ავტორისეული ინტერპრეტაციით, გულისხმობს ისეთი დებულებებისა და მსჯლობების არსებობას, რომელთა უარყოფა არ შეიძლება (გვ. 94).

პროფ. გ. ოვეზებ, ვიღერ უშუალოდ „წმინდა გონების კრიტიკის“ განხილვაზე გადავიდოდეს, იძლევა შემეცნების თეორიის, ეთიკისა და ესორტიკის კანტისეული დაფუძნების დალაგებასა და ანალიზს. სამ პარაგრაფს ემატება კიდევ როი: წ 4. „სამარადისო შშეიღობა, როგორც შეცნერების თეორიის ფილოსოფიის დალაური გაცნობისას, თვალშინ ჰქონდეს კანტის მთელი ფილოსოფია მისი ძირითადი ასპექტებით.

პარაგრაფში — „შემეცნების თეორიის კანტისეული დაფუძნება (გვ. 97—105) — ავტორი იძლევა კანტისეული შეცნერების თეორიის მიუკლე დალაურებას, უკვლა მნიშვნელოვანი ცნებისა და ტერმინის განმარტებას. ეს პარაგრაფი მკონველს უშუალოდ ამზადებს წევნის ცველაზე რთული ნაწილის „წმინდა გონების კრიტიკის“ პრობლემების გასაცნობად. გარდა ამისა, როგორც შეცნერების თეორიის, ასევე ეთიკისა და ესორტიკის კანტისეული დაფუძნება ავტორის მიერ იმგვარად არის გადმოცემული, რომ ჩათლად ჩანს შემეცნების თეორიის შემდევ ეთიკისა და ესორტიკის აუცილებლობა კანტის ფილოსოფიისათვის. შემეცნების თეორიაში, ეთიკაში და ესორტიკაში ჩანს ერთი მთავარი ხაზი, ძირითადი საყრდენი, რომლის ძალითაც თითოეული კრიტიკული დისციპლინა მეცნიერებად იქცევა, ეს არის სინთეზურ-აპრიორული მსჯლობები, რომელთა არსებობას დალაურნ შეცნების თეორია (მათგან კრიტიკაში და ფიზიკაში), ეთიკა (კარეგორიული იმპერატივის სახით) და ესორტიკა (გეომეტრის მსჯლობაში).

კრიტიკული პერიოდის ავტორისეული დახასიათება მთავრდება პარაგრაფით — „ანტოროლოგია“. ცნობილი სამი კრიტიკული კითხვის საბოლოო, ამომწურავი პასუხი კანტს ესახებ ბოლო შემდევი საკითხის გარკვევაში: რა არის ადამიანი? კანტშა „პარეტიკული გო-



ნების კრიტიკაში“ გააჩვია, თუ რა უნდა იყოს ადამიანი და როგორ უნდა მოიქცეს ის; ახლა აუცილებლად მიაჩნია იმის გარევევა, თუ როგორ იქცევა ადამიანი ფაქტურად. ამიტომ კანტი ვერ დაკამაყოცილდებოდა „პრაქტიკული გონგბის კრიტიკაში“ მოცემული ადამიანის როგორც მორალური არსების დახასიათებით. მის წინაშე ახალი ძალით დგება კითხვა: რა არის ადამიანი?

ადამიანის რაობაზე პასუხი უნდა გაეცა კანტის სპეციალურ ნაშრომს „ანთროპოლოგია პრაგმატული თვალსაზრისით“ (1798), მაგრამ, საყოველთაო აღიარებით, ამ ნაშრომმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება. წინააღმდეგ ტრადიციისა, რომელიც კანტის აღნიშნულ ნაშრომში არსებითად მხოლოდ წარუმატებელ დღას ხდავს ადამიანის რაობის გარევევის საკითხში, პროფ. გ. ოვეზაძე იძლევა კანტის „ანთროპოლოგიის“ მნიშვნელობის ახლებურ ინტერესტაციას.

ავტორი ფიქრობს, რომ კანტის „ანთროპოლოგია პრაგმატული თვალსაზრისით“ იმსახურებს მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს, მაგრამ უზრაღლებას არ აქცევენ მასთან პრობლემის დასმის სპეციფიკას. დასმული კითხვის (რა არის ადამიანი?) აუცილებლობა მიუთითებს იმაზე, რომ ფილოსოფია ყოველოვის მსოფლმხედველობაც უნდა იყოს, ხოლო ფილოსოფიის მეცნიერულობა მსოფლმხედველობის მეცნიერულობას უნდა წარმოადგენდეს. ამიტომა, რომ უკვე ფილოსოფიურ მიმდნარეობას თავისი „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ აქვს, ე. ი. თავისი პასუხი აქვს ადამიანის რაობაზე (გვ. 142). ვისაც კანტის „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“ აინტერესებს, მან უნდა მიმართოს მისი „პრაქტიკული გონგბის კრიტიკას და „ზეობის მეტაფიზიკას“ (იქვე).

„კანტის სიტოზელე და სილიადე, წერს ავტორი, იმაშიც გამოჩენდა, რომ მას ფილოსოფიური კი არა, სწორედ პრაგმატული თვალსაზრისით დაწერილი ანთროპოლოგია მიაჩნდა აუცილებლად, ე. ი. ემპირიული რეალური ადამიანის შესწავლის საკითხი დასვა, მისი რაობის გაგება აუცილებლად მიიჩნია (გვ. 143). ეთივაში მორალურობის განხორციელების ერთ-ერთ მთავარ პირობად კანტი ასახელებს ემპირიული ვითარებისაგან ადამიანის დამოუკიდებლობას. პრაგმატული თვალსაზრისით აგებულ ანთროპოლოგიაში კი კანტის მიზანი იყო იმის ჩეცნება, თუ რამდენად და როგორ შეუძლია კონკრეტულ ადამიანს ჩატარობაში თავისი ჭრარასის, თავისი დანიშნულების განხორციელება. კანტის ანთროპოლოგიის ავტორისეული გაგება ახლებურ შექს ფენს კანტის ფილოსოფიის ზოგიერთ თავისებურებას.

სარეცეპზონ ნაშრომიდან ძირითადია მესამე ნაწილი — „წმინდა გონგბის კრიტიკის“ პრობლემები. ფილოსოფიური სისტემის განხილვისა, დება საკითხი ამ ფილოსოფიის ინტერეტაციის პრინციპის შესახებ. ინტერეტაციის მიზანი უნდა იყოს არა ახალი მოძღვრების შექმნა, არამედ იმის ახსნა, ნათელყოფა, თუ გნებავთ, უკეთესი დაფუძნება, რისი თქმაც ავტორს სურდა (გვ. 157).

ინტერეტაციის ცნებაში ავტორი გარკვეულ პორტას : მოძღვრების არსი ინტერეტაციამ უნდა დაადგინოს, ე. ი. თავად უნდა დაადგინოს საკუთარი საჭომი და საზღვრები, წინააღმდეგ შემთხვევაში მას წინასწარ უნდა პქონდეს მოცემული საძიებლის არსი (გვ. 157). თუ ინტერეტაციის ცნებას აბსტრაქტულად განვიხილავთ, აქ მართლაც არის აპორია, მაგრამ თუ მნედველობაში გავქვს კონკრეტული მოძღვრება, მაშინ ინტერეტაციის ჭრაშარიტების კრიტერიუმებად გამოდიან: ტექსტი, ისტორიული ლოგიური აღვილი განვითარება-ში, საპირისპირო ინტერეტაციები. ამგვარ ვითარებაში დგინდება ინტერეტაციის საზღვრები. კანტის ფილოსოფიის მიმართ, — წერს, პროფ. გ. ოვეზაძე, — ამგვარი საზღვრები დაგენილია, დადგენილია ის დებულებები, რომელთა უარყოფა კანტის ფილოსოფიის ინტერეტაციად ადარ ჩაითვლება. ეს კანტისეული დებულებებია: 1. შემეცების არსებობა უფრო ველია, 2. შემეცების შესაძლებლობის დაფუძნებისათვის აუცილებელია დუალიზმი თავის-თავად ნივთას და მოვლენას შორის როგორც შეუცნობადსა და შემეცებადს შორის, 3. აზროვნება არსებითად განსხვავდება შემეცებისაგან, 4. ცოდნასა და რშმენას შორის არსებითი განსხვავება არსებობს, 5. შემეცების პროცესში ჭრებულია და განსხვა არსებითად განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებენ, მათი ურთმანეთზე დაყვანა შეუძლებელია (გვ. 157).

პროფ. გ. ოვეზაძის აზრით, მარქსამდელ ფილოსოფიაში შემეცების შესაძლებლობის დაფუძნების ერთ-ერთ უკელასზე სერიოზულ ცდას (მას შემდეგ, რაც შემეცების წინაშე მდგარი სიძნელეები გათვალისწინებულია) კანტის „წმინდა გონგბის კრიტიკა“ წარმოადგენს. საკითხის გადაწყვეტის ცდა, რომელიც ამ ნაშრომშია მოცემული, ისტორიაში ცნობილია „კომერციისებური გადატრიალების“ სახელით. წინასწარ უნდა ითქვას, რომ, ავტორის მიხედვით, „კომერ-

ნიკისებური გადატრიალების“ ცნების შინაარსი არსებითად გამოხატავს კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების შინაარსს; „კოპერნიკისებური გადატრიალების“ არსის სრული გადმოცემა მხოლოდ კანტის ფილოსოფიის სრული გადმოცემით არის შესაძლებელი (გვ. 170).

„კოპერნიკისებური გადატრიალებას“ კანტი ზოგადად უწოდებს იმ პოზიციას, რომლის წყალობითაც შემეცნების ესა თუ ის დარგი მეცნიერება ხდება; უფრო ვიწრო გაგებით კი, „კოპერნიკისებური გადატრიალება“ ნიშანვას შემეცნებაში შემეცნების საგნის აგებას, იმის გაცნობიერებას, რომ კონტენტი კარანახობს ბუნებას კანონებს. კანტი, ავტორის აზრით, კოპერნიკის საქმე აინტერესებდა არა მისი ფაქტური შინაარსის მიხედვით, არამედ როგორც ახალი შემეცნების მიღების ხერხი, მეთოდი. კოპერნიკიმა დაუშვა ის, რაც ემცირიულ მოცემულობას (მეზ მოძრაობს დედამიწის გარშემო) აშკარად ეწინაღმდეგებოდა, მაგრამ დაუშვა სწორედ ჰეშაპარიტი შემეცნების მისაღებად (გვ. 163). კანტს სურდა კოპერნიკის მეთოდი ზოგად-ფილოსოფიურ დონეზე გაემართლებინა, ამიტომაც დაუშვა, რომ „საგნები უნდა ემორჩილებოდნენ ჩვენს შემეცნებას“. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თეორიული შემეცნების საგნების შესახებ აპროპრიული ცოდნის მიღება.

„კოპერნიკისებური გადატრიალების“ დებულების შეიძლო კავშირში განიხილავს ავტორი „ორმაგი არსებობის“ დაშვებას, რაც უაღრესად ამშვავებს, საერთოდ, შემეცნების შესაძლებლობას, კერძოდ კი, — ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობლემას. ბერკლიმ სიძნელიდან გამოსავალი იმაში ნახა, რომ საგნი და საგნის აღქმა ერთმანეთთან გააგივა, რადგან მოხსნა საგნების „ორმაგი არსებობა“. ავტორი საკედოთ სწორად შენრავა, რომ ამით ბერკლიმ ჭეშმარიტების კრიტერიუმის სიძნელე კი არ მოხსნა, არამედ თვით ჭეშმარიტების პრობლემა გამოაცხადა ყალბად (გვ. 165). მოხსნა თუ არა კანტმა შემეცნების ს ფეროში „ორ მაგი არ სებობა?“ ამასთან დაკავშირებით ავტორი განიხილავს შემდეგ საკითხებს: მოხსნა თუ არა კანტმა აზრისა და მისი საგნის განსხვავება? გააიგივა თუ არა კანტმა ის, რასაც ჩვენი შემეცნება ადგენს ცდის საგნის შესახებ და თავად ეს საგნი, როცა იგი ნამდვილად არსებობს ცდაში? — ამ კითხვების ანალიზით, კერძოდ, ცდის საგნების პირობების ანალიზით ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ კანტი (ისევე როგორც ბერკლე სხვა საკითხში) „ორმაგი არსებობის“ დაშვების საკითხშიც ცდილობს უკიდურესობებს თავი დაწიოს და საშუალო ხაზი აირჩიოს. „კოპერნიკისებური გადატრიალებით“, შემეცნებაში შემეცნების საგნის აგებით, მას სურს დაასაბუთოს, რომ თავისთავადი საგნი, რომელიც უკველად არსებობს, არ არის და არც უნდა იყოს ადამიანის როგორც სასრული არსების თეორიული შემეცნების საგანი (გვ. 168).

კანტი თავის დაპირისპირებას რაციონალიზმთან და სკეპტიციზმთან კოდევ უფრო აღრმავებს იმით, რომ ერთმანეთისაგან განასხვავებს აზროვნებასა და შემეცნებას. აზროვნებისა და შემეცნების დუალიზმი კანტის ფილოსოფიაში არ არის ერთადერთი. წინამდებარე ნაშრომში ერთმანეთისაგან განსხვავებულია თავისთავადი ნივთისა და მოვლენის დუალიზმი და შემეცნების უნართა (ცვრეტისა და განსკის) დუალიზმი (გვ. 174). ზოგვერ ლაპარაკობენ კანტთან ონტოლოგიური დუალიზმის შესახებ, რაც გ. თევზაბის აზრით, სრულიად მიუღებელია, რადგან ეს იქნებოდა მის მიერ თავისთავადი ნივთების შემეცნების დაშვება (იქვე). აზროვნებისა და შემეცნების განსხვავებასთან მცირდოდ დაკავშირებულია კანტის მიერ ფილოსოფიის როგორც მეცნიერებისა და ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის განსხვავება. კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ აღვნის, რომ მთოვლმხედველობა აღმანისაოვის აუცილებელია, მაგრამ მეცნიერული მსოფლმხედველობა შეუძლებელია (გვ. 178).

ნაშრომში განხილულია მსოფლმხედველობის კანტისებული გაგების ადგილი და მნიშვნელობა ბურუუაზეულ ფილოსოფიაში. ფიხტე და პეგელი ცდილობენ დუალიზმის მოხსნით მეცნიერული მსოფლმხედველობის შესაძლებლობის დასაბუთებას. პეგელის ფილოსოფიის კრახის შემდეგ კვლავ წინა პლანზე გამოვიდა მსოფლმხედველობის კანტისებული გაგება. მსოფლმხედველობისა და მეცნიერული ფილოსოფიის გათიშვისი იდეა აქტუალურია ნეოკანტიანელობაში, ე. პუსერლთან. მე უკანასკენელმა საერთოდ უარი თქვა ფილოსოფიურ მეცნიერულობაზე. პაილეგერისა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი მთაზროვნების შეცდომა, — სამართლიანად წერს ავტორი, — ის კი არ არის, რომ ისინი ფილოსოფიის როგორც მსოფლმხედველობის არსებით მნიშვნელობას უსვამენ ხაზს, არამედ ის, რომ მის არამეცნიერულობას ამტკიცებენ, მეცნიერულ მეთოდებს მხოლოდ უკიდისპირებენ ფილოსოფიურსა და მათ შორის საერთოს ვერ ხდავენ (გვ. 177—178).

სარეცენზიონ ნაშრომში (გვ. 181—203) დაწერილებით არის გადმოცემული და გაანალიზებული—კანტის ფილოსოფიის ფუნდამენტური ცნებები: აპრიორიზმი, აპრიორული, პოსტერიორული, ანალიზური და სინთეზური მსჯელობები. კანტამდელ ფილოსოფიაში რაციონალიზმი და აპრიორიზმი გაიგვებული იყო. გრძნობადობის აპრიორული ფორმების „ალმოჩენით“ კანტმა ერთმანეთისაგან განახევა აპრიორიზმი და რაციონალიზმი. ტრადიციული ფილოსოფია აპრიორულად მხოლოდ გონიერი ცნებებს თვლიდა. კანტმა განახევა ყოველგვარი გრძნობადი ჭრების აპრიორული ფორმები — დრო და სივრცე. ამით კანტთან დადგინდა მეცნიერული შემცნების ორი აპრიორული წყარო: აპრიორული ჭრეტა და აპრიორული ცნებები: პირველი საგნის მოცემის პირობა; მეორე კი საგნის გააჯრების, სხვათან დაკავშირების და ამ კავშირში განსხვავებისა. კანტის აპრიორიზმი, — წერს ავტორი, — უძლის და აპრიორიზმია თუნდაც იმიტომ, რომ მას მხოლოდ ცდაში აქვს მნიშვნელობა (გვ. 183).

პროფ. გ. თევზაძე განიხილავს აპრიორულისა და აპოსტერიორულის ცნებებს და აჩვენებს იმ სიახლეს, რაც კანტმა ამ ცნებათა შინაარსში შეიტანა. აპრიორულისა და აპოსტერიორულის ცნებებს კანტი მოიხმარს წმინდა შემცნების თეორიული მნიშვნელობით, მათან აპრიორული და აპოსტერიორული ერთმანეთს უპირისისიდება იმის მიხედვით, თუ რას ემყარება მათი ღირებულება, დღაა თუ ცდისაგან დამოუკიდებელი პირობებია მათი ჭრეშმარიტების გარანტია (გვ. 187). წინამდებარე ნაშრომში, აპრიორულის ცნებასთან დაკავშირებით, ჩატარებულია „წმინდა გონიერის კრიტიკის“ ტექსტების შედარებითი ანალიზი. ავტორი იმ დასკვნაში მიღის, რომ კანტის ფილოსოფიაში აპრიორულის ერთადერთი მნიშვნელობად მიღებული უნდა იქნას ცდისაგან სრული დამოუკიდებლობა (გვ. 190).

„აპრიორული მსჯელობების საკითხი კანტისათვის აღამანის გონიერისა და განხსნის არსებობის საკითხია“ (გვ. 191). ავტორი ვრცლად განიხილავს კანტთან ანალიზური და სინთეზური მსჯელობების ბუნებას, მათ შორის განსხვავებასა და ურთიერთდამოყალიბებას, ეგზისტენციალური მსჯელობების საკითხს და სხვა. აპრიორულ-სინთეზური მსჯელობების შესაძლებლობის საკითხი მეცნიერული შემცნების შესაძლებლობის საკითხია, — ეს, თავის მხრივ, მოითხოვს შემცნების პირობების ანალიზს. შემცნების პირობების კვლევას კანტი იწყებს ცდის საგნების მოცემულობის აპრიორული პირობების ანალიზით, — ეს პირობებია დრო და სივრცე.

აგტორი სივრცისა და დროს კანტისეულ მოძრვებას სივრცისა და დროს ცნების დამუშავების ისტორიასთან მჭიდრო კაგშირში განიხილავს. ნაშრომში მოცემულია სივრცისა და დროს ნიშნების ანალიზი, სივრცისა და დროს „მეტაფიზიკური“ და „ტრანსცენდენტალური განმარტების“ დასასათხება; ნაჩვენებიან ის როლი და მნიშვნელობა, რასაც კანტი სივრცესა და დროს როგორც ცდით შემოტარგლული ჩვენი ჭრეტა ის აპრიორულ ფორმებს აკუთვნებს აპრიორული შემცნების დაფუძნების საქმეში. სარეცენზიონ ნაშრომის ამ ნაწილში შევიხით იმ პარაგრაფს: წ 3. „ტრანსცენდენტალური“ და წ 4. „იღეალურის“ კანტისეული გაგება.

„ტრანსცენდენტალურის“ და „ტრანსცენდენტურის“ პრობლემა ავტორის მიერ განხილულია კანტის „წმინდა გონიერის კრიტიკის“ ხუთივე გამოცემის საფუძველზე; აგრეთვე — მათან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით, ალნიშნული ტერმინების ისტორია, გაგება და ტრანსფორმაცია ავტორის მიერ წარმოდგენილია როგორც კანტამდელ, ისე კანტის პერიოდისა და კანტის შედგომ ეფროპულ ფილოსოფიაში: „კანტმა პირველმა დაუპირისიპირა ერთმანეთს ტრანსცენდენტურისა და ტრანსცენდენტალურის მნიშვნელობა როგორც ცდისაგან დამოუკიდებლად არსებულისა და ცდის აუცილებელი პირობისა, მაგრამ ამ ტერმინთა საუკუნოვანი ისტორია მანიც იჩენს თავს კანტის ფილოსოფიაში (გვ. 225). ეს გარემოება აძნელებს კანტის აზრის ზუსტ ათვისებას. მიუხედავად ტერმინოლოგიური უზუსტობისა (რასაც კანტთან ვხდებით), აუცილებელია ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნას ტრანსცენდენტალურისა და ტრანსცენდენტურის კრიტიკული მნიშვნელობა: ტრანსცენდენტური დეტური რი ის სპეციალური ძირითადი დებულებები, რომლებიც, თუ ასებობენ, აუცილებლობით გადალახავენ ცდას; ხოლო ტრანსცენდენტური ის დებულებები, რომელთა დანიშნულება ცდის სფეროში დარჩენა, — ამ სფეროს გადალახა ჩვენი შემცნების შეცდომა (გვ. 227).

კანტი ციტირობდა, რომ სივრცის შესახებ მისმა მოძრვებებამ პირველი საიმედო საყრდენი მისცა ახალი სახის იდეალიზმს — „ორმალურ“ ანუ ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს“, „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის“ ცნების დასადგენად ავტორი ემყარება „ტრანსცენდენ-



ტალური იდეალურობის“ ცნების მნიშვნელობას. ტრანსცენდენტალური ანუ ფორმალური იდეალიზმი, — წერს პროფ. გ. ოვაზაძე, — ორმაგად შევღუდული იდეალიზმია. აქ სუბიექტი არც თავისთავად ნივთებზე აცხადებს პრეტენზიას და არც მოვლენათა სფეროს მატერიაზე. (გვ. 230). ეს შეზღუდული იდეალიზმი თავისი შინაგანი ბუნებით სრულ უფლებებში აღდგნას მოითხოვდა, რაც განხორციელდა კიდევაც ჯერ ფიქტურთან, შემდეგ — შელინგასა და ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის სახით.

პროფ. გ. ოვაზაძის აზრით, კანტმა სისტემატურობის იდეა ფილოსოფიაში და მეცნიერებაში ახალ საფეხურზე აიყვანა. კანტისათვის სისტემა არის კატეგორიათა ძირის გვის მიმცემი და კრიტერიუმი. სისტემა წილადში შინაგანი შეკრულს და ჩაკრიტიზოს. სისტემის ეს იდეა თავის შემდგომ განვითარებას პოულობს გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში (ფიქტურ, შელინგი, ჰეგელი).

კანტის კატეგორიათა სისტემა თავს იჩნეს არა მარტო კანტის დანარჩენ „კრიტიკულში“, არამედ, აგრეთვე, ფიქტური „მეცნიერებასწავლებაში“, შელინგის „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემაში“ და ჰეგელის „ლოგიკაში“. კანტს თავისებურად აქვს გაზრდებული ერთი საერთო პრინციპილან გამოყვანა: მას სურდა, რომ კატეგორიები უცვლანი ერთნაირად პირველადნა უფლისყნენ, უცვლა ერთნაირად უფლისყიურე ერთობერებული და ამგარად შეექმნათ მოელი (გვ. 280). აქ გამოყვანა კი არა, ფაქტიურად გვაქვს დაყვანა. ფიბრი შეეცდება გამოყვანის ცნება შეინარჩუნოს იმით, რომ თითოეულმა კატეგორიამ მეს-ა ასალო განსაზღვრულობა დაადგინოს. მისი ცდა, — ფორმალური ლოგიკის ძირითადი კანონები გამოყვანა მეცნიერებასწავლების ძირითადი დებულებებიდან, აგრეთვე ჰეგელის წაოწყება — დასაცავების შემთხვევაში შინაგანი გაეცოცხლებინა ტრადიციული ლოგიკის „გაქვავებული“ ფორმები, — ავტორის მიხედვით, წარმოადგენს წმინდა კატეგორიების შინაგანი ურთიერთყავშირისა და კატეგორიებსა და მსჯელობებს შორის აუცილებელი კავშირის კანტისეული იდეის განვითარებას.

„კანტიდან იწყება ახალი ეტაპი შემეცნების სუბიექტის დაფუძნების ისტორიაში“ (გვ. 294). კანტთან ისევე, როგორც — დეკარტთან, შემეცნების სუბიექტი შემეცნების თეორიულ სუბიექტს, თვითცნობიერებას ემყარება. თვითცნობიერება წარმოადგენს შესაძლებლობის პირობას, მაგრამ თვითცნობიერება არაა თვითშემეცნება. ტრანსცენდენტალური აპერცეპცია თავად არ შეიცნობა: იგი აერთიანებს ცნობიერების მოელ სფეროს, შესაცნობ მთელად კრავს მას, თვითონ კი სხვა გამარტითანებელი არა შეავს წინაღმდევ შემთხვევაში, ამ თვითცნობიერებისათვის სხვა თვითცნობიერება იქნებოდა საჭირო, ე. ი. გაუქმებდა მას, როგორც შემეცნების თეორიულ სუბიექტს. ტრანსცენდენტალური აპერცეპცია არაა თვითთავადი ნივთი, მაგრამ იგი მაინც შეუქმეცნებადანაც კანტის ფილოსოფიაში. ავტორის აზრით, ტრანსცენდენტალური აპერცეპციის შესახებ კანტის მოძღვრების ნაკლოვანებანი მოელი სიცხადით გამოიხდა ჰ. რიკრიტის თეორიაში შემეცნების თეორიულ სუბიექტის შესახებ (გვ. 294).

პროფ. გ. ოვაზაძეს კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეპციის მიმართ აქვს თავისებური მიღღომა. ტრანსცენდენტალური აპერცეპცია მის მიერ გაეცემოდა, როგორც სტრუქტურული მომენტების ერთიანობა. აპერცეპციის სტრუქტურულობის საკითხი და მისი მნიშვნელობა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის განვითარებისათვის ავტორმა დააყვანა კანტისადმი მიღღნილ შესამე ინტერნაციონალურ კონგრესზე 1970 წელს (ქ. როჩესტერი, აშშ). მონიცრავაზიაში ნაჩენებია ტრანსცენდენტალურ აპერცეპციასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები, რომელთა გადაჭრა ვერც კანტის დადგა მიმკიდრებმა მოახერხეს, რაღაც ისინი იდეალიზმის არსებით ნაკლ გამოიხატავდნენ (გვ. 296).

„ტრანსცენდენტალური აპერცეპცია არაა მარტივი, ატომარტული ვითარება, არამედ სტრუქტურული მთლიანობა და შეიცავს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელს, არაცნობიერ პროცესს“ (გვ. 296). თვითცნობიერება უყველოთვის შეიცავს ორ კომპონენტს როგორც ერთი და იმავეს, ორ მხარეს, როგორც სუბიექტსა და მიმედვებს. კანტის ტრანსცენდენტალური თვითცნობიერება როგორც სუბიექტი თავის მიმედვებს არაცნობიერად ქმნის. წარმოასხვის ძალა და განხვა იგულისხმება ტრანსცენდენტალური აპერცეპციების შინაგანსში, მის არაცნობიერ და ცნობიერ მოქმედებაში — როგორც ანლიზური და სინთეზური მხარე (იქვე).

ტრანსცენდენტალურ აპერცეპციას კანტი მარტივ წარმოადგენას უწოდებს. ეს სინარტივე, პროფ. გ. ოვაზაძის მიხედვით, უნდა გავიგოთ შემდგომ დაუშლელის აზრით, აუსენელი, მაგრამ უჟვევლად არსებული „ფაქტის“ აზრით (გვ. 298). წინააღმდევ შემთხვევაში, კანტის

მოძღვრების მთლიანობაში გაგება შეუძლებელია. შეუძლებელი იქნება იმის გაგება, რომ თეორიულ სუბიექტში პირველობა მისთვის გაუგებარ, მისგან უკონტროლო შემოქმედებას უჭირავს. თეორიული სუბიექტისათვის ეს გაუგებარი ვითარება არის მის საკუთარ ბუნებაში ღრმად ჩანერგილი პრაქტიკული, პრაქტიკულის პრიმატი. ეს პრაქტიკული არსებითად განხსნავდება მორალის სფეროში მოქმედი პრაქტიკულისაგან; იგი არის პირველადი შემოქმედება, რომელიც არაცნობიერად სრულდება. „წმინდა აპერცეპციის ეს ორმხრივობა მიგვითოვებს, რომ შემცნებაში საგნის აგების პროცესი თავდაპირველად არაცნობიერად მიმდინარებს. საკუთრივ შემცნება, როგორც ცნობიერი პროცესი, კანტონ გამოიდის სუბიექტის მიერ არაცნობიერად ჩატარებული სამუშაოს ანალიზად მის მიერ აგებული საგანი არაცნობიერად აგებულის რეპროდუქცია“ (გვ. 298).

სარეცეპციო ნაშრომში განხილულია კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეპციის მიმართება დეკარტის cogito-სთან და მოკემულა ამ საკითხში კანტის პოზიციის შეფასება. ავტორის აზრით, „ვაზროვნება“ — დეტულების დეკარტისეულ და კანტისეულ გამოიყენებაში არსებითი განმასხვავებელია მოაზრების აუცილებლობიდან არსებობის აუცილებლობის გამოყვანა (გვ. 301).

ცნობილია, რომ კანტის ფილოსოფიაში ნივთი თავისთავადის არსებობის აღიარება შინაგან წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული. ავტორი ასეთივე შინაგან წინააღმდეგობას აღმოაჩენს კანტის ტრანსცენდენტალურ აპერცეპციაში. ავტორის აზრით, ტრანსცენდენტალური აპერცეპცია როგორც მთელი ცდის და ცდის შემცნების სუბიექტი, შემცნების თეორიულ მონიშვნების მოითხოვს. ჭვრეტისა და განხვის ერთანერთისაგან დამოუკიდებლად გამოცხადება არ უვარება ტრანსცენდენტალური აპერცეპციის ბუნებას, რაღაც იგი ყოველ წარმოდგენას თან აპლაცე, იქნება ის ემპირიული თუ აპრიორული. დუალიზმის მოხსნა აუცილებელია, მაგრამ მისი მოხსნით მოხსნება კანტის ფილოსოფია (გვ. 301).

კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეპცია შრომაში განხილულია რამდენიმე, ზოგჯერ საპირისპირო ასპექტთაც. ავტორი გამოიყოფს მთელ რიგ მოშენტებს, რომლებიც თავისებურად აისახა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმი (ფისტე, შელინგი, ჰეგელი) და საერთოდ გერმანულ ფილოსოფიაში (პილეგრი). კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეპცია თავისებურად გაიაზრება და გამოიყენება ფისტემ, შელინგმა, ჰეგელმა. მიუხედავად ამისა, წმინდა აპერცეპციის ძირითადი წინააღმდეგობა — ცნობიერ და არა ცნობიერ მოქმედებას შორის წინააღმდეგობა, რომელიც კანტი „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემაში ცვლილებების შეტანით მიქმალა, მაგრამ ვერ გადაჭრა, გერმანულ კლასიკურ იდეალიზმს შერჩა როგორც მოუცილებელი თვისება. ამის საუცველოს ავტორი ტრანსცენდენტალური აპერცეპციის სტრუქტურულ ბუნებაში ხდავს: ტრანსცენდენტალური აპერცეპციის სტრუქტურული ბუნებით აისხება, რომ კანტის დიდი იდეალისტი მეტვიდერების მოძღვრებანი ვერ განთავისუფლდება შინაგანი წინააღმდეგობისაგან, რომელიც თითქოს მხოლოდ ირაციონალური თავისთავადი ნივთის დაშვებით იყო გამოწვეული. ირაციონალურის წყარო დარჩა კანტი „ფილოსოფიის რაციონალურ ბირთვში — ტრანსცენდენტალურ აპერცეპციაში“ (გვ. 313). კანტის მემკვიდრეობმა მიიღეს კანტის მოძღვრება ტრანსცენდენტალურ აპერცეპციაზე მთელი მისი წინააღმდეგობით და იგი ბოლომდე შეინარჩუნებს, რაღაც, — განმარტავს პროფ. გ. ოვაზაძე, — იდეალიზმის ნიადაგზე ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შეუძლებელი იყო. ამ აზრით, წერს ავტორი, შეიძლება ითქვას, რომ ჰეგელის ფილოსოფიის ბედი წინაწარ იყო გადაწვეტილი კანტის ტრანსცენდენტალური აპერცეპციის სტრუქტურული კანტის ტრანსცენდენტალურია აპერცეპციის სტრუქტურული კანტის ტრანსცენდენტალურია აპერცეპციის სტრუქტურულია ის, რომ ჰეგელის იდეალისტური ლოგიკა ვერ განთავისუფლდა მისტიკური და ალოგიკური მონტებისაგან (გვ. 313).

ტრანსცენდენტალურია აპერცეპციამ შესაძლებელი გახადა და როგორც ადამიანური შემცნების წყარო და ობიექტი. ახლა საჭმე ეხება კონკრეტულად ცნებათა მიერ ცვის საგნების მოქმედების აგებას. ეს არის სქემატიზმები მოძღვრების ამოცანა. ტრანსცენდენტალურია სქემაშე შესაძლებელი უნდა გახადოს კატეგორიების მიყენება მოვლენებთან, მათი დაკავშირება. კანტი ამის შესაძლებლობას თვით ტრანსცენდენტალური სქემის თავისებურებაში ხედავს (იგი ერთგვაროვნია, ერთი მხრივ კატეგორიებთან; მეორე მხრივ — მოვლენებთან). სქემის ქვეშ არ შეიძლება იგულისხმებოდეს არც ხატი, არც სიმბოლო და არც სიტყვა. ამასთან დაკავშირებით, ნაშრომში განხილულია კანტის შეხელულება ენის როლის შესახებ (გვ. 321—324). პროფ. გ. ოვაზაძის აზრით, ჰამანისა და ჰეგელის მიერ კანტის კრიტიკა ენის საკოთხში ცალმხრივია. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ კანტის მეთოდი ნაყოფიერად მოხსმარა ენის

საკვლევად და კანტის ფილოსოფიის ღრმა გაგება გამოავლინა გამოჩენილმა ენათმეცნიერმა 3. ჰემბოლდტმა.

ტრანსცენდენტალური სქემის ოფორტული სინთეზის და სქემათა სისტემის ანალიზის შემდეგ ავტორი გადადის „წმინდა განხსნის ძირითად დებულებათა სისტემის დახსაითებაზე. უკვე ჩატარებული საშუალების მიხედვით, პასუხი გაიცემა, „წმინდა გონების კრიტიკის“ მთავარ კითხვაზე: ოფორტის არის შესაძლებელი სინთეზურ-აპრიორული მსჯელობები? — აյ განსაკუთრებით საყურადღებოა სინთეზურ მსჯელობათა უმაღლესი ძირითადი დებულების ავტორის სული, ცნობილია, რომ კანტი იძლევა სინთეზურ მსჯელობათა უმაღლეს პირითის ფილოსოფიებას. ავტორის აზრით, კანტის მთელი შემცნების ოფორტის ძირითადი აზრი უველავ ნათლად ჩანს მის შემდეგ მსჯელობებში აპრიორულ-სინთეზური მსჯელობები შესაძლებელია „თუ ჩენ აპრიორული ჭვრეტის ფორმალურ პირობებს, წარმოსახვის სინთეზს და მის აუცილებელ ერთინობას ტრანსცენდენტალურ აერცეპციაზ მივუყენებოთ საერთოდ შესაძლებელ დღისელ შემცნებას და ვიტყვით: საერთოდ ცდის შესაძლებლობის პირობები ამავე დროს წარმოადგენენ ცდის საგნების შესაძლებლობის პირობებს და ამიტომ აქვთ ობიექტური მნიშვნელობა აპრიორულ-სინთეზურ მსჯელობაში“ (გვ. 340). ეს ფორმულირება ავტორს მიაჩინა კანტის კვლევა-ძირიბის კვინტესენციად (გვ. 340). აქევე მოცემულია ავტორის მიერ ამ ფორმულირების დღტალური ანალიზი: ამის შემდეგ პროფ. გ. ოვეზაძე იძლევა ძირითად დებულებათა სისტემის ანალიზს; აქ განხილული და შევასებულია: 1. ჭვრეტის აქსიომები, 2. ალგების ანტიციპოები, 3. ცდის ანალოგიები, 4. საერთოდ ემპირიული აზროვნების პისტულატები. — ამით წმინდა გონების კრიტიკა ამთავრებს თავის ძირითად საჭუშოს: აპრიორული ჭვრეტის ფორმალური პირობების საფუძვლებზე გრძნობადი ცდის აპრიორული სტრუქტურის აგება.

„წმინდა გონების კრიტიკა“ ახალი ამოცანის წინაშე დგას: მან უნდა დაახასიათოს ის უსასრულო სფერო, ომებზეც განხსნას ყოველთვის აქვს, შემცნების თვალსაზრისით, უმართებულო პრეტენზია. სარეცენზიონ ნაშრომში განხილულია „გონების წმინდა ცნებათა“ სისტემა (გვ. 378—407). მოცემულია კანტის მიერ რაციონალური ფსიქოლოგიისა და რაციონალური კოსმოლოგიის (მოძღვრება ანტიონმიებზე) კრიტიკის ანალიზი; დასასრულ მოცემულია ლერთის არსებობის თეორიული დასაბუთების კანტისეული გაგება და განხილულია ლერთის არსებობის დასაბუთების ფიზიკოთეოლოგიური, კოსმოლოგიური, ონტოლოგიური მეთოდები და მათი კანტისეული კრიტიკის მნიშვნელობა. ავტორის აზრით, კანტის დამსახურება სრულიადაც არ მდგომარეობს ლერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთების უარყოფაში, ამ საქმეში მას წინაპრები ჰყავდა (გაუნილო და თომა აქვინელი). კანტის დამსახურებაა იმის დადგნა, რომ ლერთის არსებობის უკველა შესაძლო დასაბუთება აუცილებლობით გულისხმობის ონტოლოგიურ დასაბუთებას. ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ავტორის მიერ ლერთის არსებობის მეთოდების ილუსტრაცია ძველ ქართულ თეოლოგიურ და ფილოსოფიურ მასალაზე (გვ. 419).

სარეცენზიონ ნაშრომის უკანასკნელ, მეთერთმეტე თავში განხილულია კანტის თეორიული ფილოსოფიის ინტერპრეტაციები. ავტორის მიზანია აჩვენოს კანტის თეორიული ფილოსოფიის ინტერპრეტაციათა ძირითადი მომენტები და მათი ურთიერთკავშირი იდეალისტურ ფილოსოფიაში. შრომაში წარმოდგენილი კანტის ფილოსოფიის ინტერპრეტაციები განხილულია მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დალაუტეტიკისა და მეტაფიზიკის ბრძოლის ასევეტით. მატერიალისტები, წერს ავტორი, ორი მხრიდან კანტის კრიტიკები კანტს: ერთი მხრივ, აგნოსტიციზმისათვის, რაც თავისთვალი ნივთის შემცნებადობის აღიარებაში გამოიხატება; მეორე მხრივ, აპრიორიზმისათვის, რომლის საფუძვლებზეც შემცნება იყეტება შემცნებელ სუბიექტში (გვ. 424). წინააღმდეგ მატერიალისტებისა, რომლებიც ინარჩუნებენ თავისთვალ ნივთს როგორც მატერიალურის რეალობას, იდეალისტები ცდილობენ უარყონ თავისთვალი ნივთის პატერიალურობას.

კანტის ფილოსოფიის კრიტიკული ათვისების გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსიზმის კლასიკოსების მიერ პრაქტიკის კრიტერიუმის გამოყენებას. პრაქტიკის კრიტერიუმი, სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გ. ოვეზაძე, კანტის ფილოსოფიის გაცილებით უფრო ღრმა კრიტიკის საშუალებას იძლევა, ვიდრე ეს მანამდე იყო შესაძლებელი (გვ. 425). აქ საკარისია მატერიალიზმის, განამწყვეტი საბუთია თავისთვალი ნივთის შეუმცნებადობის წინააღმდეგ.

კანტის ფილოსოფიის მარცხიდან კრიტიკის კლასიური ნიმუში მოგვცა ვ. ი. ლენინმა. ეს კრიტიკა, წერს პროფ. გ. ოცხაძე, საფუძველს გვაძლევს გავრცელეთ არა მარტო კანტის მოძღვრების ურთულეს თეორიულ პრობლემებში, არამედ, აგრეთვე, ამ ფილოსოფიის ინტერპრეტაციათა ლაბირინთშიც (გვ. 425). ლენინური კრიტიკის მიერ დადგენილი კანტის ფილოსოფიის კომპრომისული ხასიათი თავისებური საფუძველია, გამოსავალია კანტის ფილოსოფიის ცველა მარქსისტი მკვლევარისათვის. კანტის ფილოსოფიის კომპრომისული ბუნება ნათლად გვიჩვენებს, რომ ინტერპრეტაცია, რომლის მიზანია კანტის ფილოსოფიის ერთი რომელიმე პრინციპის საფუძველზე ახსნა, არ შეიძლება ჭრიშარიტი იყოს.

იდეალისტურ ფილოსოფიაში კანტის ფილოსოფიის ინტერპრეტაციათა ცვალებადობა, ავტორის აზრით, გარევულ კანონზომიერებას ემორჩილება, რომელშიც გამოხატულია ქრისტიანული განვითარება, ხოლო უმდევ — თანადან მზარდი კრიზისი (გვ. 426). განვითარების ზეალმაგალ ხას შეესაბამება კანტის ფილოსოფიის განვითარება კლასიურ გერმანული იდეალიზმი (ფიზტე, ულინგი, ჰეგელი). ჰეგელის უმდევ ბურუუზიულმა ფილოსოფიამ რაციონალიზმი უძინულა. სამაგიეროდ ფილოსოფიაში შემოიტრა ირაციონალიზმისა და მისტიკიზმის ძლიერი ნაკადი. ამ გარემოების ნათელი დადასტურებაა კანტის ფილოსოფიის ინტერპრეტაციათა განვითარების ის ისტორია, რომელსაც პროფ. გ. ოცხაძე წინამდებარე ნაშრომში წარმოგვიდგენს.

სარეცენზიონ საშრომში განხილულია კანტის ფილოსოფიის ონტოლოგიასტური (ფიზტე, ულინგი, ჰეგელი, ნაწილობრივ — შოპენბაუერი) და გნოსოლოგიური ინტერპრეტაციები (გრამანული ნეოკანტიანელების საში სკოლა — მარბურგის, ბადენისა და ფიციონალიზმის). მას უმდევ რაც ფიციონალიზმი აშკარად გამოჩნდა ნეოკანტიანელების დამახასიათებელი არსებითი წინააღმდეგობანი, ნათელი გახდა, რომ ფილოსოფიის განვითარება შეუძლებელი იყო, თუ იგი დარჩინდა შემცენებაში ჩაეტილი შემცენების სუბიექტის ამარა. ამის შემდევ კანტის ინტერპრეტაციების განვითარება შეიძლებოდა მხოლოდ ნეოკანტიანელობის უარყოფისა და კრიტიკის გასთ. სწორედ ამ გზით წავიდნენ ნეოკანტიანელთა ყოფილი მოწაფეები: ე. ლასკი, ნ. პარტმანი, მ. პაიდევერი, პ. მარტინი. შეიქმნა „ახალ ინტოლოგია“ და მეტაფიზიკა. კანტის ფილოსოფიის უახლესი ინტერპრეტაციების ანალიზის საფუძვლები უძინულებელი თანამედროვე ბურუუზიული ფილოსოფიის არსებულ წინააღმდეგობათა გამწვავება, ირაციონალიზმისა და მისტიკიზმის მომენტების მოგარება.

სარეცენზიონ ნაშრომის ბოლო პარაგრაფში — „კანტის ფილოსოფიის პრიმალები უკანასკნელ წლებში“ — ნაჩვენებია ვინ, სად და კანტის ფილოსოფიის რომელ პრიმალები მუშაობს თანამედროვე ფილოსოფიაში. კანტის ფილოსოფიის კვლევის დღვევანდელი ღონისათვის დამახასიათებელია ცალკე პრობლემათა გამოყოფა და შათხე მუშაობა. ავეჯ ავტორი გაღმისცემის სსრკ მეცნიერებათ აყალიბის წევრ-კორესპონდენტის თ. ი. რიზერმანის ინტერპრეტაციების წინააღმდევ. თ. ი. ი. თეოდორმანის ინტერპრეტაცია წინა პლანზე წამოსწევს კანტის ფილოსოფიიდან იმ ცოცხალა და განსაღება, რომლის შენარჩუნება აუცილებელია ფილოსოფიური აზრის შესდგომი წინავლისათვის.

კანტის ფილოსოფია უზარმაზარი კულტურული მექანიზმებით მონაბეჭდის მეშვეობის არა იურიდიული უფლება. უცელა თეორიას შეუძლია მის მექანიზრებ გამოაცხადოს თავი; მაგრამ ნამდვილი მექანიზრე მხოლოდ ის თეორია შეიძლება იყოს, რომლის პრინციპების საფუძველზე არსებული მექანიზრება თავის მეცნიერულ ახსნას პოულობს. პროფ. გ. ოცხაძის წინამდებარე ნაშრომში დასაბუთებულად ნაჩვენებია, რომ ასეთი თეორია არის მარქსისტული ფილოსოფია, — იგი მექანიზრე უყველივე პროგრესულია, რაც კაცობრიობის აზრის მკვლევრებას შეუქმნია.

ჩვენს რეცენზიაში პროფ. გ. ოცხაძის ახალი მონოგრაფიის შესახებ მხოლოდ მის ძირითად ღირსებებს შევჩერდთ. დაკვირვებული მკითხველი მასში კიდევ მრავალ ღირსებას ნახავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი ღია სამსახურს გაუწევს სპეციალისტებს, განსაკუთრებით კი ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებსა და მკითხველთა ფართო საზოგადოებას. ქართველი მკითხველი შოთარიშვილი ენაზე არსებითად პირველად გაეცნობა კანტის. პროფ. გ. ოცხაძის მონოგრაფია „იმანუელ კანტი“ ღიად ხანის წიგნის ბაზარზე აღარ იშოვება. საქმის ინტერესები მოითხოვს ამ წიგნის მეორე გამოცემას. ნაშრომის შემდევ გამოცემაში, სასურველია, თუ გათვალისწინებული იქნება შემდევი.

1. კანტის ფილოსოფიაში მეტად რთულია და მრავალფეროვანია, „ცდის“ ცნება აფტორი მას განხილავს, ცალკეულ საკითხებთან, ცალკეულ პრობლემებთან კავშირში. სასურველი კი იქნებოდა ავტორს ამ ცნებისათვის (ისე როგორც მან სხვა ცნების მიმართ გაკეთა) ცალკე პარაგრაფი დაეთმო.

2. კანტის ფილოსოფიის ცენტრალური ცნებაა თავისებურად გაგებული ცნება — „ფორმალური“ (მეტად ფორმალური იდეალიზმი). „ფორმალიზმის“ წინააღმდევ ბრძოლამ (ა. ტრენდელენბურგი, პ. ლოტცვე, მ. შელერი, ნ. ჰარტმანი) სრულიად ახალი ფილოსოფიური პრინციპები და ახალი თვალსაზრისები მოვცა. სწორედ ამ ასპექტში სასურველი იქნებოდა „ფორმალურის“ და „ფორმალიზმის“ ცნებათა განხილვა, მით უფრო, რომ კანტის ინტერპრეტაციებშიც (წინამდებარე ნაშ. მე-11 თაგი) ამის შესახებ არაფერია ნათქვამი.

3. სარეცენზიონ ნაშრომის 209-ე გვერდზე ავტორი წერს: „პარმენიდეს იდეალისტი მემკვიდრე პლატონი დემოკრიტესთან მთელი წინააღმდეგობის მიუხედავად, ორგვარ სიცრცეს დაუშვებს, როგორც იდეების აღგიას და მეორეს, გრძნობადი საგნებისათვის“. ფილოსოფიაში გაუწავავი მკითხველისათვის იოლია იმ დასკვნის გაკეთება, რომ პლატონის იდეები სიცრცეში არსებობენ. ამ ყალბი შთაბეჭდილების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ზემოთ აღნიშნულ დებულებაში ან ამ დებულების კონტექსტში შესაბამისი კომენტარის გაკეთება.

პროფ. გ. ოვეზაძის ნაშრომი „იმანუელ კანტი“ დაწერილია საქმის დიდი ცოდნით და დიდი სიკვარულით. ორივე ეს თვისება მთლიანობაში აღემული იძლევა ისეთ ნაშრომს, რომ შელეოც დისტენციულ აღგიას დაიკავებს საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში.

გერ. შუშანაშვილი

38402 ჩატოლაძე. ფინანსები რეფორმაციას აღმოსავლეთ საქართველოში
(1801—1864 წ.) 83. 550

ნაშრომში გამოკვლეულია ფინანსების განვითარება აღმოსავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებიდან — ბატონიშვილის გადასარდნამდე (1801—1864 წ.). ავტორი გამომიჯნებს ფინანსურ მდგომარეობას აღმოსავლეთ საქართველოში ფეოდალურ-ბატონიშვირ ურთიერთობათა დაშლასთან დაკავშირებით — იმ კონკრეტულ ფორმებს, რომლებშიც აისახა ეს პროცესი. ავტორი გვიჩვენებს შეერთებამდე არსებული ფინანსური სისტემისა და ფინანსურ ურთიერთობათა გარდაქმნის აუცილებლობას ფეოდალიზმის დაშლის პროცესების დაქარებასთან დაკავშირებით და ცარიზმის მიერ ამ ფინანსების როგორც ექსპლოატაციის დასატებით საშუალებად გამოიყენებას. ამ მხრივ, შრომა წარმოადგენს პრობლემათა გადაწყვეტის პირველ ცდას, და მრავალ სინელესთან არის დაკავშირებული მოცემული საკითხის შეუსწავლელობისა და სივთაროვის გამო.

„შრომაში გამოკვლეულია: ფინანსური სისტემა, მოცემულია ფინანსური ურთიერთობისა და ცარიზმის პლიტეიის წინააღმდეგობათ ანალიზი და გარეკვეულია აღმოსავლეთ საქართველოში ფერითანიშნის დაშლის პერიოდის ფინანსების განვითარების ძირითადი ტენდენციები.

განსოდებული კვლევის შედეგად აგტორი დასკვნის, რომ: ფინანსები რეფორმადელ აღმოსავლეთ საქართველოში არის ფეოდალურზების დაშლის დროის ფინანსები. იმ ხანად, უშუალო მწარმოებლის ზედმეტი შრომა ან ამ შრომით უეჭმილი პროცესი რენტის სამიცვე ფორმით არის წარმოდგენილი. შრომამიერებაზე რენტის, სკონლური რენტისა და უშუალი რენტისა. ამასთან, ფულად რენტა რეცორმადელი პერიოდის მანძილზე (1801—1864 წწ.) თანდათანობით იზრდებოდა. ფულადი რენტის არსებობის გამო, ზედმეტი პროცესის ერთონავილი გლეხს უნდა გადაეხადა ფულით. საერთოდ კი მეურნეობის ნატურალური ფორმა პირობებაზე ფინანსების ნატურალურ ხასიათს.

რეფორმატოლ აღმოსავლეთ საქართველოში მშრომელთა დამატებითი ექსპლორაციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენდა სახელმწიფო, საჯარო და საერთო ფინანსები. გადამზღვეული დაბეგრძილები იყვნენ ან სახელმწიფო და საერთო ბეგარა-გამოსალებით ან სახელმწიფო და საჯარო გადასახადებით ახდა საშიგნო ერთად.

მოცემული პრინციპის ფინანსებისათვის დამახასიათებელია ის თავისებურება, რომ ნაციონალური შემოსავლისა და ნაციონალური სიმღიდის ერთ ნაწილს ფინანსურ მიმართულებას აძლევდა, ერთი მხრივ, სახელმწიფო, მერიე მხრივ, კულტურა და ქალაქის თვითმმართველობანი — სახელმწიფოს ხელმძღვანელობით. იმდროინდელი ფინანსების შესწავლის სინერგებს ახასიათებს ის თავისებურებაც, რომ უშიურად ერთი და იმავე სახელწოდებით, — ზოკვერ ერთი და იმავე განაკვეთებიც კი, — ასდევინებდნენ გამოსალებს თავიანთ გლეხებს სახელმწიფო, კულტურა და მემატულე-მებარონები.

1840-იან წლებამდე ცარიზმა უცვლელად დატოვა სახელმწიფო შემოსავლის არსებული სისტემა, — შეიტანა მასში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებანი; მაგრამ გასავლის ნუსხა იმ-თავიდან შეცვალა.

სახელმწიფო ხარგთა ძირითად სახეობას ჭარბობის მიზანთველობის პარატის შენახვის ხარგი, რომლის სცენარითი წონა რეფორმატორული პერიოდის დასაწყისში შეაღენდა 90,4 %, ხოლო ამ პერიოდის დასასრულობა — 39,7 %.

სამხედრო ხარჯები საქართველოს მოსახლეობა მონაწილეობდა ცოცხალი ძალით და მატერიალურადაც — ნატურალური და ფულადი ბეგარის სხით: 1) ჭარის სურსათითა და ფურაჟით მომარაგება, 2) საზიდი ბეგარა, 3) სამხედრო მნიშვნელობის გზებისა და ხიდების აგება-შეკეთება, 4) სამზედრო ნაწილების ბინებში ჩაყენება, 5) სათბობით მომარაგება და 6) სამილიანო ბეგარა.

იმდროინდელ სახელმწიფო ხარჯთა ნუსხა ითვალისწინებდა გაბატონებულ კლასთა და-ფუნქციების ხარჯებაც. ასეთ ხარჯებს ეწევოდნენ საქართველოს სახაზინო ექსპედიციის ანგარიშით, საქართველოს სამეფო სახლის წევრთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის, აგრეთვე იმ მოხელეებისათვის, რომელთაც მნიშვნელოვანი თანამდებობა ეჭირათ ქართველი მეცნების დროს, თუმცა ეს თანამდებობანი გაუქმდა საქართველოს რუსეთის შეერთების შემდეგ სახელმწიფო ხარჯთა ნუსხით წარმოებდა ვაჭარ-მრეწველთა და მემამულების დაფინანსება.

საუზრადლებოა, აგრეთვე, რელიგიის ხარჯები როგორც იმდროინდელ სახელმწიფო ხარჯთა ერთ-ერთი დიდი დარღვევი და როგორც მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ-ერთი მძღვრი საშუალება. რელიგიის ხარჯებს აფინანსებდნენ სახელმწიფო ნუსხისა და ადგილობრივი ნუსხის სახსრებით, აგრეთვე, თვით ეკლესიის მიერ მოსახლეობაზე შეწირული და სხვადასხვა გაფასახდებით და საკუთარი საკულესიო მეურნეობრივი შემოსავლით.

სახელმწიფო ხარჯთა ნუსხა ითვალისწინებდა, აგრეთვე, სოციალურ-კულტურულ ხარჯებს. შიუხედავად იმისა, რომ სახწავლებელი გახსნილი იყო გაბატონებული კლასებისათვის, ამ სასწავლებლებმა მაინც ითამაშეს პროგრესული როლი საქართველოს კულტურულ განვითარებაში: აღიზარდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და მეცნიერები, რომლებიც დაუახლოებენ და გაეცნენ დიდი რუსი ხალხის კულტურულ-მეცნიერულ მიღწევებს და ეცალენ, თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ მეგობარ ხალხთა კულტურულ ურთიერთობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი ცოტას ხარგვდა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, სახელმწიფო ხარჯთა ნუსხა რეფორმაზე აღმ. საქართველოში, გარკვეულ ფარგლებში მაინც, ითვალისწინებდა სახსრებს ჯანმრთელობის დაცვისათვის, რასაც მას აძიულებდა სამხედრო მმართველობის აპრატისა და გაბატონებული კლასის ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები.

სოციალურ-კულტურული ხარჯები, აღნიშვნული პერიოდის დასასრულს, დასაწყისთან შედარებით, მიუხედავად აბსოლუტური ზრდისა — წევდრი წონის მიხედვით, შემცირებულია ორგურ, რაც აისხნება პოლიციური და ბიუროკრატიული ხარჯების უჩივეულო ზრდით.

აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების ორი მესამედი სახაზინო იყო და, მაშასადამე, საღალო შემოსავალთა ირი მესამედი სახაზინო შემოსავალ შეადგენდა.

გადასახადები იყო ნაცურალური და ფულადი. გამომძებელთა წოდებას შეადგენდენ გლეხები (სახაზინო, საკულესიო, საბატონო), მაღნის მწარმოებლები, ვერმანელი კოლონისტები და მოქალაქენი. სახელმწიფო შემოსავლის მიღების გარკველებულ ფორმას წარმოადგენდა იგარა-შესყიდვის წესი. დაბევრის ერთეული იყო კომლი.

არაპირდაპირი დაბევრის სახებს წარმოადგენდნენ შინაგანი ბაჟები და შემოზიდვის, გაზიდვისა და ტრანზიტის ბაჟები. ბაჟის შემოსავალი რეფორმაზე მიღიოდის დასაწყისში შეადგენდა სახელმწიფო შემოსავლის მეთოდს, ხოლო ამ პერიოდის დასასრულს — მესამედა. შემოსავალი მიღებოდა მისაგებლითაც. ცარიზმის მისაგებლის (საერთოდ, რუსეთში და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში) ძირითადად ფისკალური მოსაზრებებით იყენებდა და ყველა საჭირო შემთხვევაში განაკვეთების ზრდას ჰქონდა ადგილი.

ცარიზმია აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ფულის მიმოცევის სისტემა დასაწყისშივე რადიკალურად არ შეცვალა, არამედ შეუდგა მის რეგულირებასა და თანდათანობითს შეცვლა. დასაწყისში საგამომღებლო ვალუტას წარმოადგენდა ვერცხლის მონეტა, შემდეგ კი — ვერცხლის მონეტა და ასიგნაციები.

აღმოსავლეთ საქართველოში მიიღებოდა საზონეტო, სასინქონ და დადალვის შემოსავალი, აგრეთვე, შემოსავალი ხურდა მონეტების გამოშვებით. ქალალდის ფული საქართველოში გაფრცელდა რუსეთის შეერთების შემდეგ.

სახელმწიფო შემოსავლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოთა და სახელმწიფო ქონებათა შემოსავალი. ეს უკანასკნელი მიღებოდა რენტის სახით, რამდენადაც სახელმწიფო ქონება გაცმიული იყო იგარა-შესყიდვის წესით, რენტისა და მონეტების სახით; რამდენადაც სახელმწიფო ქონების ექსპლოატაციის თვით სახელმწიფო ეწეოდა.

შრომაში გამოკვლეულია, რომ სახელმწიფო შემოსავლის ძირითად სახეობას წარმოადგენდა საგლეხო გადასახადი. ლარიბი გლეხი, რომლის ექსპლოატაციის ნორმა $160\%-192\%$ -ს აღწევდა დაბევრილი იყო ამის შევით სახელმწიფო და საერთო მძიმე გადასახადებით; დამატებითი ექსპლოატაციის ნორმა, $100\%-ს$ აკარბებდა.

თუ ბალანსის ანალიზს მოვახდენ არა მარტო სახელმწიფო ფინანსების, არამედ უცელა სახეობის ფინანსების ხაზით და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თბილისში იმყოფებოდა მთელი ამიერკავკასიის მმართველი ორგანოები და ტარიებოდა ღონისძიებანი, რომლებიც მთელ,

ამიერკავკასიას და, ნაწილობრივ, რუსეთსაც მოემსახურებოდა, მაშინ ბალანსი არ აღმოჩნდებოდა დარღვეული აღმ. საქართველოს სასარგებლოდ.

ამასთან, შრომაში გამოკვლეული და დასაბუთებულია ფინანსების დიდი მნიშვნელობა იმ პროგრესული როლის შესრულებაში, რაც რუსეთმა ობიექტურად შეასრულა საქართველოს მიმართ. რუსეთმა ხელი შეუწყო საქართველოს მიწაშესის გაერთიანებას, ისნა საქართველო ირან-თურქეთის საუკუნოებრივი აგრძელებას დასხვო ტუვებით ვაჭრობა საქართველოში და დააჩქარა ფეოდალიზმის დაშლის პროცესი. აღმ. საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ზრდისა და საქართველოში რუსის ჯარის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, გაიზარდა ქართველ გლეხთა სასაქონლო პროდუქცია, გაიზარდა ფულადი მეურნეობა; ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკურ გაერთიანებასა და, საერთოდ, ქვეყნის მწარმოებელ ძალთა შემდგომი განვითარებისათვის პირობათა უზრუნველყოფას. რუსეთთან შეერთების ხელი შეუწყო საქართველოს კულტურულ აღორძინებასაც და გააძლიერა რუსეთისა და საქართველოს ხალხთა პროგრესული ძალების იღეური კავშირი ცარიზმისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ფინანსურ მეცნიერებაში ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს დაბეგვრის სიმძიმე ცნების განსაზღვრის საკითხი. სარეცენზია შრომაში (გვ. 467—477) მოცემულია კრიტიკა ბურუუაზიულ ფინანსტთა შეხედულებები ამ სკონხზე, აგრეთვე, ცდა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე დაბეგვრის სიმძიმის ცნების განსაზღვრისა კაპიტალისტური და ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისათვის. შრომაში მოცემულია, აგრეთვე, დაბეგვრის სიმძიმის გამოანგარიშების მეთოდიკა. ეს მეთოდიკა ავტორმა პრაქტიკულადაც მოიმარგვა რეფორმამდე აღმ. საქართველოში დაბეგვრის სიმძიმის გამოსანგარიშებლად.

თეორიული განხოვადების ცდას წარმოადგენს, აგრეთვე, დებულება ნატურალური მეურნეობის პირობებში შემოსავლის ნუსხის უპირატესობის შესახებ გასავლის ნუსხის შედგენასთან შედარებით.

შრომა კარგი შენაძენია ქართული ფინანსური ეკონომიკური ლიტერატურისათვის.

პროფ. დ. მორიძე

գօնո 1 մաճ.

858/196

Индекс 76 196

